

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ი. ჭობლავა

ფონემის სნება ენათმეცნიერებაში



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1976

4 Γ
499.962.1
ქ 602

თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის, საქმე შეეხება ენის სტრუქტურისა თუ ცვალებადობის, ენათმეცნიერების თეორიისა თუ პრაქტიკის საკითხებს, ფონემა არის ერთ-ერთი ის ძირითადი ერთეული, რომლის გარეშეც შეუძლებელია ენის ადეკვატური აღწერა. მაგრამ ფონემის ერთგვაროვანი გაგება არ არსებობს. დღეისათვის ცნობილია განსხვავებული ფონოლოგიური თეორიები, რომელთაც განსხვავებული თვალსაზრისები უდევს საფუძვლად. ამ თეორიათა მიმოხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომიც.

70103
M 607 (03)—75 91—75

წინასიტყვაობა

„როგორც დანახული არ შეიძლება გახდეს მოსმენილი და პირიქით, ასევე არსებული, როგორც გარეგანი სუბსტრატი, არ შეიძლება იყოს ჩვენი ენა. ხოლო თუ არ იქნება არსებული, იგი გაუგებარი იქნება სხვისთვის“. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის გორგიას ეს სიტყვები შესანიშნავად ახასიათებს ენის ბუნებას.

საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, ენა არის ურთიერთობის საშუალება. სწორედ ამაში მდგომარეობს ენის, როგორც სოციალური მოვლენის, არსი. მაგრამ ენობრივ ურთიერთობაში ჩაბმულ ინდივიდებს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ რაიმე სახის ფიზიკური ზემოქმედების გზით. ამიტომაც ნებისმიერი ენა, კომუნიკაციის ნებისმიერი სისტემა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ენა, თავისი ფუნქციონირებისათვის აუცილებლად საჭიროებს ფიზიკურ საშუალებას. სხვანაირად, ენის გაგება გულისხმობს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ ხდება, ე. ი. რა ფუნქციონალურ მექანიზმს ემყარება ურთიერთობა, არამედ იმასაც, თუ რით ხდება ურთიერთობა, ე. ი. ფიზიკური საშუალების რა სახეა გამოყენებული კომუნიკაციისათვის მოცემულ შემთხვევაში.

ბუნებრივი (ადამიანური) ენებისათვის ასეთ საშუალებას წარმოადგენს ბგერები. ამიტომაც ენის შესწავლა არ იქნება სრული, თუ მასში თავისი ადგილი არ დაეთმობა ბგერითი ფაქტების შესწავლასაც. მაგრამ საკითხი ეხება იმას, თუ რა პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად ამ კვლევას, როგორ და რა ტერმინებით უნდა განისაზღვროს ბგერითი ერთეულები, როგორია ენობრივი ასპექტის მიმართება ბგერათა ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ ასპექტებთან, შესაბამისად მათი შემსწავლელი დისციპლინების ურთიერთმიმართება და ა. შ. ის ძირითადი ცნება, რომლის გარშემო თავს იყრის მთელი ეს პრობლემატიკა, არის ფონემის ცნება.

მიუხედავად ასეთი აქტუალობისა (და ნაწილობრივ სწორედ ამის გამო), ფონემის ერთგვაროვანი გაგება ენათმეცნიერებას არ მოეპოვება. ამიტომაც ძნელია მსჯელობა ზოგადად ფონემის ცნება-

ზე, მის მნიშვნელობაზე, მისი გამოყენების შემდგომ პერსპექტივებზე, თუ დადგენილი არ იქნება ის საერთო და ის განსხვავებული, რაც აერთიანებს არსებულ თვალსაზრისებს როგორც „ფონემის თეორიებს“ და რაც ქმნის თითოეული მათგანის სპეციფიკას. ასეთი მიმართულებით კვლევა ენათმეცნიერებისათვის უცხო არ არის და მისი მნიშვნელობა სრულიად უდავოა. ამ პრობლემებს ეხება ეს ნაშრომიც.

ნაშრომში განხილულია თეორიები, დაკავშირებული ფონოლოგიური კვლევის გარკვეულ ეტაპთან, რომელსაც ახლა უკვე თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კლასიკური ფონოლოგიის ეტაპი. თანამედროვე წარმომქმნელი ფონოლოგიის პრინციპების დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება სპეციალურ გამოკვლევაში.

წინამდებარე ნაშრომს არა აქვს პრეტენზია მთელი სისრულით გააშუქოს განხილულ თეორიებში დასმული ყველა საკითხი. ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ფონემის რაობასა, მისი დადგენის მეთოდებსა და ფონეტიკა-ფონოლოგიის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე. ავტორი იძულებული გახდა შეზღუდულიყო საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის გამოყენების მხრივაც. იმ მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი ნაწილის გათვალისწინება, რომელიც იწერებოდა და იწერება გასული საუკუნის დასასრულიდან და განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან, თანდათან რთულდება, რაც, ბუნებრივია, რამდენადმე აძნელებს მნიშვნელოვანი დეტალების სრულად გათვალისწინებასაც.

შესავალი

0 სამეტყველო ბგერების შესწავლას მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ძნელია იმ მრავალმხრივი მეცნიერული თუ სხვა ინტერესების სრულად გათვალისწინება, რომელიც ამ ტრადიციას ასაზრდოებდა და ასაზრდოებს. ადამიანის ხმასა და სამეტყველო ორგანოებზე პირველი შემთხვევითი დაკვირვებებიდან ზუსტ ფონეტიკურ მეცნიერებამდე განვითარება ხშირ შემთხვევებში ხდებოდა არა იმდენად გრამატიკული, ლინგვისტური მიზნების შესაბამისად, რამდენადაც არალინგვისტური პრაქტიკის, მეცნიერების სხვა დარგების განვითარებასთან დაკავშირებით¹. სათანადო კვლევაც ძირითადად მიმართული აღმოჩნდა ბგერათა გარეგანი თვისებების, მათი ფიზიკური (ფართო გაგებით) ბუნების გარკვევისაკენ, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი ენათმეცნიერული პრაქტიკისათვის. ამიტომაც ლინგვისტური კვლევის გაღრმავებასთან ერთად ამ ფართო ინტერესების სფეროში თანდათან გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომელსაც აინტერესებს ბგერა არა როგორც (უკეთ, არა მხოლოდ როგორც) ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მოვლენა, არამედ პირველ რიგში როგორც იმ რთული ფუნქციონალური მექანიზმის ელემენტი, რომელსაც ეწოდება ენა.

თუ რას ემყარება ეს თვალსაზრისი, როგორია მისი მეთოდოლოგიური წინამძღვრები და ა. შ., ენათმეცნიერებამ ფაქტობრივად ამაზე პასუხი გასცა ფონემის ცნების შემოტანით².

¹ დაწვრ. იხ. G. Panconcelli-Calzia, Earlier history of phonetics. იხ. აგრეთვე B. Malmberg, Les domaines de la phonétique, გვ. 19.

აქ და ქვემოთ დამოწმებული ნაშრომების სრული დასახელებისა და ბიბლიოგრაფიული მონაცემებისათვის იხ. წიგნის ბოლოს დართული ლიტერატურის სია.

² თავდაპირველად ტერმინი ფონემა (ბერძნ. სიტყვისაგან *φωναίη* — „ხმა“, „ბგერა“) მკვიდრდება გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრანგულ საენათმეცნიერო წრეებში „სამეტყველო ბგერის“ მნიშვნელობით. ბგერისაგან განსხვავებული ლინგვისტური ერთეულის აღსანიშნავად იგი პირველად გამოიყენა ნ. კრუშეესკიმ 1879 წ. (უფრო დაწვრ. იხ. აქვე, გვ. 19).

0. 1 ფონეტიკისაგან განსხვავებით საკუთრივ ფონემების შესახებ მოძღვრებას — ფონოლოგიას (ბერძ. სიტყვებისაგან *φωνή* — „ხმა“, „ბგერა“ და *λόγος* — „მოძღვრება“) არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს³. მის განვითარებას ჩვეულებრივ აკავშირებენ სტრუქტურული ლინგვისტიკის განვითარებასთან. მაგრამ ფონოლოგია, ისევე როგორც საერთოდ სტრუქტურული ლინგვისტიკა, ცარიელ ადგილზე არ გაჩენილა⁴: ფონემის იდეა და მისი შესწავლის ტრადიცია გაცილებით უფრო ადრინდელია. ყოველ შემთხვევაში, როდესაც რუსი ლინგვისტების (რ. იაკობსონი, ს. კარცევსკი, ნ. ტრუბეტკოვი) ჯგუფმა ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე 1928 წ. წარმოადგინა ფონოლოგიის პროგრამა⁵ (რომელიც ითვლება სტრუქტურული ფონოლოგიის დასაწყისად), „ნიადაგი უკვე მომზადებული იყო“⁶. ფონოლოგიის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა ფონეტიკური და ლინგვისტური კვლევის ხანგრძლივი პრაქტიკა⁷.

0. 11 ლინგვისტიკაში ფონემის ცნება შემოაქვთ იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ენათმეცნიერთა წინაშე დააყენა კვლევის პრაქტიკამ, მაგრამ რომელთა გადაჭრა შეუძლებელი ჩანდა ვიწრო ფონეტიკურ ჩარჩოებში. ამ დებულების აზრი უფრო ნა-

³ ტერმინი „ფონოლოგია“ (ინგლ. phonology, ფრანგ. phonologie, გერმ. Phonologie, რუს. фонология) ენათმეცნიერებაში ერთნაირი მნიშვნელობით არ არის გამოყენებული. სხვადასხვა ავტორთან იგი გვხვდება ისტორიული ფონეტიკის (პ. ე. გუარანერიო, ს. პუშკარიუ, ინგლისელი ფონეტიკოსები), ბგერათფიზიოლოგიის (ფ. დე სოსიური), ზოგადი ფონეტიკის (მ. გრამონი) აღსანიშნავად. ფიზიკური ბგერისაგან განსხვავებული ფუნქციონალური ერთეულის — ფონემის შემსწავლელი დისციპლინისათვის მისი ხმარების ტრადიცია მოდის პრადის ფონოლოგიური სკოლისაგან. სხვადასხვა მიმდინარეობებში ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინები „ფონემიკა“, „ფონემატია“.

⁴ სტრუქტურული ლინგვისტიკის წინაისტორიისათვის იხ. B. Collinder, *Les origines du structuralisme*; Y. Ф. Леман, *Преемственность языкознания*.

⁵ R. Jakobson, S. Karcevskiy, N. Troubetzkoy, *Quelles sont les méthodes...*, გვ. 33—36.

⁶ N. Trubetzkoy, *La phonologie actuelle*, გვ. 231. იხ. აგრეთვე J. Schrijnen, *Nova et vetera*; B. Malmberg, *New trends in linguistics*, გვ. 74 და შემდ.; Y. Ф. Леман, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 52.

⁷ ამ მიმოხილვის მიზანს არ შეადგენს ფონეტიკის და, მით უფრო, ლინგვისტიკის ისტორიის დაწვრილებით გადმოკემა. შევხებით მხოლოდ იმ მომენტებს, რომელთაც განსაზღვრეს ფონეტიკური კვლევის ძირითადი მიმართულება ენათმეცნიერებაში.

თელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ განვითარების იმ გზას. რომელმაც ევროპულ კლასიკურ ფონეტიკამდე მიგვიყვანა.

ფონოლოგიური კვლევის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ფაქტებს გვაწოდის ძველი ინდური გრამატიკები. ეს გრამატიკები თავის დროზე იქმნებოდა წმინდა ფილოლოგიური მიზნებით: ძველი (1200—1000 წ. ძვ. წ.) რელიგიური ტექსტების — ვედების ენის შესასწავლად და სასაუბრო ენის გავლენისაგან მის დასაცავად. მაგრამ ინდოელთა ლინგვისტური ინტერესები გაცილებით უფრო ფართო აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოითხოვდა თავდაპირველი პრაქტიკული მიზნები. როგორც მ. ემენო შენიშნავს, ინდოელები „გრამატიკოსები გახდნენ გრამატიკისათვის“⁸ და ის დონე, რომელსაც სალიტერატურო ენის — სანსკრიტის სტრუქტურულმა შესწავლამ მიაღწია, მრავალი თვალსაზრისით დღესთვისაც სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს. ინდოელთა ფონეტიკურ მოძღვრებაში ბგერათა უზუსტეს ფიზიოლოგიურ-არტიკულაციურ თავისებურებებთან ერთად დაწვრილებით არის განხილული ბგერითი კომბინატორიკაც. ამან საშუალება მისცა ინდოელ გრამატიკოსებს საკმაო სისრულით გაეაზრებინათ პოზიციური ვარიანტების არსებობა¹⁰ და შეექმნათ მოძღვრება ინვარიანტების შესახებ. როგორც ირკვევა, მათთვის არც კომუტაციის პრინციპი ყოფილა უცხო. სახელდობრ, ვედების ერთ-ერთ კომენტარში ნათქვამია, რომ „თანხმოვანს არა აქვს თავისთავადი არსებობა, რამდენადაც სიტყვის მნიშვნელობა იცვლება თანხმოვნებთან ერთად. მაგ., სიტყვებში *kūpa* და *yūpa* ხმოვნები ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავდებიან თანხმოვნები და, მაშასადამე, სიტყვებიც“¹¹.

ფონემის თეორიასთან დაკავშირებით სპეცილისტთა ყურადღებას იქცევს მოძღვრება სფოთაზე (*sphoṭa*). ინდოელ გრამატიკოსებთან სფოთას თეორია სხვადასხვაგვარად არის ფორმულირებული, მაგრამ ძირითადი ყველა გაგებისათვის რჩება განსხვავება მეტყველების რეალურ ინდივიდუალურ ფაქტებსა, ე. ი. რეალიზაციის ფაქტებსა (ღვანი, *dhvani*) და შესაბამის (ფსიქიკური დონის) ინვარიანტულ ენობრივ არსს — სფოთას შორის. გარჩეულია წინადადების სფოთა, სიტყვის სფოთა, ბგერითი ერთეულის (ვარნა, *varṇa*) სფოთა (*varṇa sphoṭa*). ეს უკანასკნელი, პატანჯალის (II ს. ძვ. წ.) მიხედვით, წარმოადგენს სემანტიკური დიფერენციაციის უნარის მქონე აბსტრაქტულ ინვარიანტულ (პერმანენტულ) ერთეულს, რომელიც რეალურ მეტყველებაში აქტუალიზებულია მრავალი განსხვავებული ბგერითი ერთეულით¹². ფონემის იდეასთან დაკავშირებით საინტერესო

⁸ M. B. Emenau, *India and linguistics*, გვ. 146.

⁹ ინდოეთში გრამატიკის საკითხების განხილვა დაწყებულია ჯერ კიდევ ვედების პერიოდში (მის ნიმუშებს უკვე ვხვდებით ე. წ. ვედანგებში), მაგრამ ინდურმა გრამატიკულმა მოძღვრებამ სრულყოფილების უმაღლეს ფორმას მიაღწია პანინის (V—IV ს. ძვ. წ.) გრამატიკაში. სპეციალური ფონეტიკური ტრაქტატები ძირითადად იქმნებოდა ძვ. წ. IX ს-დან.

¹⁰ დაწვრ. იხ. W. S. Allen, *Phonetics in ancient India*, გვ. 16, 40—42, 44—45, 48—50, 58, 63—64, 68. იხ. აგრეთვე: S. K. Chatterji, *The correspondence between sound and phoneme...*, გვ. 3 (33).

¹¹ ციტატა მოგვყავს ბ. კოლინდერის დასახ. ნაშრომის მიხედვით (გვ. 11).

¹² დაწვრ. იხ. R. H. Robins, *A short history of linguistics*, გვ. 140

ჩანს ინდოელთა მიერ ფონეტიკური აღწერის დროს გამოყენებული კიდევ ერთი ცნება — ვარნა-კულა (varṇa-kula), რომელიც საკმაოდ ახლოს დგას ფონემის ზოგ თანამედროვე თეორიაში მიღებულ ინტერპრეტაციასთან. სახელდობრ, ვარნა-კულა აღნიშნავდა იმ ბგერათა, ჩვეულებრივ ხმოვანთა, ერთობლიობას, ოჯახს, რომლებიც ხასიათდებიან მსგავსი თვისებრიობით, განურჩევლად მათი სიგრძე-სიმოკლისა¹³. სამწუხაროდ, ინდოელ გრამატიკოსთა ეს იდეები (ისევე როგორც მრავალი სხვა) საუკუნეთა განმავლობაში უცნობი იყო ევროპული ენათმეცნიერებისათვის და ძალიან დიდი დრო გავიდა მანამდე, სანამ ლინგვისტური კვლევის პრაქტიკა ხელახლა დასვადა ამ საკითხებს.

0. 111 ანტიკურ მეცნიერებს, რომლიდანაც იღებს საწყისებს ევროპული ფონეტიკა¹⁴, თანამედროვე ფონემის გაგებასთან რამდენადმე მიახლოებული ცნება, გარდა მრავლისმომცველი „ასოსი“ (य़ासुसि), არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ისეთი სრულყოფილი ფონეტიკური ანბანის შექმნა, როგორც ფინიკიური ანბანის ნიადაგზე შექმნეს ძველმა ბერძნებმა, უკვე გულისხმობს ინტუიციურ ფონემურ ანალიზს¹⁵. მაგრამ ინტუიციური პრაქტიკიდან ფონემის თეორიამდე დიდი მანძილია და ასეთი თეორია ბერძნებს არ შეუქმნიათ. ამის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ სპეციფიკურ პირობებში, რამაც განსაზღვრა ფონეტიკური კვლევის მიმართულება ძველ საბერძნეთში და უფრო გვიან მის ფარგლებს გარეთაც. ეს მიმართულება კი საესებით შეესაბამებოდა ანტიკური მეცნიერების ხასიათს. სახელდობრ, რამდენადაც იმ დროს ენის საკითხების კვლევა ძირითადად დაკავშირებული იყო ზოგად-ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ (საერ-

G. Mounin, *Histoire de la linguistique...*, გვ. 66; B. Collinder, დასახ. ნაშრ., გვ. 11; V. N. Misra, *The descriptive technique of Pāṇini*, გვ. 28; В. Н. Топоров, *О некоторых аналогиях к проблемам и методам современного языкознания в трудах древнеиндийских грамматиков.*

¹³ W. S. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 14, შეს. 10; V. N. Misra, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

¹⁴ ევროპული ფონეტიკა, ისევე როგორც საერთოდ ევროპული ლინგვისტიკა, რა თქმა უნდა, იზოლირებულად არ განვითარებულა. მასში სხვადასხვა დროს ასახვას პოულობდა მრავალი ტრადიცია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია გრამატიკული კვლევის პრაქტიკას ევროპის ფარგლებს გარეთ.

¹⁵ ფონეტიკური ანბანის შექმნა, რამდენადაც აქ საქმე შეეხება, პირველ ყოვლისა, მოცემული ენის თვალსაზრისით განსხვავებული ბგერების (resp. ენობრივი ინვარიანტების) დადგენას, შეიძლება კვალიფიცირებული იქნეს როგორც ინტუიციური ანალიზი. ამიტომაც საესებით სამართლიანად შეინშნავდა ა. შეიფი, რომ „ის პირები, რომელთაც შექმნეს და სრულყვეს დამწერლობა, იყვნენ დიდი ლინგვისტები და სწორედ მათ შექმნეს ენათმეცნიერება“ (ციტატა მოგვეყავს ე. მუნენის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 36).

თოდ „ხელოვნებათა“) პრობლემატიკასთან, ამ პრობლემების ფარგლებში ვითარდებოდა ბგერათმოდღვრებაც.

მაგ., ეტიმოლოგიური ძიებები, რომელთაც ასე ფართოდ იყენებდნენ ცნობილ ფილოსოფიურ კამათში „ფიუსეის“ (φύσει) თუ „თესეის“ (θέσει) მომხრეები, მოკამათეებისაგან მოითხოვდა „ასოთა“¹⁶, როგორც სიტყვის შემადგენელ უმარტივეს „ელემენტა“¹⁷, ფიზიკური ბუნების შესახებ გარკვეულ ცოდნასაც¹⁸. პითაგორელებიდან მოყოლებული მუსიკის თეორიასთან დაკავშირებით ბგერათათვისებები სისტემატურად განიხილებოდა რიტმიკასა და მეტრიკაში¹⁹. ძველ ბერძნებს ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კვლევისას არც სამეტყველო ანატომია და ფიზიოლოგია გამოჩენიათ (პიპოკრატე, არისტოტელე)²⁰ და ა. შ. ყოველივე ეს კი გულისხმობდა პირველ რიგში ბგერათა ფონეტიკური თვისებების შესწავლას და ამ მხრივ მნიშვნელოვანი შედეგებიც იქნა მოპოვებული (მუშავდებოდა მარცვლის თეორია, ბგერათა კლასიფიკაციები...)²¹.

¹⁶ მართალია, ძველ ბერძნებთან „ასოსა“ და „ბგერის“ აღმნიშვნელი ტერმინები თავდაპირველად დიფერენცირებული არ ყოფილა (მაგ., პლატონთან ორივე მნიშვნელობით გვხვდება როგორც „ასო“ — γράμμα, ისე „ელემენტი“ — στοιχεῖον. დაწერ. იხ. Античные теории языка и стиля, გვ. 59), მაგრამ სათანადო ცნებები გარჩეულია: დაწერილი არის წარმოთქმულის სიმბოლო (იხ. იქვე, გვ. 54—60). უფრო გარკვევით ამ განსხვავების შესახებ ლაპარაკია სტოელებთან, რომელთა მიხედვით, ელემენტი და მისი დაწერილობა სხვადასხვა რამეა, თუმცა მათთვის გამოიყენება საერთო სახელი γράμμα. ეს უკანასკნელი აღნიშნავს ელემენტის სახელწოდებასაც (იხ. იქვე, გვ. 69). ბერძნებთან „ასოსა“ და „ბგერის“ დამთხვევაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ აზრით, რომ დაწერილსა და წარმოთქმულს შორის დაშვებულია პირდაპირი შესატყვისობის არსებობა: წარმოთქმის მხოლოდ ის, რაც დაწერილია (იხ. И. М. Тронский, Проблема языка в античной науке, გვ. 11). საკუთრივ გრაფიკული გამოსახულებისათვის γράμμα-ს და მისი ბგერითი ღირებულებისათვის στοιχεῖον-ის გამოყენება შედარებით გეოგნდელია. დაწერ. იხ. H. Diels, Elementum, განსაკ. გვ. 58—59; R. H. Robins, Dionysius Thrax... გვ. 84—86.

¹⁷ ელემენტის ასეთ გაგებას ვხვდებით, მაგ., პლატონთან და არისტოტელესთან. იხ. Античные теории..., გვ. 59, 63.

¹⁸ დასახ. ნაშრ., გვ. 48—49.

¹⁹ იხ. იქვე, გვ. 62.

²⁰ დაწერ. იხ. G. Panconcelli-Calzia, დასახ. ნაშრ., გვ. 8—9.

²¹ როგორც ჩანს, თავდაპირველად „ასოთა“ კლასიფიკაციას ბერძნებთან საფუძვლად ედო აკუსტიკური პრინციპი (იხ., მაგ., პლატონი: Античные теории..., გვ. 49, 59), მაგრამ უკვე არისტოტელესთან ბგერათა წარმოების ფიზიოლოგიურ-

შაგრამ ამავე მიზეზით საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ბევრი დაკვირვება უყურადღებოდ დარჩა.

საფიქრებელია, რომ ძველ ბერძნებს კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული „ასობის“ სიტყვათგანმასხვაებელი როლი²², მაგრამ რაიმე შესაძლო დასკვნები აქედან არ გაკეთებულა. ასევე ბერძენისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი ბგერათა კომბინატორიკის საკითხები. ამიტომაც მოულოდნელი არ არის, რომ „ასოთა“ კლასიფიკაციის დროს ისინი ახლოს მივიდნენ ფონემათა დისტრიბუციული (resp. ფუნქციონალური) კლასების გაგებამდე: „ასობის“ დაყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად ასახავს მარცვალში მათ როლს²³. მაგრამ როგორც ჩანს, შემდგომში კვლევა არც ამ მიმართულებით გაღრმავებულა²⁴.

„ასობის“ შესწავლით იმ დროისათვის სპეციალურად დაინტერესებული უნდა ყოფილიყო გრამატიკა, მაგრამ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ვიწრო „ხელოვნებას“, უშუალოდ წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებულ პრაქტიკას (γραμματική — მოძღვრება

არტიკულაციური თავისებურებებიცაა გათვალისწინებული. მაგ., „ასობი“ ხმის მონაწილეობის მიხედვით დაყოფილია სამ ჯგუფად: ხმოვნებად, ნახევარხმოვნებად და ყრუებად. ხმოვნები იწარმოება დაბრკოლების („ენის მიბჯენის“) გარეშე და ხასიათდება დამოუკიდებელი ბგერადობით. ნახევარხმოვნები — λ μ ν ρ ζ (პლატონთან—უხმო ბგერადები) ის ბგერებია, რომელთა წარმოებისას დაბრკოლება ჩნდება („ენა ებჯინება“), მაგრამ რომლებიც ხმოვნების მსგავსად ხასიათდებიან დამოუკიდებელი ბგერადობით. ყრუები (ყველა დანარჩენი თანხმოვანი) იწარმოებიან დაბრკოლებით „ენის მიბჯენით“ და ამასთანავე მოკლებული არიან დამოუკიდებელ ბგერადობას (პლატონთან—უხმო-უბგეროები). მათი შემდგომი დაყოფა გრძელდება სიგრძე-სიმოკლის, არტიკულაციის ადგილის, ასპირაციის ხარისხის და ა. შ. მიხედვით. დაწვრ. იხ. Античные теории..., გვ. 62; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე И. М. Тронский, დასახ. ნაშრ., გვ. 11—12; E. Brugke, Grundzüge der Physiologie und Systematik der Sprachlaute, გვ. 117 და შემდ., განსაკ. გვ. 120—122; P. B. R. Forbes, Greek pioneers in philology and grammar, გვ. 107; G. Mounin, დასახ. ნაშრ., გვ. 87—88.

²² იხ., მაგ., Античные теории..., გვ. 34—35; შდრ. აგრეთვე გვ. 66.

²³ И. М. Тронский, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

²⁴ ალექსანდრიელი გრამატიკოსის დიონისე თრაკიელის (II ს. ძვ. წ.) განმარტებით „ასობისათვის“ სახელწოდება „ელემენტების“ ხმარება გულისხმობს ასოთა გარკვეულ რიგს (στοιχός) და წყობას (იხ. Античные теории, გვ. 106). ფიქრობენ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს არა უბრალოდ ანბანური რიგი, არამედ ახლანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, „ასოთა“ დისტრიბუციული შესაძლებლობები (იხ. R. H. Robins, Dionysius Thrax..., გვ. 85—86). ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია, მაგრამ ანტიკური გრამატიკის პრინციპებთან შედარებით დიონისეს გაგება ახალს არაფერს არ უნდა შეიცავდეს.

„ასოების“ შესახებ) და, ბუნებრივია, შეზღუდული იყო მხოლოდ ამ პრაქტიკის ინტერესებით²⁵.

0. 112 პრაქტიკულ-ნორმატიული თვალსაზრისი ბატონობს ბგერათა შესწავლაში უფრო გვიანაც, როდესაც ენობრივი პრობლემატიკა თანდათანობით შორდება ფილოსოფიას²⁶ და ალექსანდრიელებთან (ძვ. წ. III ს-დან) საბოლოოდ ფილოლოგიური გრამატიკის კომპეტენციაში გადადის. ბგერათა შესახებ მოძღვრება ამ გრამატიკის ნაწილია და დაკავშირებული ჩანს ისევ „სწორად წერისა“ და „სწორად კითხვის“ ნორმებთან²⁷: ფილოლოგიური გრამატიკა აგრძელებს ძველი გრამატიკის ტრადიციებს.

0. 118 ბერძნული გრამატიკის პრინციპები დაედო საფუძვლად ლათინურ გრამატიკებს. არსებითად იგივე დარჩა ბგერათმოდვრების პრინციპებიც. ამ სფეროში კვლევის ძირითადი ინტერესი მიმართული აღმოჩნდა ლათინურ „ასოთა“²⁸ ფონეტიკური თავისებურებებისაკენ და, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმდროინდელი ნაშრომების მიხედვით, ეს მხარე საკმაოდ დაწვრილებითაც განიხილებოდა²⁹. ბერძნული გრამატიკის ტრადიციებს აგრძელებდნენ გვიანდელი რომაელი გრამატიკოსებიც, მაგ., დონატუსი (IV ს. ჩვ. წ.) და პრისციანუსი (VI ს. ჩვ. წ.)³⁰. მაგრამ რამდენადაც მათი

²⁵ დაწვრ. იხ. И. М. Тронский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 10—11; В. Томсен, *История языкознания...*, გვ. 20; R. H. Robins, *Dionysius Thrax...*, გვ. 78.

²⁶ შემდეგდროინდელი ფილოსოფიური სკოლებიდან ენის საკითხებს დაწვრილებით ეხებოდნენ სტოელები, მაგრამ, როგორც ჩანს, ბგერათმოდვრებაში მათაც არსებითად ახალი არაფერი შეუტანიათ. იხ. *Античные теории...*, გვ. 69.

²⁷ იქვე, გვ. 106; ალექსანდრიელთა ფონეტიკური მოძღვრებისათვის დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 106—115.

²⁸ ლათინური *litera* — „ასო“ აღნიშნავს როგორც საკუთრივ ასოს (*figura*) და სათანადო ბგერას (*potestas*), ისე მის სახელწოდებასაც (*nomen*): *Nomen est quo adpellatur, figura qua no a'tur, potestas qua valet* „სახელი ის არის, რითაც იწოდება, ფიგურა—რითაც აღნიშნება, პოტესტასია—რასაც ნიშნავს (რაც წარმოითქმის)“—განმარტავს ქარისიუსი (*Grammatici Latini ex recensione Ke lii, vol. I, გვ. 7*). საკითხის ისტორიისათვის იხ. D. Abercrombie, *What is a letter?*

²⁹ დაწვრ. იხ. J. Collart, *Varro gramair en latin*, გვ. 7, 57 და შემდ.; იხ. აგრეთვე H. Arens, *Sprachwissenschaft*, გვ. 28—29; M. Ivič, *Trends in linguistics*, გვ. 26.

³⁰ ლათინური გრამატიკების შესახებ იხ. В. Томсен, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 24—25; Я. В. Лоя, *История лингвистических учений*, გვ. 22—23; R. H. Robins, *Ancient and mediaeval grammatical theory in Europe...*, გვ. 48.

შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა უკვე არა თანამედროვე, ცოცხალი სასაუბრო ენა, არამედ კლასიკური სამწერლობო ლათინური, ბუნებრივია, ფონეტიკაში მათაც ახალი არაფერი შეუქმნიათ³¹.

0. 114 კიდევ უფრო შეიზღუდა ფონეტიკური დაკვირვებების სფერო საშუალო საუკუნეებში, როდესაც კლასიკური ლათინური, თანამედროვეებისათვის მკვდარი, მაგრამ მეცნიერებისა და ეკლესიისათვის ოფიციალური ენა, მთელ ევროპაში პრაქტიკული შესწავლისა თუ ფილოსოფიური რეფლექსიის ობიექტი გახდა³². „ასოების“ შესახებ მსჯელობა ამ პერიოდისათვის ფაქტობრივად ამოიწურებოდა მხოლოდ ლათინური ანბანის ბგერითი ინტერპრეტაციითა და ბგერების („ასოების“) შესახებ უზოგადესი ცნობებით, რომელთა ძირითად წყაროდ რჩებოდა დონატუსისა და პრისციანუსის გრამატიკები³³. მართალია, ამ პერიოდში აქა-იქ ვხვდებით ფონეტიკურ დაკვირვებებს იმ ენების შესახებაც, რომლებზეც ლათინური ტექსტები ითარგმნებოდა, ზოგჯერ ცალკეულ დაკვირვებებს სხვადასხვა ქვეყნებში თვით ლათინურის წარმოთქმაზე, რომელიც უკვე საგრძნობლად განსხვავდებოდა კლასიკური ლათინურის ორთოეპიული ნორმებისაგან, მაგრამ მთლიანად საშუალო საუკუნეებში ფონეტიკური დაკვირვებებისადმი ინტერესი ძალზე უმნიშვნელოა³⁴.

31 მაგ., პრისციანუსი ხმის მონაწილეობის მიხედვით ბგერებს ყოფს ხმოვნებად (vocales—a, e, i, o, u) და თანხმოვნებად (consonantes). თანხმოვნებში, თავის მხრივ, გამოიყოფა ნახევარხმოვნები (semivocales—i, l, m, n, r, x) და ყრუები (mutae—b, d, g, h, k, p, t). იხ. Grammatici Latini, vol. II, გვ. 9.

32 საშუალო საუკუნეებში უკვე შეიმჩნევა ინტერესი სხვა ენების, განსაკუთრებით ბერძნულის, აგრეთვე არაბული და ებრაული ენების მიმართაც, მაგრამ მეცნიერების ენად და მეცნიერების ობიექტად ძირითადად მაინც ლათინური რჩება.

33 მაგ., ინგლისელებისათვის ელფრიკის მიერ შედგენილ ლათინური ენის პრაქტიკულ გრამატიკაში (X ს.) მხოლოდ დასახელებულია „ასოების“ სამი ჯგუფი (ხმოვნები, ნახევარხმოვნები, თანხმოვნები) და მოცემულია მათი სახელწოდებები (f:ef, c:ce, x:i:ks და ა. შ.): იხ. M. M. Dubois, Aelfric sermmonnacre, docteur et grammairien, გვ. 264—265.

34 საშუალო საუკუნეების გრამატიკული და ფონეტიკური კვლევის შესახებ დაწერ. იხ. R. H. Robins Ancient and mediaeval grammatical theory in Europe..., გვ. 69—70; ნიხიგე: A short history of a linguistics, გვ. 69—78; G. Panconcelli-Calzia, დასახ. ნაშრ., გვ. 11; H. Arens, დასახ. ნაშრ., გვ. 30; G. Mounin, დასახ. ნაშრ., გვ. 103 და შერდ.; B. Malmberg, Les domaines de la phonétique, გვ. 20—21; A. C. Чижובהва, К вопросу об историзме в языкознании; В. А. Звегинцев, Очерк истории языкознания..., გვ. 22.

შუასაუკუნეების ევროპული გრამატიკებისაგან განსხვავებით ფონეტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაბულ გრამატიკებში³⁵. ბგერათა აღწერა ემყარება ზუსტ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ საფუძვლებს³⁶ (თანხმოვანთა დახასიათებისას ავიცენა კორელაციის პრინციპსაც იყენებს)³⁷. დიდი ადგილი ეთმობა კომბინატორულ ცვლილებებს³⁸. თანამედროვე კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა იმის აღნიშვნაც, რომ არაბი ფონეტიკოსები ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ბგერათა ფსიქიკური ინვარიანტის გაგებასთან³⁹.

0. 115 მდგომარეობა არსებითად იცვლება აღორძინების პერიოდისა და (ფაქტობრივად XV ს-დან), როდესაც ეპოქის მოთხოვნილებები, ისევე როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგის, გრამატიკული კვლევის წინაშეც ახალ ამოცანებს აყენებს. ხალხთა შორის პოლიტიკური თუ რელიგიური კონტაქტების ზრდასთან ერთად იზრდება ინტერესი სხვა, განსაკუთრებით ცოცხალი, რიგ შემთხვევაში მანამდე უცნობი, ენების მიმართ. ლათინური გრამატიკების გვერდით იწერება ლათინური გრამატიკების ყალიბზე შექმნილი ნაციონალური გრამატიკები⁴⁰. მართალია, მათი ძირითადი მიზანი XVI ს. სლოვენი გრამატიკოსის ლავრენტი ზიზანის სიტყვებით რომ ვთქვათ, არის же ны мы добре мовили и писали⁴¹, მაგრამ ახალ ენებთან ერთად ევროპელები ეცნობიან ახალ გრამატიკულ ტრადიციებსაც. ფართოვდება კვლევის ჰორიზონტი. იქმნება მრავალენოვანი ლექსიკონები, იწყება უნივერსალური ენებისა და ანბანური სისტემის, უნივერსალური გრამატიკების დამუ-

³⁵ არაბული გრამატიკული და ფონეტიკური მოძღვრების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ინდურმა და ბერძნულმა ტრადიციებმა. საკითხის შესახებ დაწერ. იხ. В. А. Звегинцев, История арабского языкознания, გვ. 17 და შემდ.; В. Г. Ахведиани, Фонетический трактат Авиценны, გვ. 10—12; G. Panconcelli-Calzia, დასახ. ნაშრ., გვ. 11; R. H. Robins, A short history of linguistics, გვ. 97.

³⁶ არაბებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული „ბგერისა“ და „ასოს“ განსხვავება და მათ შორის შეუსაბამობაც. იხ. В. А. Звегинцев, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

³⁷ В. Г. Ахведиани, დასახ. ნაშრ., გვ. 71—75.

³⁸ არაბულ ფონეტიკურ მოძღვრებაზე დაწერ. იხ. H. Fleisch, Traité de philologie arabe, გვ. 52—244.

³⁹ Я. В. Лоя, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

⁴⁰ ასეთი გრამატიკის ნიმუშია, მაგ., მ. მაჯოს ქართული ენის გრამატიკა, რომლის პირველი გამოცემა გამოსულა რომში 1643 წ. დაწერ. იხ. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 26 და შემდ.

⁴¹ С. Булич, Очерк истории языкознания в России, გვ. 172.

შეემა. ტრადიციული ზოგადგრამატიკული პრობლემატიკის გვერდით თანდათან ფეხს იკიდებს შედარებითი და ისტორიული თვალსაზრისი⁴². რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმდროინდელი ნაშრომების მიხედვით, შესაბამისად ფართოვდება ფონეტიკური დაკვირვებების სფეროც⁴³. მაგრამ ბგერების შესახებ მეცნიერების ნამდვილი განვითარება ჯერ კიდევ წინ არის. იგი ძირითადად მაინც დამოკიდებული აღმოჩნდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებაზე, რამაც უფრო გვიან განსაზღვრა ბგერათმოდვრების მიმართულებაც ენათმეცნიერებაში⁴⁴.

0. 116 ლინგვისტური ძიების გაღრმავებასა და კვლევის ინტერესების გაფართოებას, რითაც ხასიათდება აღნიშნული პერიოდი ადრეული რენესანსიდან XVIII ს. დასასრულამდე, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია გარდატეხა გრამატიკულ აზროვნებაში და ასეთი გარდატეხა ხდება. XIX ს. დასაწყისისათვის საფუძველი ეყრება ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას.

ენათმეცნიერება ისევ ახალი ამოცანების წინაშე დგება. ლინგვისტების მთელი ყურადღება ახლა უკვე მიმართულია ენათა, კერძოდ, მონათესავე ენათა, ისტორიის კვლევისაკენ (მართალია, პარალელურად მიმდინარეობს ზოგადლინგვისტური და აღწერითი კვლევაც, მაგრამ მას არსებითი გავლენა XIX ს. ენათმეცნიერების მიმართულებაზე არ მოუხდენია). აქ არ შევჩერდებით იმაზე, თუ როგორ ესმოდათ ენის ისტორიის საკითხები პირველ კომპარატივის-

⁴² საკითხის შესახებ იხ. В. Томсен, დასახ. ნაშრ., გვ. 34 და შემდ.; Л. Блумфилд, Язык, გვ. 21—24; Р. Шор, Краткий очерк истории лингвистических учений..., გვ. 109 და შემდ.; В. А. Звегинцев, Очерк истории языкознания..., გვ. 23—25; Я. В. Лоя, დასახ. ნაშრ., გვ. 28—31; Н. Pedersen, Linguistic science in the nineteenth century, გვ. 240 და შემდ.; О. Jespersen, Language, გვ. 21 და შემდ.; H. Arens, დასახ. ნაშრ., გვ. 47 და შემდ.; J. Laziczius, Lehrbuch der Phonetik, გვ. 4—5; M. Ivič, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁴³ დაწვრ. იხ. D. Abercrombie, Forgotten phoneticians, გვ. 50 და შემდ.; R. H. Robins, A short history of linguistics, გვ. 100—102, 110, 117—119; G. Mounin, დასახ. ნაშრ., გვ. 116—119, 124—126, 141—142; B. Malmberg, Les domaines de la phonétique, გვ. 21 და შემდ.; H. Arens, დასახ. ნაშრ., გვ. 51—52, 68—70. იხ. აგრეთვე E. Brücke, დასახ. ნაშრ., გვ. 3—7, 152 და შემდ.; В. Томсен, დასახ. ნაშრ., გვ. 34—37; M. Leroy, Les grands courants de la linguistique moderne, გვ. 10—13; M. Ivič, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁴⁴ ფონეტიკური კვლევის ისტორიისათვის დაწვრ. იხ. G. Panconcelli-Calzia, 3000 Jahre Stimmforschung.

ტებს. ამ კონტექსტში არსებითია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ბგერების მიმართ ინტერესი იზრდება. ბგერათმესატყვისობების დადგენა, რომელსაც ემყარება ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრაქტიკა⁴⁵, დასაბამს აძლევს ახალ დარგს — ისტორიულ ფონეტიკას. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების შემდგომი წარმატება ეს არის ისტორიული ფონეტიკის წარმატება, რაც თავის მხრივ ხდება ფონეტიკურ მოძღვრებაში შემდგომი ძვრების საფუძველი. მაგრამ აქამდე კიდევ შორსაა. პირველი კომპარატივისტები ჭერჭერობით კმაყოფილდებიან არსებული ცოდნით, რომელიც საკმარისად ითვლება მონათესავე ენებში დადასტურებულ და მათთვის ამოსავლად მიჩნეულ ბგერათა ზოგადი ფონეტიკური დახასიათებისათვის⁴⁶.

ძირითადი ბგერითი ერთეული, რომელსაც ემყარება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება (ფაქტობრივად, კლასიკური ფონეტიკის ჩამოყალიბებამდე) არის ისევე „ასო“ (გერმ. Buchstabe, ინგლ. letter, ფრ. lettre), რომელიც ლათინურ „ასოს“ (litera) მსგავსად ითავსებს როგორც ფიგურის (figura), ისე პოტესტასის (potestas) მნიშვნელობას. ფიქრობენ, რომ ამ ერთეულს (რამდენადაც იგი აღნიშნავს ენაში ერთმანეთისაგან ლინგვისტურად განსხვავებულ ელემენტებს) პირველ კომპარატივისტებთან უნდა ჰქონოდა თანამედროვე ფონემასთან მიახლოებული მნიშვნელობაც⁴⁷. მაგრამ ამ აზრით ასევე ფონემურია ბერძ. γράμμα და ლათ. litera და კომპარატივისტებთან რაიმე სპეციფიკურად ფონოლოგიური „ასოს“

45 საკითხის შესახებ იხ. В. Дельбрюк, Введение в изучение языка; В. Томсен, დასახ. ნაშრ., გვ. 51 და შემდ.; Н. Pedersen, დასახ. ნაშრ., გვ. 248 და შემდ.; О. Jespersen, დასახ. ნაშრ., გვ. 36 და შემდ.; Л. Блумфилд, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

46 მაგ., ი. გრიმი „ასოებს“ ყოფს ორ ჯგუფად: ხმოვნებად და თანხმოვნებად, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყვნენ მარტივი და ორმაგი (დიფთონგები და გაკრძელებული ხმოვნები; გემინირებული და შედგენილი თანხმოვნები). თანხმოვნები შემდგომ იყოფიან ნარნარებად და ყრუებად (ჩქამიერებად). ეს უკანასკნელები — ლაბიალურებად, დენტალურებად და ა. შ. იხ. J. Grimm, Deutsche Grammatik, გვ. 4—12.

47 М. И. Стеблин-Каменский, К теории звуковых изменений, გვ. 66; W. F. Twaddell, On defining the phoneme, გვ. 55; L. Hjelmslev, Introduction à la discussion générale des problèmes relatifs à la phonologie des langues mortes..., გვ. 111; В. Мalmberg, Les domaines de la phonétique, გვ. 38.

ხმარებაში არ ჩანს (ყოველ შემთხვევაში, გააზრებული მაინც არ ყოფილა).

0. 117 ფონეტიკა. როგორც ენათმეცნიერების დამოუკიდებელი დარგი⁴⁸, ჩნდება გვიან, ისტორიული ფონეტიკის წიაღში და მისი საჭიროების შესაბამისად. საქმე ის არის, რომ როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო ისტორიული ფონეტიკისა და, ამდენად, ისტორიული ენათმეცნიერების მიერ მოპოვებული წარმატებები, წმინდა ისტორიული თვალსაზრისი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი და არ აღმოჩნდა საკმარისი, პირველ ყოვლისა, სწორედ ისტორიისათვის. ზუსტი ბგერათშესატყვისობების დადგენა, ბგერათცვლილებების მიზეზებისა და ხასიათის გარკვევა და ა. შ. მოითხოვდა ბგერათწარმოების ურთულეს მექანიზმში ჩაწვდომას, ბგერათა ფონეტიკური ბუნების ცოდნას⁴⁹. ლინგვისტები დახმარებიანათვის სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავდნენ საბუნებისმეტყველო დარგებს, რომელთაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ბგერების შესწავლაში⁵⁰. დაიწყო ბგერათა ინტენსიური შესწავლა ენათმეცნიერებაშიც, რომელიც ძირითადად აგრძელებდა ენათმეცნიერების გარეთ (ფიზიკასა და განსაკუთრებით ფიზიოლოგიაში) დაწყებულ კვლევას⁵¹. ამაში კი ლინგვისტიკისათვის უჩვეულო არაფერი ყოფილა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თავიდანვე საბუნებისმეტყველო ორიენტაციისა იყო მთლიანად ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებაც.

⁴⁸ სამეტყველო ბგერათა შემსწავლელი დისციპლინისათვის ტერმინი „ფონეტიკა“ (ბერძნ. სიტყვისაგან *φωνητική* — „ბგერითი“) შემოტანილია იუტლანდიელი გრამატიკოსის G. Zeoga-ს მიერ 1797 წ. (იხ. E. Zwirner, Die Bedeutung der Sprachstruktur für die Analyse des Sprechens, გვ. 1). ამ ტერმინის დამკვიდრების შესახებ იხ. აგრეთვე P. J. Rousselot, Principes de phonétique expérimentale, გვ. 2.

⁴⁹ საკითხის ისტორიისათვის დაწვრ. იხ. Б. Дельбрюк, დასახ. ნაშრ.; H. Pedersen, დასახ. ნაშრ., გვ. 303—306. იხ. აგრეთვე P. J. Rousselot, დასახ. ნაშრ., გვ. 2—3; А. В. Десницкая, Вопросы изучения родства индоевропейских языков, გვ. 70.

⁵⁰ დაწვრ. იხ. G. Panconcelli-Calzia, Earlier history of phonetics, გვ. 11—16; B. Malmberg, The linguistic basis of phonetics, გვ. 11—12.

⁵¹ როგორც სამართლიანად შენიშნავს ე. მუნენი, ენათმეცნიერებაში საქმე ვკაქვს არა ფონეტიკის შექმნასთან, არამედ ფაქტობრივად ფონეტიკისა და ისტორიული ენათმეცნიერების შეხვედრასთან. იხ. G. Moupin, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

კლასიკური ფონეტიკა იმ სახით, როგორც ის ყალიბდება XIX ს. მეორე ნახევრიდან⁵², ფაქტობრივად ბგერათფიზიოლოგიაა და ლინგვისტიკისათვის დამხმარე მეცნიერების (Hilfswissenschaft) როლში გამოდის⁵³. იგი მხოლოდ იმდენად ჩანს დაკავშირებული ენათმეცნიერებასთან, რამდენადაც გვაძლევს ცოდნას მისი „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის — სამეტყველო ბგერების“ შესახებ⁵⁴. მაგრამ ეს ცოდნა არსებითად საბუნებისმეტყველო ხასიათისაა (ძირითადად ისწავლებოდა ბგერათა⁵⁵ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური თავისებურებები) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებით არის მოპოვებული.

თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ფონეტიკური კვლევა არასოდეს არ ყოფილა წმინდა საბუნებისმეტყველო კვლევა. ფონეტიკა ყოველთვის სწავლობდა კონკრეტული ენობრივი აღქმისათვის მისაწვდომ და, ამდენად, მოცემული ენობრივი სისტემისათვის ბუნებრივ ბგერით ინვარიანტებს⁵⁶. ამ აზრით, რა თქმა უნდა, სწორია დებულებები, რომ ფონეტიკის საფუძველი იმთავითვე ლინგვისტური იყო⁵⁷ და რომ კლასიკური ფონეტიკის ერთეულზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ როგორც ერთსა და იმავე დროს ფონეტიკურსა და ფონოლოგიურ ერთეულზე⁵⁸. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თავისი ლინგვისტური საფუძველების ექსპლიციტური დასაბუთება და აქედან გამომდინარე შედეგები ფონეტიკას არ მოუცია.

0. 12 ვიწრო ფონეტიკური მიდგომა ენათმეცნიერებისათვის მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი აღმოჩნდა. თავისი საბუნებისმეტყველო ორიენტაციის გამო ფონეტიკამ ვერ შექმნა ის თეორიული ბაზა, რომელსაც შეიძლებოდა დაფუძნებოდა ისტორიული ენათმეცნიერების აშკარად არასაბუნებისმეტყველო პრაქტიკა.

⁵² ე. ბრიუეს „Grundzüge der Physiologie und Systematik der Sprachlaute“, რომელსაც ემყარება ე. შერერი, გამოსულია 1856 წ., ხოლო ე. ზივერსის „Grundzüge der Lautphysiologie“, რომელსაც იმომწებს კ. ბრუგმანი, 1876 წ.

⁵³ E. Sievers, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

⁵⁴ იხ. იქვე.

⁵⁵ ბერძ. სტოიქეიონისა (στοιχεῖον) ან ლათ. პოტესტასისაგან (potestas) განსხვავებით კლასიკური ფონეტიკის ბგერა გაიაზრება სრულიად დამოუკიდებლად მისი გრაფიკული გამოსახულებისაგან. დაწვრ. იხ. O. Jespersen, Phonetische Grundfragen, გვ. 1—13.

⁵⁶ ცნობილი ინგლისელი ფონეტიკოსის პ. სუიტის თანახმად, ფონეტიკა „პრაქტიკული თვალსაზრისით არის ხელოვნება ბგერათა წარმოქმნისა და სმენით მათი შეცნობის (recognizing) შესახებ“. იხ. H. Sweet, Primer of phonetics, გვ. 1.

⁵⁷ B. Malmberg, The linguistic basis of phonetics, გვ. 12.

⁵⁸ R. S. Wells, De Saussure's system of linguistics გვ. 4—5.

კვლევის გაღრმავებასთან დაკავშირებით სულ მალე ცხადი გახდა, რომ ენათა შედარება და, მით უფრო, რეკონსტრუქცია არ შეიძლება ემყარებოდეს შესადარებელ და აღდგენილ ბგერათა წმინდა ფონეტიკურ თავისებურებებს⁵⁹. სხვა რიგის ცნებები კი ენათმეცნიერებას არ მოეპოვებოდა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ისევ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წიაღში და ისევ მისი საჭიროებისათვის იწყება ფონეტიკური ბგერისაგან განსხვავებული ახალი ერთეულის ძიება. პირველი ენათმეცნიერები, რომლებიც დამოუკიდებელი გზებით მივიდნენ ამ რიგის ერთეულთა გაგებამდე, იყვნენ იან ბოდუენ დე კურტენე და ფერდინანდ დე სოსიური.

0. 121 ჯერ კიდევ 1870 წლიდან მიაქცია ბოდუენ დე კურტენემ ყურადღება იმ გარემოებას, რომ „ხალხის შეგარძნებაში“, ენის მექანიზმში ბგერათა ფიზიკური ბუნება შეიძლება ყოველთვის არ დაემთხვეს მათ „მნიშვნელობას“. მაგ., პოლონური ენის ფიზიოლოგიურად რთული *c*, *dz*, *č*, *dź*, *ż*... ხალხის შეგარძნებაში წარმოგვიდგება როგორც მარტივი ბგერები. ასევე, ფიზიოლოგიურად მაგარი ბგერები ენის მექანიზმში ასრულებენ რბილი ბგერების როლს; ხოლო, პირიქით, ფიზიოლოგიურად რბილი *k'* და *g'* (*k* და *g* ბგერების სახესხვაობა *e* და *i* ხმოვნების წინ) შეიგარძნობა როგორც მაგარი და ა. შ.⁶⁰ ბოდუენის აზრით, ეს შეუსაბამობა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ბგერათა ფიზიოლოგიური ბუნებით, მეორე მხრივ, მათი წარმოშობით, ისტორიით⁶¹.

უფრო გვიან, ბგერათმონაცვლეობაზე დაკვირვებების საფუძველზე მორფოლოგიური და ისტორიულ-ეტიმოლოგიური დაპირისპირებისას ბოდუენი გამოყოფს ჰომოგენურ (ერთი წარმოშობის) ბგერათა ორ რიგს. ეს იქნება: 1) ერთი ენის ფარგლებში — დიფერენტები, რომელთა შორის განსხვავება აიხსნება მოცემულ ენაში მოქმედი ანთროპოფონიკური ანუ წმინდა ფონეტიკური პირობებით და კორელაციები, რომელთა შორის განსხვავება არ

⁵⁹ ჯერ კიდევ ი. გრიმი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომელიც ძველი ასოების წარმოთქმასთან დაკავშირებით ჩნდება. J. Grimm, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 12.

⁶⁰ И. А. Бодуэн де Куртене, Избранные труды по общему языкознанию, т. I, гв. 41 (ქვემოთ მიუთითებთ შემოკლებით—ИТ).

⁶¹ იქვე, გვ. 46, 66, 82.

აიხსნება აღნიშნული პირობებით; 2) რამდენიმე მონათესავე ენის ფარგლებში — კორესპონდენტები⁶². დივერგენტების შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ბგერაზე, როგორც წმინდა ანთროპოფონიკურ ერთეულზე. მაგრამ კორელატივებისა და კორესპონდენტების შემთხვევაში გვაქვს არა ანთროპოფონიკური ბგერა, არამედ მხოლოდ ფონეტიკური განზოგადება, ბგერის ზოგადი გამოხატულება, განთავისუფლებული რეალური გამოვლენის თვისებებისაგან⁶³. ანთროპოფონიკური თვალსაზრისით ეს ერთეული შეიძლება ემთხვეოდეს: მთლიან ბგერას (v სიტყვაში vorst), არასრულ ბგერას (პირველი ხმოვნის წინა თანხმონები სიტყვებში сяду || сад..., смятение || смущение...), მთლიანი ბგერა+სხვა ბგერის თვისებრიობას (პირველი მარცვლის ხმოვნები სიტყვებში смущение || смятение), ორ ან მეტ ბგერას (li || ჰც სიტყვებში врать || врать)⁶⁴. სწორედ ამ მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ერთეულის აღსანიშნავად იყენებს ავტორი თავდაპირველად ტერმინ ფონემას⁶⁵ და განსაზღვრავს მას როგორც „სიტყვის ფონეტიკური ნაწილის ანთროპოფონიკურ თვისებათა ჯამს, განუყოფელს კორელაციური კავშირების დადგენისას ერთი ენის ფარგლებში და კორესპონდენტური კავშირების დადგენისას რამდენიმე ენის ფარგლებში“⁶⁶.

0. 122 ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრაქტიკამ მიიყვანა სოსიურიც ფიზიკური ბგერისაგან განსხვავებული ერთეულის ცნებამდე. იგულისხმება მის მიერ ინდოევროპული პრასისტემის რეკონსტრუქციის დროს აღდგენილი A ერთეული, რომელსაც ავტორი „სონანტურ კოეფიციენტს“ უწოდებს. ამ რიგის ერთეულების დადგენის მნიშვნელობა სრულიად უდავოა როგორც ენათა

⁶² И. А. Бодуэн де Куртенэ, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 119.

⁶³ იქვე, გვ. 119—122.

⁶⁴ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 121—122.

⁶⁵ ფიზიოლოგიური ბგერისაგან განსხვავებული „ფონეტიკური ერთეულის“ მნიშვნელობით ტერმინი „ფონემა“ პირველად გამოყენებულია ბოლუენის მოწაფის ნ. კრუშევსკის მიერ 1879 წ. (იხ. Н. В. Крушевский, *Новейшие открытия в области арио-европейского вокализма*, გვ. 36). მაგრამ როგორც ბოლუენი აღნიშნავს, კრუშევსკის მიერ დადგენილი ეს „ფონეტიკური ერთეული“ ფაქტობრივად ემთხვევა მის მიერ დადგენილ მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიურ ერთეულს. იხ. მისი: ИТ, I, გვ. 126, 270; შდრ. J. R. Firth, *The word „phoneme“*, გვ. 1—2.

⁶⁶ И. А. Бодуэн де Куртенэ, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 121.

ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის, ისე ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. აქ უკვე ჩანს იდეა, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება სოსიურის მოძღვრებას ლინგვისტურ ღირებულებათა შესახებ⁶⁷. მართალია, აღნიშნული „კოეფიციენტისთვისაც“ გამოყენებულია ტერმინი „ფონემა“, რომელსაც სოსიური (ფრანგული საენათმეცნიერო ტრადიციების მიხედვით) ჩვეულებრივ ხმარობს „სამეტყველო ბგერის“ მნიშვნელობით, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა რიგის ერთეულია. იგი დახასიათებულია არა პოზიტიურად, მისი ფონეტიკური თვისებების საფუძველზე (რაც კვლევის იმდროინდელ დონეზე ფაქტობრივად შეუძლებელიც იყო), არამედ ნეგატიურად, იმავე სისტემის სხვა ერთეულებთან მიმართებით, როგორც მათგან განსხვავებული⁶⁸.

0. 18 ბოდუენ დე კურტენესა და სოსიურის მიერ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრაქტიკაში აღნიშნულ ერთეულთა შემოტანის მნიშვნელობა სრულიად უდავოა არა მხოლოდ დიაქრონიული, არამედ სინქრონიული კვლევის პერსპექტივათა თვალსაზრისითაც. აქ დანახულია განსხვავებული ლინგვისტური ასპექტებით ბგერითი ნოვლენების განხილვის აუცილებლობაცა და ამ ამოცანების შესაბამისად წმინდა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ თავისებურებათაგან მეტ-ნაკლები აბსტრაქციის შესაძლებლობაც, ე. ი. არსებითად ის, რაც სპეციფიკურია შემდეგდროინდელი ფონემური თეორიებისათვის. მაგრამ თავის დროზე ეს მეტოლოლოგიური სიახლე შეუძინეველი დარჩა. ფონოლოგიური იდეების შემდგომ განვითარებაზე გაცილებით უფრო დიდი გავლენა იქონია ფონემის გაგებამ, რომელიც უფრო მეტად შეესატყვისებოდა იმ ეპოქის მეცნიერულ სულისკვეთებას. საქმე ეხება ფონემის ე. წ. ფსიქოლოგიურ კონცეფციას, რომლის პირველშემქმნელებად ისევ ბოდუენი და სოსიური გვევლინებიან.

ძირითადად ბოდუენისა და სოსიურის ლინგვისტური მემკვიდრეობა გახდა ის საფუძველი, რომელსაც სხვადასხვა ფორმით ემყარებიან შემდეგდროინდელი ფონოლოგიური თეორიები⁶⁹.

67 ამ საკითხზე იხ. აგრეთვე L. Hjelmslev, Quelques réflexions sur le système phonique de l'indo-européen, გვ. 30; Н. А. Слюсарева, Лингвистическая концепция Ф. де Соссюра, გვ. 5—6.

68 იხ. F. de Saussure, Mémoire sur le système primitif des voyelles..., გვ. 52.

69 უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ იმ იდეების ისტორია, რომელიც საფუძველად დაედო გვიანდელ ფონოლოგიურ თეორიებს ვ. ჰუმბოლდტიდან დაგვიწ-

0. 14 როგორც ცნობილია, კლასიკური ფონეტიკიდან თანამედროვე ფონოლოგიისაკენ გადასასვლელად ბევრი რამ გაკეთდა თვით ფონეტიკის ფარგლებშიც. მართალია, ეს ცდები მიმართული იყო უფრო ანალიზური მეთოდების, ვიდრე საკუთრივ ფონემის ცნების, დამუშავებისაკენ, მაგრამ მნიშვნელოვანია იმით, რომ მათში უკვე ვლინდება ის ტენდენციები, რომლებმაც შემდეგში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ფართო ლინგვისტური ორიენტაციის მქონე დისციპლინის — ფონოლოგიის შექმნაში. საქმე ეხება ბგერითი ვარიანტების ფონემური კვალიფიკაციის საკითხს.

ფონეტიკურმა ანალიზმა (განსაკუთრებით ინტრუმენტული მეთოდების ფართოდ დანერგვის შემდეგ) საყოველთაოდ ხელშესახები გახადა ის ფაქტი, რომ ყველა ენაში რეალურად არსებული ბგერების რიცხვი გაცილებით იმაზე მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ შეიძლება აღიქვას ამ ენაზე მოლაპარაკემ. ფაქტობრივად, ფონეტიკის ობიექტი ხდება ყოველი ბგერითი ნიუანსი, რომელიც კი გაბმულ მეტყველებაში იჩენს თავს⁷⁰. იქმნება აუცილებლობა ამ მრავალფეროვნების ობიექტურად მოწესრიგებისა⁷¹. საქირო ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის ბგერათა გაერთიანება განსაზღვრუ-

ყო. ასე, მაგ., ჰუმბოლდტი უკვე განასხვავებს ბგერითი ნაკადის ფიზიოლოგიურ და ფორმალურ (ფუნქციონალურ) არტიკულაციას. ეს უკანასკნელი გულისხმობს ბგერითი ნაკადის დანაწევრებას ენობრივ სისტემაში ენობრივად ფასეულ ანუ ფუნქციონალურად არტიკულირებულ ბგერებად, რომელთა დახასიათება შეუძლებელია ფიზიკური ნიშნების მიხედვით. „არტიკულირებული ბგერა“ ფიზიკურს შეიცავს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა აღქმისათვის (დარწმუნ. იხ. Г. В. Раминшвили, Некоторые вопросы лингвистической теории В. Гумбольдта, განსაკ. გვ. 10). მაგრამ ჰუმბოლდტიანურ იდეებს უშუალო გაელენა თანამედროვე ფონოლოგიის განვითარებაზე არ მოუხდენია. ეს გაცლენა მოდის ისევ ბოდუენისა და სოსიურის ზოგადლინგვისტურ თეორიათა გზით.

⁷⁰ ეს ტენდენცია ვლინდება იმდროინდელ ანბანურ სისტემებშიც. მაგ., კ. რ. ლეფსიუსის მიერ სხვადასხვა ენებისათვის შედგენილ სტანდარტიზებულ ანბანში აღნიშნულია პოზიტიური ვარიანტებიც. იხ. C. R. Lepsius, Standard alphabet..., გვ. 54, 65, 108, 251 და სხვ.

⁷¹ ფონეტიკური ვარიანტების არსებობა მანამდეც იყო ცნობილი, მაგრამ ნათი კვალიფიკაციის საკითხი ინტუიციურად იმდენად ცხადი ჩანდა, რომ კლასიფიკაციის საჭიროება სპეციალურად არც დამდგარა. ასე რომ, თუ პორ-როიალის გრამატიკის ავტორებისათვის ფრანგული [e] და [ɛ] იმიტომაც სხვადასხვა ხმოვნები, რომ „საკმაოდ განსხვავებული არიან“, ხმოვანთა გრძელი და მოკლე ვარიანტების მიმართ (რომლებიც აგრეთვე იმდენად განსხვავებული არიან, რომ მათი არსებობა, ყოველ შემთხვევაში, ავტორებისათვის მაინც ცნობილია) ასეთი დასკვნა არ კეთდება. იხ. A. Arnauld et Cl. Lancloot, Grammaire générale et raisonnée, გვ. 6—7.

ლი რაოდენობის ფონეტიკურ ინვარიანტებად („ბგერით ტიპებად“). მაგრამ რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ეს გაერთიანება? ფიზიოლოგიური ფონეტიკისათვის თავისი სფეროდან გაუსვლელად, თავისი საკუთარი საშუალებებით ამის გაკეთება ძნელი იყო: ფონეტიკური მსგავსება, რომელსაც შეიძლებოდა იგი დამყარებოდა, ამ მიზნისათვის გამოუსადგარი აღმოჩნდა. ობიექტური მეთოდებით შეუძლებელი შეიქნა იმის დადგენა, თუ მსგავსების ან განსხვავების რა ხარისხია საჭირო იმისათვის, რომ ენაში გარკვეული ბგერები კლასიფიცირებული ყოფილიყვნენ როგორც „ერთი და იგივე“ ან „განსხვავებულები“⁷². ხოლო თუ ფონეტიკოსები ამას მაინც აკეთებდნენ, ეს ხდებოდა მეტწილად ისევ ინტუიციურად (სმენით) ან ისეთი ლინგვისტური კრიტერიუმის გამოყენებით, როგორიცაა სემანტიკური (მნიშვნელობის განმასხვავებელი) კრიტერიუმი.

0. 141 პირველად ფონეტიკურ კვლევაში სემანტიკური კრიტერიუმის გამოყენებას ვხვდებით შვეიცარიელ ენათმეცნიერ ვინტელერთან (1876 წ.)⁷³. იგი მოითხოვს ენაში გაირჩეს, ერთი მხრივ, ბგერითი ოპოზიციები, რომლებიც გამოყენებული არიან სემანტიკური ან გრამატიკული განსხვავებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთები, რომლებიც მოკლებული არიან ამ უნარს. მსგავსი მოსაზრებები გამოთქმულია ტრანსკრიფციის საკითხებთან დაკავშირებითაც. უკვე 1877 წ. პ. სუიტის „ფართო“ ტრანსკრიფცია (broad transcription) აღნიშნავს მხოლოდ ენის „პრაქტიკულად აუცილებელ დისტინქციებს“, ე. ი. ისეთ ფონეტიკურ განსხვავებებს, რომლებიც დაკავშირებულია მნიშვნელობის განსხვავებასთან⁷⁴. პ. პაისის მიხედვით უნდა შემოღებულ იქნეს ცალკე ასო ყოველი დისტინქციური ბგერისათვის, ე. ი. ბგერისთვის, რომელიც სხვა ბგერის ადგილზე ჩანაცვლებისას ცვლის სიტყვის მნიშვნელობასაც⁷⁵.

⁷² ამგვარი კლასიფიკაციის შეუძლებლობის შესახებ. იხ. E. Fisher-Jørgensen, What can the new techniques of acoustic phonetics contribute to linguistics? გვ. 88; A. Rosetti, Значение спектрального анализа для фонологии, გვ. 151.

⁷³ N. Trubetzkoy, დასახ. ნაშრ., გვ. 227.

⁷⁴ H. Sweet, The sounds of English, გვ. 105. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე H. Raudnitzky, Die Bell-Swäe.scie Schule, გვ. 120; D. Jones, The history and meaning of the term „phoneme“, გვ. 4; R. H. Robins, General linguistics, გვ. 203—204.

⁷⁵ D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 4—5.

ანალოგიურ თვალსაზრისზე დგას კავკასიურ ენათა ცნობილი მკვლევარი პ. უსლარიც. მან საესებით სამართლიანად მიუთითა, რომ ანბანში ასოები საჭიროა მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ბგერებისათვის, სახელდობრ იმ ბგერებისათვის, რომელთაც შეუძლიათ სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავება⁷⁶, ერთ ბგერით „ტიპში“ ბგერების დასაჯგუფებლად მნიშვნელობის განმასხვავებელ კრიტერიუმზე ლაპარაკობს თ. იესპერსენიც⁷⁷. კიდევ უფრო თანმიმდევრულია ამ თვალსაზრისით შეედი ენათმეცნიერი ადოლფ ნორდინი. ამ უკანასკნელისათვის ენის ნებისმიერი ბგერა (იგულისხმება ფონეტიკური ტიპი — ი. ქ.) წარმოადგენს იმ ბგერითი ვარიანტების სიმრავლეს, რომლებიც არ განასხვავებენ მნიშვნელობას. მინიმალურად განსხვავებული ბგერების ასეთი ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს ჰომოგენურად, ხოლო მასში შემავალი ინდივიდუალური ბგერები შეიძლება აღინიშნოს ერთი და იმავე სახელით (მაგალითად, i-ბგერა)⁷⁸.

მიუხედავად ფონემური ანალიზის პრინციპებთან და ფონემის ცნებასთან ასეთი სიახლოვისა, ამ იდეებს ფონეტიკის შემდგომ განვითარებაზე არსებითი გავლენა მაინც არ მოუხდენია. ეს გასაგებია, რადგან ის ზოგადლინგვისტური და ზოგადმეთოდოლოგიური დონე, რომლის საფუძველზედაც შეიძლებოდა მათი რეალიზაცია, ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ მიღწეული და დადგენილი. ეს მოხდა უფრო გვიან, სინქრონიული ენათმეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით.

0. 15 რომ ფონემის შესახებ მოძღვრების ნამდვილი განვითარება ძირითადად მაინც დაკავშირებული აღმოჩნდა სწორედ სინქრონიულ ენათმეცნიერებასთან, ეს შემთხვევითი არ არის. თავის დროზე თვით ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრაქტიკამ ცხადყო, რომ წმინდა ისტორიული თვალსაზრისი არ არის საკმარისი (იხ. ზემოთ). ისტორიული კვლევის გაღრმავებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობოდა ცოცხალი

76 П. К. Услар, Абхазский язык (Черновые заметки П. К. Услара, гв. 61). საკითხის შესახებ დაწერ. იხ. Н. Ф. Яковлев, Математическая формула построения алфавита, гв. 128; Ю. Д. Дешериев, Значение научного наследия П. К. Услара, гв. 112—113.

77 O. Jespersen, Phonetische Grundfragen, гв. 104.

78 ვიმოწმებთ ბ. კოლინდერის ნაშრომის მიხედვით: Kritische Bemerkungen..., гв. 196.

ენებისა და, საბოლოოდ, ენათა მდგომარეობის შესწავლის აუცილებლობა. „მკვლევარმა, რომელიც აწარმოებს ენათა შედარებით შესწავლას, თავისი მზერა უნდა მიმართოს არა წინარე ენისაკენ, არამედ თანამედროვეობისაკენ, თუ უნდა, რომ სწორი წარმოდგენა ჰქონდეს ენის განვითარებაზე“, წერდნენ ჰ. ოსტჰოფი და კ. ბრუგმანი 1878 წ.⁷⁹

თუ ამ პერიოდის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპის თანახმად, ენის მეცნიერული შესწავლა ნიშნავს მხოლოდ ისტორიულ შესწავლას⁸⁰, სინქრონიულ შესწავლასაც უკვე იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც „ენის მდგომარეობის აღწერა ქმნის ისტორიული კვლევის საიმედო საფუძველს“⁸¹. განსაკუთრებით იზრდება სინქრონიული კვლევის როლი სოსიურის შემდეგ. სწორედ სოსიურიდან იწყება სინქრონიული ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი ლინგვისტიკური მეცნიერების აღიარება.

ენათმეცნიერების კვლევის მთელი სიმძიმე ახლა სინქრონიის სფეროში ინაცვლებს. ფონემის ცნება აუცილებელი ხდება სინქრონიული ლინგვისტიკისთვისაც⁸². ეს გასაგებია. მეცნიერულ კვლევა-ძიებაში საკუთრივ ფონეტიკის ჩამოყალიბებამდე და მისი ჩამოყალიბების შემდეგაც სამეტყველო ბგერები გაგებულია როგორც სამეტყველო ნაკადის უმცირესი ელემენტები, რომლებიც გამოყენებულია ენაში მარცვლების, სიტყვების ასაგებად. უშუალო დაკვირვებისათვის სამეტყველო ბგერა ფიზიკური ფაქტია. იგი გვეძლევა როგორც ადამიანის საწარმოთქმო ორგანოთა მოძრაობის შედეგად გამოწვეული ჰაერის ნაწილაკთა რხევები, რომელიც შეიგრძნობა სმენითი ორგანოების მიერ. ბგერის საბუნებისმეტყველო მხარე — არტიკულაციასთან, წმინდა რხევით მოძრაობებთან და მოსმენასთან დაკავშირებული ანატომიურ-ფიზიოლოგიური და აკუსტიკური თავისებურებები — შეიძლება დაექვემდებაროს ზუსტ კვლევას, რასაც აწარმოებდა ფონეტიკა.

79 იხ. Г. Остгоф и К. Бругман, Предисловие к книге «Морфологические исследования в области индоевропейских языков», გვ. 190.

80 И. Бодуэн де Куртене, ИТ, I, გვ. 55; Г. Пауль, Принципы истории языка, გვ. 42—43.

81 Г. Пауль, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

82 უნდა აღინიშნოს, რომ ფონოლოგია არ განვითარებულა ცალმხრივად. როგორც მხოლოდ სინქრონიული ფონოლოგია. მის პარალელურად და მასთან კავშირში ვითარდება დიაქრონიული ფონოლოგიაც.

მაგრამ ასეთი მიდგომა, მეტ-ნაკლებად გასაგები ლინგვისტური ბიოლოგიზმის ფონზე, სრულებითაც არ აღმოჩნდა საკმარისი შემდგომში ენათმეცნიერების წინაშე სოციალური ფუნქციონირების (ფართო გაგებით) შესწავლასთან დაკავშირებით წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად. ფუნქციონალური სისტემის ელემენტი არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო წმინდა არტიკულაციურ-აკუსტიკური ტერმინებით და დღის წესრიგში დადგა ბგერითი მხარის, როგორც ენობრივი გამოხატულების, შესწავლის საჭიროებაც აღნიშნული ფუნქციონირების თვალსაზრისით. იმ მოსაზრების დამკვიდრებასთან ერთად, რომ სამეტყველო ბგერა არ არის ფიზიკური ფენომენი per se, იწყება ბგერის, პირველ ყოვლისა, როგორც ფუნქციონალური ენობრივი სისტემის ელემენტის, განხილვა. ენათმეცნიერებაში ფონემის ცნება შემოდის და, ფაქტობრივად, ფონოლოგიური ეტაპი იწყება სწორედ მაშინ, როცა ასეთი განხილვის აუცილებლობის საკითხი დგება.

განსაკუთრებით ინტენსიურია ფონოლოგიური კვლევა სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში, რომლის განვითარება ხელს უწყობს იმ ზოგადლინგვისტური და ზოგადმეთოდოლოგიური საფუძვლების დადგენას, რომელზედაც შესაძლებელი ხდება განსხვავებულ ფონოლოგიურ თეორიათა აგება. და ისევე, როგორც თავის დროზე ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ მისი შესაძლებლობები ყველაზე სრულად ისტორიულ ფონეტიკაში გამოავლინა, სტრუქტურულმა ენათმეცნიერებამაც თავის პირველ წარმატებებს სწორედ ფონოლოგიის სფეროში მიაღწია.

ნაწილი პირველი

ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ფონემის თეორიები

1 ფონემის ცნებამ ფართო გავრცელება პოვა ენათმეცნიერებაში, მაგრამ პასუხი კითხვაზე — რა არის ფონემა, ერთგვაროვანი არ არის. მიუხედავად ამისა, განსხვავებულ ფონოლოგიურ მიმდინარეობებს მაინც აქვთ საერთო, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი ხდება ვილაპარაკოთ ფონოლოგიურ ეტაპზე ლინგვისტური კვლევის თეორიასა და პრაქტიკაში. სახელდობრ, ფონემის ყველა ძირითადი კონცეფცია ემყარება დებულებას, რომ ფონემა არ არის ბგერა¹. ფონემები ბგერებისა და ბგერითი მიმართებების ლინგვისტური თვალსაზრისით განხილვის შედეგად დადგენილი ერთეულებია². იმის მიხედვით, თუ რა ამოცანებს ისახავს სათანადო კვლევა, როგორია ის ზოგადი წანამძღვრები, რომელთა შესაბამისადაც ხდება ამ ამოცანების დასმა, მათი გადაწყვეტა და ა. შ., განსხვავებულია ფონემის გაგებაც სხვადასხვა თეორიაში.

1 ჩვენ აქ არ ვეხებით ტერმინ „ფონემის“ ხმარების ისეთ შემთხვევებს, როდესაც იგი გამოყენებულია „სოციალურად ღირებული“ სამეტყველო ბგერის, ან ბგერის, როგორც მოცემული ენის ფონეტიკური სისტემის წევრის, მნიშვნელობით.

2 ფონემის ცნების განხილვისას ვიფარგლებით ე. წ. ხაზოვანი ანუ სეგმენტური ფონემებით (ე. ი. ფონემებით, რომლებიც შეესაბამებიან ბგერით ერთეულებს). პროსოდული (ზესეგმენტური) ელემენტების (მახვილი, სიგრძე...) შესაბამისი ერთეულებისათვის ამ ტერმინის გამოყენება მეორეულია და სეგმენტური ფონემების განხილვისათვის პრინციპულად ახალს არაფერს იძლევა.

1. 1 წინამდებარე გამოკვლევაში განვიხილავთ ფონემის ძირითად თეორიებს³, რომლებიც ტრადიციულად ცნობილი არიან როგორც:

მენტალისტური (ფსიქოლოგიური) — ფონემა გაგებულია როგორც ბგერის შესაბამისი რაიმე სახის ფსიქიკური რეალობა.

ფიზიკური — ფონემა გაგებულია როგორც ბგერითი ტიპი, ბგერითი ნორმა ან ბგერათა ოჯახი.

მორფმატული — ფონემა გაგებულია როგორც ერთი და იმავე მორფემის შემადგენელი მინიმალური განმასხვავებელი ერთეული.

ფუნქციონალური — ფონემა გაგებულია როგორც დისტინქციური ოპოზიციის წევრი, დიფერენციულ ნიშანთა ერთობლიობა.

ფიქციის (მიკრო- და მაკროფონემების) თეორია — ფონემა გაგებულია როგორც ევრისტიკული ანუ პრაგმატული ფიქცია, შემოტანილი ენაში არსებული ფონოლოგიური მიმართებების აღსაწერად.

გლოსმატიკური — ფონემა გაგებულია როგორც აბსტრაქტულ მიმართებათა სისტემის ელემენტის ფონეტიკური რეალიზაცია.

მენტალისტური თეორიები

1. 11 მენტალისტურის (ფსიქოლოგიურის) სახელწოდებით ფონოლოგიის ისტორიაში ცნობილია თეორიები, რომლებიც სამეტყველო ბგერებისაგან განსხვავებით ფონემებს განიხილავენ

³ ამ მიმოხილვაში, ბუნებრივია, ვერ შევხვებით ყველა თეორიასა და დეფინიციას, რომელიც კლასიკური ფონოლოგიის ფარგლებში შექმნილა. ჩვენ შევეცდებით ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ ძირითად კონცეფციებზე, რომელთაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრეს ფონოლოგიური კვლევის სპეციფიკა სხვადასხვა მიმდინარეობებში. ასევე ჩვენ ცალკე არ შევჩერდებით ფონემის ე. წ. „პლურალისტურ“ თეორიებზე, რომლებშიც ფონემის ერთიანი გაგება შეცვლილია ფონოლოგიურ ერთეულთა გარკვეული იერარქიით. ეს თეორიები ძირითადად წარმოადგენენ ფონემის არსებული კონცეფციების სინთეზს და მათი სპეციფიკა ვლინდება არა იმდენად ფონემის ცნების დამუშავებაში, რამდენადაც ფონოლოგიური აღწერის ორგანიზაციაში. იხ. მაგ., С. Н. Бернштейн, Основные понятия фонологии; Р. И. Аванесов, Кратчайшая звуковая единица в составе слова и морфемы.

⁴ ფონემის თეორიებისათვის მიღებული სახელწოდებები საკმაოდ პირობითია, მაგრამ ჩვენ მათ ვტოვებთ, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ნომენკლატურის შემოღებასთან დაკავშირებული გაუგებრობები.

როგორც ფსიქიკური რეალობის, ძირითადად, როგორც წარმოთქმა-
მოსმენის ენობრივ-ფუნქციონალური მექანიზმის, ელემენტებს⁵.
შესაბამისად ფონემა განსაზღვრულია მოლაპარაკეთა ფსიქიკაში
არსებული „ბგერითი წარმოდგენის“, საწარმოთქმო „განზრახ-
ვის“, „ფსიქიკური ბგერის“ და მისთ. ტერმინებით⁶.

ენათმეცნიერთა წინაშე ბგერითი ფაქტების ფსიქოლოგიური
ინტერპრეტაციის საჭიროება დღის წესრიგში დააყენა ლინგვის-
ტურმა ფსიქოლოგიზმმა. ეს იყო ლოგიკურად აუცილებელი ნაბი-
ჯი, რომელიც უნდა გადადგმულიყო ენათმეცნიერებაში, თუ გა-
ვითვალისწინებთ იმ ზოგადმეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლე-
ბიც ფსიქოლოგიზმმა დაუპირისპირა ბიოლოგიზმს.

ლინგვისტური ბიოლოგიზმი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ბა-
ტონობდა ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებაში პირველი
კომპარტივისტებიდან ნეოგრამატიკოსებამდე, ენას ბუნების მოვ-
ლენებთან ათანაბრებდა (ამ ტენდენციების ლოგიკური დანასკვი,
რომლის მიხედვითაც ენა ბუნების ორგანიზმია, გვაქვს ა. შლაი-
ხერთან)⁷. მართალია, როგორც აზროვნების გამოხატულება, ენა

5 ფსიქოლოგიურ დეფინიციებში ჩვენ არ განვიხილავთ ტრადიციულად
„ფსიქოლოგიურად“ მიჩნეულ დეფინიციას, რომელიც გვხვდება პრალის სკოლის
წარმომადგენელთა ადრინდელ ნაშრომებში. მაგ., ნ. ტრუბეტკოს მიხედვით, მარ-
თალია, ფონემა განსაზღვრულია როგორც ბგერითი წარმოდგენა (Lautvorstel-
lung), ბგერითი განზრახვა (Lautabsicht, Lautintntion), მაგრამ, მიუხედავად ფსი-
ქოლოგიური ტერმინოლოგიისა, იგი არსებითად მაინც სხვა რიგის ცნებაა (ფონ-
ემა — ფონოლოგიურად ღირებულ ნიშანთა ერთიანობა). ავტორს ფონემა აინ-
ტერესებს არა იმდენად ენობრივი აღქმისა და წარმოთქმის სოციალურ-ლინგვის-
ტურ მხარეებთან მიმართების თვალსაზრისით, რამდენადაც ფონოლოგიურ (მნიშ-
ვნელობის განმასხვავებელ) დაპირისპირებათა მთლიან სისტემაში მისი ადგილის
თვალსაზრისით. იხ. N. Trubetzkoy, Polabische Studien; მისივე: Zur
allgemeinen Theorie der phonologischen Vokalsysteme.

6 ცნობილია ისეთი თეორიებიც, რომლებიც ფონემას უკავშირებენ მოლაპა-
რაკის ცნობიერებას, მაგრამ იძლევიან მის დეფინიციებს არამენტალისტური
ტერმინებით. იხ. მაგ., W. L. Graff, Language and languages; V. Brøndal,
Sound and phoneme; L. Novák, Projet d'une nouvelle définition du pho-
nème.

7 ბიოლოგიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში იხ. И. А. Бодуэн де
Куртенэ, ИТ. I, გვ. 35—44; Б. Дельбрюк, Введение в изучение язы-
ка; В. Томсен, История языкознания...; არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათ-
მეცნიერება, II, გვ. 11—46; V. Pisani, August Schleicher und einige Rich-
tungen der heutigen Sprachwissenschaft.

განიხილებოდა ადამიანებთან კავშირში, მაგრამ ენის „ცხოვრება“ — ენის განვითარება და ენობრივი ფორმების დაშლა (იმდროინდელი ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო კონცეფციების შესაბამისად) გაგებულ იქნა ისევე, როგორც ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესები. მთელი ამ პერიოდის ენათმეცნიერული კვლევა ძირითადად მიმართული აღმოჩნდა ენობრივი ცვლილებების შესწავლისაკენ, რამდენადაც, ა. შლაიხერის სიტყვებით, „ეს ცვლილებები შეადგენენ ბუნების ორგანიზმთა არსს და ამ ორგანიზმებს კი მხოლოდ მაშინ შევიცნობთ საფუძვლიანად, როცა გვეცოდინება მათი ცვლილებების ჯამი“⁸. XIX ს. მეორე ნახევრიდან ენათმეცნიერების ორიენტაცია მკვეთრად შეიცვალა. ბიოლოგიზმმა ადგილი დაუთმო ფსიქოლოგიზმს. ამიერიდან ენის რაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა ახსნილიყო ენის მატარებელთა ფსიქიკაზე დამყარებით, რამდენადაც ფსიქიკურად იყო მიჩნეული თვით ენის არსი. ენობრივი სისტემა გაგებულ იქნა როგორც ფსიქიკური სისტემა, გარკვეული თეორიების მიხედვით, ინდივიდთა ფსიქიკაში დალექილ ენობრივ წარმოდგენათა სისტემა⁹. შესაბამისი დასკვნები გაკეთდა ბგერითი მოვლენების მიმართაც. „ენობრივი მასალა შედგება წარმოდგენებისაგან და მარტივი ბგერებიც, არტიკულაციებიც კი, განპირობებულია გონითი საწყისით; როგორც ასეთები, ისინი შეიძლება დაქვემდებარონ წმინდა ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს“ — წერდა ლინგვისტური ფსიქოლოგიზმის ფუძემდებელი ჰ. შტაინთალი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში¹⁰. ახალ პრობლემებთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა სამეტყველო მოქმედების ფსიქო-ფიზიკური მექანიზმის შესწავლის საკითხი და სწორედ აღნიშნული მიმართულებით კვლევამ შექმნა აუცილებელი საფუძველი ფონემის მენტალისტური კონცეფციისთვისაც¹¹.

⁸ ციტატა მოგვეყვას ვ. პიზანის დასახ. ნაშრომის მიხედვით (გვ. 341).

⁹ ფსიქოლოგიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში დაწერ. იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, გვ. 49—97; В. Я. Звегинцев. История языкознания..., ч. I, гл. 123—126; С. Кацнельсон, Вступительная статья, гл. 15 და შემდ.; М. Ivič, Trends in linguistics, გვ. 52—56. ფსიქოლოგიზმის შესახებ ლიტ-რა იხ. იქვე, გვ. 56—57.

¹⁰ Г. Штейнталь, Грамматика, логика и психология, гл. 129.

¹¹ შტორტულ და აუსტიკური ინვარიანტული მწვანოიკური ხატების სახით ფონემის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციისათვის უკვე არსებობს წინამძღვრები ჰ. პაულის ლინგვისტურ მოძღვრებაში (იხ. Г. Пауль, Пришпины истории языка. გვ. 77—78, 446). მაგრამ ფონემის, როგორც ბგერის შესაბამისი

ფონემის ერთიანი მენტალისტური კონცეფცია არ არსებობს. ის თეორიები, რომლებიც შეიძლება გაერთიანებულ იქნენ ამ სახელწოდებით, წარმოადგენენ რამდენადმე განსხვავებულ თეორიებს, მაგრამ ფონემის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი მომენტები მათთვის მაინც საერთო რჩება. განსხვავება გვაქვს ძირითადად იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული ფონემის ფსიქიკური ბუნება (ე. ი. რა სახის და რა მოცულობის წარმოდგენაა ფონემა), მისი ფუნქციონირება და, შესაბამისად, ფონემებსა და ბგერებს შორის დამოკიდებულება.

1. 111 ფონემის მენტალისტური დეფინიციების განხილვას ჩვეულებრივ იწყებენ ი. ბოდუენ დე კურტენეს ფონოლოგიური თეორიით. ეს ბუნებრივიცაა: აღნიშნული თეორიით იწყება არა მხოლოდ მენტალისტური, არამედ საერთოდ ფონოლოგიური, კვლევის ეტაპი ლინგვისტიკის ისტორიაში. ბოდუენმა პირველმა ენათმეცნიერების პრაქტიკაში ექსპლიციტურად გამოიჩინა ბგერის წმინდა ფონეტიკური და ლინგვისტური ასპექტები, ხოლო ამ უკანასკნელისათვის ფონეტიკის სპეციალური დარგი — ფსიქოფონეტიკაც კი შექმნა. მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ის სიძნელეები, რომელიც ამ მოძღვრების განხილვას ახლავს თან.

როგორც ცნობილია, თავისი ხანგრძლივი და მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე ბოდუენი იძლევა ფონემის განსხვავებულ დეფინიციებს, რომელთაც განსხვავებული გაგება უდევთ საფუძვლად. მოცემულ შემთხვევაში ძნელია ვილაპარაკოთ მხოლოდ ქრონოლოგიურ განსხვავებებზე, რამდენადაც სხვადასხვა გაგება ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით არის წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ეს მრავალფეროვნება გამომდინარეობს ავტორის იმ ფართო ლინგვისტური ინტერესებიდან, რომელსაც იგი ბგერითი, და საერთოდ ენობ-

ფსიქიკური ეკვივალენტისათვის მის ენობრივ სისტემაში (თეორიულად მაინც) ადგილი არ რჩება. ეს იმიტომ, რომ, ავტორის მიხედვით, სიტყვის წარმოსათქმელად სრულებითაც არ არის საჭირო ცალკეულ ბგერათა გაცნობიერება (დასწ. ნაშრ., გვ. 70—73). წარმოდგენები ცნობიერებაში შემოდის მხოლოდ ჭკუფებად და ასევე ინახება ქვეცნობიერ სფეროში (იქვე, გვ. 48; იხ. აგრეთვე გვ. 37, 70—72); ცალკეულ ბგერებზე, როგორც სიტყვის შემადგენელ ელემენტებზე (და, შესაბამისად, მათ ფსიქიკურ ეკვივალენტებზე) მსჯელობა შესაძლებელი ჩანს მხოლოდ მეცნიერული გააზრების შედეგად (იქვე, გვ. 71), მაგრამ ავტორს ეს ასპექტი არ აინტერესებს და მასზე სპეციალურად არც ჩერდება.

რივი, ფაქტების მიმართ იჩენდა¹². სხვადასხვა დროს ყურადღების ცენტრში ექცეოდა ენობრივი ფუნქციონირების სხვადასხვა მხარე. მართალია, ამასთანავე ავტორის (რიგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ) შეხედულებებში ზოგი რამ იხვეწებოდა, ზოგი რამ იცვლებოდა, მაგრამ მთელ ამ კვლევაში მაინც იგრძნობოდა საერთო მიზანდასახულობა. თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ, ბოდუენი ცდილობდა მოეცა მეტყველების ფუნქციონალური შექანის მის ერთიანი მოდელი. ამიტომაც არის, რომ მის მოძღვრებაში თავისუფლად თავსდება ბგერითი ფაქტების ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული (დიაქრონიული და სინქრონიული) ინტერპრეტაციები¹³. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს ფონემის მენტალისტური თეორიის განხილვა¹⁴.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს აღნიშნული თეორიის ადგილი ბოდუენის ზოგადლინგვისტურ კონცეფციაში, მოკლედ შევეხებით ამ უკანასკნელს.

თავისი დროის ლინგვისტურ შეხედულებათა შესაბამისად, ბოდუენისათვის ენა ფსიქიკური რეალობაა. „წარმოთქმული სიტყვა ან წინადადება ქრება წარმოთქმისთანავე. ერთმანეთის მომდევნო წარმოთქმათა შორის არ არის არავითარი ფიზიკური კავშირი“¹⁵. ენა უწყვეტად შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფსიქიკაში, როგორც „წარმოდგენათა სამყარო“, მათი „მოწესრიგებული კომპლექსი“¹⁶, რომლის ელემენტებიც ასოციაციაში არიან ერთმანეთთან როგორც მეზობლობის, ისე მსგავსებისა და განსხვავებების თვალსაზრისით¹⁷. ენაში არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთი მოვლენა, „რომელიც არ იქნება ამასთანავე ფსიქიკური“. ენის

¹² საკითხის შესახებ დაწვრ. იხ. А. А. Леонтьев, Бодуэн де Куртене, гл. 16—19; მისივე; Общелингвистические взгляды И. А. Бодуэна де Куртене, гл. 120—121.

¹³ შტრ. В. Дорошевский, Об И. А. Бодуэне де Куртене, гл. 27; С. В. Протогенов, История учения о фонеме, гл. 7.

¹⁴ აღნიშნული გაგების გვერდით ბოდუენთან ისევ ვხვდებით ფონემის ისტორიულ-ენტიმოლოგიურ გაგებას (იხ. ზემოთ 0.121), მაგ., როდესაც ის ლაპარაკობს კორესპონდენციის თვალსაზრისით რუსულ ენობრივ აზროვნებაში ორი ჯ, ორი ჳ და სხვ. ფონემათა არსებობაზე (ǰ || g || ǰ'i, ǰ || d'i და ა. შ.). იხ. И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, II, гл. 277—278.

¹⁵ იქვე, I, გვ. 278.

¹⁶ იქვე, გვ. 351; იქვე, II, გვ. 70, 72, 131.

¹⁷ იქვე, II, გვ. 76—79.

არსი ფსიქიკურია¹⁸ და მდგომარეობს საწარმოთქმო-სმენითი (ფონეტიკური) წარმოდგენების დაკავშირებაში როგორც საკუთრივ ლინგვისტურ (მორფოლოგიურ), ისე არალინგვისტურ (სემასიოლოგიურ) წარმოდგენებთან¹⁹.

ბოდუენის მიხედვით, ენა არ შეიძლება განვიხილოთ ადამიანისაგან დამოუკიდებლად. ენა არ არის „რალაც ისეთი, რაც ქვისაგან ან წყლისაგან იყოს შექმნილი, ან ჰაერში გამოკიდებული“²⁰. როგორც ერთგვაროვანი და განუყოფელი (ლინგვისტური და არალინგვისტური წარმოდგენების ერთიანობა), ზეალურად ენა არსებობს მხოლოდ ინდივიდის ტვინში ინდივიდუალური ენის სახით²¹. საერთო (ნაციონალური) ენა წარმოდგენს რეალურად არსებულ ინდივიდუალურ ენათაგან მიღებულ „ტოლქმედს“, მათგან განზოგადებულ „კონსტრუქციას“²². როგორც მთლიანობა, „იგი არსებობს მხოლოდ იდეალში“ და ამ აზრით მოკლებულია ობიექტურ რეალობას²³.

სწორედ აღნიშნული გაგება გახდა იმის საფუძველი, რომ ბოდუენის ნააზრევში ძირითად მომენტად „ფსიქოლოგიზმთან“ ერთად მიჩნეული ყოფილიყო „ინდივიდუალიზმიც“ („სუბიექტივიზმი“)²⁴. ასეთი შეფასება ზუსტი არ არის. მართალია, ენის აბსტრაქტული სოციალური არსის გაგება ბოდუენს არ ჰქონია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, „ინდივიდუალიზმი“ ისე, როგორც მასთან არის წარმოდგენილი, არ გამორიცხავს ენის სოციალურობას²⁵.

¹⁸ И. А. Бодуэн де Куртенэ. ИТ. I, гл. 169, 348; იქვე, II, გვ. 61—70.

¹⁹ იქვე, I, გვ. 133; იქვე, II, გვ. 70—71, 164, 193, 254.

²⁰ იქვე, II, გვ. 187.

²¹ იქვე, გვ. 75. იხ. აგრეთვე გვ. 59, 71, 130—131, 193, 250.

²² იქვე, გვ. 71, 250.

²³ იქვე, I, გვ. 211; იქვე, II, გვ. 131, 187, 191. იხ. აგრეთვე გვ. 75, 250, 294.

²⁴ D. Čyžewskij, Phonologie und Psychologie, გვ. 20; Я. В. Лоя, Против субъективного идеализма в языкознании; В. Дорошевский, Ласახ. ნაშრ. გვ. 29—30; З. Штибер, Теория фонем И. А. Бодуэна де Куртенэ в современном языкознании, გვ. 89—90; Н. Р. Карпов, О некоторых принципиальных положениях структуральной фонологии, გვ. 12; П. К. Вараस्क, Очерк развития теории фонем, გვ. 6.

²⁵ ბოდუენთან ენის სოციალურობის გაგებისათვის იხ. აგრეთვე Л. В. Щерба, И. А. Бодуэн де Куртенэ и его значение в науке о языке, გვ. 87; А. С. Чикобава, Проблема языка как предмета языкознания, გვ. 86—87; А. А. Леонтьев, Общелингвистические взгляды И. А. Бодуэна де Куртенэ, გვ. 15; Ф. И. Березин, Очерки по истории языкознания в России, გვ. 105 და შემდ.

ბოდუენისათვის ინდივიდუალური ენა არ ნიშნავს მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისათვის დამახასიათებელ, მისთვის სპეციფიკურ ენას²⁶. „ენა ფსიქიკურ-საზოგადოებრივი მოვლენაა“ — წერს იგი²⁷. ამიტომაც არის, რომ მეტყველებაში გარდაწმინდა ინდივიდუალური, ე. ი. მხოლოდ ამა თუ იმ მოლაპარაკე ინდივიდისათვის დამახასიათებელი, თავისებურებებისა²⁸, ბოდუენის მიხედვით, გვაქვს საერთოც (კოლექტიურ-ინდივიდუალური), რომელიც მეორდება მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრთან. ურთიერთობა ემყარება მხოლოდ საერთოს: ენობრივი კომუნიკაციის დროს მობილიზდება და ცოცხლდება მხოლოდ ამ ურთიერთობის ინიციატორისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური სისტემის „კოლექტიურ-ინდივიდუალური“ თავისებურებები. პერსონალობისა და ასოციაციის საფუძველზე იგივე ხდება ურთიერთობაში მონაწილე სხვა ინდივიდის ფსიქიკაშიც²⁹.

ამგვარად, გამოდის, რომ ბოდუენისათვის სოციალურიც ინდივიდუალურია, მაგრამ ისეთი, რომელიც საერთო ხდება გარკვეული ენობრივი საზოგადოებისათვის, მოლაპარაკეთა გარკვეული მასისათვის. ამ საერთოს (resp. სოციალურის) მიღებაში კი ავტორი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივ ურთიერთობას³⁰, რაც კარგად ჩანს შემდეგი მოსაზრებებიდან:

26 ინდივიდის ენაში ინდივიდუალურ და სოციალურ მხარეთა ურთიერთობის მსგავსი გაგება გვაქვს ჰ. პაულთანაც. იხ. მისი: *Принципы истории языка*.

27 И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, II, გვ. 174. ენის სოციალურობის შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 118, 190—191; იქვე, I, გვ. 169.

28 ინდივიდუალურ თავისებურებათა შესახებ იხ. იქვე, II, გვ. 195—197, 200—201.

29 იქვე, გვ. 196—197.

30 ამ კონტექსტში შესაძლებელია გაუგებრობა გამოიწვიოს ავტორის განცხადებამ, რომ მისთვის სოციოლოგია ნიშნავს „ხალხთა ფსიქოლოგიას“ (ИТ, II, გვ. 94). მაგრამ ეს დებულება არაერთარ შემთხვევაში არ უნდა გაეგოთ ისე, თითქოს ბოდუენის სოციოლოგიასა და „ხალხთა ფსიქოლოგიას“ შორის სრული იგივეობა იყოს. მაგ., ავტორი ლაპარაკობს სოციალურ კოლექტივში ფსიქიკურ თვისებათა მსგავსებაზე, რომელიც აისახება საერთოდ სამეტყველო მოქმედებაზე და კერძოდ ნაციონალურ ენაზე (იქვე, გვ. 190). მაგრამ ამ მსგავსებას ვერ ავსხნით „ნაციონალური გონის“ არსებობით (ხალხთა ფსიქოლოგიის აზრით), რადგან ბოდუენი ასეთ გაგებას კატეგორიულად ემიჯნება და „გონთა“ ურთიერთობა მხოლოდ ორგანულ და გარე სამყაროს მეშვეობით კონტაქტზე დაჰყავს. იხ. იქვე, გვ. 190, შნშ. 3.

ინდივიდი არსებობს საზოგადოებაში³¹. ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებაში³². ენობრივი წარმოდგენები ინდივიდის თავში ჩნდება სხვა ინდივიდთა გავლენით³³. „ინდივიდუალური ენა წარმოიშობა ყოველი ცალკეული ადამიანის ტვინთან, მის ფსიქიკასთან ერთად და თუმცა ადამიანი მაშინვე არ იწყებს ლაპარაკს, მას თან დაჰყვება მეტყველების უნარი, ხოლო შემდეგ სხვათა გავლენით ხდება მოცემული ინდივიდუალური ენის თანდათანობითი განვითარება და ზრდა“³⁴. სოციალური, თავის მხრივ, აკონტროლებს ინდივიდუალურ სამეტყველო მოქმედებას. „ენა არ გაჩენილა უეცრად ისე, როგორც მიწერვა იუპიტერის თავიდან“ — წერს ავტორი. იგი იქმნებოდა და განუწყვეტლივ იქმნება ყოველ მოლაპარაკე ინდივიდში³⁵. სწორედ აქ იჩენს თავს ის უამრავი ინდივიდუალური ცვლილებები, რომელიც საბოლოოდ განაპირობებს ენობრივი სისტემის ცვალებადობას³⁶. მაგრამ, რამდენადაც ინდივიდუალური ენის განვითარება მიმდინარეობს საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის და მუდმივი ურთიერთგავლენის პირობებში³⁷, ცალკეული გადახრები, რომელიც ჩნდება ინდივიდუალურ ენებში ენობრივი ურთიერთობის შედეგად, თანდათანობით მცირდება, „ინდივიდუალური ენები უახლოვდებიან ერთმანეთს, თანაბრდებიან, უნიფიცირდებიან“³⁸. სხვაგვარად, ის, რომ ინდივიდებში ენობრივი (ფსიქიკური და ფიზიოლოგიური) ცვლილებები მიმდინარეობს ერთნაირად, ავტორის აზრით, „დამოკიდებულია ერთნაირ საარსებო პირობებზე, ხოლო ფსიქიკური ცვლილებების დროს — განსაზოგადოებული ინდივიდების ურთიერთობაზე“³⁹ (ხაზი ჩვენია — ი. ქ.). სწორედ ამ აზრით

31 И. А. Бодуэн де Куртэнэ. ИТ, II, гл. 187—188.

32 იქვე, I, გვ. 169, 348.

33 იქვე, II, გვ. 250.

34 იქვე, გვ. 84.

35 იქვე, გვ. 200.

36 იქვე, გვ. 195—196; 200, 343—344; იქვე, I, გვ. 142—143.

37 იქვე, II, გვ. 59, 343. იხ. აგრეთვე იქვე, I, გვ. 209, 222—224.


38 იქვე, II, გვ. 344.

39 იქვე, I, გვ. 224.

უნდა გავიგოთ ბოდუენის დებულება, რომ ენა კოლექტიურ-ინდივიდუალური მოვლენა⁴⁰.

ენათმეცნიერებს შორის საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ „ბოდუენის ფსიქოლოგიზმი არ ქმნის მისი ლინგვისტიკური მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძველს, ყოველ შემთხვევაში, ეს არის ფსიქოლოგიზმი sui generis“⁴¹. ეს დებულება სწორია იმ აზრით, რომ კლასიკური ფსიქოლოგიზმის პრინციპები მართლაც უცხოა ბოდუენისათვის⁴². მაგრამ რამდენადაც მას აინტერესებს მეტყველების ფუნქციონირების სოციალური მექანიზმი, ენის ფსიქიკური მხარის გათვალისწინება აუცილებელი ჩანს მისი მოძღვრებისათვის. „ყველაფერი ის, რაც ეხება ადამიანის ენას, როგორც ენას, მოთავსებულია ტვინში. ტვინის, გონის გარეშე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მოლაპარაკე მანქანა, მაგრამ არა ადამიანი — მოაზროვნე და საზოგადოებრივი არსება; აზროვნება და საზოგადოებრიობა კი აუცილებელი პირობაა ენის რეალურობისათვის“⁴³. ეს გასაგებია, რადგან, ბოდუენის აზრით, საერთოდ ადამიანთა „ფსიქიკური სამყარო ვერ განვითარდება სოციალურის გარეშე, ზოლო სოციალური დამოკიდებულია ფსიქიკურ ერთეულთა კოლექტიურ არსებობაზე“⁴⁴. ასე რომ, ამ ორი მხარის გათიშვა და ფსიქიკურის ჩამოშორება არ იქნებოდა გამართლებული თვით ბოდუენის თეორიის თვალსაზრისით.

40 ზემოთქმულის საფუძველზე სოციალურისა და ინდივიდუალურის ეს ურთიერთობა კონკრეტული ინდივიდუალური ენის შიგნითა და ინდივიდუალურ ენებს შორის შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით:



41 Л. В. Щерба, И. А. Бодуэн де Куртенэ, *გვ.* 315; D. Čyževský, *დასახ ნაშრ.*, *გვ.* 6, 8; В. В. Виноградов, И. А. Бодуэн де Куртенэ, *გვ.* 116.

42 იხ. აგრეთვე А. А. Леонтьев, *Психоллингвистика*, *გვ.* 9—10, 16.

43 И. А. Бодуэн де Куртенэ, *ИТ*, I, *გვ.* 212.

44 იქვე, II, *გვ.* 191; იხ. აგრეთვე იქვე, I, *გვ.* 212.

ენის როგორც ფსიქიკურ-სოციალური მოვლენის ფუნქციონირება გულისხმობს ფიზიკური ფაქტების მონაწილეობასაც. სახელდობრ, კოლექტიურ ენობრივ ცხოვრებაში, ავტორის მიხედვით, უნდა გავარჩიოთ „ენობრივი წარმოდგენების მუდმივი ფსიქიკური არსებობა“⁴⁵ და ამ წარმოდგენების გადაცემა ინდივიდიდან ინდივიდზე⁴⁶. სოციალური ურთიერთობის აუცილებელი პირობაა ფსიქიკაში უწყვეტად არსებული საწარმოთქმო და სმენითი წარმოდგენების ფიზიკური მანიფესტაცია ფონეტიკური საშუალებებით⁴⁷. წარმოთქმის დროს ეს წარმოდგენები ხდება სტიმულები, რომელსაც ორგანიზმის ბიო-ფიზიოლოგიური მექანიზმის საშუალებით სათანადო მოძრაობაში მოჰყავს სამეტყველო ორგანოები. მიღებული აკუსტიკური ეფექტი იმავე მექანიზმის საფუძველზე (შებრუნებული თანმიმდევრობის გავლით) იწვევს შესაბამის ენობრივ წარმოდგენებს მსმენელებში⁴⁸. იგულისხმება, რომ ურთიერთობის დროს ხდება მხოლოდ წმინდა საწარმოთქმო და აკუსტიკური წარმოდგენების გადაცემა: დანარჩენი ვლინდება და ახლდება უკვე ყოველ ინდივიდში ცალ-ცალკე⁴⁹.

ყოველივე ამის საფუძველზე ბოდუენი ენაში გამოყოფს ორ მხარეს: შინაგანს (ცენტრალურს) და გარეგანს (პერიფერიულს). სხვაგვარად, ეს არის, ერთი მხრივ, ცერებრაცია—საკუთრივ ენობრივი აზროვნება, ენა (ენობრივი წარმოდგენების დამუშავება)⁵⁰,

⁴⁵ წარმოდგენათა მუდმივობა მენტალისტურ თეორიებში ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ეს წარმოდგენები რჩებიან უცვლელნი მეტყველების პროცესში ცვალებადი რეალიზაციების მიმართ და არა იმას, რომ ისინი საერთოდ „მუდმივად“ არსებობენ და დროთა განმავლობაში არ იცვლებიან. შდრ. D. Č u ž e v-š k y j, დასახ. ნაშრ., გვ. 8—9; Я. В. Л о я, დასახ. ნაშრ., გვ. 154, 177.

⁴⁶ И. А. Б о д у е н д е К у р т е н э, ИТ, II, გვ. 163, 338.

⁴⁷ იქვე, გვ. 191—193. იხ. აგრეთვე გვ. 70, 163, 326.

⁴⁸ სოციალური ურთიერთობის პროცესისათვის დაწვრ. იხ. იქვე, ИТ, II, გვ. 60. 191—192, 196; იქვე, I, გვ. 278.

⁴⁹ იქვე, II, გვ. 193.

⁵⁰ მართალია, ბოდუენი წარმოდგენებზე ლაპარაკობს როგორც „ენობრივი აზროვნების ელემენტებზე“, მაგრამ მისთვის ფსიქიკური არ ნიშნავს ცნობიერს. „ფსიქიკური არის არა ის, რაც ცნობიერია, არამედ ის, რაც შეიძლება გაცნობიერებულ იქნეს როგორც წარმოდგენა, ცნება“—წერს იგი (იქვე, გვ. 58. საკითხის დასმისათვის იხ. აგრეთვე А. А. Л е о н т ь е в, Общелингвистические взгляды И. А. Б о д у е н а д е К у р т е н э, გვ. 122). ქვეცნობიერია მასთან წარმოდგენათა ასოციაციებიც (И. А. Б о д у е н д е К у р т е н э, ИТ, I, გვ. 226) და ა. შ. მაგრამ თუ ბოდუენი მაინც ლაპარაკობს წარმოდგენებზე, როგორც

ხოლო, მეორე მხრივ, ფონაცია (წარმოთქმა, მანიფესტაცია) და აუდიცია (მოსმენა, აღქმა). ავტორის აზრით, „ენის არას ქმნის მხოლოდ ცერებრაცია, ფონაცია კი აუცილებელია როგორც ცერებრაციის საბოლოო ნიშანი, როგორც სხვადასხვა ინდივიდის ცერებრაციათა დამაკავშირებელი რგოლი“⁵¹.

ენის ცენტრალური და პერიფერიული ნაწილების დამოკიდებულება ბოლუენტან შეიძლება განვიხილოთ როგორც ფსიქიკური სისტემისა და მისი რეალიზაციის დამოკიდებულება, უფრო ზუსტად, ურთიერთდამოკიდებულება. სახელდობრ, თუ, ავტორის მიხედვით, ცოცხალ მეტყველებაში ფიზიოლოგიურ-აქუსტიკური ერთეულები უშუალოდ დამოკიდებულია ფსიქიკურ, ცერებრაციულ მხარეზე⁵², ე. ი. გვევლინება მის მანიფესტაციად⁵³, თავის მხრივ, ფსიქიკური წარმოდგენებიც დამოკიდებულია წარმოთქმის ელემენტებზე: საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენები მიიღება აქუსტიკური შთაბეჭდილებებისა და მოტორული შეგრძნებების ბაზაზე⁵⁴ (სათანადო ადგილები იხ. ქვემოთ).

მოცემულ დამოკიდებულებაში არ დგას სოციალურისა და ინდივიდუალურის მიმართების საკითხი. ეს გასაგებიცაა. პერიფერიული (გარეგანი), მართალია, ყოველთვის ინდივიდის აქტივობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მთლიანად ინდივიდუალური იგი მაინც არ შეიძლება იყოს. საწარმოთქმო-სმენით დონეზე ბოლუენი ასეთად მიიჩნევს მხოლოდ საკუთრივ წარმოთქმას, ფონაციას, მაშინ როდესაც აუდიცია განიხილება როგორც მეტყველების სოციალური მხარე⁵⁵. მაგრამ ეს დაყოფაც საკმაოდ პირობითი გა-

„ფსიქიკურად ცოცხალ“ ელემენტებზე, ეს უფრო იმიტომ, რომ მოლაპარაკის ცნობიერებაში ლინგვისტური რეფლექსიის მომენტები შეაქვს. ამ კონტექსტში ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ მოვიგონებთ, რომ იგი „ენობრივ აზროვნებაში“ ათავსებდა, მაგ., მონათესავე ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზით მიღებულ ერთეულებსაც (იხ. ზემოთ, გვ. 18—19).

51 И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, გვ. 144.

52 იქვე, გვ. 354.

53 იქვე, II, გვ. 196.

54 აღსანიშნავია, რომ ენის ცხოვრებაში ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის (ფიზიკურის) ურთიერთობის გაგებისას ბოლუენი ხან მონიშნისაკენ იხრება და ხან დუალიზმისაკენ. მაგრამ საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენების გაგებაში იგი თანმიმდევრული მონისტია: ფსიქიკური რეალობა ასახავს ობიექტურ რეალობას (საკითხის შესახებ იხ. А. А. Леонтьев, Психоллингвистика, გვ. 15—16; Ф. М. Березин, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108).


55 И. А. Бодуэн де Куртене, Основы общей фонетики, გვ. 125. იხ. აგრეთვე მისი: ИТ, II, გვ. 310, 326.

მოდის, რამდენადაც, ფაქტობრივად, წარმოთქმაშიც სოციალური მომენტი დომინირებს: ბოლუენი საკმაოდ დიდ ანგარიშს უწევს იმ უდავო ფაქტს, რომ არსებობს არა ნებისმიერი ინდივიდუალური წარმოთქმა, არამედ ისეთი, როგორც დაშვებულია საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის. მაგ., წარმოთქმის თანხლები კუნთური შეგრძნება კონტროლს უწევს და არეგულირებს წარმოთქმას როგორც მოლაპარაკესთან, ისე მსმენელთან, რომელიც პოტენციურად ჰბაძავს მოლაპარაკის საწარმოთქმო მოძრაობებს⁵⁶. ამასთანავე, სოციალურისა და ინდივიდუალურის დამოკიდებულების გარკვევისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ ბოლუენი ინდივიდუალური ნაწილის არსებობას უშვებს სამეტყველო მოქმედების ფსიქიკურ მხარეში — ენაშიც (იხ. ზემოთ), ხოლო ეს ნაწილი, თავის მხრივ, ისევე საჭიროებს ფიზიკურ რეალიზაციას, როგორც სოციალური ნაწილი⁵⁷.

თუ აღნიშნული დაპირისპირების ფონზე განვიხილავთ ბგერით ფაქტებს, ასეთი ვითარება წარმოგვიდგება:

56 И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, I, гл. 196.

57 ენის ცენტრალურ და პერიფერიულ ნაწილებს შორის არსებული ეს დამოკიდებულება შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს აგრეთვე სოსიურის შემდეგ ენათმეცნიერებისათვის კარგად ცნობილი „ენისა“ და „მეტყველების“ (langue-parole) დამოკიდებულების ტერმინებით. სახელობრ, გამოდის, რომ ბოლუენისათვის „ენა“ (langue) არსებობს, ერთი მხრივ, როგორც ინდივიდის ფსიქიკაში დაღეჭილი სისტემა, „წარმოდგენათა მოწესრიგებული კრებული“, მეორე მხრივ, კი — როგორც მოქმედი ფსიქიკური მოდელი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იძლევა ამ წარმოდგენათა ობიექტივაციის შესაძლებლობას. „მეტყველებად“ (parole) უნდა მივიჩნიოთ წარმოთქმის ინდივიდუალური აქტი, ობიექტივაციის მექანიზმი, ყველა ის ფიზიკური და ფიზიოლოგიური საშუალება, რაც ემსახურება წარმოდგენათა რეალიზაციასა და მათ გადაცემას ინდივიდიდან ინდივიდზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მეტყველებად“ უნდა მივიჩნიოთ ის, რაც ენობრივი ურთიერთობის დროს, ბოლუენის სიტყვებით, ემსახურება „პოტენციური ენობრივი ენერჯის გამოთავისუფლებას“ (И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, II, гл. 60). ყოველივე ეს შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:



სადაც (სოსიურისეულ აღნიშვნათა შესაბამისად) *i* გამოხატავს საწარმოთქმოსმენით, ხოლო *c* — მორფოლოგიურ და სემასიოლოგიურ წარმოდგენებს; *r* — ით აღვნიშნავთ ამ წარმოდგენათა ფონეტიკურ რეალიზაციას.

სამეტყველო ბგერა წარმოადგენს ენობრივი საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთგაგებინების, ერთმანეთზე ენობრივი ზეგავლენის საშუალებას. მეორე მხრივ, იგი არტიკულაციის სიზუსტის, ფონაციური მუშაობის კონტროლის საშუალებაცაა⁵⁸. მაგრამ, ბოლუენის მიხედვით, სმენისათვის მისაწვდომი ბგერები და სამეტყველო ორგანოთა შესაბამისი მოქმედებები დროებითია და მყისვე ქრება⁵⁹. ბგერათა ცალკეულ წარმოქმნათა შორის „არ არსებობს არავითარი ფიზიკური კავშირი“⁶⁰. ფონეტიკური ერთეულები, „როგორც სოციალური ურთიერთობის დროებითი, ხანმოკლე მომენტები, არ შეიძლება მივიჩნიოთ ენის ნამდვილ ელემენტებად“⁶¹. ბგერა „არ გამოდგება არც ფსიქო-ფონეტიკური და არც ისტორიული დაპირისპირებისათვის“⁶². „ზუსტად რომ ვთქვათ, ბგერა არც არსებობს, იგი წარმოიქმნება ყოველთვის მეტყველების პროცესში“⁶³. „ენის ბგერა, როგორც მისი ნამდვილი ელემენტი, არის წმინდა წყლის ფიქცია“⁶⁴. ინდივიდუალურ ფსიქიკურ სისტემებში „ქეშმარიტი ენობრივი არსებობა“ ახასიათებს მხოლოდ ამ ბგერათა და სამეტყველო მოქმედებათა მუდმივ წარმოდგენებს⁶⁵. საერთოდ „ბგერებსაც და სათანადო სამეტყველო მოძრაობებსაც იმდენად შეუძლიათ არსებობა, ე. ი. განმეორება, რამდენადაც ისინი ახდენენ ზეგავლენას ნერვულ ცენტრებზე, ტვინზე, სულზე, თუ იქ ტოვებენ კვალს მუდმივი წარმოდგენების სახით“⁶⁶. ცალკეულ წარმოქმნათა შორის კავშირი მყარდება სწორედ ამ წარმოდგენებით ანუ, როგორც მათ ბოლუენს უწოდებს, მეხსიერების ხატებით⁶⁷. „ბგერის წარმოქმნა, მასთან დაკავშირებული კუნთური შეგრძნებაცა და წარმოქმნის შედეგად მიღებული აკუსტიკური შთაბეჭდილებაც სხვა არაფერია, თუ არა იმის ნიშანი, რომ ჩვენს ფსიქიკაში არსებობს შესაბამისი ბგერითი წარმოდგენა“⁶⁸.

58 Н. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, гл. 256.

59 იქვე, გვ. 212, 260, 278.

60 იქვე, გვ. 278, 353.

61 იქვე, II, გვ. 193.

62 იქვე, I, გვ. 351.

63 იქვე, გვ. 192—193; იქვე, II, გვ. 249.

64 იქვე, II, გვ. 249.

65 იქვე, I, გვ. 260, 353; იქვე, II, გვ. 191, 249.

66 იქვე, I, გვ. 121. об. აგრეთვე გვ. 255.

67 იქვე, გვ. 278.

68 იქვე, II, გვ. 249.

ამიტომაც თვლის ბოდუენი, რომ ენათმეცნიერებაში „ბგერის“ ცნება უნდა შეიცვალოს მისი „ფსიქიკური ეკვივალენტის“, მისი „მულტივალდ არსებული წარმოდგენის“ ცნებით⁶⁹. სწორედ ასეთი წარმოდგენა არის ფონემა⁷⁰, რომელიც განისაზღვრება როგორც ერთიანი, ენობრივი თვალსაზრისით შემდგომ განუყოფელი, ანთროპოფონიკური ხატი, მიღებული ერთი და იმავე ბგერის წარმოთქმათა შთაბეჭდილებების ფსიქიკური შერწყმით. ფონემის ერთიან წარმოდგენასთან დაკავშირებულია ცალკეული ანთროპოფონიკური (ფონაციურ-აკუსტიკური) წარმოდგენების ჯამი⁷¹. ფონემის მთლიანობა მიიღწევა სათანადო სამეტყველო მოქმედებათა და შესაბამის აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა ერთგვაროვნებით⁷².

მოცემული განმარტების თანახმად, ფონემა წარმოადგენს ბგერის ფსიქიკურ სუბსტიტუტს⁷³, ბგერით ხატს. მაგრამ როგორც ენის, თავისი არსით ფსიქო-სოციოლოგიური მოვლენის, ელემენტი, ბოდუენის მიხედვით, იგი წარმოადგენს ამავე დროს „სტიმულს“ ახალი საწარმოთქმო მოქმედებისათვის⁷⁴. ფონემა „ანთროპოფონიკური განზრახვა“, „მიზანია“, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნეს სამეტყველო ბგერებით⁷⁵.

ამ რეალიზაციის დროს ბოდუენი განასხვავებს ორ შემთხვევას: 1. ფიზიოლოგიური პირობები იძლევა განზრახულ ფონაციურ სამუშაოთა შესრულების საშუალებას და 2. ფიზიოლოგიური პი-

⁶⁹ И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, გვ. 351, 358; იქვე, II, გვ. 118, 268.

⁷⁰ „ფონემა“, როგორც სამეტყველო ბგერის ფსიქიკური ეკვივალენტის აღნიშვნელი ტერმინი, ბოდუენტან ჩნდება 1888 წლიდან (იხ. მისი: Основы общей фонетики, გვ. 125). თვით ცნება კი უფრო ადრინდელია. იხ. მისი: ИТ, I, გვ. 109, 133.

⁷¹ იქვე, გვ. 257, 271—272, 351—352, 355; იხ. აგრეთვე იქვე, II, გვ. 77.

⁷² И. А. Бодуэн де Куртене, Основы общей фонетики, გვ. 125; მისივე: ИТ, I, გვ. 183; იქვე, II, გვ. 165, 212, 253, 255, 289—290, 310.

⁷³ И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, გვ. 133.

⁷⁴ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 278.

⁷⁵ იქვე, გვ. 351; იქვე, II, გვ. 193, 290. ფონემის სამეტყველო რეალიზაციების აღსანიშნავად ბოდუენი იყენებს ტერმინ „ბგერას“ (იხ. იქვე, I, გვ. 351, 354; იქვე, II, გვ. 36, 118, 247, 290, 295). მაგრამ ამ მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე „ფონაციური ელემენტები“ (იქვე, II, გვ. 36, 271) და „ფონემებიც“ კი. იხ. იქვე, გვ. 262—263, 265, 295.

რობები არ იძლევა ამის საშუალებას⁷⁶. შესაბამისად, ავტორი არჩევს პოზიციას (положение), „რომელიც ხელს უწყობს მოცემული ფონემის ყველა ინდივიდუალური თავისებურების გამოვლენას, პოზიციისაგან, რომელიც რაიმე სახით ხელს უშლის ამას“⁷⁷. ფონაციური განზრახვა იზღუდება როგორც სამეტყველო ორგანოების აგებულებითა და მათი მოძრაობის მექანიკით, ისე „ფონეტიკური მთლიანობის აგების ჩვევით“⁷⁸. სხვაგვარად, განზრახვის შესრულებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, წარმოთქმის სავალდებულო და აუცილებელი აკომოდაცია (მეზობელ ბგერათა წარმოთქმის გავლენით), მეორე მხრივ, წარმოთქმის ჩვევები⁷⁹.

ამგვარად, წარმოთქმის დროს ბოდუნეი უშვებს მოსალოდნელ შეუსაბამობას, კოლიზიას, ფონაციურ განზრახვასა და შესრულებას შორის, „ფონაციურ მობილიზაციასა და ფონაციურ მოქმედებას შორის“⁸⁰. ამის შედეგად ერთიანი ფონემა წარმოთქმაში „იხლიჩება“ რამდენიმე ბგერად⁸¹, რომელთა შორის განსხვავება დაიყვანება დივერგენციამდე — ფსიქიკური ფაქტორებისაგან დამოუკიდებელი ცოცხალი ანთროპოფონიკური ტენდენციებითა და ჩვევებით განპირობებულ ბგერათცვლილებებამდე⁸². მაშასადამე, ფონემის რეალიზაციებად მიჩნეულია დივერგენტები — ერთნაირად გამიზნული, მაგრამ განსხვავებულად შესრულებული ბგერები. ეს ბგერები გვხვდება როგორც მონათესავე მორფემებში (ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური დივერგენციის შემთხვევაში), ისე მორფოლოგიური კავშირებისაგან დამოუკიდებლად (წმინდა ფონეტიკური, ჩანასახოვანი დივერგენციის შემთხვევაში)⁸³.

ასე /g/ ფონემის შესაბამისად პოლონურ სიტყვებში nog, po-ga... გვაქვს პოზიციის მიხედვით განსხვავებული ბგერები k და g. რუსულ სიტყვებში год, годa / годá. годово́й..., ამოსავალი /o/

76 И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, გვ. 278, 296.

77 იქვე, გვ. 297.

78 იქვე, II, გვ. 271, 275, 330; იქვე, I, გვ. 281.

79 იქვე, I, გვ. 298.

80 იქვე, II, გვ. 270—271; იქვე, I, გვ. 278, 296, 359.

81 იქვე, I, გვ. 295, 297.

82 დივერგენციის შესახებ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 281—282, 295, 299.

83 იქვე, გვ. 281, 284, 295—296, 320—322; ИТ, II, გვ. 275.

ფონემის ნაცვლად წარმოითქმის ხმოვნები: $\text{ó} \parallel \text{á} \parallel \text{ý}$, რომელთა შორის განსხვავება გამოწვეულია მახვილის ადგილით სიტყვაში⁸⁴.

რუსულ ხმოვან ფონემებს $|a| |e| |o|$ აქვთ უამრავი ელფერები მომდევნო თანხმოვნების გავლენით. შდრ., მაგ., *мат, мел, закон...* *мать, мель, конь*⁸⁵ და ა. შ-

რამდენადაც დივერგენტული ცვლილებები, ბოდუენის აზრით, თავს იჩენენ მხოლოდ შესრულების პერიფერიულ სამუშაოთა სფეროში, ისინი არ არიან გაცნობიერებული ფსიქიკურად⁸⁶ (მორფოლოგიურად, სემასიოლოგიურად) ან, სხვათაგან, ვარიანტები (*resp.* ბგერები) არ წარმოადგენენ ენის ისეთ „ფსიქიკურად ცოცხალ“ ელემენტებს, როგორცაა ფონემები⁸⁷.

ვარიანტული განსხვავებები შეუმჩნეველი რჩება მსმენელ-ბისთვისაც⁸⁸. ეს გასაგებია, რადგან თუ ბოდუენთან ერთნაირი ბგერითი წარმოდგენა, ერთი მხრივ, განაპირობებს ერთნაირ არტიკულაციას, ეგვე წარმოდგენა, მეორე მხრივ, „განაპირობებს ერთნაირ შთაბეჭდილებათა მიღებას ორგანიზმის იმ მოძრაობებიდან, რომლებიც არსებითია ფონემისათვის“⁸⁹. ეს გამომდინარეობს ენის სოციალური ბუნების გაგებიდან: რამდენადაც მსმენელები იმავე დროს მოლაპარაკებებიც არიან. ფაქტობრივად მსმენელს ის ესმის, რასაც წარმოთქვამს⁹⁰.

⁸⁴ И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, I, გვ. 296, 351.

⁸⁵ იქვე, გვ. 296.

⁸⁶ იქვე, გვ. 255, 299.

⁸⁷ იხ. იქვე, გვ. 351.

⁸⁸ ავტორის მიხედვით, როდესაც ეს განსხვავებები ურთიერთობის პროცესში იმდენად შესამჩნევი გახდება, რომ მსმენელებში შეუძლია გამოიწვიოს განსხვავებული აკუსტიკური წარმოდგენები, ხოლო შემდეგ სათანადო ფონაციური წარმოდგენებიც, იქმნება რეალური პირობები ენაში ახალი ფონემების წარმოსაქმნელად (იქვე, II, გვ. 262, 271). ამგვარად, ფონემის მიღებაში გარდა ინდივიდის საკუთარი წარმოთქმის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებისა, გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე სხვების მოსმენით მიღებული შთაბეჭდილებებიც. შდრ. W. Doroszewski, *Autour du „Phonème“*, გვ. 64.

⁸⁹ И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, I, გვ. 193.

⁹⁰ ამ კონტექსტში არათანმიმდევრული ჩანს რუს. и და ъ ხმოვნების კვალიფიკაცია. მათ შორის განსხვავებას სმენა აღიქვამს. მაგრამ ბოდუენი მათ მაინც ერთ ფონემად თვლის, რადგან ისინი ემყარებიან საერთო ფონაციურ წარმოდგენას და ამიტომ „ფსიქიკურად უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე დანარჩენ ხმოვნებთან“ (იხ. იქვე, გვ. II, გვ. 36—37). ასეთი ახსნა არ ევჯება ფონემის მოცემულ გაგებას: მთლიანი ანთროპოფონიკური ხატი ემყარება როგორც ერთნაირ ფონაციურ, ისე ერთნაირ აუდიტიურ წარმოდგენებს.

ამგვარად, განხილული თეორია გულისხმობს ფონემის, როგორც ბგერის საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენისა და საწარმოთქმო განზრახვის გაგებას. მაგრამ ბოდუენს ფონემა აინტერესებს არა თავისთავად, როგორც ანთროპოფონიკური ხატი, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც ენის ფუნქციონალური ერთეული, მორფემის შემადგენელი ელემენტი⁹¹. სახელდობრ, ავტორის აზრით:

ენობრივი და მასზე დამყარებული ენათმეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით ფონემებს (და საერთოდ საწარმოთქმოსმენით ელემენტებს) „თავისთავად არა აქვთ არავითარი მნიშვნელობა. ისინი ენობრივი ღირებულებები ხდებიან და ლინგვისტურად შეიძლება განხილულ იქნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც შედიან ყოველმხრივ ცოცხალ ენობრივ ელემენტებში, როგორცაა მორფემები, დაკავშირებულნი როგორც მორფოლოგიურ, ისე სემასიოლოგიურ წარმოდგენებთან⁹². ამიტომ არის, რომ ფონემებს შეუძლიათ ენაში მოგვევლინონ მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქციით (მაგ., e და a ხმოვნები სიტყვებში: gniesć—gniatać; o და a სიტყვებში: dogodzić—dogadzać; s და ch თანხმოვნები სიტყვებში nos—noch და ა. შ.)⁹². ფონემებისაგან განსხვავებით დივერგენტები მოკლებული არიან ამ უნარს⁹³.

⁹¹ И. А. Бодуэн де Куртенэ, ИТ, I, გვ. 295, შდრ. Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич, К истории учения о фонеме, გვ. 67, სადაც ბოდუენისეული ფონემა კვალიფიცირებულია არსებითად როგორც არტიკულაციურ და აკუსტიკურ წარმოდგენათა ერთიანობა.

⁹² И. А. Бодуэн де Куртенэ, ИТ, I, გვ. 276. ^{92a} იქვე, I, გვ. 213. ფონემათა მნიშვნელობის განმასხვავებელ უნარზე ბოდუენი მიუთითებს ჯერ კიდევ 1888 წ. (იხ. იქვე, გვ. 15). ფსიქოლოგიური მიზნებისათვის (მნიშვნელობასთან კავშირში) ბგერითი პარალელების (ბგერათა წყვილების) გამოყენებისათვის იხ. აგრეთვე დასახ. ნაშრ. გვ. 81, 89. საკითხის შესახებ იხ. Т. А. Беллинская, Учение И. А. Бодуэна де Куртенэ о фонеме, გვ. 4, 9, 16—17; А. А. Леонтьев, Общелингвистические взгляды..., გვ. 121; E. Stankiewicz, Opposition and hierarchy in morphophonemic alternations.

⁹³ И. А. Бодуэн де Куртенэ, ИТ, I, გვ. 320. — ფონოლოგიურ კვლევაში ფონემებისა და ვარიანტების გასარჩევად მნიშვნელობის განმასხვავებელი კრიტერიუმის შემოტანას თვლიან ლ. შჩერბას დამსახურებად (Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич, დასახ. ნაშრ., გვ. 67—68). როგორც ზემოთ დამოწმებული ციტატიდან ჩანს, ბოდუენი ამ იდეამდე მისული იყო უკვე 1895 წ. და თუ ფონემის დეფინიციაში ეს მომენტი არ ასახულა, ყოველ შემთხვევაში თვით ფაქტი დანახული და აღნიშნულია.

ფონემის როგორც ანთროპოფონიკური ხატის დაკავშირება მორფემებთან და მისი გამოცხადება „მორფემის შემადგენელ ელემენტად“, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ იგი ფსიქიკურად აერთიანებს არა მხოლოდ წმინდა ფონეტიკურ-ჩანასახოვან დივერგენტებს, არამედ ფონეტიკურ-ეტიმოლოგიურ დივერგენტებსაც (მაგ., ო || ა || ყ ბგერებს гoд, гoдá, гoдoвнй ფორმებში). სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ, ერთი მხრივ, ფონემა „ანთროპოფონიკური წარმოდგენა“, „ბგერის ფსიქიკური ეკვივალენცია“, მეორე მხრივ, იგი „მორფემის შემადგენელი ელემენტიცაა“. ეს უკანასკნელი მომენტი კი გულისხმობს, რომ ერთი და იგივე ბგერა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფონემის ვარიანტი (მაგ., k ბგერა |g| და |k| ფონემებისა). ან, პირიქით, სხვადასხვა ფონემებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე ბგერითი ვარიანტი. ფონემათა ასეთი დამთხვევის პირობებში ძნელი უნდა ყოფილიყო ცალკეულ ფონემათა ინდივიდუალურ ანთროპოფონიკურ თავისებურებებზე ლაპარაკი, მაგრამ ბოლუენისათვის ეს დაბრკოლებას არ ქმნის: პოზიციურად განსხვავებული ვარიანტების არსებობას მოლაპარაკე-მსმენელები ვერ გრძნობენ. ფონემა როგორც ანთროპოფონიკური წარმოდგენა დაკავშირებული ჩანს „მაქსიმალურად დამოუკიდებელ“ (ე. ი. ტიპობრივ — ი. ქ.) ბგერასთან და იმეორებს მის ფონეტიკურ თავისებურებებს. ამიტომ არის შესაძლებელი ვილაპარაკოთ ბოლუენისეულ ფონემაზე როგორც ანთროპოფონიკურ ხატზე, ანთროპოფონიკურ წარმოდგენაზე⁹⁴.

ამგვარად, ფონემის განსაზღვრა, ერთი მხრივ, როგორც ანთროპოფონიკური ხატისა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მორფემის შემადგენელი ელემენტისა, ორ განსხვავებულ გაგებას კი არ ქმნის, არამედ ფაქტობრივად წარმოგვიდგენს ერთსა და იმავე ერთეულს, განხილულს სხვადასხვა (საწარმოთქმო-მსმენითი და ენობრივ-ფუნქციონალური) ასპექტით. სწორედ ერთიანი ფუნქციონალური მექანიზმის ძიებამ მიიყვანა ბოლუენი უფრო გვიან ფონემის, როგორც ერთიანი ანთროპოფონიკური წარმოდგენის, დაშლის იდეამდე⁹⁵. სახელდობრ, ავტორის მიხედვით, მორფოლოგიურ და

⁹⁴ სწორედ ამ მხარეს ექცევა ყურადღება, როდესაც ბოლუენისეულ ფონემას განიხილავენ როგორც „ფონეტიკურ“ ერთეულს. იხ. D. Jones, The history and meaning of the term „phoneme“, გვ. 7; A. Rosetti. Son-type et phonème.

⁹⁵ მთლიანი ანთროპოფონიკური წარმოდგენის დაშლის სხვა საფუძველს ხედავენ ლ. ზინდერი და მ. მატუსევიჩი. იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 66.

სემასიოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდება (ე. ი. მორფოლოგიზდება და სემასიოლოგიზდება) არა მთლიანად ფონემა, როგორც განუყოფელი ანთროპოფონიკური წარმოდგენა, არამედ მხოლოდ მისი ნაწილები⁹⁶ (ამასთანავე, მორფოლოგიზდება მხოლოდ ზოგიერთი საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენა, სემასიოლოგიზდება კი უგამონაკლისოდ ყველა)⁹⁷.

ასე, რუსულ ენობრივ აზროვნებაში მორფოლოგიზებულია (დაკავშირებულია ამა თუ იმ ფორმის წარმოდგენასთან) მონაცვლე მორფემების ზოგიერთი საწარმოთქმო-სმენითი თავისებურება: თანხმოვანთა პალატალურობა — არაპალატალურობა (СТОЛ || стол'-, ВОД || вод'-, МНОГ || мног, п'ек || п'еч...), მახვილი ბ'ер'ег-á, колокол-á) და ა. შ.⁹⁸ ისეთი რუსული სიტყვების სემასიოლოგიური განსხვავების დროს, როგორცაა сад/зад, там/дам, (гора/гора, суд/зуд, пал/бал... სემასიოლოგიზებულია სახმო სიმების განსხვავებული მოქმედების წარმოდგენა სიტყვის დასაწყისში⁹⁹.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგებია ავტორის აზრი, რომ სამეტყველო ჯაჭვის მორფოლოგიური დაყოფა არ შეიძლება ამოიწუროს მორფემათა დადგენით (როგორც ეს იყო ამ თვალსაზრისის გარეშე): მორფოლოგიზაციასა და სემასიოლოგიზაციასთან კავშირში მორფემები იყოფიან ფონემებად¹⁰⁰. მაგრამ მეცნიერული ანალიზის მოთხოვნათა შესაბამისად არ შეიძლება შეეჩერდეთ ფონემებზეც. მორფოლოგიური და სემასიოლოგიური თვალსაზრისით ბგერები და შესაბამისი ფონემებიც იშლებიან შემდგომ განუყოფელ ნაწილებად. ფონემა იშლება ენობრივი აზროვნების თვალსაზრისით შემდგომ განუყოფელ საწარმოთქმო და აკუსტიკურ წარმოდგენებად — კინემებად და აკუსმებად¹⁰¹. კინემებისა და აკუსმების გვერდით შეიძლება გამოიყოს კინაკემაც, რომელიც მიიღება კინემისა და აკუსმის შეერთებით იმ შემთხვევაში, როცა აკუსტიკური შედეგი ემთხვევა მის გამომწვევ არტიკულაციურ მოძრაობას¹⁰². ენობრივ აზროვნებაში ეს წარმოდგენები ცოცხ-

96 И. А. Бодуэн де Куртенэ, ИТ, II, გვ. 279.

97 იქვე, გვ. 216, 329.

98 იქვე, გვ. 275. იხ. აგრეთვე, გვ. 167—171, 218, 277—278.

99 იქვე, გვ. 279. იხ. აგრეთვე გვ. 165, 218.

100 იქვე, გვ. 198.

101 იქვე, გვ. 199, 203, 212—213, 215, 289, 290, 310, 326—327.

102 იქვე, გვ. 290, 310, 327.

ლობენ მხოლოდ იმდენად, „რამდენადაც ისინი სემასიოლოგიზე-
ბული და მორფოლოგიზებულია“¹⁰³. შესაბამისად, ფონემა უკვე
„წარმოადგენს არა ცალკეულ ნოტს, არამედ რამდენიმე ელემენ-
ტისაგან შემდგარ აქორდს“¹⁰⁴ და განისაზღვრება როგორც რამ-
დენიმე შემდგომ განუყოფელი საწარმოთქ-
მო-სმენითი ელემენტის (კინემების, აკუსების,
კინაკემების) ერთიანობა¹⁰⁵. მაგრამ ფონემის გამოცხა-
დება ელემენტთა ერთიანობად¹⁰⁶ არ ეწინააღმდეგება მისი, რო-
გორც ანთროპოფონიკური ხატისა და წარმოთქმის განზრახვის გა-
გებას. საქმე ის არის, რომ ბოდუენის აზრით, ფონემის შემადგენე-
ლი ელემენტები უშუალოდ ენობრივი აღქმის დონეზე კი არ გვეძ-
ლევა (нельзя оссзнатъ во время языкового общення), არამედ
მიღებულია მხოლოდ ანალიზის გზით¹⁰⁷.

1. 112 ბოდუენის თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ფონო-
ლოგიის შემდგომ განვითარებაზე. ბოდუენის იდეებზეა დამყარე-
ბული ფონემის მრავალი დეფინიცია, მენტალისტურიცა და არამენ-
ტალისტურიც. ისინი, ვინც მენტალისტურ ხაზს აგრძელებენ ფო-
ნოლოგიაში, შესაბამისად ფონემას განსაზღვრავენ ან მხოლოდ
ბგერის ფსიქიკური რეპრეზენტაციისა და საწარმოთქმო განზრახ-
ვის ტერმინებით ან ამ რეპრეზენტაციათა კავშირის გათვალისწი-
ნებითაც სემასიოლოგიურ-მორფოლოგიურ წარმოდგენებთან.

ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით ამ რიგის ყველა დეფი-
ნიციაზე, რადგან არსებითად ბოდუენისეულ დეფინიციასთან შედა-
რებით ისინი ახალს არაფერს შეიცავენ. ასე, მაგ., ფონემებზე, რო-
გორც ალტრაქციებზე, წარმოთქმის ფსიქიკურ „მოდელებზე“
ლაპარაკობს ა. სომერფელტი. ბგერები, რომლითაც გადმოცემუ-
ლია ფონემები, განსხვავებულია ფონეტიკური გარემოცვისა და
პირობების მიხედვით. მაგრამ ეს განსხვავებები ჩვეულებრივ არ

103 И. А. Бодуэн де Куртенэ, ИТ, II, гв. 327.

104 იქვე, გვ. 203.

105 იქვე, გვ. 289—290; მაგალითებისათვის იხ. გვ. 253—254, 290, 310.

106 ბოდუენი ამ გზით საკმაოდ ახლოს მივიდა დიფერენციულ ნიშანთა და
ფონემის, როგორც მათი ერთიანობის, გაგებასთან, მაგრამ სათანადო თეორია
მისგან გამოძვინარე დასკვნებითურთ მას არ შეუქმნია. საკითხის შესახებ იხ.
აგრეთვე Т. А. Белинская, დასახ. ნაშრ., გვ. 17; В. Н. Топоров,
И. А. Бодуэн де Куртенэ и развитие фонологии.

107 И. А. Бодуэн де Куртенэ, ИТ, II, гв. 326.

იგრძნობა, რადგანაც ფონემის არტიკულაციური და აკუსტიკური წარმოდგენა იგივე რჩება¹⁰⁸.

ტ. ბენის „ფსიქოფონი“ (Psychophon) წარმოდგენაა (Lautvorstellung), წარმოთქმის განზრახვაა (Absicht), რომელიც მეტყველებაში რეალიზდება არაგანზრახული სახეცვლილებებით — კონკრეტული ფიზიოფონებით (Physiophon)¹⁰⁹. ჰ. ულაშინისათვის ფონემა არის სამეტყველო ბგერის ფსიქიკური ეკვივალენტი¹¹⁰, შემდგომ განუყოფელი არტიკულაციურ-აკუსტიკური. წარმოდგენა¹¹¹.

1. 118 ფონოლოგიის შემდგომი განვითარების პერსპექტივათა თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის გაგება, რომელიც ითვალისწინებს ფონემის კავშირს მნიშვნელობის წარმოდგენებთან. სწორედ ამ ხაზის გაგრძელებას ვხედავთ ლ. შჩერბასთან (და სხვა ავტორებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ემყარებიან შჩერბას, მაგ., ე. პოლივანოვთან)¹¹².

ბოდუენის მსგავსად, შჩერბაც ცდილობს მიაღწიოს ენის ფუნქციონალური მექანიზმის ერთიან გაგებას. შესაბამისად, ფონემა გვევლინება არა მხოლოდ ანთროპოფონიკურ წარმოდგენად და წარმოთქმვ განზრახვად, არამედ ენის ფუნქციონალურ ერთეულად და ორივე ეს მომენტი ფიქსირებულია დეფინიციით¹¹³.

¹⁰⁸ A. Sommerfeldt, Sur la nature du phonème, გვ. 23—25.

¹⁰⁹ T. Benni, Zur neueren Entwicklung des Phonembegriffes, გვ. 35—37.

¹¹⁰ H. Ułaszyn, Laut, Phorema, Morphorema, გვ. 54, 56, 61.

¹¹¹ ბოდუენისეული ფონემის, როგორც მორფემის შემადგენელი ელემენტის, წარმოდგენისათვის ულაშინს შემოაქვს სპეციალური ტერმინი „მორფონემა“. იხ. H. Ułaszyn, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

¹¹² ე. პოლივანოვი ფონემას განსაზღვრავს როგორც მოცემულ ენაში არსებულ ბგერით წარმოდგენას, რომელსაც აქვს აზრობრივ წარმოდგენებთან ასოციაციისა და სიტყვათა დიფერენციაციის უნარი. იხ. Е. Д. Поливанов, Конспект лекции по введению в языкознание и общей фонетике, გვ. 55.

¹¹³ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „შჩერბა თავის მსჯელობებში და ფორმულირებებში, მართალია, სარკებლობდა ფსიქოლოგიური ტერმინებით, მაგრამ ფონემის თეორიას იგი აგებდა სემანტიკურ საფუძველზე და ამიტომაც მან არსებითად დაძლია ბოდუენის სუბიექტურ-იდეალისტური და ატომისტური მოძღვრება“ (იხ. Л. Р. Зиндер, Л. В. Щерба и фонология, გვ. 65. იხ. აგრეთვე Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич, К истории учения о фонеме, გვ. 68; З. Штибер, Теория фонем И. А. Бодуэна де Куртене..., გვ. 90; С. В. Протогенов, История учения о фонеме, გვ. 12—13. ჩვენ ასეთ ინტერპრეტაციას ვერ დავეთანხმებით. ის პრობლემატიკა,

ფონემის წარმოდგენილი გაგება, როგორც ამას თვით ავტორიც აღნიშნავს, ძირითადად მიჰყვება ბოდუენისეულ გაგებას. განსხვავებას ქმნის ფონემის მოცულობა. თუ ბოდუენთან ფონემა წმინდა ფონეტიკურ დივერგენტებთან ერთად მოიცავდა ფონეტიკურ-ეტიმოლოგიურ დივერგენტებსაც, შჩერბამ ფონემის ვარიანტთა (ელფერთა) სფერო მხოლოდ პირველი სახის დივერგენტებით შემოსაზღვრა¹¹⁴ და ამით ფონემის გაგება კიდევ უფრო დაუახლოვა ტიპობრივი ბგერის გაგებას.

ფონემა, ავტორის მიხედვით, არსებობს ფსიქიკაში როგორც „აქუსტიკური და არტიკულაციური მონაცემების სინთეზით“ მიღებული ბგერითი წარმოდგენა. ფიზიკურ-ფიზიოლოგიური ერთეულებისაგან განსხვავებით, ფონემები ენის ფონეტიკური ერთეულებია. „ფონეტიკური ერთეულის ცნება, — წერს ავტორი, — ყოველთვის არ ფარავს აქუსტიკური და ფიზიოლოგიური ერთეულების ცნებას, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ფონეტიკური ერთეული არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ფიზიოლოგიურ და არც ფიზიკურ სიდიდეებს. ისინი ჩვენი ფსიქიკური მოღვაწეობის შედეგია“¹¹⁵.

ფონემები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ფსიქიკურ ელემენტებს. ავტორის აზრით, ანალიზისადმი ჩვენი მიდრეკილების გამო „ერთმანეთს ვუღარებთ განსხვავებულ ბგერითს წარმოდგენებს და ვაკვირდებით მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას. ანე, ჩვენ ვიგებთ, რომ s და n ელემენტები სიტყვაში сan იგივეობრივია სიტყვა соn-ის თავკიდური და ბოლოკიდური ელემენტებისა და ამის საფუძვლებზე a და o ელემენტებს შევიცნობთ როგორც განსხვავებულებს“¹¹⁶. ამ დამოუკიდებლობის საფუძველი მნიშვნელობასთან კავშირია. სახელდობრ, „ცნობიერებაში გამავალი ყველა წარმოდგენა როდი ხვდება მის ნათელ სფეროში“. რამდენადაც მეტყველების ძირითადი ინტერესი მიმართულია აზრობ-

რომელიც ქმნის „ფსიქოლოგიური“ კვლევის სპეციფიკას, არა თუ არ გამორიცხავს ფუნქციონალურ მიდგომას, არამედ გულისხმობს მას. კერძოდ, ის, რის დადგენასაც ცდილობს შჩერბა, პირველ ყოვლისა, არის სწორედ მოლაპარაკეთა ენობრივი ფუნქციონალური სისტემა.

114 Л. В. Щерба, Русские гласные в качественном и количественном отношении, გვ. 19.

115 Л. В. Щерба, Субъективный и объективный метод в фонетике, გვ. 111.

116 Л. В. Щерба, Русские гласные..., გვ. 5—6.

რივი წარმოდგენებისაკენ, ავტორის მიხედვით, ამ სფეროში შემოდიან მხოლოდ აზრობრივი და არა ბგერითი წარმოდგენების ელემენტები. მაგრამ საქმე ისაა, რომ აზრობრივი წარმოდგენის ელემენტები მეტწილად დაკავშირებულია ბგერითი წარმოდგენის ელემენტებთან. მაგ., სიტყვებში *пил, бил, дала* და მისთ. *π* უკავშირდება ნამყო დროის წარმოდგენას; *a* სიტყვებში *корова, вода* — სუბიექტის წარმოდგენას; *y* სიტყვაში *корову, воду* — ობიექტისას და ა. შ. სწორედ ამ კავშირის გამო ლებულობენ ბგერითი წარმოდგენების ელემენტები გარკვეულ დამოუკიდებლობას¹¹⁷.

ისევე როგორც ბოდუენი, შჩერბაც თვლის, რომ აკუსტიკურ და საწარმოთქმო წარმოდგენათა კავშირის საფუძველზე ჩვენ ყოველთვის „ვცდილობთ ფონემა ყველა მდგომარეობაში წარმოვთქვათ ერთნაირად“¹¹⁸. მაგრამ წარმოთქმა მაინც იცვლება კონკრეტული ფონეტიკური პირობების შედეგად (შჩერბას მიხედვით, იმის შედეგად, რასაც ბოდუენი უწოდებდა „მიზანსა და შესრულებას შორის შეუსაბამობას“)¹¹⁹. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ფონემა მეტყველებაში წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბგერებით, ანუ „ფონემის ელფერებით“, როგორც მათ ავტორი უწოდებს¹²⁰. მაგრამ ეს განსხვავებები არ იგრძნობა, რადგან არ უკავშირდება აზრობრივ წარმოდგენებს. სახელდობრ, „ჩვენ აღვიქვამთ როგორც იგივეობრივს ყველაფერს იმას, რაც აკუსტიკური თვალსაზრისით ნაკლებად მსგავსია, მაგრამ დაკავშირებულია ერთსა და იმავე აზრობრივ წარმოდგენასთან, ხოლო, მეორე მხრივ, განვასხვავებთ იმას, რასაც აქვს უნარი თავისთავად დაუკავშირდეს ახალ მნიშვნელობას (ხაზი ავტორისაა — ი. ქ.). სიტყვებში *дети* და *детки* ჩვენ აღვიქვამთ *t'*-ს და *t*-ს როგორც ორ განსხვავებულ ფონემას, რადგან სიტყვებში *одеть | одет, разуть | разут, тук | тюк* ისინი განასხვავებენ მნიშვნელობას, მაგრამ პირველი ხმოვნის განსხვავებულ ელფერებს ჩვენ აღვიქვამთ როგორც ერთ ფონემას, რადგან რუსულ ენაში ვერ ვიპოვით ვერც ერთ შემთხვევას, სადაც მნიშვნელობის დიფერენციაცია მხოლოდ ამ ორი ელფერით ხდებოდეს“¹²¹.

117 Л. В. Щерба, Русские гласные..., გვ. 7.

118 იქვე, გვ. 14.

119 იქვე, გვ. 2, 25—16.

120 იქვე, გვ. 19.

121 იქვე, გვ. 9 და შემდ. იხ. აგრეთვე Л. В. Щерба, Субъективный и объективный метод, გვ. 112.

ამგვარად, შჩერბას მიხედვით, ფონეტიკურ ერთეულებს, resp. ფონემებს შორის განსხვავება დაკავშირებულია მნიშვნელობასთან¹²², ელფერებს შორის განსხვავება კი სხვა ბგერების ფუნქციისა და არ არის დაკავშირებული მნიშვნელობასთან¹²³. ზემოთქმულის გათვალისწინებით ფონემა განისაზღვრება როგორც მოცემული ენის უმოკლესი ფონეტიკური წარმოდგენა, რომელსაც აქვს აზრობრივ წარმოდგენებთან ასოციაციისა და სიტყვათა დიფერენციაციის უნარი და შეიძლება გამოყოფილიქნეს მეტყველებაში სიტყვის ფონეტიკური შედგენილობის დაუმახინჯებლად¹²⁴.

ფონემა როგორც ანთროპოფონიკური წარმოდგენა, ზოგადი ტიპობრივი წარმოდგენაა¹²⁵, მაგრამ შჩერბასთან იგი არ არის „ზოგადი წარმოდგენა ლოგიკური აზრით, ე. ი. კერძობით წარმოდგენათა ჯგუფის განზოგადებული საერთო ნიშნები. იგი სრულიად კონკრეტული ბგერითი წარმოდგენაა“. თავის მრავალრიცხოვან ელფერთაგან ფონემა შეესაბამება იმ ელფერს (ან როგორც ავტორი ამბობს — ფონემები ის ელფერებია), რომელიც „ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული გარემოცვაზე“¹²⁶.

1. 114 ფონემისაგან, როგორც საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენისაგან განსხვავებით, ფონემაზე, მხოლოდ როგორც „აქუსტიკურ ხატზე“, ბგერის „პასიურ აღნაბეჭდზე“, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტური მოძღვრების მიხედვით¹²⁷.

¹²² ჩვეულებრივ გახაზავენ, რომ შჩერბასთან ფონემა სიტყვათა მნიშვნელობის განმასხვავებელი ერთეულია (იხ. მაგ., Л. В. Бондарко, О значении экспериментального исследования речи для фонологии, გვ. 234). მაგრამ, როგორც სამართლიანად იყო აღნიშნული, შჩერბასეული ფონემა, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობის მატარებელი ერთეულია და ფონემის მთლიან წარმოდგენად გამოცხადებაც სწორედ ამ ფუნქციისათანა დაკავშირებული. იხ. Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич, დასახ. ნაშრ., გვ. 69—70.

¹²³ Л. В. Щерба, Субъективный и объективный метод, გვ. 112.

¹²⁴ Л. В. Щерба, Русские гласные..., გვ. 14.

¹²⁵ იქვე, გვ. 9.

¹²⁶ იქვე, გვ. 12.

¹²⁷ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება სოსიურის მოძვრებაზე ბოდუენის ლინგვისტურ შეხედულებათა გავლენის შესახებ (იხ. Н. А. Слюсарева, Лингвистическая концепция Ф. де Соссюра, გვ. 9—10; А. А. Леонтьев, Бодуэн и французская лингвистика).

როგორც ცნობილია, სპეციალური ფონოლოგიური პრობლემები სოსიურს არ უკვლევია და არც სპეციალური ტერმინები ჰქონია სათანადო ცნებებისათვის, მაგრამ მის ზოგად თეორიაში ფონემის საკითხებს გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი¹²⁸. სახელდობრ, თუ, ერთი მხრივ, ლინგვისტურ ღირებულებათა შესწავლის გზით სოსიური მივიდა ფონემის როგორც წმინდა ფორმის გაგებამდე, მისი მოძღვრების განხილვა ცხადყოფს, რომ მეტყველების ფსიქოფიზიკური მექანიზმის შესწავლასთან დაკავშირებით ავტორისათვის უცხო არ ყოფილა არც ფონემის, როგორც ფსიქიკური ერთეულის, გაგებაც. სოსიურთან ეს თვალსაზრისები, მართალია, საკმაოდ დიფერენცირებული არ არის (შესაძლოა იმ სპეციფიკური პირობების გამო, რომელშიც მისი ცნობილი „კურსია“ შექმნილი), მაგრამ გარჩევა მიანიც ხერხდება და მისი აუცილებლობა სრულიად უდავოა¹²⁹.

თუ რას ემყარება ფონემის აღნიშნული გაგება, ამის გარკვევა შესაძლებელი ხდება სოსიურის მთლიანი თეორიის, განსაკუთრებით „ენისა“ და „მეტყველების“ დაპირისპირების საერთო ფონზე¹³⁰.

სოსიურის აზრით, ადამიანის „სამეტყველო მოქმედება (langage) მთლიანად აღებული მრავალფორმიანი და სხვადასხვა-

აქ არ ვეხებით ამ თეორიათა ურთიერთმიმართების საკითხებს. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ამ ავტორებს შორის საგრძნობი განსხვავებაა.

128 იმაზე, თუ რა როლი შეასრულა სოსიურმა უშუალოდ „ფონემის“ ცნების შემოტანაში, ერთნაირი აზრი არ არსებობს. სპეციალისტების დიდი ნაწილი აღიარებს რა მისი ზოგადლინგვისტური მოძღვრების საერთო მნიშვნელობას სტრუქტურული ფონოლოგიის შექმნისათვის, თვლის, რომ პრაქტიკულად ბგერითი ფაქტების შესწავლაში თვითონ სოსიური თითქმის არ გასცილება ტრადიციული ფონეტიკის ფარგლებს. მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ ფონემის თეორია და სათანადო ლეფინიციები, მართალია, სოსიურს არ ჰქონია, მაგრამ რიგი ფონოლოგიური ცნება (მათ შორის ფონემისაც) მასთან არსებითად უკვე მოცემული იყო.

129 ეს თვალსაზრისები გარჩეული არ ყოფილა არც ჩვენს აღრიხედელ სტატიაში (ი. ქობალაძე, ფონოლოგიის ისტორიიდან), სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ფონემაზე, როგორც ღირებულებათა სისტემის ელემენტზე.

130 ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ენა“ სოსიურთან გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელობით (იხ. L. Hjelmslev, Langue et parole, გვ. 32 და შემდ.), რასაც თავის მხრივ მივეყვართ ფონემის სხვადასხვა გაგებამდე. აქ ვეხებით მხოლოდ იმ ზოგად საფუძვლებს, რომლებიც არსებითაა ბგერითი ფაქტების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციისათვის.

ვეაროვანია (Hétéroclite)“. იგი ერთდროულად იჭრება ფიზიკის ფიზიოლოგიისა თუ ფსიქიკის სფეროებში და გულისხმობს როგორც მეტყველების ინდივიდუალურ მხარეს, ასევე სოციალურსაც. „მისი მიკუთვნება ერთი რომელიმე კატეგორიისადმი შეუძლებელია“. მაგრამ ამ ჰეტეროგენული ფენომენის შიგნით გამოიყოფა ერთვეაროვანი ნაწილი, რომელიც უკვე იძლევა კლასიფიკაციის საფუძველს და შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ნორმად სამეტყველო მოქმედების ყველა სხვა გამოვლენისათვის“. ეს არსებითი ნაწილი არის „ენა“ (langue)¹³¹.

მოცემულ ენობრივ კოლექტივში „ენა“ წარმოგვიდგება როგორც სამეტყველო მოქმედების სოციალური ნაწილი, მისი „პროდუქტი, პასიურად რეგისტრირებული ინდივიდის მიერ“, „გარეგანი“ ამ ინდივიდისათვის, რომელსაც არ შეუძლია არც მისი შექმნა და არც შეცვლა¹³². „ენა არის მეტყველების პრაქტიკით დალექილი საგანძური“, ეს არის „ტვინში პოტენციურად არსებული გრამატიკული სისტემა“¹³³, ლინგვისტურ ჩვევათა ერთიანობა, რომელიც საშუალებას აძლევს ცალკეულ ინდივიდებს გაუგონ ერთმანეთს¹³⁴, ისარგებლონ სამეტყველო უნარით¹³⁵.

„ენა არის ნიშანთა სისტემა“. „ენობრივი ნიშანი აერთიანებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ ხატს“. ამასთანავე, ორივე ეს ელემენტი თანაბრად ფსიქიკურია¹³⁶. ენა ფსიქიკური ფენომენია¹³⁷. იგი გვეძლევა ყოველ ინდივიდუალურ ტვინში არსებულ ანაბეჭდთა ერთიანობის ფორმით¹³⁸. „ჩვენ რომ შეგვძლებოდა თავი მოგვეყარა ცალკეულ ინდივიდებთან დაგროვილი ყველა სიტყვიერი ხატისათვის, მაშინ ჩვენ შევეხებოდით იმ სოციალურ კავშირს, რომელიც არის ენა“¹³⁹. სამეტყველო მოქმე-

¹³¹ F. de Saussure; Cours de linguistique générale. გვ. 25, 32, 36, 38.

¹³² იქვე, გვ. 25, 30—31.

¹³³ იქვე, გვ. 30. იხ. აგრეთვე გვ. 38, 44.

¹³⁴ იქვე, გვ. 112.

¹³⁵ იქვე, გვ. 25. იხ. აგრეთვე „კურსის“ ვარიანტები: R. Godel. Les sources manuscrites du Cours de linguistique générale de F. de Saussure. გვ. 66, 81.

¹³⁶ F. de Saussure, Cours..., გვ. 20, 32, 98—99, 144.

¹³⁷ იქვე, გვ. 21.

¹³⁸ იქვე, გვ. 38.

¹³⁹ იქვე, გვ. 30.

დებაში მისი ადგილი კარგად ჩანს სოსიურის შემდეგი სქემის მიხედვით:

„სამეტყველო წრებრუნვა“, რომელიც მიმდინარეობს მოლაპარაკესა და მსმენელს შორის, იწყება მოლაპარაკის ტვინში, სადაც ცნება (concept—c) უკავშირდება შესაბამის აკუსტიკურ ხატს (image acoustique—i). ეს არის წმინდა ფსიქიკური აქტი, რომელსაც თავის მხრივ მოჰყვება ფიზიოლოგიური პროცესი — საწარმოთქმო აპარატის ამოძრავება. მიღებული ბგერითი ტალღები აღწევს მსმენელის ყურამდე. ეს უკვე ფიზიკური პროცესია. მსმენელში მთელი ეს პროცედურა წარმართება შებრუნებული თანმიმდევრობით, ყურიდან ტვინისაკენ: აკუსტიკური ხატების ფიზიოლოგიური ტრანსმისია და ისევ ფსიქიკური აქტი — მათი დაკავშირება შესაბამის ცნებებთან¹⁴⁰. ამ წრებრუნვაში, სოსიურის მიხედვით, „აქტიურია ყველაფერი ის, რაც მიდის ერთი სუბიექტის მასოციაცირებელი ცენტრიდან მეორე სუბიექტის ყურამდე“, ფსიქიკური „ეგზეკუციური“ (საშემსრულებლო) ნაწილის (ე. ი. c→i) ჩათვლით; ხოლო „პასიურია ის, რაც მიიმართება ყურიდან ასოციაციის ცენტრისაკენ“, ფსიქიკური, „რეცეპტორული“ (ე. ი. i→c) ნაწილის ჩათვლით¹⁴¹. ენის როგორც სამეტყველო მოქმედების სოციალური პროდუქტის ლოკალიზება შეიძლება იქ, სადაც „აკუსტიკური ხატი უკავშირდება ცნებას“¹⁴² (ე. ი. იქ, სადაც გვაქვს ფსიქიკურის რეცეპტორული ნაწილი: i→c). ფსიქიკური ნაწილის აქტიური, ეგზეკუციური მხარე აქ არ შემოდის, „რადგან შესრულება არ ხდება სოციალური მასის მიერ, იგი ყოველთვის ინდივიდუალურია“. სამეტყველო მოქმედების ეს ნაწილი განეკუთვნება „მეტყველებას“¹⁴³.

„მეტყველება“ (parole) მთლიანად ინდივიდუალური აქტია, რომელშიც ავტორი განასხვავებს: „1. ინდივიდუალურ კომბინაციებს, რომლითაც მოლაპარაკე სუბიექტი იყენებს კოდს თავისი საკუთარი აზრების გამოსახატავად და 2. ფსიქო-ფიზიკურ მექანიზმს,

140 G. de Saussure, Cours. გვ. 27—28.

141 იქვე, გვ. 29.

142 იქვე, გვ. 30—31. იხ. აგრეთვე „კურსის“ ვარიანტები: R. Godel. Les sources manuscrites.... გვ. 82.

143 F. de Saussure, Cours.... გვ. 30.

რომელიც იძლევა ამ კომბინაციათა ობიექტივაციის (exterioriser) საშუალებას¹⁴⁴.

„ენისა“ და „მეტყველების“ განსხვავებით სოსიური განახლებებს „1. სოციალურს ინდივიდუალურისაგან და 2. არსებითს მეორეხარისხოვანი და მეტ-ნაკლებად შემთხვევითისაგან“¹⁴⁵. მაგრამ განსხვავება არ გამოირიცხავს მათ კავშირს. ისინი გარკვეულ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან და გულისხმობენ ერთმანეთს: „ენა აუცილებელია, რათა გასაგები იყოს მეტყველება“, მეტყველება კი „საჭიროა იმისათვის, რათა დადგინდეს ენა“¹⁴⁶. „ისტორიულად მეტყველების ფაქტი ყოველთვის წინ უსწრებს ენას“, „ენა ერთსა და იმავე დროს არის მეტყველების ინსტრუმენტიცა და მისი პროდუქტიც“¹⁴⁷.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ენასა და მეტყველებას შორის არსებული ეს დამოკიდებულება?

როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ. იელმსლევი, სოსიურთან „მეტყველების“ ცნებაც ისევე რთულია, როგორც ენის¹⁴⁸. ზემოთ მოცემული განმარტების თანახმად, ერთი მხრივ, მეტყველება გულისხმობს ინდივიდუალურ კომბინაციებს და დაკავშირებულ ჩანს სინტაგმატიკასთან¹⁴⁹. ეს სწორედ ის სფეროა, სადაც ინდივი-

¹⁴⁴ F. de Saussure, Cours..., გვ. 30—31, 38. იხ. აგრეთვე „კურსის“ ვარიანტები: R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 82, 85.

¹⁴⁵ F. de Saussure, Cours.... გვ. 30; ენისა და მეტყველების სხვაგვარი გაგებისათვის სოსიურთან იხ. R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 145—146.

¹⁴⁶ ა. სეშეს მიხედვით, სოსიურისეულ ენასა და მეტყველებას შორის დასაშვებია მხოლოდ ცალმხრივი დამოკიდებულება, რამდენადაც ენა მთლიანად ემყარება მეტყველებას, მეტყველება კი ენას არ ემყარება (A. Sechehaye, Les trois linguistiques saussuriennes). ამ მოსაზრებას იზიარებს ლ. იელმსლევიც, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული კერძო შემთხვევისათვის, როდესაც ენა გაგებულია როგორც ფსიქიკური სისტემა (რასაც იელმსლევი „მატერიალურ ფორმას“ უწოდებს). დაწერ. იხ. L. Hjelmslev, დასახ. ნაშრ., გვ. 32 და შემდ.

¹⁴⁷ F. de Saussure, Cours..., გვ. 37; იხ. აგრეთვე „კურსის“ ვარიანტები: R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 85, 145.

¹⁴⁸ L. Hjelmslev, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

¹⁴⁹ ამ საკითხზე იხ. R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 168 და შემდ.; მისივე: F. de Saussure's theory of language. გვ. 489 და შემდ.; R. S. Wells, De Saussure's system of linguistics, გვ. 15; A. Sechehaye, დასახ. ნაშრ., გვ. 18 და შემდ.; A. Гардинер, Различие между „речью“ и „языком“, გვ. 17 და შემდ.

დის სამეტყველო აქტივობა ვლინდება. მეორე მხრივ, იგი წარმოთქმის ინდივიდუალური აქტია, სადაც ინდივიდის აქტივობა მხოლოდ შესრულებამდეა დაყვანილი¹⁵⁰.

მეტყველების სხვადასხვა გაგების შესაბამისად სხვადასხვა ასპექტით უნდა წარმოვიდგინოთ ენისა და მეტყველების დამოკიდებულება¹⁵¹. პირველ შემთხვევაში გვაქვს დამოკიდებულება: საერთო ენობრივი კოდი — მისი ინდივიდუალური გამოყენება, მეორე შემთხვევაში კი — ინვარიანტული ფსიქიკური სისტემისა და მისი კონკრეტული ობიექტივაციის დამოკიდებულება: აკუსტიკური შთაბეჭდილებები — მათი ინდივიდუალური შესრულება¹⁵².

ფონემის გაგებისათვის სოსიურთან ამოსავალია ენისა და მეტყველების, როგორც პოტენციური ფსიქიკური სისტემისა და მისი ობიექტივაციის ანუ კონკრეტული რეალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება.


მეტყველების თვლასწრისით ბგერას ანუ, როგორც (ფრანგული საენათმეცნიერო ტრადიციების შესაბამისად) სოსიური უწოდებს, ფონემას სწავლობს ფონოლოგია¹⁵³. ფონოლოგიის მიზანია მოცემული ენის ფონოლოგიური სისტემის (მასში გამოყენებული ბგერათა ცხრილის) დადგენა¹⁵⁴.

ბგერა („ფონემა“) წარმოგვიდგება როგორც „ჯამი აკუსტიკური შთაბეჭდილებებისა და არტიკულაციური მოძრაობებისა, მოს-

150 სათანადო ადგილებისათვის იხ. F. de Saussure, Cours..., გვ. 31. 36. 38.

151 ენისა და მეტყველების ურთიერთობასთან დაკავშირებით ჩვენ აქ არ ვეხებით სინქრონიისა და დიაქრონიის მიმართების საკითხებს, რამდენადაც ფონემის ცნების გარკვევისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

152 ზემოთქმულის შესაბამისად, ენისა და მეტყველების დამოკიდებულება სოსიურთან ასე წარმოგვიდგება:



153 ტერმინ „ფონოლოგიას“ (phonologie) სოსიური იყენებს ბგერათფიზიოლოგიის აღსანიშნავად და უპირისპირებს მას საკუთრივ „ფონეტიკას“, როგორც ისტორიულ მეცნიერებას. იხ. Cours..., გვ. 55—56.

154 იქვე, გვ. 58.

მენილი ერთეულისა და წარმოქმნილი ერთეულისა, რომელთაგან ერთი აპირობებს მეორეს¹⁵⁵.

გაბმული სამეტყველო ჯაჭვიდან ბგერების გამოსაყოფად ავტორი მიმართავს „აკუსტიკურ მოცემულობას“, რომელიც ქვეცნობიერად უკვე არსებობს ჩვენს ფსიქიკაში, ვიდრე ფონოლოგიური ერთეულების ანალიზს დაიწყოვდეთ. „რამდენადაც ერთსა და იმავე ბგერას შეესაბამება ერთი და იგივე არტიკულაციური აქტი“, ამდენად აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა მიხედვით ყოველთვის შეგვიძლია დავადგინოთ არა მხოლოდ ბგერათა რიცხვი, არამედ ისიც, თუ რომელ ბგერასთან გვაქვს საქმე¹⁵⁶. მაგრამ რადგანაც, ავტორის აზრით, აკუსტიკური ჯაჭვი თავის საკუთარ რიგში მიუწვდომელია ანალიზისათვის, აღიწერება ბგერა („ფონემა“) მხოლოდ არტიკულაციური ნიშნებით¹⁵⁷. არტიკულაციური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მონაწილეობდნენ ბგერის წარმოქმნაში შემდეგია: ექსპირაცია, არტიკულაცია პირის ღრუში, სახმო სიმების ვიბრაცია და ცხვირისმიერი რეზონანსი. „მაგრამ კლასიფიკაციისათვის, ავტორის აზრით, საჭიროა ვიცოდეთ არა ის, თუ როგორ წარმოიქმნებიან ფონემები, არამედ, ის, თუ რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან“. ამის საფუძველზე ავტორი გამოყოფს ბგერის („ფონემის“) დიფერენციულ ნიშნებს. გამოდის, რომ ბგერის შექმნაში მონაწილე ფაქტორები (გარდა ექსპირაციისა, რომელსაც თვით ავტორი გამორიცხავს როგორც უცვლელს) შეიძლება განვიხილოთ ამავე დროს როგორც ფონემის დიფერენციული ელემენტები¹⁵⁸. ეს ის ნიშნებია „რომელთაც აღიქვამს სმენა და შეუძლიათ მოგვევლინონ აკუსტიკური ერთეულების გამმიჯვნელად სამეტყველო ჯაჭვში“¹⁵⁹.

რამდენადაც ბგერის დიფერენციული ნიშნები განისაზღვრება სისტემის სხვა წევრების გათვალისწინებით, ამდენად მოულოდნელი არ არის, როცა ასეთ ნიშნებად ავტორს უარყოფითი ფაქტორებიც შემოაქვს. მაგ., არანაზალიზაცია დიფერენციული გამოდის ენებში, სადაც იგი ნაზალიზაციისაგან განსხვავებით ახასიათებს ზოგ ბგერას¹⁶⁰.

¹⁵⁵ F. de Saussure, Cours..., გვ. 65.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 199, 63—65.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 65.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 68—69, იხ. აგრეთვე „კურსის“ ვარიანტები: R. Godel, Les sources manuscrites..., გვ. 54.

¹⁵⁹ F. de Saussure, Cours..., გვ. 66, 83; იხ. აგრეთვე გვ. 302—303.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 69.

ამგვარად, ენაში გამოყენებული ბგერები ერთიანდებიან სისტემაში, რომლის წევრები მკვეთრად დიფერენცირებული ბგერებია¹⁶¹. ბგერა („ფონემა“), სწორედ როგორც ფონოლოგიური სისტემის წევრი, არის ის ოდენობა, რომელსაც სოსიური უწოდებს „ფონოლოგიურ ტიპს“ (espèce phonologique) ანუ „აბსტრაქტულ ფონოლოგიურ ერთეულს“¹⁶². „ფონოლოგიის დიდი შეცდომა იყო ამ აბსტრაქციების მიჩნევა რეალურად არსებულ ერთეულებადო“, — აცხადებს ავტორი. აბსტრაქციებზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ „როგორც ზოოლოგიურ სახეზე: არსებობენ მდებარებითი და მამრობითი სქესის ინდივიდები, მაგრამ არ არსებობს სახის იდეალური ეგზემპლარი“¹⁶³.

ბგერები, როგორც მეტყველების რეალური ელემენტები, არსებობენ მხოლოდ წარმოთქმის კონკრეტული მომენტების სახით. მათი განხილვა, სოსიურის აზრით, შეუძლებელია იმ ადგილისა და დროის გათვალისწინების გარეშე, რომელიც უკავია თითოეულ „ფონემას“ სამეტყველო ჯაჭვში¹⁶⁴. აქ ყოველთვის მოსალოდნელია განზრახულ და მიღებულ ეფექტს შორის დაშორების შესაძლებლობა: მუდამ ჩვენ სურვილზე არ არის დამოკიდებული იმის წარმოთქმა, რაც გვინდა. ფონოლოგიური ტიპების დაკავშირების თავისუფლება შეზღუდულია არტიკულაციურ მოძრაობათა დაკავშირების შესაძლებლობებით. სხვანაირად, ერთი „ფონემის“ ვარიაციები განპირობებულია მეორე „ფონემის“ ვარიაციებით¹⁶⁵.

ისმის საკითხი, თუ რა მიმართებაა ფონოლოგიურ ტიპებსა და კონკრეტულ ბგერებს შორის, როგორ დგინდება ფონოლოგიური ტიპი.

სოსიურის მიხედვით გამოდის, რომ ბგერები ფონოლოგიური ტიპების რეალიზაციაა სამეტყველო ჯაჭვში: ერთი და იგივე ტიპი სხვადასხვა ბგერით. პოზიციაში წარმოდგენილია ფიზიკურად მეტ-ნაკლებად განსხვავებული ბგერებით. ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე ბგერა ერთიანდება ერთ ფონოლოგიურ ტიპში. რას წარმოადგენს ეს ფონოლოგიური ტიპი? ავტორის თვალსაზრისი ერთი შეხედვით თითქოს გარკვეულია: მოცემული ტიპი მიღებული

161 F. de Saussure, Cours..., გვ. 58, 303.

162 იქვე, გვ. 66, 78, 82.

163 იქვე, გვ. 82.

164 იქვე, გვ. 65—66, 72.

165 იქვე, გვ. 78—79.

უნდა იყოს სხვადასხვა პოზიციაში წარმოდგენილი ფიზიკურად რამდენადმე განსხვავებული კონკრეტული ბგერების აბსტრაქციით და უნდა შეიცავდეს მათ საერთო ნიშნებს¹⁶⁶. მაგრამ მაშინ გაუგებარი ხდება, თუ რა საფუძველი ჰქონდა ავტორს იმისათვის, რომ მოცემული ენის სისტემაში ფონოლოგიურ ტიპებად მიეჩნია მქლერი ლატერალები, მქლერი ნაზალები და ა. შ. პარალელურად ყრუ ვარიანტების არსებობის პირობებში¹⁶⁷ და არა უბრალოდ ლატერალები, ნაზალები და ა. შ. მქლერობა-სიყრუეზე მითითების გარეშე? ახსნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ფონოლოგიური ტიპის დადგენისას სოსიურისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაინც გარკვეულ რეალიზაციას, სახელდობრ იმას, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული გარემოცვაზე (და ე. ი. ყველაზე ტიპობრივია მოცემული „ფონემის“ თვალსაზრისით). ეს გამომდინარეობს სოსიურის იმ მოსაზრებიდან, რომ კომბინატორულად („დროში თანმიმდევრობით“) განპირობებული, აკუსტიკურად ინდიფერენტული ნიუანსები მხედველობაში არ მიიღება¹⁶⁸: სმენა მათ ვერ აღიქვამს და მათ შორის განსხვავებაც არ არის დიფერენციული¹⁶⁹. ამიტომ არის, რომ ფო-

166 F. de Saussure. Cours..., გვ. 82.

167 იქვე, გვ. 72, 74.

168 ამ კონტექსტში არათანმიმდევრული ჩანს ავტორის მსჯელობა, როცა ბერძნ. „κλαπα“ და „κοπια“ (k-ს ორი გრაფიკული გამოსახულების) გაჩენას ხსნის k-ს წარმოთქმის ორი განსხვავებული ნიუანსის არსებობით. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 64—65. შნშ. I.

169 აღსანიშნავია, რომ, როდესაც მსჯელობენ სოსიურთან ფიზიოლოგიური ერთეულისაგან (ბგერისაგან) პრინციპულად განსხვავებული ელემენტის არსებობაზე, ზოგჯერ მხედველობაში აქვთ სწორედ „ფონოლოგიური ტიპი“, როგორც დიფერენციულ ნიშანთა ერთიანობა და მიუთითებენ იმ დიდ მსგავსებაზე, რომელიც შეინიშნება ამ ტიპსა და ტრუბეცკოისეულ ფონემას შორის (იხ. B. Malmberg, Ferdinand de Saussure et la phonétique moderne, გვ. 10—11, 22—23). მსგავსება მათ შორის არის, მაგრამ მხოლოდ გარეგნული. უფრო არსებითია განსხვავება, რომლის გამოც ეს ორი ერთეული კვლევის განსხვავებულ დონეებს გულისხმობს. სოსიურისეული ფონოლოგიური ტიპის დახასიათებას „დიფერენციული ნიშნების“ მიხედვით არაფერი აქვს საერთო დიფერენციულობასთან „ღირებულების“ თვალსაზრისით (დაწვრ. იხ. ქვემოთ), როგორც ამას უშვებს მალმბერგი (იხ. აგრეთვე P. Шор. Примечания... გვ. 325). ფონემის „დიფერენციული ნიშნები“ (მათ შორის უარყოფითებიც) მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკურ ფაქტორებს გულისხმობენ და მის სუბსტანციურ დახასიათებას ემსახურებიან.

ნოლოგიური ტიპების რიცხვი ყველა ენაში მკაცრად შეზღუდულია¹⁷⁰.

ამგვარად, ფონოლოგიური ტიპი დგინდება წმინდა აკუსტიკური ეფექტის მიხედვით: აკუსტიკური შთაბეჭდილება გამოცხადებულია იდენტიფიკაციის ერთადერთ საშუალებად¹⁷¹. ამით კი ფონოლოგიურ ტიპსა და კონკრეტულ ბგერას შორის განსხვავება გარკვეული აზრით მოხსნილია: ფონოლოგიური ტიპი არ არის ბგერათა საერთო ნიშნების აბსტრაქცია, იგი ფონეტიკურად ემთხვევა კონკრეტულ რეალიზაციას და თავსდება „მეტყველების“ (საერთოდ კლასიკური ფონეტიკის) ფარგლებში¹⁷².

სოსიურის თეორია საშუალებას გვაძლევს ფონემა განვიხილოთ აგრეთვე როგორც „ენის“ ელემენტი. „ენისა“ და „მეტყველების“ ურთიერთდამოკიდებულებისა და „ენის“ შესახებ იმ

¹⁷⁰ F. de Saussure. Cours... გვ. 58.

¹⁷¹ სოსიური, მართალია, თეორიულად ახლოს მივიდა დისტინქციის გაგებასთან, მაგრამ ფონემების დადგენისას კომუტაციურ ტესტს არ მიმართავს და, ნაკლებ საფიქრებელია, რომ ამ თვალსაზრისით გამომცემლებს რაიმე შეეცუალოთ (შდრ. B. Malmberg, დასახ. ნაშრ., გვ. 14; მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქციისათვის სოსიურთან იხ. აგრეთვე G. Mounin. Saussure, გვ. 73; K. Rogger, Kritischer Versuch über de Saussure's Cours général, გვ. 207). ყოველ შემთხვევაში, ენის, როგორც ფსიქიკური სისტემის, იმგვარი გაგების საფუძველზე, როგორც ეს სოსიურთან გვაქვს, კომუტაციურ პროცედურაზე მსჯელობა არც არის მოსალოდნელი. ფონემის როლი ენობრივ სისტემაში სულ სხვა ასპექტით არის განხილული (იხ. Cours..., გვ. 180), ხოლო იქ, სადაც ავტორი საკმაოდ აშკარად ლაპარაკობს ფონემათა განმასხვავებელ როლზე, ლაპარაკობს მასზე როგორც შემთხვევით შესაძლებლობაზე (იხ. იქვე).

¹⁷² ამ თვალსაზრისით ექვს შეიძლება იწვევდეს შემდეგი გარემოება. როგორც აღნიშნული იყო, ფონოლოგიური ტიპი, რომელსაც ადგენს და სწავლობს „ფონოლოგია“, უკვე გულისხმობს სისტემას. ფაქტობრივად კი ბგერათფიზიოლოგიას თავისი საკუთარი საზღვრებიდან გაუსვლელად არ შეუძლია სისტემის დადგენა: სისტემა „ენის“ კუთვნილებაა (იხ. ზემოთ) და „ფონემა“ (ფონოლოგიური ტიპი) უნდა დადგინდეს მხოლოდ „ენის“ საფუძველზე. ასე რომ, ფონოლოგიური ტიპი ამ თვალსაზრისით არის „mixture of phonetics and phonemics“. როგორც სამართლიანად აღნიშნავს, რ. უელზი (დასახ. ნაშრ., გვ. 5; იხ. აგრეთვე R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 163 და შემდ.). მაგრამ ასეთია კლასიკური ფონეტიკის ერთეულიც (იხ. აგრეთვე R. S. Wells, დასახ. ნაშრ., გვ. 4—5) და მოცემულ შემთხვევაში წინააღმდეგობა ფონემური სისტემის დადგენის პრინციპში არ ეხება ფონოლოგიური ტიპების კვალიფიკაციას. „ფონემის“, resp. ფონოლოგიური ტიპის, აღწერა მთლიანად „ფონოლოგიის“ სფეროს განეკუთვნება. ამ აზრით არის ფონოლოგიური ტიპი ბგერათფიზიოლოგიის ობიექტი და თავსდება სოსიურისეული მეტყველების ფარგლებში.

კოდნის საფუძველზე, რომელსაც ავტორი გვაწვდის, შეიძლება დავასკვნათ:

რამდენადაც „ენა“ ფსიქიკური მოვლენაა, ნამდვილი ლინგვისტური ღირებულება შეიძლება ჰქონდეს არა ბგერებს, როგორც „მეტყველების“ ფაქტებს, არამედ მათ შესაბამის წარმოდგენებს. სწორედ ასეთი წარმოდგენაა ცნებასთან ერთად ენობრივ ნიშანს რომ ქმნის. ნიშნის ბგერითი, მატერიალური კომპონენტი („აღმნიშვნელი“ სოსიურის ტერმინით)¹⁷³ გვევლინება როგორც აკუსტიკური ხატი (image acoustique), ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდი (empreinte psychique), მისი რეპრეზენტაცია, მიღებული უშუალოდ ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებით. მაგრამ, თუკი ავტორი მასზე მაინც ლაპარაკობს, როგორც „მატერიალურზე“, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სენსორული ხატია და უპირისპირდება ნიშნის მეორე წევრს — ცნებას, რომელიც საერთოდ უფრო აბსტრაქტულია¹⁷⁴.

სოსიური ამ თვალსაზრისით იზოლირებულ ფონემებზე სპეციალურად არ შეჩერებულა, მაგრამ, რამდენადაც ყოველი აკუსტიკური ხატი შედგება ფონემებისაგან¹⁷⁵, ჩვენ უფლება გვაქვს ყველაფერი ზემოთქმული გავავრცელოთ მათზეც. ასე განხილული ფონემა უკვე გვევლინება არა წარმოთქმის ელემენტად, შინაგანი ხატის რეალიზაციად მეტყველებაში, არამედ „აკუსტიკურ შთაბეჭდილებად“, რომელზედაც სოსიური თავის დროზე ლინგვისტიკაში გაბატონებულ ფსიქოლოგიურ მოსაზრებათა შესაბამისად მსჯელობს როგორც ქვეცნობიერ¹⁷⁶, ლატენტურ ხატზე¹⁷⁷. ამიტომაც ამჯობინებს ავტორი, რომ „ენაში“ ილაპარაკოს „ბგერებზე“ და არა „ფონემებზე“, რადგან ეს უკანასკნელები მისთვის დაკავშირებულია უშუალოდ წარმოთქმის აქტთან¹⁷⁸ (თუმცა ამ ტერმინოლოგიურ განსხვავებას თვითონაც არ იცავს).

ამგვარად, ბგერა-შთაბეჭდილება უნდა გავიგოთ, როგორც ბგერის (resp. ფონემის, უფრო ზუსტად, ფონოლოგიური ტიპის)

¹⁷³ F. de Saussure. Cours.... გვ. 99.

¹⁷⁴ იქვე, გვ. 98.

¹⁷⁵ იქვე, 32.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 63.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 28.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 63

ფსიქიკური ეკვივალენტი, ბგერის მუდმივად არსებული ხატი¹⁷⁹. როგორც აღნიშნული იყო, იგი „აკუსტიკური შთაბეჭდილება“, რომლის მიხედვითაც ხდება მომენტობრივ აკუსტიკურ შეგრძნებათა და ამით საბოლოოდ მეტყველების ერთეულთა იდენტიფიკაცია.

ასეთი ინტერპრეტაცია სავსებით ეგუება ენის, როგორც „სოციალური პროდუქტის“, „პასიურად რეგისტრირებული“, „მეტყველების პრაქტიკით დაღეჭილი“ სისტემის გაგებას¹⁸⁰. აღნიშნული წარმოდგენა, როგორც ენობრივი ურთიერთობის ელემენტი, რომელსაც ემყარება ახალი საწარმოთქმო აქტი¹⁸¹, დაკავშირებული უნდა იყოს სათანადო მოტორულ წარმოდგენებთანაც. სოსიური კიდევაც ლაპარაკობს აკუსტიკური ხატების შესაბამისი მოტორული ხატების არსებობაზე¹⁸², მაგრამ რამდენადაც ავტორს შესრულების (ე. ი. ინდივიდუალური) მხარე არ აინტერესებს, მასზე სპეციალურად არც ჩერდება. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ფონემა, თუნდაც მხოლოდ ბგერის აკუსტიკური ნაწილის ეკვივალენტი, მაინც ფსიქიკური ერთეულია, რომელიც არ უნდა აირიოს მის სამეტყველო რეალიზაციაში.

1. 115 თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკისა და პერცეფციული ფონეტიკის პრობლემათა თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება ფონემის მენტალისტური თეორია, რომელსაც ავითარებდა ცნობილი ამერიკელი ენათმეცნიერი ე. სეპირი¹⁸³. ზემოგანხილული მენტალისტური თეორიებისაგან განსხვავებით სეპირს ფონემა აინტერესებს არა იმდენად წარმოთქმულ და მოსმენილ ბგერებთან, მათ ფონეტიკურ ტიპთან მიმართებით, რამდენადაც, პირველ ყოვლისა, როგორც ფუნქციონალური სისტემის ერთეული. ავტორს მთელი ყურადღება გადააქვს ფსიქიკუ-

179 სოსიურთან ბგერათა ფსიქიკური ეკვივალენტებისათვის იხ. აგრეთვე P. Шор, დასახ. ნაშრ., გვ. 214; R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 166; G. Monin, დასახ. ნაშრ., გვ. 69 და შემდ.

180 იხ. აგრეთვე „კურსის“ გამომცემელთა შენიშვნა: F. de Saussure. Cours..., გვ. 62.

181 იქვე, გვ. 29.

182 იქვე, გვ. 28.

183 ე. სეპირის ზოგადლინგვისტური შეხედულებებისათვის იხ. А. Сухотин, Едуард Сепир и его место в лингвистике; М. М. Гухман, Э. Сепир и «этнографическая лингвистика»; В. А. Звегинцев, Теоретико-лингвистические предпосылки гипотезы Сепира-Уорфа.

რი ფონემური მოდელის ორგანიზაციასა და შინაგანი კონფიგურაციის, მისი ფუნქციონირების შესწავლაზე. იგი ცდლობს დაადგინოს ის ფსიქო-სიგნიფიკური მექანიზმი, რომელსაც ემყარება ენის მატარებელთა ფონემური ინტუიცია და აკეთებს ამას გაცილებით უფრო ფართო ფუნქციონალურ კონტექსტში, ვიდრე ბოდუენი და შჩერბა.

ენა, სეპირის მიხედვით, სოციალური წარმონაქმნია. „მეტყველება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში, — წერს ავტორი, — რომ ჩვენ იშვიათად ვცდილობთ მის განსაზღვრას. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს იგი ისევე დამახასიათებელია ადამიანისათვის, როგორც სიარული და ოდნავ ნაკლებად ვიდრე სუნთქვა. ...სინამდვილეში მეტყველების ათვისების პროცესი სრულიად განსხვავებულია სიარულის შესწავლის პროცესისაგან. ...სიარული არის ადამიანის თანდაყოლილი, ბიოლოგიური ფუნქცია“¹⁸⁴. „ენა არაინსტიქტური, შექმნილი, „კულტურული“ ფუნქციაა“¹⁸⁵. იგი „ხელოვნებაა“¹⁸⁶, „კოლექტივის ისტორიული მემკვიდრეობაა, ხანგრძლივი სოციალური გამოყენების პროდუქტია“¹⁸⁷.

ენის, როგორც სოციალური წარმონაქმნის, ფაქტები არ დაიყვანება მხოლოდ ბგერათა გარკვეული თანმიმდევრობებისგან მიღებულ აკუსტიკურ ეფექტამდე. „ტვინში ლოკალიზებული სამეტყველო ბგერა, თუნდაც დაკავშირებული სამეტყველო ორგანოთა სპეციფიკურ მოძრაობებთან“, არ არის ენის ელემენტი. საჭიროა, რომ იგი ამავე დროს დაკავშირებული იყოს „ცდის ელემენტებთან“, რომლებიც ქმნიან ენობრივი ერთეულების შინაარსს ანუ „მნიშვნელობას“. „სმენითი, მოტორული და მისთ. პროცესები, რომლებიც საფუძვლად ედება წარმოთქმისა და მოსმენის აქტებს, სხვა არაფერია თუ არა ამ „მნიშვნელობათა“ რთული სიმბოლოები“¹⁸⁸.

¹⁸⁴ დაწერ. იხ. Э. Сепир, Язык, გვ. 5.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 6. იხ. აგრეთვე გვ. 9; E. Sapir, Language, გვ. 2—3, 35, 40.

¹⁸⁶ Э. Сепир, Язык, გვ. 3, 172.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 6. ენის სოციალურობისათვის იხ. აგრეთვე E. Sapir, The status of linguistics as a science, გვ. 76; მისივე: Language, გვ. 15—17.

¹⁸⁸ Э. Сепир, Язык, გვ. 10—11.

ამგვარად, ყოველი ენა, სეპირის მიხედვით, წარმოგვიდგება როგორც სიმბოლური სისტემა¹⁸⁹. შესაბამისად, „ენის ელემენტები სიმბოლოებია, რომლებიც ახდენენ ცდის ელემენტთა ფიქსირებას“¹⁹⁰. ამასთანავე, „ენა აზრებისა და გრძნობების გამომხატველ ფონეტიკურ სიმბოლოთა სისტემაა“¹⁹¹. მაგრამ „ის სიმსუბუქე, რომლითაც სამეტყველო სიმბოლიკა შეიძლება გადატანილ იქნეს ალქმის ერთი ფორმიდან მეორეზე, ტექნიკიდან ტექნიკაზე“, ავტორს საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ „სამეტყველო ბგერები არ წარმოადგენენ ენის ძირითად ფაქტს“¹⁹². ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს სეპირისათვის ბგერითი სიმბოლოები მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა იყოს¹⁹³. პირიქით, იგი კატეგორიულად განხაზავს, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე „ბგერითი ენა დომინირებდა საკომუნიკაციო სიმბოლიზმის ყველა სახეზე“¹⁹⁴ და რომ „ენის არც წმინდა გარეგანი ფორმა, არც მისი ისტორიული განვითარება არ შეიძლება გაგებულ იქნეს მთელი სისრულით იმ ბგერების განხილვის გარეშე, რომლებშიც ეს ფორმა და ისტორიაა განსახიერებული“¹⁹⁵.

საზოგადოებაში ენა არსებობს როგორც „ადამიანის ფსიქიკურ ანუ „სულიერ“ კონსტიტუციაში გაფორმებული ფუნქციონალური სისტემა“¹⁹⁶. ამიტომაც მიაჩნია ავტორს შეუძლებლად, რომ ენის არსი განისაზღვროს მხოლოდ ფსიქოფიზიკური ტერმინებით,

¹⁸⁹ E. Sapir, Language, გვ. 6. ენის ფორმალურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესახებ დაწერ. იხ. იქვე, გვ. 1—12.

¹⁹⁰ Э. Сепир, язык, გვ. 12; E. Sapir, The status of linguistics..., გვ. 72—73.

¹⁹¹ E. Sapir, Language, გვ. 1. იხ. აგრეთვე Э. Сепир, Язык, გვ. 6 და შემდ. ენისა და აზროვნების ურთიერთობისათვის დაწერ. იხ. იქვე, გვ. 12—15; E. Sapir, Language, გვ. 13; მისივე: The status of linguistics..., გვ. 69.

¹⁹² Э. Сепир, Язык, გვ. 16—18.

¹⁹³ შდრ. М. М. Гухман, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

¹⁹⁴ E. Sapir, Language, გვ. 2. იხ. აგრეთვე გვ. 11.

¹⁹⁵ Э. Сепир, Язык, გვ. 34.

¹⁹⁶ ავტორის აზრით, „ძნელია ზუსტად განისაზღვროს ენის ფუნქციები, რადგანაც იგი იმდენად ღრმად არის განფენილი მთელ ადამიანურ ქცევაში, რომ ჩვენი ცნობიერი მოქმედების ფუნქციონალურ მხარეში ცოტა რამ რჩება ისეთი, რომელშიც არ მონაწილეობდეს ენა“. არსებით ფუნქციებს ენა ასრულებს „აზროვნების, ურთიერთობის, გამოხატვის სფეროებში“. დაწერ. იხ. E. Sapir, Language, გვ. 15 და შემდ.

თუმცა ფსიქოფიზიკური საფუძველი მეტად მნიშვნელოვანია „ცალკეულ ინდივიდებთან ენის ფუნქციონირებისათვის“¹⁹⁷. ენის არსი, ავტორის აზრით, მდგომარეობს „უფრო კლასიფიკაციაში, ფორმალურ მოდელირებაში, ცნებათა დაკავშირებაში“. ენა არის „სტრუქტურა, თავისი შინაგანი ბუნებით აზრის ფორმა“¹⁹⁸.

ენობრივი სტრუქტურა „ქვეცნობიერი და არარაციონალურია“¹⁹⁹. ავტორის მიხედვით, რეალურად იგი არსებობს მოლაპარაკისა და მსმენელის ფსიქიკაში მოქმედი ენობრივი მოდელების (patterns) სახით და საფუძვლად ედება ინდივიდის მეტყველებას. მაგრამ ინდივიდუალური მეტყველების არსებობა ხელს არ უშლის ცალკეული ენისა თუ დიალექტის, როგორც მთელის, განხილვას. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა პირთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებები, როგორცია სიტყვების შერჩევა, წინადადებათა სტრუქტურა, ცალკეულ ფორმათა ან სიტყვათშეხამებათა გამოყენების სიხშირე, ცალკეული ხმოვნებისა და თანხმოვნების, მათი ჯგუფების წარმოთქმა, მეტყველების ტემპი, აქცენტუაცია, ინტონაცია და ა. შ. საკუთრივ ინდივიდუალურ თავისებურებებად არის მიჩნეული²⁰⁰ (ავტორის აზრით, ისინი არც წარმოადგენენ ენის ფაქტებს)²⁰¹. მეტყველების ინდივიდუალურ განსხვავებებს „ფარავს ანუ შთანთქავს მათ შორის არსებული უფრო ზოგადი მსგავსება“, რომელიც ვლინდება ხოლმე ინდივიდების მთელი ჯგუფის ენათა შედარებისას ინდივიდთა სხვა ჯგუფის ენებთან²⁰². სწორედ ეს გარემოება აძლევს ავტორს შესაძლებლობას მოახდინოს საერთო ენის თვალსაზრისით არა-არსებითი ინდივიდუალური თავისებურებებისგან აბსტრაქირება და ილაპარაკოს ცალკეული ენებისათვის დამახასიათებელ მოდელებზე²⁰³, რომელთა რეალური მატარებლები კონკრეტული ინდივიდებია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სეპირისეული „ენობრივი მოდელის“ სახით საქმე გვაქვს ინდივიდებისათვის „საერთო მოდელთან“ (common pattern)²⁰⁴. ეს მოდელი საბოლოო ჯამში ინ-

197 Э. Сепир, Язык, гл. 10.

198 იქვე, გვ. 18.

199 იქვე, გვ. 3.

200 იქვე, გვ. 116. იხ. აგრეთვე E. Sapir, Language, გვ. 19.

201 Э. Сепир, Язык, гл. 37, შნშ. 1.

202 იქვე, გვ. 116.

203 იქვე, გვ. 44.

204 დაწვრ. იხ. E. Sapir, Sound patterns in language, გვ. 20—21.

დივიდთა ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შედეგადაა მიღებული და, თავის მხრივ, აკონტროლებს ინდივიდის სამეტყველო მოქმედებას. სწორედ ეს აზრი უნდა დავინახოთ ავტორის მსჯელობაში „იდეალურ ენობრივ არსზე“. აღნიშნული არსი „ბატონობს მოცემული ენობრივი ჯგუფის ყველა წევრის სამეტყველო ჩვევებზე“. ასე რომ, უსაზღვრო თავისუფლების ის გარძნობა, რომელიც აქვს ინდივიდს მშობლიურ ენაზე მეტყველებისას, იზღუდება მარეგულირებელი ნორმით. ინდივიდუალური განსხვავებები ვერ აღწევს დიალექტური ცვლილებების დონეს²⁰⁵, რადგან „კორექტირდება ან ქრება ჩვევის ერთიანობით“²⁰⁶.

ენის ასეთ მოდელს ქმნის, სეპირის მიხედვით, ფონეტიკური (resp. ფონემური — ი. ქ.) სისტემა²⁰⁷. ავტორი ემყარება იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ ობიექტურად არსებულ განსხვავებულ ბგერათა რიცხვი ყოველ ენაში საგრძნობლად აღემატება იმ ბგერათა რიცხვს, რომელსაც ჩვეულებრივ მოცემულ ენაზე მოლაპარაკეები აღიქვამენ. აქედან კეთდება მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ „მოცემული ენისათვის დამახასიათებელ წმინდა ობიექტურ ბგერით სისტემას, რომელიც ვლინდება მხოლოდ გულდასმითი ფონეტიკური ანალიზის შედეგად, უკან უდგას „შინაგანი“ ანუ „იდეალური“ ბგერითი სისტემა. როგორც სისტემა იგი ალბათ ნაკლებად გააზრებულთა მოლაპარაკის მიერ, მაგრამ მაინც შეიძლება რამდენადმე ცხადად წარმოვუდგინოთ მის ცნობიერებას მზა მოდელის, მოქმედი ფსიქოლოგიური მექანიზმის სახით“. ავტორის აზრით, სწორედ ეს „შინაგანი ბგერითი სისტემა“ გვევლინება „რეალურ და უარსებითეს საწყისად ენის ცხოვრებაში“²⁰⁸. ეს სისტემაც კონცეპტუალური სისტემის მსგავსად მიისწრაფვის ფორმისაქენ²⁰⁹. მაგრამ მოდელი არ არის „ფონეტიკური შინაარსისაგან“ დაცლილი აბსტრაქტული სისტემა (როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა ავტორის ზოგიერთი გამონათქვამის საფუძ-

²⁰⁵ ენის ცვალებადობაში ინდივიდუალური თავისებურებების როლზე იხ.

Э. Сепир, Язык, გვ. 122, 146.

²⁰⁶ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 116—117.

²⁰⁷ როგორც საკუთრივ ფონოლოგიური, ისე შესაბამისი ფიზიკური რეალობის ფაქტებისათვის სეპირის აღრინდელ ნაშრომებში გამოყენებულია ტერმინები „ბგერა“, „ფონეტიკური“ და ა. შ. ტერმინები „ფონემა“, „ფონემური“ და მისთ. ავტორს შემოაქვს შედარებით გვიან.

²⁰⁸ Э. Сепир, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

²⁰⁹ იქვე.

ველზე²¹⁰. კონკრეტულ ენაში იგი ფუნქციონირებს ამავე დროს როგორც მოცემულ ენობრივ წარმოთქმასა და მოსმენასთან დაკავშირებული სოციალური ნორმა, რომელიც არეგულირებს და აკონტროლებს ენის ერთიანობას ვარიანტული მოდიფიკაციების დონეზე.

ფონემურ მოდელირებაში (patterning) სეპირი გამოყოფს ორ ასპექტს. პირველი ასპექტი გულისხმობს მეტყველებაში გამოყენებულ ბგერათა სისტემის დადგენას ენის საერთო ფუნქციონირების ფონზე. როგორც ავტორი ფიქრობს, „სამეტყველო ბგერები ქმნიან ჩაკეტილ სისტემას, რაც შეუძლებელს ხდის მათ იდენტიფიცირებას სამეტყველო ორგანოთა მიერ წარმოქმნილ არალინგვისტურ ბგერებთან, როგორც დიდი არტიკულაციური და აკუსტიკური მსგავსებაც უნდა იყოს მათ შორის“. ამ ორი რიგის ბგერათა შედარების საფუძველზე ავტორი მიდის შემდეგ დასკვნებამდე:

1. თუ, მაგ., სანთლის ჩასაქრობად გამოყენებული wh ბგერა „პირდაპირ ფუნქციონალური აქტია“, იდენტური სამეტყველო ბგერის (wh) არტიკულაციას არა აქვს „პირდაპირი ფუნქციონალური ღირებულება“. სამეტყველო ბგერა მხოლოდ შემაკავშირებელი რგოლია სიმბოლოთა კონსტრუქციაში, რომლებიც თავის მხრივ სიმბოლურ ფუნქციას ღებულობენ გარკვეულ ლინგვისტურ კონტექსტში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „პირველი არის პრაქტიკა, მეორე — ხელოვნება“.

2. სანთლის ჩაქრობის თითოეული აქტი ფუნქციონალურად ეკვივალენტურია ყოველი სხვა ასეთი აქტისა. სამეტყველო ბგერას არ ახასიათებს ასეთი შეზღუდულობა. იგი წარმოადგენს შემადგენელ ელემენტს (counter) ფუნქციონალურ სიმბოლოთა

²¹⁰ ავტორის აზრით, ელემენტთა რიცხვი, მათი მიმართებები და ფუნქციონირება მოდელს რომ გარკვეულ მდგრადობას ანიჭებს, რის გამოც „იგი შეიძლება დარჩეს დიდხანს მისი ფონეტიკური შინაარსის შეცვლის შემდეგაც“ (Э. Сепир., დასახ. ნაშრ., გვ. 44). ან კიდევ, აღნიშნულ თავისებურებათა ზაფუძველზე ორ ენას „შეიძლება ჰქონდეს იდენტური ბგერები, მაგრამ სრულიად უნსხვავებელი მოდელები, ან არტიკულაციური და აკუსტიკური თვალსაზრისით სრულიად შეუთავსებელი ფონეტიკური სისტემები, მაგრამ იდენტური ან მსგავსი მოდელები“ (იხ. E. Sapir. Sound patterns..., გვ. 21). მაგრამ როგორც ავტორის სათანადო მსჯელობიდან ჩანს (დასახ. ნაშრ., გვ. 22—23), აქ ყურადღების ცენტრშია მოდელების ზოგადი ტიპოლოგია და არა მათი რეალური „ფონეტიკური შინაარსი“.

მრავალფეროვნებაში. სხვაგვარად, სერები wh(en), wh(iskey), wh(eel) — არასიგნიფიკურია.

3. ყოველ ადამიანურ რეაქციას ახასიათებს მთელი სერია ვარიანტებისა, რომლებიც განაწილებული არიან ნორმის ანუ ტიპის გარშემო. სამეტყველო ბგერის ვარიანტთა სერია ცვალებადობის თვალსაზრისით უფრო მეტად არის შეზღუდული, ვიდრე სანთლის ჩაქრობის აქტების წმინდა ფუნქციონალური სერია. მაგ., wh სამეტყველო ბგერა, წარმოთქმული სხვადასხვა მანერით, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს მხოლოდ როგორც პერსონალური სამეტყველო დეფექტი. ამასთანავე, სამეტყველო ბგერის ვარიანტთა განსხვავებულია ტენდენციითაც: ეს ვარიანტები განაწილებულია არტიკულაციის ზუსტი ადგილის გარშემო. ამიტომ ფსიქოლოგიურად wh სიტყვებში when და well დაკავშირებულია ერთმანეთთან.

4. wh ფუნქციონალური ბგერისაგან განსხვავებით, „wh სამეტყველო ბგერას აქვს მრავალრიცხოვანი ასოციაციები სხვა ბგერებთან სიგნიფიკური ბგერითი ჯგუფების შიგნით, მაგ., wh-e-n, wh-i-s-k-ey, wh-ee-l“.

5. წმინდა ფუნქციონალური ბგერისაგან განსხვავებით სამეტყველო ბგერა სიმბოლურად გამოსაყენებელ ელემენტთა (counters) სისტემის წევრია. ამ სისტემის ყოველი წევრი ხასიათდება არა მხოლოდ განსხვავებული დისტინქციური არტიკულაციით, შესაბამისი აკუსტიკური წარმოდგენებითურთ, არამედ აგრეთვე, და ეს არსებითია, „ფსიქოლოგიური განმხოლოებით“. „ბგერებს შორის რელატიური ინტერვალები (gaps) ისევე აუცილებელია მათი ფსიქოლოგიური დეფინიციისათვის, როგორც არტიკულაციური და აკუსტიკური წარმოდგენები“. ბგერა, რომელიც სხვა ბგერების მიმართ არ იმყოფება ასეთ დამოკიდებულებაში, არ არის ენის ნამდვილი ელემენტი²¹¹.

მოდელირების მეორე (ლინგვისტური თვალსაზრისით უფრო არსებითი) ასპექტი, ავტორის მიხედვით, გულისხმობს „ენის ბგერითი (resp. ფონემური — ი. ქ.) სისტემის შინაგან კონფიგურაციას“, ერთმანეთთან მიმართებით ბგერებისათვის (resp. ფონემებისათვის — ი. ქ.) ინტუიციურად ადგილის განსაზღვრას (placing)²¹².

211 დაწვრ. იხ. E. Sapir, Sound pat'erns..., გვ. 19—20.

212 იქვე, გვ. 20.

მაგრამ მოდელირების აღნიშნული ასპექტის განხილვასთან დაკავშირებით ავტორი, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს იმ სირთულეებს, რომელიც შეიძლება მკვლევარის წინაშე წამოიჭრას. საქმე ეხება ფონეტიკურ განსხვავებას, რომლებიც ენაში ობიექტურად არსებობენ, მაგრამ არ აისახებიან მოცემული ენის ფონემურ მოდელში. „ფონეტიკოსები, — წერს სეპირი, — ძალიან ხშირად ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ ენაში გარკვეულ ბგერათა არსებობის ცოდნა საკმარისი არ არის. აუცილებელია იმის გარკვევაც, თუ რას წარმოადგენს მოცემული ბგერა, ტიპობრივ ფორმას ანუ წერტილს ბგერითს მოდელში, თუ მხოლოდ ასეთი ფორმის ვარიანტს“. ავტორი განასხვავებს ვარიაციის ორ ტიპს, რომლებიც, მისი აზრით, აბუნდოვანებენ ენის ფონეტიკურ (resp. ფონემურ — ი. ქ.) მოდელში განსხვავებული წერტილების ფსიქიკურ დამოუკიდებლობას.

პირველი, ინდივიდუალური ვარიაცია, გულისხმობს, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე „ორ ინდივიდსაც კი არა აქვს ერთნაირი წარმოთქმა“, თუმცა ისინი ცდილობენ წარმოთქვან ერთნაირი ბგერები (they aim to make the same sound discriminations), მაგრამ სხვადასხვა ინდივიდის მიერ წარმოთქმულ ბგერებს შორის ფიზიკურ განსხვავებას არ ექნება მნიშვნელობა ენის ფსიქოლოგიისათვის, თუკი ამ ინდივიდთა მოდელეებში ელემენტთა რიცხვი, მიმართებები და ფუნქციონირება დარჩება ერთი და იგივე, ე. ი. თუ ეს იქნება „ერთი და იგივე მოდელეები“.

ვარიაციათა მეორე ტიპი საერთოა ყველა ნორმალური მოლაპარაკისათვის. იგი დამოუკიდებელია იმ ფონეტიკურ პირობებზე, რომელშიც ძირითადი ბგერა (fundamental sound, „point of pattern“) აღმოჩნდება. ასე, ამერიკის ინგლისურ მეტყველებაში არსებობს განსხვავება *a* ხმოვნის სიგრძეში მეზობელ თანხმოვანთა მიხედვით (მაგ., სიტყვებში *bad* „ცუდი და *bat* „ღამურა“). მაგრამ ასეთი ალტერნაციები გამოწვეულია მექანიკური პირობებით და ენის ფონემური მოდელისათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა. დედაენაზე მეტყველებისას ყოველთვის ადვილი არ არის მათი ობიექტური რეალობის შეცნობა. ავტორის აზრით, ეს არ ზღბება იმიტომ, რომ ასეთ ვარიანტებს შორის ობიექტური განსხვავება აღსაქმელად ძალიან სუსტია. მაგ., ზემოაღნიშნული *bad: bat* ტიპის სიტყვებში ხმოვანთა მექანიკური ცვლილებები მრავალ ენაში სავსებით საკმარისია მოდელის განსხვავებულ წერტილებს

შორის მიმართების აღსანიშნავად. ასევე, ინგლისურზე მოლაპარაკეთათვის ისეთი ცხადი მიმართება, როგორცაა $t : d$, ბევრ ენაში შეიძლება იყოს მექანიკური, განპირობებული. მაგ., ზემო ჩინურში ეს მიმართება არსებობს ობიექტურად, მაგრამ არა ფსიქოლოგიურად, რამდენადაც d ამ ენაში მხოლოდ t -ს კომბინატორული ვარიანტია. ვარიანტებს შორის განსხვავების აღქმა შეუძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული განსხვავებები „მოცემული ენის ფონეტიკური მოდელის შინაგან სტრუქტურაში არ შეესაბამებიან არაფერს სიგნიფიკურს“²¹³. მაგ., არამკაფიოდ წარმოთქმულ ინგლ. სიტყვაში *matter* („საქმე“) შესაძლოა t გადავიდეს d -ში და მაინც ეს ფონეტიკური d აღიქმის არა როგორც ფუნქციონალური d , არამედ მხოლოდ როგორც t -ს ექსპრესიული ვარიანტი. ამის მიზეზი ის არის, რომ t -სა და მის d -ს მაგვარ ვარიანტს შორის ფუნქციონალური მიმართება სიტყვაში *matter* სრულიად სხვაგვარია, ვიდრე t და d თანხმოვნებისა სიტყვებში *town* („ქალაქი“) და *down* („ძირს“) ²¹⁴. ასევე, $s-z$ მონაცვლეობას სიტყვებში *book-s—bag-s* არა აქვს ფუნქციონალური ღირებულება, რადგან ეს წინამავალი თანხმოვნების მეზობლობით გამოწვეული მექანიკური ცვლილებაა, თუმცა ობიექტურად ის პარალელურია ფუნქციონალური მონაცვლეობისა, რომელიც გვაქვს სიტყვებში *house* (/haus/—„სახლი“) და *to house* (/hauz/—„შეკედლება“) ²¹⁵.

ზემოთქმულიდან უკვე გასაგები ხდება, თუ რატომ თვლის ავტორი, რომ მოდელის ელემენტთა განაწილება (*pattern alignment*) „არ საჭიროებს ზუსტ შესატყვისობას ფონეტიკურ განაწილებასთან“ (თუმცა ზოგჯერ, მაგ., თანხმოვნებისა და ხმოვნების შემთხვევაში, ასეთი შესატყვისობაც არ არის გამორიცხული). ბგერებისათვის (*resp.* ფონემებისათვის — ი. ქ.) მოდელში ადგილი იძებნება ინტუიციურად, სხვა ბგერებთან (*resp.* ფონემებთან — ი. ქ.) „სპეციფიკურ მიმართებათა (როგორცაა პარალელიზმი, კონტრასტი, კომბინაცია...) შეგრძნების საფუძველზე“. მაგ., ინგლ. ენის მოდელში $p t k$ ბგერები (*resp.* ფონემები — ი. ქ.) ქმნიან ერთ ჯგუფს, რადგანაც სხვა მიზეზებთან ერთად ისინი გვხვდებიან სიტყვის დასაწყისში, შუაში და ბო-

²¹³ დაწერ. იხ. E. Sapir, *Sound patterns...*, გვ. 21.

²¹⁴ E. Sapir, *Language*, გვ. 4.

²¹⁵ Э. Сепир, *Язык*, გვ. 49.

ლოში; ყველა პოზიციაში მათ შეიძლება წინ უძღოდეს s; თავიკიდურსა და მედიალურ პოზიციაში მათ შეიძლება მოსდევდეს r და წინ უძღოდეს s; თითოეულ მათგანს აქვს მჟღერი შესატყვისი (b d გ); მათ არ შეუძლიათ სიგნიფიკური ალტერნაცია თავიანთ მჟღერ შესატყვისებთან; არა აქვთ ტენდენცია მჭიდრო ფონეტიკური და მორფოლოგიური ასოციაციისა შესაბამის სპირანტებთან (p : f და t : θ მიმართებები ინტუიციურად არ არის სწორი ინგლისურისათვის) და ა. შ. ასევე, ინგლისური η ბგერა სიტყვაში sing [siŋ], როგორც კვალიფიკაციაც არ უნდა მისცენ მას ფონეტიკოსებმა (b:m, d:n, g:ŋ), ავტორის აზრით, ინგლისელი მოლაპარაკისათვის ფსიქოლოგიურად არ გაერთიანდება m და n ბგერებთან (resp. ფონემებთან — ი. ქ.). მიუხედავად ობიექტური განსხვავებისა, მას უფრო ახლოს აყენებენ ზგ-სთან, რადგან მიმართება ant : and = sink : sing [siŋk : siŋg] ფსიქოლოგიურად უფრო სწორია²¹⁶.

სწორედ ფონეტიკური (resp. ფონემური — ი. ქ.) მოდელირების ელემენტებს — „ტიპობრივ ფორმას“, „წერტილებს მოდელში“ უწოდა სეპირმა უფრო გვიან „ფონემები“. განისაზღვრება ფონემა როგორც „ერთეული (unité), რომელსაც ფორმაში ანუ ბგერათა მკაცრად დეტერმინირებულ სისტემაში აქვს ფუნქციონალური მნიშვნელობა“²¹⁷.

მოცემულ დეფინიციაში, მართლია, არ არის გახაზული ფონემის ფსიქიკური ბუნება, მაგარამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქცენტი გადატანილია ფონემის ფუნქციონირებაზე²¹⁸. თავის მხრივ, ფუნქციონალური კი სეპირისათვის, როგორც ზემოთ იყო აღნიშ-

²¹⁶ Э. Сепир. Язык, გვ. 24. ენაში საერთო ფუნქციონირების საფუძველზე ფონემური სტატუსის დადგენის მაგალითებისათვის იხ. აგრეთვე E. Sapir, La réalité psychologique des phonèmes, გვ. 250 და შემდ.

²¹⁷ E. Sapir, La réalité..., გვ. 247.

²¹⁸ ა. სეშეს მიხედვით, აღნიშნული დეფინიცია შეიძლება კვალიფიკირებულ იქნეს როგორც „ეგზისტენციალური“, ე. ი. ფონემა განმარტებულია არა ფსიქიკური რეპრეზენტაციის ტერმინებით (როგორც, სეშეს აზრით, მოსალოდნელი იყო მეტალისტურ დეფინიციაში), არამედ როგორც ფუნქციური სისტემის ელემენტი (დაწერ. იხ. A. Sechehaye, De la définition du phonème..., გვ. 54). მოცემულ დეფინიციაში მეტალიზმის პოზიციებიდან უკანდახევის ხედავდა ვ. ფ. ტვოდელიც. იხ. W. F. Twaddell, On defining the phoneme, გვ. 59.

ნული, ნიშნავს ფსიქიკურსაც: ფსიქიკურია, ე. ი. მოდელში აისახება, მხოლოდ ის, რაც ფუნქციონალურია. ენაში არსებული უპირავი ბგერითი განსხვავებებიდან ფსიქიკურია, resp. ენობრივია, ის განსხვავებები, რომელთაც აქვთ „სიგნიფიკური“ ფუნქცია, ე. ი. განასხვავებენ მნიშვნელობებს (შდრ. t—d: town—down)²¹⁹. მხოლოდ ასეთ განსხვავებებში მონაწილე ბგერების ფსიქიკური ეკვივალენტები — ფონემები იკავებენ ადგილს ფსიქიკურ მოდელებში, როგორც ამ მოდელის შემადგენელი „წერტილები“. მხოლოდ ასეთი ბგერები აღიქმის მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ როგორც დამოუკიდებელი (სხვებისგან განსხვავებული) ენობრივი ერთეულები, ე. ი. როგორც განსხვავებული ფონემები²²⁰. ბგერითი განსხვავებები (resp. ბგერები) კი, რომლებიც გამოწვეულია „მექანიკური“, კომბინატორული პირობებით, ე. ი. „არ შეესაბამება არაფერს სიგნიფიკურს“, არც არის გაცნობიერებული (არ აღიქმის) მოლაპარაკეთა მიერ²²¹, რასაც, ფაქტობრივად, მოლაპარაკებები და მსმენელები წარმოთქვამენ და აღიქვამენ „არის ფონემები“ (ავტორის აზრით, ეს კარგად ჩანს ენის მატარებელთა ფონემურ ინტუიციასზე დაკვირვებისას წერა-კითხვის სწავლების დროს)²²²:

219 სიგნიფიკური განსხვავების დადგენისას ავტორი ემყარება ერთნაირ პოზიციას (თუმცა სპეციალურად ამას არ გახაზავს). თუ ერთნაირ პოზიციასში ბგერებს შორის განსხვავება არ არის სიგნიფიკური, მაშინ ეს ბგერები მიჩნეულია ერთი ფონემის ვარიანტებად. მაგ., t ფონემის ვარიანტებად t და d-ს მაგვარი ბგერა ინგლ. matter-ის შემთხვევაში (იხ. ზემოთ).

220 სეპირის ამ შეხედულებათა ფონზე სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ა. სუხოტინის შენიშვნა, თითქოს სეპირი ბგერების ფონემურ ღირებულებას განსაზღვრავდეს მხოლოდ ენის მატარებელთა მიერ მათი აღქმის საფუძველზე (იხ. სეპირის წიგნზე „Язык“ დართული შენიშვნები, გვ. 187—188). როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, სეპირისათვის ბგერათა ფონემური აღქმა მეორეულია და ყველა შემთხვევაში განპირობებულია ენის ფონემური სისტემის ფუნქციონირებით.

221 ა. რეფორმატსკის აზრით (А. А. Реформатский, Проблема фонемы в американской лингвистике, 217), სეპირისათვის პოზიციურად განსხვავებული ბგერების (კომბინატორული ვარიანტების) ერთ ფონემაში (აღქმის ერთ ერთეულში) გაერთიანება შესაძლებელია მორფემატულ იკვივობაზე დამყარებით (მაგალითებისათვის იხ. E. Sapir, La réalité..., გვ. 250 და შემდ.). მაგრამ სეპირისათვის ასეთი გაერთიანება შესაძლებელია მორფემატული იკვივობის გარეშეც, მაგ., ინგლ. a ფონემის ვარიანტები სიტყვებში bat და bad (იხ. ზემოთ).

²²² დაწვრ. იხ. E. Sapir, დასახ. ნაშრ.

ამიტომაც არის, რომ ყველა ენა, ავტორის მიხედვით, თავისი ხასიათით არა მხოლოდ ფონეტიკური, არამედ „ფონემიკურიცაა“. „ენა არ არის მხოლოდ არტიკულირებული ბგერა; მისი სიგნიფიკური სტრუქტურა დამოკიდებულია ფიქსირებული რაოდენობის „ფონეტიკური პოზიციების“ ანუ ბგერითი ერთეულების გაუცნობიერებელ შერჩევაზე“. აღნიშნული „ბგერითი ერთეულები“ — ფონემები ფაქტობრივი გამოყენების დროს განიცდიან ინდივიდუალურ ცვლილებებს. მაგრამ, როგორც სეპირი ფიქრობს, ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ ბგერების ფონემებად არაცნობიერი შერჩევის შედეგად განსხვავებულ ფონეტიკურ პოზიციებს შორის აღიმართება გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერები. ასე რომ, „მეტყველება უკვე აღარ არის უბრალო ექსპრესიული ნაკადი, იგი გადაიქცევა სიმბოლურ წარმონაქმნად, რომელშიც შედის ერთეულთა გარკვეული რიცხვი“²²³.

შიძლემა დაისვას საკითხი იმის შესახებაც, თუ რა სახის ფსიქიკური ერთეულია ფონემა.

ფონემა, როგორც ფსიქიკური რეალობა, სეპირის მიხედვით, გამოდის ის „ტენიში ლოკალიზებული ბგერა“, რომელიც მონაწილეობს ფსიქიკური სიმბოლოების შექმნაში (იხ. ზემოთ). მაგრამ რა სახისაა ეს ლოკალიზაცია? ფონემის ფსიქოლოგიური დეფინიცია სეპირთან, გარდა ფსიქიკური განმხილვებისა, გულისხმობს აგრეთვე დამახასიათებელ წარმოდგენებსაც. ამ აზრით ფონემა „წარმოდგენაა“. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ავტორი ლაპარაკობს ფონემისათვის დამახასიათებელ არტიკულაციურ და აკუსტიკურ წარმოდგენებზე (images), უბირატესობა მაინც აკუსტიკურ წარმოდგენებს ენიჭება. ეს გასაგებია. სოსიურის მსგავსად, სეპირისათვისაც „ენა პირველ ყოვლისა სმენითი სიმბოლოების სისტემაა“²²⁴. მართალია, რამდენადაც აღნიშნული სისტემა არტიკულირდება, ავტორი უშვებს, რომ იგი „ამავე დროს მოტორული სისტემაა“, მაგრამ ეს მხარე არ არის სამეტყველო მოქმედების ბოლო პუნქტი და მეორეულია მსმენელისათვის. მეტყველების იმპულსები ჩნდება „სმენითი წარმოდგენების სფეროში და შემდეგ გადაეცემა მოტორულ ნერვებს“. მოტორული პროცესები და მათი თანმხლები მოტორული შეგრძნებები „მოლაპარაკისა და მსმენელთათვის არის მხოლოდ აკუსტიკური აღქმის საშუალება და კონტროლი“²²⁵.

ამგვარად, ფონემა სეპირისათვის, პირველ ყოვლისა, სიმბოლური ფუნქციონალური სისტემის ერთეულია და მისი, როგორც ენობრივი მოდელის ელემენტის, ღირებულება განპირობებულია

²²³ დაწერ. იხ. E. Sapir, Language, გვ. 3.

²²⁴ Э. Сепир, Язык, гл. 9, 15.

²²⁵ იქვე, გვ. 15. იხ. აგრეთვე გვ. 10; გვ. 37, 38, 2.

„ცოცხალ მეტყველებაში საერთო ქცევითა და ფუნქციონირებით“²²⁶.

ფონემის, როგორც ფუნქციონალური ერთეულის, გაგებიდან გამომდინარეობს ავტორის ის მოსაზრებაც, რომ „ფონემა სრულყოფილად არ განისაზღვრება არტიკულაციურ-აკუსტიკური ტერმინებით, იგი განხილული უნდა იქნეს ენისათვის დამახასიათებელი ბგერითი მიმართებების მთელ სისტემაში“²²⁷. ასეთი განხილვა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ფონემისათვის „ფიზიკური თვისებების“ მქონებლობას. სეპირი მხოლოდ იმას განაზავს, რომ ფონემური ფენომენი „არ არის ფიზიკური ფენომენი per se“²²⁸ და ფონემა, როგორც სიგნიფიკაციის მქონე ერთეული, არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მთლიანად ფიზიკურ მონაცემებზე“. იგი შეიძლება მოდიფიცირებულ იქნეს ამ მონაცემთა „ფუნქციონალური სიგნიფიკაციის ფილტრში გავლით“²²⁹. საერთოდ, „ადამიანის პრაქტიკაში, — წერს სეპირი, — არ არსებობს არც ერთი მოვლენა (entité), რომელიც შეიძლება ზუსტად განისაზღვროს როგორც მისი ფიზიკური თვისებების წამი ან მექანიკური პროდუქტი“. ეს თვისებები აუცილებელია მოცემული არსის, როგორც „მიმართებათა რთულ სისტემაში ფუნქციონალური სიგნიფიკაციის მქონე წერტილის, იდენტიფიკაციისათვის“, მაგრამ გარკვეულ პირობებში (lex-te) შესაძლებელი ხდება მრავალი მათგანის უგულებელყოფა და მოცემული არსის დეფინიცია სიგნიფიკური ღირებულებების მქონე ერთ რომელიმე თავისებურებაზე დამყარებით²³⁰.

ფონემის, როგორც ფსიქიკური მოდელის შემადგენელი ელემენტის, ინვარიანტული ფორმის სამეტყველო რეალიზაციად გვევლინება ბგერა. ფონემისაგან განსხვავებით ბგერა არის „ფონეტიკური ელემენტი, არსი (entité), რომელიც შეიძლება ობიექტურად განსაზღვრულ იქნეს წარმოთქმული ან მოსმენილი მეტყველების ერთიანობაში“²³¹.

ფონემასა და მის სამეტყველო ვარიანტს — ბგერას შორის დამოკიდებულებას ავტორი განიხილავს როგორც „ენისა“ და „მეტყ-

226 Э. Сепир, Язык, гл. 44.

227 E. Sapir, La réalité..., გვ. 248.

228 E. Sapir, Sound patterns..., გვ. 25.

229 E. Sapir, La réalité..., გვ. 247.

230 დაწვრ. იხ. იქვე.

231 იქვე.

ველების“ ელემენტთა შორის დამოკიდებულებას: ბგერა — მეტყველების (parole) ელემენტი — წარმოადგენს ენის ელემენტის — ფონემის აქტუალიზაციას²³². ამგვარად, ფონემებსა და ბგერებს შორის (უფრო ზოგადად — ენასა და მეტყველებას შორის) დამოკიდებულება სეპირთანაც ძირითადად გამოდის ფსიქიკური სისტემისა და მისი რეალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება: ფსიქიკური ფონემური სისტემა საფუძვლად ედება კონკრეტულ ბგერით რეალიზაციას, მაგრამ, თავის მხრივ, მეორეულია და მიღებული ჩანს საზოგადოებაში ენობრივი ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შედეგად.

ვარიანტების მიმართ ფონემა გვევლინება როგორც ზენდივიდუალური, საერთოენობრივი ინვარიანტი, სოციალური ნორმა, რომელიც აკონტროლებს ამ ვარიანტულ (ბგერით) მოდიფიკაციებს. მაგრამ მაიცი არ შეიძლება ითქვას, რომ სეპირისათვის ფონემისა და ბგერის დამოკიდებულება არის სოციალურისა და ინდივიდუალურის დამოკიდებულება. ასეთ დაშვებას ხელს უშლის, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ ფონემის ვარიანტებს შორის საკუთრივ „ინდივიდუალური“, ე. ი. ინდივიდისათვის სპეციფიკურ ვარიანტებად ავტორის მიერ მიჩნეულია მხოლოდ ერთი ნაწილი, მაშინ როდესაც კომბინატორული ვარიანტები „საერთოა ყველა ნორმალური მოლაპარაკისათვის“. მეორე მხრივ, შეიძლება დაისვას საკითხი, თუ რამდენად „ინდივიდუალურია“ ამა თუ იმ ინდივიდისათვის სპეციფიკური ვარიანტებიც. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ინდივიდუალური ბგერა, მისი წარმოთქმა მნიშვნელოვნად იზღუდება სოციალური ნორმით, „ჩვევის ერთიანობით“. ასე რომ, ფაქტობრივად საქმე გვაქვს არა ცალკეული ინდივიდების მიერ ენობრივი ელემენტების ნებისმიერ გამოყენებასთან, არამედ მხოლოდ მათ ინდივიდუალურ შესრულებასთან მოცემული ენისათვის დაშვებული ნორმის ფარგლებში.

რამდენადაც, სეპირის მიხედვით, კონკრეტული სამეტყველო ბგერები, ე. ი. ვარიანტები, წარმოითქმის და აღიქმის როგორც ფონემები, აქ არ შეიძლება დადგეს აგრეთვე ენის ფუნქციონალური და მეტყველების არაფუნქციონალური ელემენტების მიმართების საკითხიც²³³.

ფიზიკური თეორიები

1. 12 „ფიზიკურის“ სახელწოდებით ვაერთიანებთ თეორიებს, რომლებშიც კონკრეტული სამეტყველო ბგერებისაგან განსხვავე-

²³² E. Sapir, La réalié... გვ. 248.

²³³ სეპირთან ზოგჯერ ფონემებსა და ბგერებს შორის განსხვავება განხილულია ფუნქციონალური და არაფუნქციონალური ერთეულების დაპირისპირების ფონზე. იხ. მაგ., E. Sapir, Language, გვ. 4—5; მისივე: La réalié... გვ. 247 და შემდ.

ბით, ფონემა განიხილება როგორც მათგან აბსტრაქციით მიღებული „ბგერათა ოჯახი“, „ბგერათა კლასი“ ან „ბგერითი ტიპი“.

ფიზიკური თეორიები თავის დროზე იქმნებოდნენ როგორც ანტიმენტალისტური თეორიები, რომლებიც ცდილობდნენ საკუთრივ ენათმეცნიერული ამოცანების გადაწყვეტას „ფსიქოლოგიური“ მომენტების გათვალისწინების გარეშე. ასეთი მიდგომა შეპირობებული იყო ენათმეცნიერების საერთო მიმართულებით. სახელდობრ, რამდენადაც იმ პერიოდის ლინგვისტური მიმდინარეობები ძირითადად შემოიფარგლა ენის, მხოლოდ როგორც სამეტყველო მოქმედების პროდუქტის, ფიზიკურად რეალიზებული ენობრივი სისტემის ანალიზით (უფრო დაწვრ. იხ. ქვემოთ), მეტყველების ფსიქიკური მექანიზმის გათვალისწინების აუცილებლობაც უკვე აღარ იდგა. თითქმის საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, ენის საზოგადოებრივი ფუნქციონირებისა და მისი სტრუქტურული თავისებურებების განხილვისათვის არ არის საჭირო ფსიქიკური მომენტების შესწავლა. სათანადო დასკვნები გაკეთდა ფონოლოგიაშიც და, შესაბამისად, შემდეგდროინდელი ფონოლოგიური თეორიები უკვე იგებოდნენ სხვა წანამძღვრებზე, ენობრივისა და ფუნქციონალურის სხვაგვარ გაგებაზე დამყარებით, თუმცა მენტალისტურ თეორიასთან საერთო მთელი რიგი მომენტები მათ მაინც დარჩათ. მენტალისტური თეორიების გავლენისაგან თავისუფალი არც ფიზიკური თეორიებია.

ფიზიკურ თეორიებს, მენტალისტური თეორიებისგან განსხვავებით, აინტერსებთ არა წარმოთქმა-მოსმენის ფსიქიკურ-ფუნქციონალური მექანიზმი, არამედ მხოლოდ მისი მოქმედების პროდუქტის — რეალურად წარმოთქმულ ბგერათა სიმრავლის — მოწესრიგება ენობრივ-ფუნქციონალური თვალსაზრისით. შესაბამისად, ფონემა განისაზღვრება არა ენობრივი წარმოთქმისა და აღქმის ფსიქიკური მომენტების გათვალისწინებით, არამედ უკვე წარმოთქმის შედეგად მიღებული ბგერითი პროდუქტის — ფიზიკური ბგერების საშუალებით. მაგრამ მენტალისტური თეორიების მსგავსად, ფონემა აქაც „ფონეტიკური ერთეულია“. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ თეორიებში (ისევე როგორც თავის დროზე შესაბამის მენტალისტურ თეორიებში) ფონემური ანალიზის დროს ფუნქციონალური კრიტერიუმები საერთოდ უგულვებელყოფილი იყოს. „ფონეტიკურობით“ გვინდა გავხაზოთ მხოლოდ ის მომენტი, რომ ფონემა, როგორც ინვარიანტი, ფიზიკურ თეორიებში დახასიათებულია მისი ბგერითი რეალიზაციე-

ბის ფონეტიკურ (არტიკულაციურ-აკუსტიკურ) თავისებურებათა ტერმინებით²³⁴ და დაკავშირებულია ენობრივი ნორმის გაგებასთან²³⁵.

1. 121. ფონემის, როგორც ბგერათა ოჯახის, თეორია ყველაზე აღრინდელია ფიზიკურ თეორიათა შორის. მისი შექმნა დაკავშირებულია ცნობილი ინგლისელი ფონეტიკოსის დანიელ ჯონზის სახელთან²³⁶. თეორია ჩამოყალიბდა (ერთი მხრივ, ფონემის ბოდუენისეული იდეისა და, მეორე მხრივ, სუიტისა და პასისაგან მომდინარე ფონეტიკური ტრადიციების ბაზაზე)²³⁷ როგორც ენის სწავლებისა და ტრანსკრიფციის საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკული თვალსაზრისი²³⁸.

²³⁴ თავის დროზე ტვოდელი ფიზიკურ თეორიებში განიხილავდა აგრეთვე ტრუბეცკოის ფუნქციონალურ თეორიასაც მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელი დიფერენციული ნიშნების გზით გარკვეულ მიმართებაშია ფიზიკურ ბგერით რეალობასთან. იხ. W. F. Twaddell, On defining the phoneme. გვ. 60 და შემდ.

²³⁵ ჩვენ აქ არ განვიხილავთ ყველა თეორიას, სადაც ბგერითი ინვარიანტი დაკავშირებულია სამეტყველო ნორმის გაგებასთან. მაგ., ენობრივი ნორმის გაგებას გულისხმობს ცვირნერების მიერ დამუშავებული ფონომეტრიის „ბგერითი კლასები“ (Lautklasse). ეს უკანასკნელები შეიძლება დადგენილ იქნას არა ფონოლოგიაში მიღებული ჩვეულებრივი მეთოდებით, არამედ ბგერითი მანიფესტაციის ექსპერიმენტულ-სტატისტიკური შესწავლით და წარმოადგენენ ცალკეულ ბგერათაგან მიღებულ აბსტრაქტულ საშუალო სიდიდეებს. იხ. E. Zwirner. K. Zwirner, Grundfragen der Phonometrie; მათივე: Aufgabe und Methoden der Sprachvergleichung durch Maß und Zahl.

²³⁶ დ. ჯონზის პრაქტიკაში ფონემის იდეა ფაქტობრივად გამოყენებულია ჯერ კიდევ 1915 წლიდან. თვითონ თეორია მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახით არსებობს უკვე 20-იანი წლების დასაწყისისათვის და რიგი შესწორებებითა და ტერმინოლოგიური ცვლილებებით შეორდება შემდგომდროინდელ ნაშრომებში. თეორიის ისტორიისათვის დაწერ. იხ. D. Jones, The history and meaning of the term „phoneme“; მისივე: The phoneme: its nature and use.

²³⁷ თეორიაზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილი იაპონოლოგების ძიმბოსა და პალმერის მოსაზრებებმაც. ჯონზის თეორიის შესახებ დაწერ. იხ. W. F. Twaddell, On defining the phoneme; Y. R. Chao, The non-uniqueness of phonemic solutions of phonetic systems, გვ. 38, 54; P. Diderichsen, The importance of distribution versus other criteria in linguistic analysis.

²³⁸ ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მთელი რიგი პრობლემები (ძირითადად ისევე ფონოლოგიური მიმდინარეობებისათვის) არ ექცევა მისი კვლევის სფეროში, მაგრამ რამდენადაც ავტორს ფონემები აინტერესებს როგორც „ლინგ-

ფონემა, ჯოუნზის მიხედვით, ფონეტიკური ბუნების ერთეულია, რაც მას აახლოებს ბოდუენისეულ მენტალისტურ ფონემასთან, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ჯოუნზის ფონემა ამავე დროს ფიზიკურიცაა: ფონემა „ბგერათა ოჯახია“²³⁹.

სამეტყველო ბგერები (ანუ ფონები) წარმოგვიდგება როგორც სამეტყველო ნაკადის შემადგენელი ელემენტები. ლინგვისტური თვალსაზრისით ბგერა განისაზღვრება როგორც „მეტყველების მინიმალური მონაკვეთი“, რომელიც შეიძლება სამეტყველო ჯაჭვში შეცვლილ იქნეს სხვა მონაკვეთით ისე, რომ ამასთანავე „ერთი სიტყვა შეიცვალოს სხვა სიტყვად“²⁴⁰.

ბგერებზე მსჯელობისას ავტორს აუცილებლად მიაჩნია (ძიებოსა და პალმერის მოსაზრებებზე დამყარებით) განასხვავოს „კონკრეტული“ და „აბსტრაქტული“ ბგერები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოთქმული სამეტყველო ბგერა, როგორც ფიზიკური მოვლენა, „კონკრეტულია“ და არსებობს მხოლოდ მოლაპარაკისა და მსმენელისათვის. სათანადო ინდივიდუალური წარმოთქმის მრავალგზისი გამეორებით შეიძლება მივიღოთ „ერთი და იგივე“ კონკრეტული ბგერები, ე. ი. ბგერები, რომელთა შორის რაიმე შესამჩნევი განსხვავება არ დასტურდება. კონკრეტული ბგერები ექსპერიმენტული ფონეტიკის ობიექტია. მაგრამ როცა ლაპარაკია ამ ბგერათა შესახებ, აქ უკვე აბსტრაქტია იგულისხმება. ე. წ. „ერთი და იგივე“ ბგერები პირველი ხარისხის აბსტრაქტული ბგერის, მათგან დამოუკიდებლად არსებული არაფიზიკური ფენომენის, ფიზიკური მანიფესტაციებია. ეს აბსტრაქტული ბგერები ჩვეულებრივ წარმოადგენენ ფონეტიკის შესწავლის საგანს. იმის მიხედვით, თუ როგორ გავაფართოვებთ ბგერათა განხილვის სფეროს (სხვადასხვა პოზიციების, სხვადასხვა ინდივიდების წარმოთქმათა და ა. შ. გათვალისწინებით), აბსტრაქციის სხვადასხვა საფეხურებია მოსალოდნელი. ეს კი უკვე ფონოლოგიის, ფართო გაგებით, სფეროს განეკუთვნება²⁴¹.

ავტორის მიხედვით, ფიზიკურად ბგერა ხასიათდება შემდეგი ატრიბუტებით: თვისებრიობით (acoustic quality, tamber). სიგრძით, მახვილითა და (თუ მქლერია) სიმაღლით²⁴². სიტყვათა შორის

ვისტური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტები“, მისი თეორია მნიშვნელოვანია საკუთრივ ფონოლოგიის თვალსაზრისითაც.

²³⁹ D. Jones, The history.... გვ. 7—8, 14, 17; The phoneme.... გვ. 212 (§ 649).

²⁴⁰ D. Jones, The phoneme.... გვ. 2—3.

²⁴¹ დაწერ. იხ. D. Jones, Concrete and abstract sounds; მისივე: The phoneme.... გვ. 2—3.

²⁴² D. Jones, The phoneme.... გვ. 108 (§ 339).

მინიმალური დისტინქციებიც სწორედ თითოეული მათგანის შეცვლასთან არის დაკავშირებული²⁴³. მაგრამ, როგორც ავტორი ფიქრობს, მინიმალური დისტინქცია მხოლოდ ერთი ატრიბუტის საფუძველზე შედარებით იშვიათია: ერთ ატრიბუტში ცვლილება, დისტინქციის თვალსაზრისით პირველადი ანუ „არსებითი“ ცვლილება, მეტწილად იწვევს „შემთხვევით“, არაარსებით ცვლილებებს სხვებში. ასე რომ, ფაქტობრივად თითქმის ყოველთვის საქმე გვაქვს ატრიბუტთა კომპლექსით გამოწვეულ ცვლილებებთან აშკარად გამოკვეთილი პირველადი დისტინქციით²⁴⁴. ფონემის თეორიისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ არარსებით, მეორეულ ცვლილებებს, რომლებსაც განიცდის ბგერის თვისებრიობა მეზობელ ბგერათა თვისებრიობის ან რომელიმე სხვა ატრიბუტის შეცვლასთან დაკავშირებით²⁴⁵.

მაგ., ინგლისური სიტყვები ki : l (keel, ბრტყელძირიანი ნავი), ko : l (call, დაძახება) და ku : l (cool, გრილი) ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავდებიან ხმოვნებით. მაგრამ სხვადასხვანაირად წარმოითქმის k ბგერაც იმის მიხედვით, თუ რომელი ხმოვანი მოსდევს მას და ეს განსხვავება აშკარად მეორეულია. ბგერის თვისებრიობის შეცვლას ხშირად განაპირობებს აგრეთვე ხმოვანთა სიგრძე, მახვილი ან ტონის სახეობა²⁴⁶.

ავტორის მიხედვით, ორთოგრაფიული, გრამატიკული და სემანტიკური მიზნებით ბგერები, რომელთა შორის განსხვავება მეორეულია, მიჩნეულია „ერთ და იმავე“ ბგერებად. გამოდის, რომ ის, რასაც ჩვეულებრივ „ბგერას“ უწოდებენ, სინამდვილეში წარმოადგენს „მონათესავე“ ბგერების (ფონემის) პატარა ოჯახს, რომელ-

²⁴³ ავტორისათვის დისტინქცია მინიმალურია, თუ მისი ნაკლები ხარისხი უკვე საკმარისი აღარ არის სიტყვათა განსასხვავებლად. სამეტყველო ჯაჭვები ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთზე მეტი მინიმალური დისტინქციით; ამის მიხედვით გვაქვს ორმაგი, სამმაგი და ა. შ. განსხვავებები. დაწვრ. იხ. D. Jones, The phoneme..., გვ. 15—18.

²⁴⁴ ავტორი ითვალისწინებს ისეთი შემთხვევების არსებობასაც, როდესაც ძნელია იმის თქმა, თუ ატრიბუტთა კომპლექსიდან კერძოდ რომელი ატრიბუტის ცვლილება ქმნის პირველად დისტინქციას. დაწვრ. ამ საკითხზე იხ. D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 161—162.

²⁴⁵ იქვე, გვ. 160—192. იხ. აგრეთვე გვ. 18 და შემდ.

²⁴⁶ ბგერათა ფონეტიკურად განპირობებული ვარიანტების შესახებ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 18—31, 160—192.

საც ჯონსონი ფონემას უწოდებს²⁴⁷. ფონემის ახსნა²⁴⁸ ასეთი იქნება: ფონემა არის მოცემულ ენაში²⁴⁹ იმ ბგერათა²⁵⁰ ოჯახი, რომლებიც თვისებებით მონათესავენი არიან და სიტყვაში²⁵¹ გამოიყენებიან ისე, რომ არ გვხვდებიან ერთსა და იმავე ფონეტიკურ კონტექსტში²⁵².

ამგვარად, მოცემულ თეორიაში ფონემა გაგებულია როგორც კლასი („ოჯახი“), რომელშიც გაერთიანებულია პოზიციურად განსხვავებული, მაგრამ თვისებრივად მსგავსი ბგერები²⁵³.

თითოეულ ფონემაში შემავალი ბგერები ავტორის მიერ კვალფიციტირებულია როგორც ფონემის წევრები ანუ გვიანდელი

247 ფონემების ანალოგიურად ავტორი ლაპარაკობს „ქრონემებსა“ და „ტონემებზე“ იმ ენებში, სადაც შესაბამისად სიგრძე და სიმაღლე დისტინქციისათვის არის გამოყენებული. დაწერ. იხ. იქვე, გვ. 108—159; მისივე: Chronemes and tonemes, გვ. 1—10.

248 ავტორის აზრით, ფონემის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია ისეთი ცნებების გამოყენების გარეშე, როგორცაა „ენა“, „სამეტყველო ბგერები“, „სიტყვები“ და მისთ., რომლებიც, სხვა მეცნიერებათა ფუნდამენტალური ცნებების მსგავსად, არაგანსაზღვრებადნი არიან. D. Jones. The phoneme.... გვ. V—VI, 2—3 (§ 7), 8 (§ 25); ზილივე: The history.... გვ. 9.

249 „ენა“ აქ გაგებულია ვიწრო მნიშვნელობით, როგორც გარკვეული სტილის ინდივიდუალური მეტყველება (შეესაბამება ამერიკულ „იდიოლექტს“. იხ. D. Jones. The phoneme.... გვ. 9 (§ 28); მისივე: The history.... გვ. 7). სახელწოდებით „ინგლისური“, „ფრანგული“ და ა. შ. ავტორი აღნიშნავს გარკვეული ენობრივი კოლექტივის იდეალურ მეტყველებას (speech of imaginary people), რომელიც ემყარება „ნელ სალაპარაკო წარმოთქმას“, შესრულებულს ტიპობრივი, „საშუალო“ მანერით. იხ. The phoneme.... გვ. 9 (§ 28).

250 იგულისხმება პირველი ხარისხის აბსტრაქტული ბგერები. იხ. იქვე, გვ. 212, შწმ. 1.

251 ფონემების დადგენისას ჯონსონს აუცილებლად მიაჩნია შემოიფარგლოს სიტყვით, რადგან დეფინიციის გაფართოება სიტყვათა ჯგუფებზე ან წინადადებაზე დაყრდნობით მეტისმეტად გაზრდიდა ფონემების რიცხვს. იქვე, გვ. 10 (§ 34).

252 D. Jones. The phoneme.... გვ. 10 (§ 31).

253 უფრო გვიან, ამერიკული დესკრიფციული ტერმინოლოგიის გავლენით, ჯონსონს შესაძლებლად მიაჩნია ფონემის დეფინიცია დამატებითი დისტრიბუციის ტერმინებითაც. სახელდობრ, ფონემა გამოდის მოცემულ ენაში იმ მონათესავე ბგერების ოჯახი, რომლებიც სიტყვაში ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან „დამატებითს დისტრიბუციაში“. D. Jones. The history.... გვ. 7—8.

ტერმინით — ალოფონები²⁵⁴, ფონემის ყველა წევრი — ალოფონი ენისათვის თანაბარი ღირებულებებისა არ გამოდის. ჯოუნზის აზრით, ერთ-ერთი მათგანი ჩვეულებრივ უფრო მნიშვნელოვანია დანარჩენებზე (იგი ან უფრო ხშირია, ან ის ბგერაა, რომელიც წარმოიქმნის იზოლირებულად, ან საშუალოა ორ წევრს შორის). ეს იქნება ფონემის ძირითადი წევრი (ძირითადი ალოფონი) ანუ ნორმა. ფონემის სხვა წევრები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენენ ნორმას, დამხმარე წევრებია²⁵⁵. ფონემა, როგორც კლასი („ოჯახი“) ხასიათდება სწორედ ძირითადი წევრის ფონეტიკური თვისებებით²⁵⁶. ზოგჯერ ფონემა შედგება მხოლოდ ერთი წევრისაგან (უფრო ზუსტად, წევრებისაგან, რომლებიც თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან). ასეთ ფონემას (პალმერის მიხედვით) ავტორი უწოდებს მონოფონს²⁵⁷.

ფონემის ცნებასთან დაკავშირებით ჯოუნზის თეორიაში ყურადღებას იქცევს კიდევ ორი ცნება, რომლებიც გარკვეული აზრით ავსებენ მოცემულ თეორიას. ესენია დიაფონისა და ვარიფონის ცნებები.

თანხმად წარმოდგენილი ახსნისა, ფონემა ინდივიდუალური ენის კუთვნილებაა. მაგრამ ძალიან ხშირად ერთი ინდივიდის მიერ წარმოთქმული ბგერა განსხვავდება სხვა ინდივიდთა მიერ წარმოთქმული შესაბამისი ბგერებისაგან. მაგ., ინგლისელი მოლაპარაკეები სხვადასხვაგვარად წარმოთქვამენ იმ ხმოვნს, რომელიც ვაქვს სიტყვებში: home, go და იგი ისმის როგორც o, ou, au, au,

²⁵⁴ ტერმინი „ალოფონი“ ავტორს შემოაქვს აგრეთვე დესკრიფციული ტერმინოლოგიის გაელენით. იხ. D. Jones, The pronunciation of English, გვ. 172; მისივე: An outline of English phonetics, გვ. 50; ამ ტერმინის უპირატესობისათვის იხ. მისივე: The history..., გვ. 16.

²⁵⁵ D. Jones, The phoneme..., გვ. 7—8; მისივე: An outline..., გვ. 50.

²⁵⁶ მხოლოდ ამ აზრით თუ შეიძლება ლაპარაკი ჯოუნზისეული ფონემის „ფიზიკურობაზე“, თორემ ფაქტობრივად „ბგერათა ოჯახიც“ საკმაოდ აბსტრაქტული ერთეული გამოდის. მისი თითოეული წევრი წარმოადგენს კონკრეტულ ბგერების აბსტრაქციას ჯერ მსგავსების საფუძველზე (პირველი ხარისხის აბსტრაქტული ბგერები), ხოლო შემდეგ ხდება მოცემული, უნდა ვიფიქროთ, ფიზიკურად განსხვავებული, აბსტრაქციების გაერთიანება უკვე სხვა საფუძველზე — პოზიციური ნიშნის მიხედვით. ამ გარემოებას თვით ავტორიც გახაზავს, როცა ფონემებს. ბგერებისაგან განსხვავებით, არაფიზიკურ (superphysical) არსებობას მიაწერს. D. Jones, The phoneme..., გვ. 217 (§ 659).

²⁵⁷ იქვე, გვ. 11 (§ 37). „მონოფონი“ გვიანდელი ცნებაა. ჯოუნზის ადრინდელ ნაშრომებში ლაპარაკია ფონემების პარალელურად არსებულ „საკუთრივ სამეტყველო ბგერებზე“, რომლებიც არ ექვემდებარებიან პოზიციურ ცვლილებებს.

258. ავტორი გვთავაზობს ამ ბგერათა გაერთიანებასაც ერთ ოჯახად. „ბგერათა ოჯახს, რომელიც შედგება „ჩვეულებრივი“, მოცემულ სიტყვაში მრავალი მოლაპარაკის მიერ გამოყენებული ბგერისა და იმ გადახრებისაგან, რომლებიც გამოყენებულია სხვა მოლაპარაკეთა მიერ, როგორც მისი ეკვივალენტური, შეიძლება ეწოდოს „ლიაფონი“²⁵⁹. ლიაფონში შემავალი განსხვავებული ბგერები იქნებიან ლიაფონური ან თავისუფალი ვარიანტები²⁶⁰. ავტორის აზრით, „იმათ, ვინც სპეციფიკურ ლიაფონურ ვარიანტებს იყენებენ, აქვთ თავიანთი ფონემები, რომლებიც განსხვავდებიან სხვა ლიაფონური ვარიანტების გამოყენებულთა ფონემებისაგან“²⁶¹.

ლიაფონების იმდენად სრულყოფილი თეორიის შექმნა, რომ იგი გამოდგეს მეტყველების ყველა სტილისათვის, ავტორის მიხედვით, შეუძლებელია²⁶². მიზეზი ის არის, რომ ძველია დადგინდეს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ტიპიდან გადახრა უნდა მივიჩნიოთ „ერთი და იმავე ენის“, როგორც ტიპის, კუთვნილებად, ხოლო მის გარეთ კი — განსხვავებული ენის ან დიალექტის კუთვნილებად²⁶³.

ლიაფონის სპეციალური შემთხვევაა ვარიფონი²⁶⁴. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფონემა დაკავშირებულია კომბინატორულ, ფონეტიკურად განპირობებულ ვარიანტებთან. მაგრამ ავტორი ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ პიროვნება არასოდეს არ წარმოთქვამს ზუსტად ერთსა და იმავე ბგერას ერთნაირ კონტექსტშიც კი. „შეიძლება ითქვას, რომ მას განზრახული აქვს ერთი და იგივე წარმოთქმა და ჩვეულებრივ წარმოთქვამს იმას, რასაც უხეშად თუ შეიძლება ეწოდოს „ერთი და იგივე“ ბგერები“. ასეთი განსხვავებები ჩვეულებრივ უმნიშვნელოა. მაგრამ ზოგჯერ ერთი ბგერის ვარიანტები ფონეტიკური კონტექსტისაგან დამოუკიდებლად იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ადვილად შესამჩნევი ხდებიან გარეშე დამკვირვებლისათვისაც. ფონეტიკური კონტექსტისაგან ასეთი დამოუკიდებლად ცვლადი ბგერების ჩჯუფებს ჭოუნში უწოდებს ვარიფონებს. ვარიფონში შემავალი ბგერები იქნებიან მისი წევრები²⁶⁵.

ვარიფონები თავის ადგილს პოულობენ ფონემის თეორიაში: ვარიფონის წევრები მიიჩნევიან ერთ ბგერად, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ქმნიდეს ცალკე ფონემას ან იყოს რომელიმე ფონემის წევრი. ვარიფონის ნიმუშია, მაგ., იაპონურში, სადაც ერთსა და იმავე მოლაპარაკეს ერთსა და იმავე სიტყვაში შე-

²⁵⁸ D. Jones, The phoneme..., გვ. 196 (§ 601). მაგალითებისათვის დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 195—199.

²⁵⁹ D. Jones, Everyman's English pronouncing dictionary, გვ. XXXV; იხ. აგრეთვე The phoneme..., გვ. 195 (§ 598).

²⁶⁰ D. Jones, Everyman's English..., გვ. XXXV, 536.

²⁶¹ D. Jones, The phoneme..., გვ. 201 (§ 619).

²⁶² ლიაფონებთან კავშირში განიხილება ინდივიდის წარმოთქმის სტილიც. დაწვრ. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 197.

²⁶³ იქვე, გვ. 204 (§ 626).

²⁶⁴ იქვე, გვ. 198 (§ 608).

²⁶⁵ იქვე, გვ. 205.

უძლია წარმოთქვას r-ს განსხვავებული სახეობები. ესენი იქნებიან ერთი ვარი-
ფონის წევრები და ქმნიან ცალკე ფონემას. ვარიფონს ქმნიან ესპანურში d
და ð ბგერებიც იმ ესპანელთა მეტყველებაში, რომლებიც ამ ბგერებს განურ-
ჩეელად ხმარობენ სიტყვის თავიდანურში. ამ შემთხვევაში d/ð ვარიფონი გამო-
დის d ფონემის წევრი²⁶⁶.

ფონემის მოცემულ ახსნაში არაფერია ნათქვამი ფონემათა სე-
მანტიკური (სიტყვათგანმასხვავებელი) ფუნქციის შესახებ, თუმცა
ავტორი თვლის, რომ „ფონემებს ენაში აქვთ სემანტიკური ფუნქ-
ცია“, ანუ სხვაგვარად, „ფონემებს შორის განსხვავება სიგნიფიკუ-
რია, ე. ი. შეუძლია ერთი სიტყვა განასხვავოს მეორისაგან“. აქე-
დან გამომდინარეობს, რომ „ერთი ფონემის წევრებს შორის განსხ-
ვავება არ შეიძლება იყოს სიგნიფიკური“²⁶⁷. მაგრამ სემანტიკურ
ფუნქციაზე მითითება მაინც არ შედის ფონემის ფიზიკურ დეფი-
ნიციაში. „ჩვენ ვალდებული ვართ, — გვეუბნება ავტორი, — გან-
ვასხვაოთ ის, თუ რა არის ფონემა და ის, თუ რას აკეთებს იგი“.
თუ რა არის ფონემა, ეს ჩანს დეფინიციაში, ხოლო რაც შეეხება
მის ფუნქციას, იგი მდგომარეობს სიტყვათა განსხვავებაში²⁶⁸. მაგ-
რამ ფონემის ეს ფუნქცია, ჯოუნზის აზრით, მხოლოდ შედეგია
ფონემის დეფინიციისა. სახელდობრ, თვითონ ფონემის ბუნებიდან
გამომდინარეობს, რომ ერთი ფონემის წევრები ერთსა და იმავე
პოზიციაში ერთმანეთს გამორიცხავენ, მაშინ როდესაც სხვადა-
სხვა ფონემის წევრები ასეთ პოზიციაში ბუნებრივად უპირისპირ-
დებიან ერთმანეთს. აღნიშნული ალტერნაციის შედეგად შესაძლე-
ბელია ერთი სიტყვა შეიცვალოს სხვა სიტყვად, თუმცა სრულიად
არ არის სავალდებულო, ფიქრობს ავტორი, რომ სხვადასხვა ფო-
ნემის წევრები აუცილებლად განასხვავებდნენ სიტყვებს. მაგ., ინ-
გლისურში არა გვაქვს სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს უპირის-
პირდებიან h და η ან η და ჯ ბგერებით, თუმცა, ისინი აშკარად
სხვადასხვა ფონემებს განეკუთვნებიან²⁶⁹. მიუხედავად ამისა, ფონე-
მური ანალიზის დროს სხვა კრიტერიუმებთან ერთად ჯოუნზი სე-
მანტიკურ კრიტერიუმსაც მიმართავს (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

1. 122 ფონემის, როგორც ბგერათა კლასის, გაგებას ვხვდე-
ბით აგრეთვე ამერიკულ დესკრიფციულ ლინგვისტიკაში²⁷⁰. ჩვენ

²⁶⁶ დაწვრ. იხ. D. Jones, The phoneme.... გვ. 205—207 (§§ 629, 633, 636).

²⁶⁷ იქვე, გვ. 13—14.

²⁶⁸ D. Jones, The history.... გვ. 15.

²⁶⁹ D. Jones, The phoneme.... გვ. 14 (§ 53).

²⁷⁰ ტერმინ „ფონემის“ გამოყენება ამერიკულ ენათმეცნიერებაში მხო-

აქ შევჩერდებით მხოლოდ ფონემის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებულ ძირითად მომენტებზე²⁷¹.

ამერიკელ ავტორთა თეორიებს, მიუხედავად დეტალებში (ხშირად მნიშვნელოვანი) განსხვავებისა, ფონემის გაგებაში ბევრი საერთო აქვთ როგორც ერთმანეთთან, ისე ჯოუნზის სათანადო თეორიასთანაც. ფონემა განმარტებულია როგორც კლასი, რომელშიც ერთიანდებიან ურთიერთგამომრიცხავ პოზიციაში ანუ ერთმანეთის მიმართ დამატებით დისტრიბუციაში²⁷² მყოფი და ფონეტიკურად მსგავსი ბგერები²⁷³ (ერთ ფონემაში ერთიანდებიან აგრეთვე ე. წ. თავისუფალი ვარიანტები — ერთსა და იმავე პოზიციაში შესაძლებელი განსხვავებული ბგერები)²⁷⁴. ფონეტიკური მსგავსების მოთხოვნა გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ერთი ბგერა მიეკუთვნოს ერთზე მეტ ფონემას²⁷⁵. ფონემის წევრებს ეწოდებათ

ლოდ ბგერების შესწავლის სფეროთი არ ამოიწურება. რამდენადაც ფონემური პრინციპი გავრცელებულ იქნა ე. წ. ზესეგმენტურ (პროსოდულ) მოვლენებზედაც, „სეგმენტური ფონემების“ გვერდით გამოყოფილია შესაბამისად ინტონაციის, მახვილის, სიგრძის და სსსაზღვრო ფონემები.

²⁷¹ ფონოლოგიის საკითხებზე ლესკრიფციულ ლინგვისტიკაში დაწერ. იხ. P. Diderichsen, The importance of distribution...; A. A. Реформатский: Проблема фонемы в американской лингвистике; Г. Мюллер, Языкознание на новых путях, გვ. 61—65; Н. Д. Арутюнова, Г. А. Климов, Е. С. Кубрякова, Американский структурализм, გვ. 211—239; თ. შარაძენიძე, ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერა ზ. პარისის მიხედვით.

²⁷² ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებში ბგერათა განაწილების აღსანიშნავად ტერმინი „დამატებითი დისტრიბუცია“ (complementary distribution) შემოტანილია ამერიკელი ენათმეცნიერის მ. სვადეშის მიერ (1934 წ.). იხ. M. Swadesh, The phonemic principle, გვ. 123.

²⁷³ სათანადო დეფინიციებისათვის იხ. G. L. Trager and B. Bloch, The syllabic phonemes of English, გვ. 223; B. Bloch and G. L. Trager, Outline of linguistic analysis, გვ. 40; C. F. Hockett, A system of descriptive phonology, გვ. 100; B. Bloch, A set of postulates... გვ. 5; Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 229, 232. — ზ. პარისის მიხედვით, ფონემა შეიძლება განისაზღვროს როგორც კლასი, მაგრამ მხოლოდ როგორც „ურთიერთდამატებითი“ (complementary) სეგმენტების, ე. ი. ურთიერთგამომრიცხავ პოზიციაში მყოფი ალოფონების, კლასი, სეგმენტებს (ალოფონებს) შორის ფონეტიკური მსგავსების გარეშე. იხ. Z. S. Harris, Methods in structural linguistics, გვ. 61, 75.

²⁷⁴ B. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

²⁷⁵ დაწერ. იხ. G. L. Trager and B. Bloch, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

ალოფონები²⁷⁶. თავის მხრივ, ალოფონები განსაზღვრულია ან როგორც ფონემაში შემავალი ცალკეული ინდივიდუალური ბგერები²⁷⁷, ბგერითი ტიპები²⁷⁸, ან როგორც ერთ პოზიციაში (ერთნაირ გარემოცვაში) დადასტურებული ბგერების (ფონების) ქვეკლასები²⁷⁹. ფონემა ალოფონების კლასია, სადაც (ჯოუნზის გაგებისაგან განსხვავებით) ყველა ალოფონი, როგორც კლასის წევრი, თანაბარი ღირებულებისა გამოდის. აღიწერებიან (და, მაშასადამე, ჯგუფდებიან) ფონემები მათი ალოფონების ფონეტიკური დესკრიფციის საფუძველზე²⁸⁰.

ფონემის, როგორც კლასის, მოცემულ დეფინიციაში არ არის ასახული ენის სემანტიკურ მხარესთან, ენობრივ მნიშვნელობასთან, დამოკიდებულება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ფონემა დესკრიპტივისტებთან დადგენილი იყოს ენობრივი მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე, როგორც ამას ზოგჯერ გახაზავენ სპეციალისტები²⁸¹. ასეთი ინტერპრეტაცია იმ შეზღუდული პოზიციის ფონზე, რომელიც დესკრიპტივისტებს უკავიათ მნიშვნელობის გაგებისა და მისი შესწავლის საკითხში, თითქოს ბუნებრივია, მაგრამ ზუსტი არ არის. ჩვენ ვერ შევჩერდებით აღნიშნული პოზიციის განხილვასა და შეფასებაზე²⁸², მაგრამ რაც

B. Bloch. Phonemic overlapping, გვ. 94; C. F. Hockett, დასახ. ნაშრ., გვ. 100; მისივე: A course in moderne linguistics, გვ. 108—109.

²⁷⁶ ტერმინი „ალოფონი“ პირველად გამოყენებულია ჯ. ლ. ტრეიგერისა და ბ. ბლოკის დასახ. ნაშრომში. ტერმინის ისტორიისათვის დაწერ. იხ. D. Jones. The history and meaning of the term „phoneme“, გვ. 15.

²⁷⁷ B. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 40; C. F. Hockett, A course in moderne linguistics, გვ. 107.

²⁷⁸ G. L. Trager and B. Bloch, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

²⁷⁹ C. F. Hockett, A systeme of descriptive phonology, გვ. 100—101; B. Bloch, დასახ. ნაშრ., გვ. 38; Г. Глисон, დასახ. ნაშრ., გვ. 232. ფონემის ქვეკლასის (იქნება ეს პოზიციურად განპირობებულ თუ თავისუფლად მონაცვლე ბგერათა ქვეკლასი) აღსანიშნავად ე. პულგრემი გეთავაზობს ტერმინ „ალოფონემას“, „ალოფონი“ კი განსაზღვრულია როგორც გარკვეული „ალოფონემის“ წევრი. იხ. E. Pulgram, A proposal Allophoneme, Allomorpheme, გვ. 72—73.

²⁸⁰ B. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

²⁸¹ იხ. მაგ., E. Benveniste, Tendances récentes en linguistique générale; M. Ivič, Trends in linguistics, გვ. 159; E. C. Fudge, Phonology, გვ. 79 და შემდ.

²⁸² ამ თვალსაზრისის კრიტიკისათვის იხ. M. Schlauch, Early behaviorist psychology and contemporary linguistics; L. H. Gray, Mécanisme et mentalisme en langage; E. Benveniste, დასახ. ნაშრ.; ან ნ. ჩიქობავა, ენის რაობის ბიპევიორისტული გაგება.

შეეხება ფონემურ ანალიზს, აქ ენობრივი მნიშვნელობა შემოტანილია²⁸³. მართალია, დესკრიპტივისტებთან არის ტენდენცია, რომ ბგერათა შორის კონტრასტები განისაზღვროს მხოლოდ დისტრიბუციის საფუძველზე, სიტყვის მნიშვნელობასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. მხედველობაში გვაქვს ზ. ჰარისისა და ბ. ბლოკის თვალსაზრისები. და მაინც არ შეიძლება ითქვას, თითქოს ეს ავტორებიც საერთოდ უარყოფდნენ მნიშვნელობის როლს ენის ფონემური სისტემის ანალიზში. როგორც ჩანს, ისინი, პირველ ყოვლისა, გულისხმობენ ფონემური თეორიის დაფუძნებას ან ანალიზის თეორიულ შესაძლებლობებს და არა უშუალოდ პრაქტიკული კვლევის პროცედურას, რომელშიც ენობრივი მნიშვნელობა მაინც გათვალისწინებულია²⁸⁴. ასე რომ, ფონემაც საბოლოოდ გარკვეული ფუნქციონალური თვალსაზრისით დადგენილი ერთეული გამო-

²⁸³ მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ლ. ბლუმფილდის თვალსაზრისი, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა დესკრიპტივისტთა პოზიციების ჩამოყალიბებაში. როგორც ცნობილია, მნიშვნელობის შესწავლა ბლუმფილდს გააქვს ენათმეცნიერების ფარგლებიდან, რაც გამოწვეულია ენობრივი მნიშვნელობის თვისებური გაგებით. სხედლობრ, ენობრივი ფორმის მნიშვნელობას, ბლუმფილდის მიხედვით, ქმნის გარკვეული სიტუაცია, რომელშიც იმყოფება მოლაპარაკე ამ ფორმის წარმოთქმისას და რეაქცია, რომელსაც ეს ფორმა იწვევს მსმენელში (Л. Б л у м ф и л д, Язык, გვ. 142). ხოლო რამდენადაც ასეთი სიტუაციები მოიცავს მთელი სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, „მნიშვნელობები (სემემები) შეიძლება გააანალიზოს და სისტემატადაა დაალაგოს მხოლოდ ყოვლისმცოდნე მკვლევარმა“ (იქვე, გვ. 170). ეს კი ენათმეცნიერს არ შეუძლია სხვა მეცნიერებათა დახმარების გარეშე (იქვე, გვ. 142). აქედან უკვე ჩანს, რომ ბლუმფილდმა ვერ შეძლო საკუთრივ ენობრივი მნიშვნელობის გამოყოფა ფაქტობრივად არსებულ ან შესაძლო მნიშვნელობათა მთელი კომპლექსიდან (და ეს არის მისი თვალსაზრისის ძირითადი ნაკლოვანება). მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ იგი საერთოდ უარყოფს მნიშვნელობის როლს და მისი შესწავლის საკითხებს ენათმეცნიერებისათვის. „რათა დავადგინოთ ამა თუ იმ ენის დისტინქციური ნიშნები, ჩვენ უნდა გავიდეთ წმინდა ფონეტიკიდან და ისე მოვიქცეთ, თითქოს მეცნიერებამ უკვე განსაზღვრა ის სიტუაცია და რეაქცია. რომელიც ქმნის ენობრივი ფორმის შინაარსს. როცა საქმე გვაქვს ჩვენს მშობლიურ ენასთან, ვემყარებით ჩვენს გამოცდილებას, რომელიც გვიჩინავს „ერთნაირია“ თუ „განსხვავებული“ ესა თუ ის ენობრივი ფორმები“, ე. ი. აქვთ თუ არა მათ ერთნაირი ან განსხვავებული მნიშვნელობა ენაში“. დაწვრ. იქვე, გვ. 75—76.

²⁸⁴ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე P. Diderichsen, დასახ. ნაშრ.; E. Fischer-Jørgensen, The commutation test and its application to phonemic analysis; Г. М ю л е р, დასახ. ნაშრ., გვ. 80; М. Г у х м а н, Предисловие, გვ. 12—13; თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, გვ. 132—133, 136—138.

დის²⁸⁵ (ამ საკითხებზე უფრო დაწერ. იხ. ქვემოთ). სწორედ ეს მხარეა წინ წამოწეული, როდესაც ფონემა განმარტებულია როგორც „ბგერითი ენის გამოხატულების სისტემის მინიმალური ერთეული, რომლის საშუალებითაც ერთი გამონათქვამი განსხვავდება მეორისაგან“²⁸⁶.

1. 128 „ფიზიკური“ თეორიების მეორე ჯგუფში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ ლ. შჩერბასა და ე. წ. ლენინგრადის სკოლის სხვა წარმომადგენელთა თეორიების მიხედვით, ფონემა განსაზღვრულია „ბგერითი ტიპის“ ტერმინებით.

ფონემის, როგორც ბგერითი ტიპის, ინტერპრეტაციას ვხვდებით ლ. შჩერბას გვიანდელ ნაშრომებში, როდესაც მან სცადა თავისი ფონოლოგიური თვალსაზრისი წარმოედგინა ახალი ვარიანტით, ენის სოციალურობისა და ფუნქციონალურობის გაგებაზე დამყარებით, მაგრამ უკვე ფსიქიკური მომენტების გათვალისწინების გარეშე²⁸⁷.

ფონემის გაგებისაგან ფსიქოლოგიური მომენტების ჩამოცილება და ფონემის სოციალურ და ფუნქციონალურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება საბჭოთა ენათმეცნიერებაში იწყება უკვე 20-იანი წლებიდან²⁸⁸. ამასთანავე, როგორც შენიშნავს ლ. ზინდერი, „ყველა ავტორი, რომელიც კი ფონემის საკითხს შეხებია, ემყარებოდა ფონემის, როგორც სიტყვათგანმასხვავებელი საშუალების, განსაზღვრას, მოცემულს შჩერბას მიერ 1912 წ.“²⁸⁹

ასე, რ. შორისთვის კონკრეტული ინდივიდუალური ბგერებისაგან განსხვავებით ფონემები (ზეინდივიდუალური) ბგერითი ტიპებია, რომელთაც „აქვთ უნარი იყვნენ ნიშნები მნიშვნელობებისათვის და განასხვავონ სიტყვები“²⁹⁰. ს. კარტევისის მიხედვით, ფონემა გამოდის ყოველგვარი ბგერითი ერთეული (მარ-

²⁸⁵ მნიშვნელობის ასეთ გათვალისწინებას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ენობრივი მნიშვნელობის შესწავლასთან იმ აზრით, როგორც ეს გვაქვს ევროპულ მიმდინარეობებში.

²⁸⁶ Г. Глнсон, დასახ. ნაშრ., გვ. 48.—საყურადღებოა, რომ ლ. ბლუმფილდის მიხედვითაც, ფონემა არის „უმცირესი ერთეული, რომელიც განასხვავებს მნიშვნელობას“. Л. Блумфилд, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

²⁸⁷ შჩერბასა და საერთოდ ლენინგრადის სკოლის თეორიის შესახებ იხ. М. Halle, Phonem cs, გვ. 7—10; Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич, К истории учения о фонеме, გვ. 69—73; М. В. П а н о в, Русская фонетика, გვ. 374 და შემდ.; А. А. Реформатский, Из истории отечественной фонологии, გვ. 194 და შემდ.; П. К. Ваараск, Очерк развития теории фонем, გვ. 23—25; С. В. Протогенов, История учения о фонеме, გვ. 15—23.

²⁸⁸ ამ საკითხზე დაწერ. იხ. Л. Р. Зиндер, Фонология и фонетика, გვ. 194—195.

²⁸⁹ იქვე, გვ. 194.

²⁹⁰ Р. Шор, Язык и общество, გვ. 51.

ცვალი, ბგერა, ბგერის ცალკეული ნიშანი), „რომელიც მოცემულ ფონოლოგიურ სისტემაში თამაშობს განმასხვავებელ როლს“, ე. ი. ემსახურება სიტყვათა მნიშვნელობის დიფერენციაციას²⁹¹.

შიგერბას ახალი თვალსაზრისი პირველად მოცემულია მის „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ (1937) და განვითარებულია შემდეგდროინდელ ნაშრომებში. „ფონეტიკის მთელი სისტემა ცალკეული ბგერების გაგებამდეც კი, — წერს ავტორი, — ჩემთან აგებულია სემანტიკურ საფუძვლებზე“²⁹². „ყოველი სამეტყველო ბგერა, როგორც საერთოდ ყოველგვარი ბგერა, არსებობს როგორც ფიზიკური, მექანიკური მოვლენა, ე. ი. როგორც გარკვეული რხევითი მოძრაობა, რომელიც ვრცელდება ამა თუ იმ გარემოში. ეს არის სამეტყველო ბგერის ფიზიკური ასპექტი. მაგრამ იგივე ბგერა, აღქმული ჩვენი ნერვული (პერიფერიული და ცენტრალური) სისტემის მიერ, წარმოადგენს უკვე მოვლენის სხვა ასპექტს — ბიოლოგიურს... . არსებობს მოვლენის მესამე ასპექტიც — ლინგვისტური, ანუ რამდენადაც ლინგვისტიკა არის სოციალური მეცნიერება — სოციალური. ასე, კითხვითი ნაწილაკი ა? წარმოთქმული ხმამაღლა ან ჩურჩულით, ბასით ან დისკანტით, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ფიზიკურად და ბიოლოგიურად სრულიად განსხვავებულ ბგერებს. მაგრამ ლინგვისტური თვალსაზრისით იგი ერთი და იგივე ნაწილაკია, ერთი და იგივე ბგერაა. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში კერძობით მოვლენებში, როგორცაა ა?-ს ფიზიკურად და ბიოლოგიურად განსხვავებული წარმოთქმები, ვხედავთ რაღაც საერთოს, რომელიც უტილიზდება ურთიერთობის მიზნებისათვის“²⁹³. ეს საერთო განიპაზღვრება ურთიერთობით, „რომელიც წარმოადგენს ენის ძირითად მიზანს, ე. ი. საბოლოოდ მნიშვნელობით: ერთნაირი მნიშვნელობა გვაძიძულებს, რომ მეტნაკლებად განსხვავებული ბგერებიც კი შევიცნოთ როგორც ერთი და იგივე“²⁹⁴. ლინგვისტიკისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამ საერთოს, „რომელიც განასხვავებს ბგერათა მოცემულ ჯგუფს (ვთქვათ, განსხვავებულ ა?-ს) სხვა ჯგუფისაგან, რომელსაც აქვს სხვა მნიშვნელობა (მაგ., ხმამაღლა ან ჩურჩულით და ა. შ. წარმოთქმული ნ კავშირისაგან)“²⁹⁵. სწორედ ამ საერთოს უწოდებს

291 С. И. Карцевский, Повторительный курс русского языка, ж. 102, 104.

292 Л. В. Щерба, Фонетика французского языка, ж. 4.

293 იქვე, ж. 20.

294 იქვე.

295 იქვე.

ავტორი ფონემას. „ყოველი ფონემა, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება იმით, რაც მას განასხვავებს ამავე ენის სხვა ფონემებისაგან. ამის გამო ყოველი მოცემული ენის ფონემები ქმნიან დაპირისპირებათა ერთიან სისტემას, სადაც ყოველი წევრი განისაზღვრება როგორც ცალკეული ფონემების, ისე მათი ჯგუფების განსხვავებულ დაპირისპირებათა სერიით“²⁹⁶.

რას წარმოადგენს ეს საერთო, resp. ფონემა? „ცოცხალ მეტყველებაში, — წერს ავტორი, — წარმოითქმის მეტი რაოდენობის სხვადასხვაგვარი ბგერები, ვიდრე ჩვეულებრივ გვგონია. ეს ბგერები მოცემულ ენაში ერთიანდებიან შედარებით მცირერიცხოვან ბგერით ტიპებში, რომელთაც აქვთ უნარი განასხვავონ სიტყვები და მათი ფორმები, ე. ი. ემსახურონ ადამიანთა ურთიერთობის მიზნებს“²⁹⁷. სწორედ ასეთი ბგერითი ტიპები აქვთ მხედველობაში, როდესაც ლაპარაკობენ ცალკეულ სამეტყველო ბგერებზე. ჩვენ მათ ვუწოდებთ ფონემებს, ხოლო რეალურად წარმოთქმულ განსხვავებულ ბგერებს, როგორც კერძოს, რომელშიც რეალიზდება საერთო (ფონემა)²⁹⁸ ფონემის ელფერებს“²⁹⁹ (ხაზი ავტორისაა —

²⁹⁶ Л. В. Шерба, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

²⁹⁷ ავტორის სხვა განმარტებით, ფონემები არიან „ენის უმცირესი ელემენტები, რომლებიც ქმნიან მის მრავალფონემიან ერთეულებსაც — მორფემებს, სიტყვებს“. Л. В. Шерба, Очередные проблемы языковедения, გვ. 22.

²⁹⁸ ფონემისა და ბგერის, როგორც ზოგადისა და კერძოს, დამოკიდებულება შეჩერებასთან შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე როგორც „ენისა“ (langue) და „მეტყველების“ (parole) ფაქტების დამოკიდებულება. საქმე ის არის, რომ ამ პერიოდში ავტორისათვის ენა, უფრო ზუსტად, „ენობრივი სისტემა“ არის. განზოგადებული სისტემა, ხოლო „მეტყველება“ შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც სამეტყველო მოქმედება — ლაპარაკისა და ვაგების პროცესები, მეორე მხრივ, კი როგორც „ენობრივი მასალა“, რომლისგანაც აბსტრაქციით გამოიყვანება აღნიშნული სისტემა (დაწვრ. იხ. Л. В. Шерба, О тройном аспекте языковых явлений... გვ. 24—26). მოცემული დამოკიდებულების გარკვევა არსებითი ჩანს ენათმეცნიერებისათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ავტორის აზრით, „ცლაში მოცემული „მეტყველების“ ფაქტებიდან ზოგადის, ე. ი. „ენის, როგორც სისტემის“ გამოყვანა, ისევე როგორც ცალკეული ფაქტების ყოველგვარი განზოგადება, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფვის ყოველი მეცნიერება. მოვლენათა მიზეზობრივი კავშირის საკითხი შეიძლება წარმატებით დაისვას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც წინ არის წამოწეული კერძოს განზოგადების პროცესი“. Л. В. Шерба, Очередные проблемы языковедения, გვ. 14—15.

²⁹⁹ Л. В. Шерба, Фонетика французского языка, გვ. 19.

ი. ქ.). შჩერბა აქაც იმეორებს თავის მოსაზრებას ტიპობრივ ელფერზე³⁰⁰. „ერთი ფონემის ელფერებს შორის — წერს იგი — ჩვეულებრივ გამოიყოფა ისეთი, რომელიც სხვადასხვა მიზეზებისა გამო ყველაზე ტიპობრივია მოცემული ფონემისათვის. იგი წარმოითქმის იზოლირებულად და ჩვენ მიერ მხოლოდ ის შეიგრძნობა როგორც სამეტყველო ელემენტი³⁰¹. ყველა დანარჩენი ელფერი ნორმალურ პირობებში არ აღიქმის როგორც ტიპობრივისაგან განსხვავებული და საჭიროა სპეციალური ფონეტიკური ვარჯიში, რათა მივეჩვიოთ მათ გაგონებას“³⁰².

ფონემის გაგებაში ძირითადად შჩერბას მიყვებიან ე. წ. ლენინგრადის ფონოლოგიური სკოლის წარმომადგენლები.

ფონემა კვალიფიცირებულია როგორც ბგერითი ტიპი³⁰³ ან ტიპობრივი ბგერა³⁰⁴.

300 შჩერბასთან ძირითადად სწორედ ტიპობრივი ელფერის დაშვება განსაზღვრავს ფონემის, როგორც ტიპის, არსებობის შესაძლებლობას და არა ის, რომ თითქოს ფონემის დადგენისას მხოლოდ ბგერათა არტიკულაციურ-აკუსტიკურ მსგავსებას ეწეოდეს ანგარიში. ამ უკანასკნელი დებულების კრიტიკისათვის იხ. Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич. К истории учения о фонеме, გვ. 72; А. Н. Гвоздев, О фонологии «смешанных» фонем, გვ. 19.

301 ავტორს შესაძლებლად მიაჩნია სიმარტივისათვის ფონემა უწოდოს ამ ტიპობრივ ელფერსაც. Л. В. Шерба, Фонетика французского языка, გვ. 19.

302 იქვე, გვ. 19.

303 М. И. Матусевич, Введение в общую фонетику, გვ. 17; В. И. Лыткин, В какой языковой единице нуждается фонетика, გვ. 41, 46, 43. ბგერითი ტიპის გაგებას გულისხმობს ზინდერიც „დამოუკიდებელ ბგერაში“: Л. Р. Зиндер, Общая фонетика, გვ. 12, 13. — ფონემის, როგორც ბგერითი ტიპის, გაგებას იზიარებენ ენათმეცნიერებიც, რომელთა თვალსაზრისი ფონემასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე საგრძნობლად განსხვავდება შჩერბას სკოლის თვალსაზრისისაგან. იხ. მაგ., А. И. Смирницкий, Фонетическая транскрипция и звуковые типы, გვ. 19 და О. С. Ахманова, Фонология, გვ. 11.

304 И. А. Лукницкий, К дискуссии по вопросам фонологии. Отклики, გვ. 370—371. „ტიპობრივ ბგერაზე“ იხ. აგრეთვე, Т. А. Бертагаев, იქვე, გვ. 371—373.

ფონემა-ტიპი განხილულია როგორც აბსტრაქცია, გარკვეული „განზოგადება“³⁰⁵, რომელიც, თავის მხრივ, სამეტყველო ნაკადში წარმოდგენილია რამდენადმე განსხვავებული სამეტყველო ბგერებით³⁰⁶. ფონემა „ენაში კონკრეტულად არსებობს განსხვავებულ ბგერადობებში“³⁰⁷, რომელთაც ვარიანტები ანუ ელფერები ეწოდებათ. „ყოველი ელფერი, ყოველი ბგერა, რომელიმე ფონემის წარმომადგენელია“³⁰⁸. გარჩეულია ფონემის პოზიციური და კომბინატორული ელფერები³⁰⁹. განსხვავება ერთი ფონემის ელფერებს შორის განპირობებულია იმ ფონეტიკური მდგომარეობით, რომელშიც მოცემული ფონემა აღმოჩნდება ხოლმე, ე. ი. სხვა ბგერათა მეზობლობით, სიტყვაში მისი ადგილით, მახვილით და ა. შ.³¹⁰ ამიტომაც „ყოველ მოცემულ ან რიგ მსგავს მდგომარეობაში ფონემა შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი ელფერით, რომელიც დაუშვებელია სხვა მდგომარეობაში“³¹¹.

ფონემატური თვალსაზრისით ფონემის ყველა ელფერი ერთნაირი ღირებულებებისად არ არის მიჩნეული. ავტორები იზიარებენ შჩერბას დებულებას ფონემის ტიპობრივ ელფერზე. ეს ის ელფერია, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ავლენს მოცემული ფონემის აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებებს. ასეთი შეიძლება იყოს იზოლირებულად წარმოთქმული ელფერი. მაგრამ, როგორც შენიშნავს ლ. ზინდერი, აქედან არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მხოლოდ იზოლირებული ელფერი შეიძლება იყოს ძირითადი. „ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ იზოლირებულად წარმოთქმის მხოლოდ მარცვლის შემქმნელი ბგერები. ამიტომ ძირითადი ელფერის საკითხი ისეთ ბგერებთან, რომლებიც არ ქმნიან მარცვალს, უფრო ძნელად გადასაწყვეტია; რიგ შემთხვევებში მოგვიწევს ვილაპარაკოთ ძირი-

³⁰⁵ იხ. А. Н. Гвоздев, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

³⁰⁶ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შჩერბა ელფერს მიიჩნევს ფონემის „რეალიზაციად“. ზოგ ავტორს ასეთი დეფინიცია მიუღებლად მიიჩნია, რადგან მათი აზრით „რეალიზაცია“ გულისხმობს „ფონემის არსებობას ბგერისაგან დაშორებულად“. იხ. Л. Р. Зиндер и М. И. Матусевич; დასახ. ნაშრ., გვ. 73.

³⁰⁷ М. И. Матусевич, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

³⁰⁸ Л. Р. Зиндер, Общая фонетика, გვ. 46.

³⁰⁹ დაწერ. იქვე, გვ. 43 და შემდ.

³¹⁰ М. И. Матусевич, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15; И. А. Лукниц-
 ж и й, დასახ. ნაშრ., გვ. 369.

³¹¹ Л. Р. Зиндер, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

თადი ელფერის უქონლობასა და მოცემული ფონემისათვის რამდენიმე თანასწორუფლებიანი ელფერის არსებობაზე³¹².

ისევე, როგორც შჩერბასათვის, მისი მიმდევრებისათვისაც ფონემა ხასიათდება არა მხოლოდ არტიკულაციურ-აკუსტიკური ნიშნებით, არამედ ფუნქციონალური ნიშნებითაც: ფონემა ენის ფუნქციონალური ერთეულია. რა ფუნქციებს ასრულებს ფონემა? შჩერბას მსგავსად, მნიშვნელობის განმასხვავებელ და მნიშვნელობის მატარებელ ფუნქციებზე მიუთითებენ ლ. ზინდერიცა და მ. მატუსევიჩი³¹³. განმასხვავებელ ფუნქციაზე, როგორც ფონემის ძირითად ფუნქციაზე, ლაპარაკობენ სხვა ავტორები³¹⁴.

განმასხვავებელი (დისტინქციური) ფუნქცია გაგებულია სხვადასხვაგვარად. ჩვეულებრივი გაგებით ეს მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქციაა და, შესაბამისად, ფონემები მნიშვნელობის, აზრის, განმასხვავებელი ერთეულებია. ლ. ზინდერს შესწორება შეაქვს ამ გაგებაში: „სიტყვის მნიშვნელობა, ცხადია, არ არის დამოკიდებული ფონემურ შედგენილობაზე... ექვს გარეშეა, რომ სიტყვები, მაგალითად, стол და стул სხვადასხვაა არა იმიტომ, რომ სხვადასხვა ხმოვანი აქვთ, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნავენ სხვადასხვა ცნებას. ...ასევე ექვს გარეშეა, რომ ჩვენ განვასხვავებთ სიტყვას стол სიტყვისაგან стул და ვცნობთ ამ სიტყვებს ყოველგვარი კონტექსტის გარეშე სწორედ იმიტომ, რომ პირველს აქვს о, მეორეს კი — у ხმოვანი. ამ აზრით შეიძლება ლაპარაკი ფონემის „სიტყვათგანმასხვავებელ“ და „სიტყვათსაცნობ“ (словоопознавательная) ფუნქციებზე“³¹⁵.

მორფემატული თეორია

1. 18 მორფემატული თეორიის სახელწოდებით აქ წარმოდგენილია ფონოლოგიური თეორია, დამუშავებული ე. წ. მოსკოვის სკოლის ფონოლოგთა მიერ³¹⁶. აღნიშნული თეორია წარმოადგენს

³¹² Л. Р. Зиндер, *Общая фонетика*, გვ. 45—46.

³¹³ იქვე, გვ. 34—35; М. И. Матусевич, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 17.

³¹⁴ В. И. Лыткин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 41; И. А. Лукницкий, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 369; А. Н. Гвоздев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 52; Т. А. Бертагаев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 372—373.

³¹⁵ Л. Р. Зиндер, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 39.

³¹⁶ 1950 წლამდე ეს სკოლა ცნობილი იყო როგორც „Новомосковская школа“.

იმ ცნობილი შეხედულებების გაგრძელებას, რომელთაც თავის დროზე ავითარებდა ი. ბოდუენ დე კურტენე ბგერითი ფაქტების მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით განხილვისას (დაწვრ. იხ. ზემოთ). შესაბამისად, ფონემა გაგებულა, პირველ ყოვლისა, როგორც მორფემის შემადგენელი ელემენტი („მორფემის მოძრავი ელემენტი“).

აღნიშნული სკოლის ფორმირება ხდებოდა 20—30-იან წლებში³¹⁷. მასში გაერთიანდნენ მოსკოველი სპეციალისტები (რ. ავანესოვი³¹⁸, ვ. სიდოროვი, ა. რეფორმატსკი, პ. კუზნეცოვი, ა. სუხოტინი), რომელთაც გარდა თეორიული ინტერესებისა, საერთო პრაქტიკული საქმიანობაც აკავშირებდა (ანბანური სისტემისა და ორთოგრაფიის რეფორმა, ტრანსკრიფციის უნიფიცირება...). ამ ერთობლივი მოღვაწეობის საფუძველზე და მის შესაბამისად იქმნებოდა და იხვეწებოდა ფონემის თეორია, რომელიც მეტ-ნაკლებად დასრულებული სახით ჩამოყალიბებულ იქნა უკვე 30-იანი წლების დასასრულისათვის³¹⁹. აღნიშნულ თეორიას ამჟამადაც ბევრი მიმდევარი ჰყავს და საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ წამყვან ფონოლოგიურ მიმდინარეობად ითვლება³²⁰.

1. 181 მოსკოვის ფონოლოგიური სკოლის თეორიას წარმოადგენთ ამ სკოლის უხუცესი წევრის, მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის ა. რეფორმატსკის ნაშრომების მიხედვით³²¹.

317 მოსკოვის ფონოლოგიური სკოლის ჩამოყალიბების ისტორიისათვის დაწვრ. იხ. А. А. Реформатский, Из истории отечественной фонологии.

318 50-იანი წლებიდან რ. ავანესოვი მორფემატული თეორიის ბაზაზე აშუშავებს ფონემის ახალ კონცეფციას, რომელშიც ცდილობს მოსკოვისა და ლენინგრადის სკოლების თვალსაზრისთა შეერთებას. დაწვრ. იხ. Р. И. Аванесов, Кратчайшая звуковая единица в составе слова и морфем.

319 თეორიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ნ. იაკოვლევის 20-იანი წლების ნაშრომებმა (იხ., მაგ., Н. Ф. Яковлев, Математическая формула построения алфавита), თუმცა იაკოვლევი ამ სკოლის წევრი არ ყოფილა. დაწვრ. იხ. А. А. Реформатский, დასახ. ნაშრ., გვ. 16 და შემდ.

320 მომდევნო თაობის წარმომადგენელთაგან შეიძლება დავასახელოთ: ი. ილინსკაია, ს. ვისოტსკი, მ. პანოვი, ვ. ივანოვი, ვ. ვინოგრადოვი, ვ. ჟურავლიოვი, ე. გინზბურგი, ნ. მატვეევა და სხვ.

321 ა. რეფორმატსკის შეხედულებებზე იხ. აგრეთვე М. Halle, Phonemics, გვ. 342—347; М. Петер, К теории „московской фонологической школы“, გვ. 16—19; С. В. Протогенов, История учения о фонеме, გვ. 27 და შემდ.

ავტორის ფონოლოგიური თვალსაზრისი ემყარება ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, ურთიერთობის იარაღის, გაგებას. როგორც ასეთი, „ენა არ შეიძლება გაიყოს „შუაზე“ — „სოციალურ“ და „ბუნების“ მოვლენებად ან კიდევ „მატერიალ“ და „ფორმად“, — წერს იგი. ენის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი „ერთიანობა და მთლიანობა, თავისებურებები მისი სტრუქტურისა, რომელიც შედგენილია ფონეტიკის, გრამატიკისა (მორფოლოგიისა და სინტაქსის) და ლექსიკისაგან“³²². ენა წარმოადგენს იერარქიულად განლაგებული იარუსებისაგან მიღებულ რთულ „სემიოტიკურ სისტემას“³²³, სადაც, ავტორის აზრით, ყოველ სტრუქტურულ იარუსს განასხვავებს არა მხოლოდ მისთვის სპეციფიკური ერთეულები, არამედ „იმ აბსტრაქციის ხასიათიც, რომელიც მას განსაზღვრავს“³²⁴. მაგრამ ენა, მიუხედავად „თავისი სტრუქტურის მთელი სირთულისა და მისი შემადგენელი ელემენტების არაერთგვაროვნებისა, ყოველთვის ქმნის მთლიანობას, რომელიც ექვემდებარება მისი წყობის შინაგანი კანონების მოქმედებას“³²⁵. ასე რომ, თუ ავტორისათვის „არ არის საეჭვო ენობრივი სტრუქტურის ყოველი ცალკეული იარუსის ავტონომიურობა“, ასევე უეჭველად არის მიჩნეული „ამ იარუსების აუცილებელი და სტრუქტურულად განპირობებული კავშირიც“³²⁶. მაგ., მორფოლოგიური იარუსისათვის ძირითად ერთეულად ავტორი გამოყოფს მორფემას, ფონოლოგიურისათვის — ფონემას³²⁷, მაგრამ „ფონემები სადღაც კი არ არსებობენ, არამედ არსებობენ მორფემებში“³²⁸ და თვით მორფემები (მათი ტიპი: ძირი; სუფიქსი, პრეფიქსი, ფლექსია), სიტყვაში მათი შეერთების ხასიათი, ქმნიან აუცილებელ პირობებს ფონემათა არსებობისათვის“³²⁹. შესაბამისად, ფონემა განიხილება როგორც „მორფემის

322 А. А. Реформатский, О соотношении фонетики и грамматики, გვ: 399.

323 А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 114.

324 А. А. Реформатский, Введение в языкознание, გვ. 34.

325 А. А. Реформатский, О соотношении..., გვ. 420.

326 იქვე.

327 А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 114.

328 ამას; რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არ აქვს ისეთ შემთხვევებთან, როდესაც ავტორის მიხედვით, „ენის სტრუქტურაში უფრო დაბალი იარუსის ყოველი უმაღლესი რიგის ერთეული შეიძლება იყოს უფრო მაღალი იარუსის უმაღლესი რიგის ერთეული“. ასე, ერთი ფონემა შეიძლება იყოს მორფემა, ერთი მორფემა — სიტყვა და ა. შ. იხ. იქვე, გვ. 114.

329 იქვე, გვ. 59.

მოძრავი ელემენტი“ (ბოდუენისეული აზრით)³³⁰ და ეს მომენტი-
რჩება განმსაზღვრელი ფონემის დეფინიციისათვის.

ფონემები ფუნქციონალური ერთეულებია, რომლებიც, ავტო-
რის მიხედვით, ენაში ასრულებენ ორ ფუნქციას: პერცეფციულსა
და სიგნიფიკაციურს. ფონემის პერცეფციული ფუნქცია არის სა-
მეტყველო ბგერებისა და მათი შენაერთების სმენის ორგანოთი,
ყურით, აღქმის შესაძლებლობა³³¹. სხვაგვარად, ფონემები წარმო-
ადგენენ „აღქმის დანაწევრებულ ობიექტს, რის გამოც ისინი
აუცილებლად რეალიზდებიან მატერიალურად (თუნდაც ეს მატე-
რიალურობა ზოგ შემთხვევაში ნულოვანი იყოს)“³³². ფონემის
სიგნიფიკაციურ ფუნქციაში იგულისხმება „ბგერითი მატერიის სა-
შუალებით ენის მნიშვნელობის მატარებელ ელემენტთა განსხვავე-
ბის შესაძლებლობა“³³³, ე. ი. ფონემები „განასხვავებენ მნიშვნე-
ლობას (თუმცა არა თავისი რეალიზაციის ყველა შემთხვევაში,
მაგრამ ეს დამოკიდებულია პოზიციის სხვადასხვა ტიპზე)“³³⁴. შე-
საბამისად, ფონემები განისაზღვრება როგორც ენის ბგერითი
წყობის მინიმალური ერთეულები, რომელ-
თა საშუალებითაც აიგებიან და განსხვავე-
დებიან მნიშვნელობის მატარებელი ერთე-
ულები: მორფემები, სიტყვები, წინადადებე-
ბი³³⁵.

ფონემა ენის „მინიმალური ერთეულია“ მხოლოდ იმ აზრით,
რომ ხაზობრივად მისი შემდგომი დაყოფა უფრო მცირე ერთეულე-
ბად შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ავტორი თვლის, სემანტიკუ-
რად ფონემა „მარტივი მოვლენა კი არ არის, არამედ გარკვეული
ერთიანობა (არა სუქცესიური, არამედ სიმულტანური) ნიშნებისა“,
რომლებიც ფონემის გარეშე დამოუკიდებლად არ არსებობენ³³⁶.

330 A. A. Реформатский, Из истории..., გვ. 12, 59 და სხვ.

331 A. A. Реформатский, Введение..., გვ. 172.

332 A. A. Реформатский, Согласные, противопоставленные по
способу и месту образования..., გვ. 374.

333 A. A. Реформатский, Введение..., გვ. 172.

334 A. A. Реформатский, Согласные, противопоставленные
по способу и месту образования..., გვ. 374.

335 A. A. Реформатский, Введение... გვ. 175.

336 დაწვრ. იხ. A. A. Реформатский, Из истории..., გვ. 115; იხ..
ავრთვე: Введение..., გვ. 175—176.

ფონემის განსხვავებული ფუნქციების შესაბამისად განსხვავებულია ფონემებში შემავალი ნიშნების როლიც ენაში. ფონემის ნიშანი იქნება „განმასხვავებელი“, „დიფერენციული“ (ანუ „დიფერენციალი“), თუ რომელიმე ფონემა მეორისაგან განსხვავდება მხოლოდ მოცემული ნიშნით. მაგ., რუსულის [д] ფონემაში შეიძლება გამოვყოთ მქლერობა (სიყრუის საპირისპიროდ: ДОМ-ТОМ), სიმაგრე (სილბოს საპირისპიროდ: ДОМА-ДѢМА), ხშულობა (ფრიკატიულობის საპირისპიროდ: ДАЛ-ЗАЛ) და ა. შ.³³⁷ ის ნიშანი, რომელიც არ განასხვავებს ფონემებს ერთმანეთისაგან, მაგრამ „ავსებს“ ფონემის შედგენილობას, იქნება „ამესები“, „ინტეგრალური“ (ანუ „ინტეგრალი“)³³⁸. მაგ., რუსულში [г] ფონემისათვის ხშულობა იქნება ინტეგრალური და არა განმასხვავებელი ნიშანი, რადგან მხოლოდ ამ ნიშნით იგი არ უპირისპირდება არც ერთ სხვა ფონემას. ამიტომ [горѡт] და [гѡрат] გაიგება როგორც ერთი და იგივე სიტყვა город, თუმცა [г] და [г'] ისევე განსხვავებული ბგერებია, როგორც [д] და [з] дал-зал სიტყვებში³³⁹.

ავტორის აზრით, „ფონემა ყოველთვის მოცემული, გარკვეული ენისათვის დამახასიათებელი, ფონეტიკური სისტემის წევრია. სახელდობრ, ყოველი ფონემის შინაარსი განისაზღვრება მისი მდებარეობით სისტემაში“³⁴⁰. ფონემის რეალურ შინაარსს ქმნის დიფერენციულ ნიშანთა ერთიანობა. სწორედ ამის გამოა, რომ ერთნაირი ბგერები სხვადასხვა ენაში წარმოგვიდგებიან როგორც განსხვავებული ფონემები. მაგ., თუ შევადარებთ რუსული და ფრანგული ენების [т], [т'], [к], [к'] ბგერებს, „აღმოჩნდება, რომ რუსულში აქ სამი ფონემა გვაქვს: [т], [т'] და [к/к'], რამდენადაც [т] და [т'] ბგერებს შეუძლიათ არსებობა ერთნაირ ფონეტიკურ საწარმოთქმო პირობებში და მნიშვნელობის განსხვავება: пут-путь [пут-пут'], тук-тюк [тук-т'ук]. [к] და [к'] არ გვხვდება ერთნაირ პირობებში და ამდენად მათ არ შეუძლიათ განასხვაონ

337 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 176—178.

338 იქვე, გვ. 176. დიფერენციული და ინტეგრალური ნიშნების შესახებ იხ. აგრეთვე А. А. Реформатский, Проблема фонемы в американской лингвистике, გვ. 243—245.

339 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 176.

340 იქვე, გვ. 180—181; А. А. Реформатский, Проблема фонемы..., გვ. 247—248.

მნიშვნელობა: [κ] გვხვდება [a], [o], [y] ბგერების წინ და სიტყვის ბოლოში, [κ'] კი — [ი], [ჟ] ბგერების წინ, მაგრამ არასოდეს სიტყვის ბოლოში: рука, рукой, руку, рук, მაგრამ рук'и рук'е. ფრანგულში აქ მხოლოდ ორი ფონემა გვაქვს, რადგან ამ თანხმოვანთა თითოეული წყვილი ქმნის ერთ ფონემას; მაგარი და რბილი ელფერი ყოველი წყვილისათვის დამოკიდებულია საწარმოთქმო პირობებზე...; [T] და [T'] ბგერებს ფრანგულში არ შეუძლიათ ერთნაირ ფონეტიკურ პირობებში არსებობა და მნიშვნელობის განსხვავება³⁴¹. სხვაგვარად, ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს, რომ „ერთსა და იმავე ნიშანს სხვადასხვა ფონემათა შემადგენლობაში შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვაგვარი ფუნქციონალური დახასიათება: ერთ ენაში იგი განმასხვავებელი, საწარმოთქმო პირობებისაგან დამოუკიდებელი, ნიშანია (სიმაგრე-სილბო რუსულში), სხვებში — არაგანმასხვავებელი, დამოკიდებული საწარმოთქმო პირობებზე (სიმაგრე-სილბო ფრანგულში). ასეთივე მდგომარეობაა ერთი ენის ფარგლებშიც. მაგ., რუსულში ხმის მონაწილეობის ნიშნით ერთმანეთს უპირისპირდებიან მუღერი და ყრუ თანხმოვნები: /п-р/, /т-д/, /с-з/ და ა. შ., მაგრამ ეგვე ნიშანი თანხმოვნებთან ან სონორებთან „მხოლოდ პერცეფციული ფუნქციით გვევლინება“³⁴².

მიუხედავად ფონემისათვის დიფერენციულ ნიშანთა ასეთი მნიშვნელობისა, ავტორის აზრით, ფონოლოგიას მაინც არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ დიფერენციული ნიშნების ანალიზით, „ჭერ ერთი, იმიტომ, რომ ინტეგრალში შეიძლება თამაშობდნენ აქტიურ როლს პოზიციური ვარიანტებისათვის ენის მოცემულ სინქრონიულ სისტემაში...; მეორეც ის, რომ, რაც დღეს ინტეგრალია, ხვალ შეიძლება გახდეს დიფერენციალი, რომლის გარეშეც შეუძლებელია გვიანართ დიაქრონიული, ან უკეთ, ისტორიული ფონოლოგია“³⁴³.

ამგვარად, განხილულ თეორიაში „ფონემისა“ და „სამეტყველო ბგერის“ ცნებები არ ემთხვევა ერთმანეთს. თუ ბგერა გამოდის სამეტყველო ნაკადის ხაზოვანი სეგმენტირების ერთეული, ფონემა სტრუქტურული სეგმენტირების ერთეულია³⁴⁴. „ბგერისა-

341 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 176—177.

342 იქვე, გვ. 177.

343 А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 115; იხ. აგრეთვე А. А. Реформатский, Введение.... გვ. 176, შწ. 1.

344 А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 114.

გან განსხვავებით ფონემა რთული სემიოტიკური მოვლენაა³⁴⁵. „წარმოთქმულ ბგერათა მრავალფეროვნება ყოველ ენაში დაიყვანება ძირითადი ბგერითი ერთეულების — ფონემების შეზღუდულ რაოდენობამდე“³⁴⁶. „ფონემა შეიძლება შედგებოდეს არა მხოლოდ ერთი ბგერისაგან (მაგ., სიტყვაში ура სამი ფონემა სამ ბგერაშია), არამედ ორი ბგერისაგანაც (მაგ., ნამდვილი დიფთონგები [aj], [oi], [au] ინგლისურში: fly [flaj] — „ფრენა“, boy [boj] — „ბიჭი“, hause [haus] — „სახლა“...; შეიძლება ორი ფონემა წარმოითქმოდეს ერთი ბგერის სახით, მაგ., რუსულ сшить [ш:ыть] სიტყვაში, სადაც ერთი ბგერა „გრჩელა ш“ აერთიანებს [с] ფონემას წინსართიდან და [ш] ძირეულ ფონემას (შდრ. рать — срать, სადაც [с] წარმოითქმის როგორც ცალკე ბგერა); ასევე სიტყვაში детский [д'шцкэу] [ц] ბგერა აერთიანებს ძირის ბოლოკიდურ [т] ... და სუფიქსის თავკიდურ [с] ფონემებს... ფონემის ბგერადობა შეიძლება გაუტოლდეს აგრეთვე ნულს, მაგ., მეორე [o] ფონემისა სიტყვაში сутолока [с'утолка] (შდრ. толочь), ან [a] ფონემისა სიტყვაში все-таки [фс'отк'и] (შდრ. так) ან [т], [д] ფონემებისა სიტყვებში честный, праздный [чэснэу, прэзнэу] (შდრ. честен, праздни) და ა. შ.“³⁴⁷

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგებია, თუ რატომ მიიჩნევენ ავტორი ფონოლოგიის ობიექტებს „აბსტრაქტულ“ ობიექტებად. მაგრამ „ლინგვისტურად ფონემები რეალური და კონკრეტულია. ფონემების სისტემა მისი ფუნქციონირების მთელი მრავალფეროვნებით იქმნება არა კვლევითი პრაქტიკის შაბსტრაქტიზებული მეთოდებით, არამედ ხალხის მიერ... კვლევითი პრაქტიკა მხოლოდ შეიმეცნებს მეტ-ნაკლებად ადეკვატური გზით ამ ობიექტის რეალობას“³⁴⁸.

ყოველი ფონემა, როგორც მორფემის შემადგენელი ნაწილი, ცოცხალ მეტყველებაში წარმოდგენილია ფონეტიკურად განსხვავებული ბგერებით. ეს განსხვავებები გამოწვეულია პოზიციური პირობებით და ამდენად მათი ხასიათის გარკვევა აუცილებელს ხდის თვით პოზიციის ცნების დაზუსტებას³⁴⁹.

345 А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 115.

346 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 174.

347 იქვე, გვ. 175.

348 А. А. Реформатский, К проблеме фонемы и фонологии, 33. 473.

349 ავტორის მიხედვით, განსხვავება ფონეტიკისა და მორფოლოგიას შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „ფონეტიკა ფონემას იღებს პოზიციებისა და პოზიციებით განპირობებულ ყველა მოვლენათა პირობებში, ხოლო მორფოლოგია — პოზიციების გარეშე“. А. А. Реформатский, О соотношении..., გვ. 420.

ზოგადად პოზიცია განსაზღვრულია როგორც „მეტყველებაში ფონემათა გამოყენებისა და რეალიზაციის პირობები“³⁵⁰. ფონემათა რეალიზაციის ხასიათის მიხედვით გარჩეულია ძლიერი და სუსტი პოზიციები³⁵¹. ძლიერია „ფონემის მიერ მისი ფუნქციის შესრულებისათვის ხელსაყრელი პოზიციები, ხოლო სუსტი — ფონემის მიერ მისი ფუნქციის შესრულებისათვის არახელსაყრელი პოზიციები“³⁵². რამდენადაც ფონემა ასრულებს ორ ფუნქციას — პერსეფციულსა და სიგნიფიკაციურს, ავტორის მიხედვით, საჭირო ხდება ძლიერი და სუსტი პოზიციების ცნებათა შემდგომი დანაწევრებაც. სახელდობრ:

„პერსეფციული ფუნქციის თვალსაზრისით ძლიერია ის პოზიცია, რომელშიც ფონემა გამოდის თავისი ძირითადი სახით, პოზიციისაგან დამოუკიდებლად; სუსტი კი ის პოზიციაა, რომელშიც ფონემა იცვლის თავის ბგერადობას პოზიციის მიხედვით და გამოდის ფონემის ელფერის ანუ ვარიაციის სახით“³⁵³. მაგ., რუსულ სიტყვებში мал-мил და мыл-вил [a] და [и] წარმოგვიდგებიან როგორც ფონემათა ძირითადი სახეები (მათი ბგერადობა არ არის დამოკიდებული წინამავალ თანხმოვნებზე), [ж] და [х] კი — როგორც ვარიაციები (რომელთა ბგერადობა განპირობებულია წინამავალ თანხმოვანთა მეზობლობით)³⁵⁴. ვარიაციები ყოველთვის განეკუთვნებიან ერთ ფონემას, რომელიც „როგორც საერთო ვლინდება ცალკეულში, ცალკეულის გზით, ე. ი. a₁, a₂, a₃... a_n = A, სადაც a ინდექსებით ვარიაციებია, A კი — ფონემა“³⁵⁵. ვარიაციები, რამდენადაც ისინი არ არიან დაკავშირებული მნიშვნელობის შეცვლასთან, ავტორის აზრით, ჩვეულებრივ შეუმჩნეველნი რჩებიან მოლაპარაკეთათვის³⁵⁶.

350 А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 115.

351 ფონეტიკური და სხვა ფაქტორების მიხედვით პოზიციათა განსხვავებებისათვის დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 115—116; მისივე: Согласные. противопоставленные..., გვ. 376 და შემდ.

352 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 178; Из истории..., გვ. 116.

353 А. А. Реформатский, Введение...; გვ. 178—179; მისივე: Согласные. противопоставленные..., გვ. 377.

354 დაწვრ. იხ. А. А. Реформатский, Введение..., გვ. 179; იხ. აგრეთვე Проблема фонемы..., გვ. 246—247.

355 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 179.

356 იქვე, გვ. 180.

რაც შეეხება ძლიერი და სუსტი პოზიციების განსხვავებას სიგნიფიკაციური ფუნქციის თვალსაზრისით, აქ ძლიერად მიჩნეულია ის პოზიცია, „რომელშიც ფონემები (უპირატესად კორელაციურები და, განსაკუთრებით, ჩაკეტილი კორელაციურები)³⁵⁷ ინარჩუნებენ დაპირისპირებას და განსხვავდებიან რა თვითონ, განასხვავებენ ენაში მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებს“. სუსტია ის პოზიცია, „რომელშიც დაპირისპირებული ფონემები ბგერადობით ემთხვევიან ერთმანეთს, აღარ განსხვავდებიან და ვერ განასხვავებენ ენაში მნიშვნელობის მატარებელ ერთეულებს. ამით დაპირისპირება ნეიტრალიზდება“³⁵⁸. სიგნიფიკაციურად სუსტ პოზიციაში ლაპარაკია უკვე არა ერთი ფონემის ელფერებზე, არამედ ორი ან რამდენიმე ფონემის დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციის შედეგად მიღებულ საერთო ვარიანტებზე³⁵⁹. „სხვადასხვა ერთეულთა ბგერადობის დამთხვევის გამო, რომელსაც მივყავართ ჰომოფონიამდე, ვარიანტები პირდაპირ აისახება გაგებაზე. ამით ვარიანტები — სიგნიფიკაციურად სუსტ პოზიციათა ბგერადობები — პრინციპულად განსხვავდებიან ვარიაციებისაგან — პერცეფციულად სუსტ პოზიციათა ბგერადობებისაგან“³⁶⁰. დაპირისპირებათა მოხსნის შემთხვევაში, ავტორის მიხედვით, ფონემათა ბგერადობა შეიძლება დაემთხვეს მოცემულ ფონემათაგან ერთ-ერთის ბგერადობას. მაგ., ყრუ და მჟღერი თანხმოვნები სიტყვის ბოლოს რუსულში ერთმანეთს ემთხვევიან ყრუ ვარიანტში (луг და лук წარმოითქმის ერთნაირად, როგორც [лук]), ხოლო მჟღერი თანხმოვნების წინ — მჟღერ ვარიანტში (луг ны და лук ны წარმოითქმის ერთნაირად: [луґны]). მაგრამ ბგერადობა შეიძლება აგრეთვე რეალიზებულ იქნეს რომელიმე სხვა ბგერით, რომელიც არ ემთხვევა არც ერთი დაპირისპირებული ფონემის ბგერადობას. მაგალითად, [a] და [o] ხმოვნის წარმოთქმა რუსულში მახვილიან პოზიციაში განსხვავებულია (მაგ.,

357 ავტორისათვის „კორელაციურია“ დაპირისპირება, თუ მისი წევრები განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ნიშნით, ხოლო ყველა დანარჩენი ნიშნით ემთხვევიან ერთმანეთს. „ჩაკეტილი კორელაციების“ შემთხვევაში დაპირისპირება ამოიწურება მხოლოდ ორი წევრით, მაგ., ყრუ||მჟღერი: [п] || [б], [т] || [д] და ა. შ. დაწვრ. იხ. А. А. Реформатский и, Введение..., გვ. 181; მისივე: Из истории..., გვ. 117; Согласные, противопоставленные..., გვ. 375 და შემდ.

358 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 180; მისივე: Из истории..., გვ. 118.

359 А. А. Реформатский, Введение..., გვ. 180.

360 იხ. იქვე.

сам და ცომ). მაგრამ უმახვილო მარცვალში ისინი ერთმანეთს ემ-
თხვევიან [A] ბგერაში: сама поймала сома (самá паўмалა самá),
სა.თ.ც [A] შეესატყვისება როგორც a-ს, ისე o-ს და წარმოად-
გენს მათ საერთო ვარიანტს³⁶¹.

ფონემები, რომლებიც გარკვეულ პოზიციაში აღარ განსხ-
ვავდებიან ერთმანეთისაგან, ერთიანდებიან ჰიპერფონემაში³⁶². ჰი-
პერფონემაში ფონემათა ინდივიდუალური განსხვავებები მოხსნი-
ლია და რჩება მხოლოდ ჯგუფური განსხვავებები, რომლითაც მო-
ცემული ფონემები განსხვავდებიან იმავე პოზიციაში ყველა სხვა
ფონემებისაგან³⁶³. ჰიპერფონემა არ გულისხმობს აუცილებლად
ფონემათა ერთიანობას, იგი შეიძლება შემოიფარგლოს ცალკე
ფონემითაც. მაგ., თუ რუსულში მახვილიანი ხმოვნების დონეზე
გარჩეულია и, э, а, о, у ერთეულები, უმახვილო ხმოვნების დონე-
ზე მაგარი თანხმოვნების შემდეგ ხმოვანთა წყვილები и/э და а/о
არ განსხვავდებიან და რჩება სამი ჰიპერფონემის განსხვავება:
и/э, а/о და у; ეს ჰიპერფონემები მოიცავენ и და э, а და о ფონემათა
ნეიტრალიზაციას და თუმცა у რჩება უცვლელი, ამ დონეზე იგი
ფონემა კი არ არის, არამედ ჰიპერფონემა³⁶⁴.

ამგვარად, ფონემა მეტყველებაში რეალიზებულია ვარიაციე-
ბით და ვარიანტებით³⁶⁵, ანუ როგორც მათ ავტორი უწოდებს,
„ფონემის მორდიფიკაციის განსხვავებული ტიპებით“³⁶⁶. ფართო
მნიშვნელობით „ფონემა — ეს არის რიგი, შექმნილი ძლიერ პოზი-

³⁶¹ А. А. Реформатский, Введение..., გვ. 180; იხ. აგრეთვე: К про-
блеме фонемы и фонологии, გვ. 72.

³⁶² როგორც რეფორმატსკი აღნიშნავს, ჰიპერფონემის ცნება შემოტანილია
გ. სილოროვის მიერ. А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 63—64.

³⁶³ უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის ფონოლოგიური სკოლის თვალსაზრი-
სით პოზიცია არსებობს არა მთლიანი ფონემების, არამედ მხოლოდ დიფერენცია-
ლების მიმართ. რამდენადაც ყოველი ფონემის შედგენილობაში შედის რამდენიმე
დიფერენციალი, მოცემული პოზიცია გარკვეული ნიშნების მიმართ შეიძლება
იყოს ძლიერი, გარკვეული ნიშნების მიმართ კი — სუსტი. ასე, რუსულში სიტ-
ყვის ბოლოს პოზიცია სუსტია სიყრუისათვის, მაგრამ ძლიერია სიმავრისათვის
და ა. შ. დაწვრ. იხ. А. А. Реформатский, Проблема фонемы...,
გვ. 247.

³⁶⁴ დაწვრ. იხ. А. А. Реформатский, Из истории..., გვ. 64, 118.

³⁶⁵ იქვე, გვ. 81.

³⁶⁶ А. А. Реформатский, К проблеме фонемы и фонологии,
გვ. 472.

ციაში მისი ძირითადი სახისა და სუსტ პოზიციებში ყველა ვარიანტებისაგან³⁶⁷. ფონემათა რაოდენობის დადგენა, ავტორის მიხედვით, შესაძლებელია „მხოლოდ ძლიერ პოზიციათა შედარების საფუძველზე. ამასთანავე, აღებული უნდა იქნან მორფემები და არა სიტყვები, ხოლო თითოეული მორფემის ფონემური შედგენილობა უნდა განისაზღვროს იმ პოზიციური პირობებისაგან დამოუკიდებლად, რომელშიც ის აღმოჩნდება სიტყვის ფარგლებში. მაგ., სიტყვაში детский [д'шцкэц] პირველ რიგში განისაზღვრება ძირის ფონემური შედგენილობა, [д], [э]—პირდაპირ, ხოლო ბოლო თანხმოვანი — деток, детска ფორმებთან შეპირისპირებით. სუფიქსის ფონემური შედგენილობა განისაზღვრება ანალოგიურად წარმოებულ ზედსართავთან შედარებით, რომელშიც სუფიქსი არ მოსდევს т, д თანხმოვნებს, მაგალითად конский, морской, дамский“. ამ გზით დგინდება მთლიანად სიტყვის ფონემური შედგენილობა: [д'шт-ск-оц]. მორფემის შიგნით ფონემათა რაოდენობა კი დგინდება „იმ შენაცვლებათა მინიმალური რიცხვით, რომლებიც რეალურად გვაძლევენ სხვა მორფემას“. მაგ., მორფემაში /вор/ სამი ფონემაა, რამდენადაც მათი შენაცვლება სხვა ფონემებთან გვაძლევს სხვა მორფემებს: мор-, вар-, вол.³⁶⁸ იმ შემთხვევებში, როდესაც გაირკვევა, რომ მოცემული ბგერები არ შეიძლება იმყოფებოდნენ ძლიერ პოზიციაში, მაგრამ იმავე მორფემებში ენაცვლებიან ძლიერი პოზიციის ბგერადობას, საქმე გვაქვს ერთი და იმავე ფონემების ვარიაციებთან. მაშინ საჭირო ხდება ძირითადი სახის დადგენა³⁶⁹.

ფონემის ფუნქციონალური თეორია

1. 14 ამ სახელწოდებით ჩვეულებრივ აღნიშნავენ ფონემის არსებულ თეორიათა შორის ყველაზე ცნობილ და ყველაზე გავრცელებულ თეორიას, რომლის შექმნა დაკავშირებულია პრალის

³⁶⁷ А. А. Реформатский, Проблема фонемы.... გვ. 248. — აქ „ვარიანტებში“ იგულისხმება როგორც საკუთრივ ვარიანტები, ისე ვარიაციებიც.

³⁶⁸ А. А. Реформатский, Введение..., გვ. 182.

³⁶⁹ იქვე. — იგულისხმება, რომ ფონემის ფონეტიკური დახასიათებაც ხდება ძირითადი ვარიანტის მიხედვით. ასე რომ, მტკიცება, თითქოს მორფემატულ თეორიაში ფონემის ფონეტიკური თვისებები საერთოდ არ იყოს გათვალისწინებული, საფუძველს მოკლებულია. შტრ. Т. П. Ломтев, Проблема фонемы в свете нового учения о языке.

ლინგვისტური სკოლის საქმიანობასთან ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში³⁷⁰.

სახელწოდება „პრალის ლინგვისტური სკოლა“ ანუ „პრალის სტრუქტურალისტური სკოლა“ თავდაპირველად გამოყენებულ იქნა სლავური და გერმანული ენებისა და ლიტერატურის მკვლევართა ჯგუფის აღსანიშნავად, რომლებიც 1926 წ. ვ. მათეზიუსის ხელმძღვანელობით გაერთიანდნენ პრალის საენათმეცნიერო წრედ და, ამ წრის ერთ-ერთი წევრის რ. იაკობსონის სიტყვებით³⁷¹, ცდილობდნენ ენისა და ლიტერატურის შესწავლის სფეროში თანმიმდევრულად დაენერგათ სტრუქტურალისტური (ფუნქციონალისტური) იდეები³⁷². პრალის სკოლის არსებობისათვის ნიადაგი მოამზადა არა მხოლოდ ახალმა ენათმეცნიერულმა ტენდენციებმა, რომლებმაც განსაკუთრებული ინტენსივობით იჩინეს თავი სოსიურის შემდეგ, არამედ იმ სპეციფიკურმა პირობებმაც, რომლითაც ხასიათდებოდა პრალის საენათმეცნიერო ცხოვრება. ლინგვისტური ატმოსფერო, რომელიც იქ შეიქმნა ვ. მათეზიუსისა და სხვათა მოღვაწეობის მეოხებით, საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა სოსიურიანული იდეების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის³⁷³. პრადელების თეორიული მიმართულების („ფუნქციონალური ლინგვისტიკის“, როგორც თვით ავტორები უწოდებენ ამ მიმართულებას) ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ წრის საქმიანობაში ვარდა ჩეხი ფილოლოგებისა (ვ. მათეზიუსი, ბ. ჰავრანეკი, ბ. ტრნკა, ი. ვახეკი, ი. მუჟარჟოვსკი, ვ. სკალიჩკა, ი. კორჟინეკი და სხვ.), ჩაბმული იყვნენ აგრეთვე უცხოელი სპეციალისტებიც (ჟ. ვანდრიესი, ჟ. გუგენჰეიმი, ა. მარტინე, ა. სომერფელტი, კ. ჰ. ბორგ-სტრემი, ნ. ვან-ვეიკი, ნ. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი, ს. კარცევსკი

370 ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე სახელწოდება „რელაციურ-ფიზიკური“. იხ. Г. А. Климов, Фонема и морфема, გვ. 32, 46.

³⁷¹ R. Jakobson, Die Arbeit der sogenannten „Prager Schule“, გვ. 6.

³⁷² მეორე მსოფლიო ომამდე ამ წრის საკვლევი პროგრამის შესახებ მიახლოებით წარმოდგენას ქმნის პრალის წრის „თეზისები“ (Тезисы Пражского лингвистического кружка), რომელიც დაიბეჭდა 1929 წ. პრალის წრის ორგანოში: Travaux du Cercle Linguistique du Prague, I. პრალის სკოლის საქმიანობის შესახებ ომის შემდგომ პერიოდში იხ. Б. Трнка и др., К дискуссии по вопросам структурализма.

³⁷³ დაწვრ. იხ. R. Jakobson, დასახ. ნაშრ.; J. Vachek, The Linguistic school of Prague.

და სხვ.), რომელთა მოღვაწეობამ გარკვეული თავისებურება შესძინა პრადის ლინგვისტურ მიმდინარეობას³⁷⁴. „ფუნქციონალური ლინგვისტიკის“ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსი ენათმეცნიერების ნ. ტრუბეცკოის და რ. იაკობსონის დამსახურება, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული ფაქტობრივად ფუნქციონალური ფონოლოგიის შექმნა. ფუნქციონალური თეორია ფონემას განიხილავს როგორც ბგერის ფონეტიკურ თავისებურებათაგან მეტ-ნაკლებად აბსტრაპირებულ ფუნქციონალურ ელემენტს: ფონოლოგიურ (სიტყვათა მნიშვნელობის განმასხვავებელ) ოპოზიციათა სისტემის წევრს³⁷⁵ და დისტინქციურ (განმასხვავებელ) ნიშანთა ერთიანობას.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. ვახევი, „პრადის სკოლა არ ყოფილა მხოლოდ ერთი, თუნდაც ძალიან სახელოვანი, თავი ლინგვისტიკის ისტორიაში“³⁷⁶. პრადელთა ლინგვისტურმა მოძღვრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ენათმეცნიერული და, კერძოდ, ფონოლოგიური კვლევის მიმართულულებაზე. ჩვენ აქ ვერ შევეხებით ყველა, დეტალებში რამდენადმე განსხვავებულ თეორიას, რომელიც ემყარება და ავითარებს ფუნქციონალური ფონოლოგიის პრინციპებს³⁷⁷. რამდენადაც ჩვენ

³⁷⁴ უნდა აღინიშნოს, რომ წრის წევრებს ბოლომდე არ ქონიათ ერთიანი ზოგადლინგვისტური კონცეფცია, მაგრამ მათ თვალსაზრისებში ბევრი რამ იყო საერთო ისეთი, რაც შეიძლება აღნიშნული მიმდინარეობისათვის სპეციფიკურად ჩაითვალოს. პრადის სკოლის ზოგადლინგვისტური თეორიის შესახებ დაწერა იხ. R. Jakobson, დასახ. ნაშრ.; J. Vachek, დასახ. ნაშრ.; O. Лешка, К вопросу о структурализме; Т. В. Булыгина, Пражская лингвистическая школа; თ. შარაძენიძე, პრადის საენათმეცნიერო სკოლის ზოგადლინგვისტური თეორია.

³⁷⁵ პრადელთა „თეზისებში“ ფონემები განმარტებულია როგორც „ლინგვისტური ღირებულებები“, ე. ი. როგორც „მოცემულ ენაში მნიშვნელობის მქონე უმარტივესი აკუსტიკურ-მოტორული ხატები“ (იხ. Тезисы Пражского лингвистического кружка, გვ. 126). შემდეგში ფონემის დეფინიცია მოცემულია უკვე მენტალისტური ტერმინების გარეშე. სახელობრ, ფონემა განსაზღვრულია როგორც „ფონოლოგიური ერთეული, რომელიც არ იშლება უფრო მცირე და უფრო მარტივ ფონოლოგიურ ერთეულებად (იხ. Projet du terminologie phonologique standardisée, გვ. 311). „ფონოლოგიური ერთეული“ კი, თავის მხრივ, განმარტებულია როგორც „ფონოლოგიური ოპოზიციის წევრი“ (იხ. იქვე).

³⁷⁶ J. Vachek, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

³⁷⁷ იმ ავტორთა შორის, რომლებიც ავითარებენ ფუნქციონალური ფონოლოგიის პრინციპებს, საკმარისია თუნდაც დავასახელოთ თანამედროვეობის ისეთი ცნობილი ლინგვისტები, როგორიც არიან რ. იაკობსონი და ა. მარტინე.

ამჟამად გვანტერესებს მხოლოდ ფონემის ცნებასთან დაკავშირებული ზოგადმეთოდოლოგიური და ზოგადლინგვისტური საკითხები, შესაძლებლად მიგვაჩნია ამ განსხვავებათა უგულვებლყოფა³⁷⁸. ფონემის ფუნქციონალური თეორიის ნიმუშად განვიხილავთ ნ. ტრუბეტკოის თეორიას³⁷⁹.

1. 141. ფონემის ფუნქციონალური თეორია, რომელსაც ავითარებს ტრუბეტკოი³⁸⁰, მიზნად ისახავს სოსიურის ზოგადლინგვისტური შეხედულებების³⁸¹ გამოყენებას ბგერითი მხარის შესწავლის სფეროში³⁸².

378 ასე, მაგალითად, ტრუბეტკოის აზრით, ფონოლოგიისათვის განურჩეველია თუ რა სახის ფონეტიკურ ტერმინებს აირჩევს (resp. რა ნიშნებს დაემყარება) იგი დისტინქციურ (განმასხვავებელ) ნიშანთა აღწერისას: აქუსტიკურს თუ არტიკულაციურს. „მთავარია მხოლოდ ბგერითი ნიშნების ცალსახა აღნიშვნა“ (Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 101). თვით ტრუბეტკოი იყენებს ფიზიოლოგიურ (არტიკულაციურ) ტერმინოლოგიას (resp. ნიშნებს). რ. იაკობსონი თავის დიქტომიურ ფონოლოგიას აგებს განმასხვავებელ აქუსტიკურ ნიშნებზე დამყარებით. დაწერ. იხ. Р. Якобсон, Г. М. Фант и М. Халле, Введение в анализ речи.

379 ტრუბეტკოის ფონოლოგიური მოძღვრების შესახებ იხ. აგრეთვე ბ. ფონსიუ, ტრუბეტკოის ფონოლოგიური სისტემის ძირითადი ცნებები; В. Malmberg, New trends in linguistics, გვ. 74—97; Ch. Møller, Thesen und Theorien der Prager Schule.

380 ჩვენ აქ სპეციალურად ვერ შევიჩრდებით იმ ცვლილებების აღნიშვნაზე, რომელიც ტრუბეტკოის თეორიამ განიცადა ფონემის მენტალისტური გაგებიდან (რომლის მოტივები ავტორს, საფიქრებელია, თავდაპირველად შემოტანილი ჰქონდა ფუნქციონალურ ფონოლოგიაში ბოდუენ დე კურტენესა და შჩერბას შეხედულებათა გავლენით) წმინდა ფუნქციონალიზმამდე. თეორიას გადმოცემით იმ სახით, როგორც ის ავტორის სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ჩამოყალიბებული. ქრონოლოგიური პრინციპით ტრუბეტკოის თეორიის დალაგებისათვის დაწერ. იხ. А. А. Реформатский, Н. С. Трубецкой и его «Основы фонологии».

381 კერძოდ, საქმე შეეხება სოსიურის ცნობილ დებულებას, რომ ენა რელიგიური ღირებულებათა სისტემაა. იხ. R. Jakobson, S. Karcevsky, N. Trubetzkoy, Quelles sont les méthodes..., გვ. 33. იხ. აგრეთვე N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, გვ. 241—242.

382 როგორც ცნობილია, ტრუბეტკოის ფონოლოგიური თეორია ბევრ საერთო ამჟღავნებს რუსულ (ბოდუენ დე კურტენესა და შჩერბას) ფონოლოგიურ თეორიებთან. მაგრამ ავტორი შენიშნავს, რომ მისი თვალსაზრისი არ ემთხვევა ბოდუენისა და შჩერბას თვალსაზრისებს და რომ იგი მხოლოდ თავის საკუთარ შეხედულებებს ავითარებს. N. Trubetzkoy, Polabische Studien, გვ. 111, შწ. 1.

ფონემის ცნების განსაზღვრისას ტრუბეცკოი ამოდის „ენისა“ (langue) და „მეტყველების“ (parole) სოსიურისეული გარჩევიდან და ამ გარჩევას საფუძვლად უდებს მუდმივისა და ცვალებადის, საერთოსა და კონკრეტულის, სოციალურისა და ინდივიდუალურის ურთიერთმიმართებას. „ყოველთვის, როდესაც ერთი ინდივიდი ელაპარაკება მეორეს, — წერს ავტორი, — საქმე გვაქვს სამეტყველო აქტთან ანუ მეტყველებასთან. მეტყველება კონკრეტულია, შეესაბამება გარკვეულ ადგილსა და გარკვეულ დროს. იგი გულისხმობს მოლაპარაკეს (გადაცემს), მსმენელს (მიმღებს) და საუბრის საგანს. სამივე ეს ელემენტი — მოლაპარაკე, მსმენელი, საუბრის საგანი — იცვლება ერთი სამეტყველო აქტიდან მეორემდე“³⁸³. მაგრამ რამდენადაც ენა სოციალური მოვლენაა, ავტორის აზრით, აუცილებელია მასში, ისევე როგორც ამ რიგის ყველა მოვლენაში, მკაცრად იქნეს გამიჯნული „სოციალური წარმონაქმნი; როგორც ასეთი, კონკრეტული აქტებისაგან, რომლებშიც იგი რეალიზდება და რომლებიც ვერ იარსებებენ მის გარეშე“³⁸⁴. თუ მეტყველება სრულდება „კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში“ და დაკავშირებულია ინდივიდთა სამეტყველო მოქმედებასთან, ენა (Sprache) არის „ზეინდივიდუალური, ობიექტური, სოციალური ინსტიტუტი, ღირებულებების, ნორმებისა და მიმართებების სისტემა“³⁸⁵. სამეტყველო აქტებისაგან განსხვავებით „ენა საერთოა და მუდმივი. იგი არსებობს მოცემული ენობრივი ერთიანობის ყველა წევრის ცნობიერებაში და საფუძვლად ედება უსასრულო რაოდენობის კონკრეტულ სამეტყველო აქტებს“³⁸⁶. მაგრამ, ავტორის აზრით, ენაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მეტყველებასთან. „ენის არსებობა, — წერს იგი, — გამართლებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სამეტყველო აქტების შესრულებას; ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას შეეთანადება კონკრეტული სამეტყველო აქტები, სხვაგვარად, რამდენადაც იგი რეალიზდება ამ კონკრეტულ სამეტყველო აქტებში. კონკრეტული სამეტყველო აქტების გარეშე არ იქნებოდა ენაც. ამგვარად, ენა და მეტყველება გულისხმობენ ერთმა-

383 Н. С. Трубецкой, Основы фонологии, гл. 7.

384 იქვე, გვ. 19.

385 N. Trubetzkoy, Über eine neue Kritik des Phonembegriffes, გვ. 134.

386 Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

ნეთს, ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ერთი და იმავე მოვლენის — „სამეტყველო მოქმედების“ — ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე. მაგრამ თავისი არსით ეს სრულიად განსხვავებული მოვლენებია და განხილულ უნდა იქნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად“³⁸⁷.

ამგვარად, ენა როგორც სოციალური წარმონაქმნი, ტრუბეცკოს მიხედვით, განეკუთვნება „მიმართებების, ფუნქციების, ღირებულებების სფეროს, მაშინ, როდესაც მეტყველება ეკუთვნის ემპირიულ მოვლენათა სფეროს“³⁸⁸. ამ განსხვავების შესაბამისად განიხილება „აღსანიშნისა“ და „აღმნიშვნელის“ (სოსიურისეული გაგებით) ელემენტებიც. სახელდობრ: აღსანიშნი მეტყველებაში ყოველთვის კონკრეტული შეტყობინებაა, აღმნიშვნელი კი — „კონკრეტული ბგერითი ნაკადი, სმენით აღსაქმელი ფიზიკური მოვლენა“³⁸⁹. აღსანიშნი ენაში აბსტრაქტული წესებია (სინტაქსური, ფრაზეოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკური). „სიტყვათა მნიშვნელობებიც კი, რამდენადაც ისინი მოცემული არიან ენაში, წარმოდგენენ მხოლოდ აბსტრაქტულ წესებს, ცნებით სქემებს, რომლებთანაც დაკავშირებულია მეტყველებაში ამოტივტივებული კონკრეტული მნიშვნელობები“³⁹⁰. ანალოგიური სურათი გვაქვს ენობრივი აღმნიშვნელის სფეროშიც. „თუ აღსანიშნი ენაში ის წესებია, რომელთა მიხედვით მნიშვნელობათა მთელი სფერო ნაწილდება სათანადოდ მოწესრიგებულ შემადგენლებად, აღმნიშვნელიც შეიძლება მასში იყოს მხოლოდ ისეთი წესები, რომელთა შესაბამისადაც ხდება სამეტყველო აქტის ბგერითი მხარის მოწესრიგება“³⁹¹.

სწორედ ენის ელემენტების (წესების, ნორმების) ეს აბსტრაქტული ხასიათი უზრუნველყოფს იმას, რომ შესაძლებელი ხდება მკაცრად განსაზღვრული რაოდენობის ენობრივ ელემენტთა საფუძველზე თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობის მეტყველების ელემენტთა წარმოქმნა. ფაქტობრივად, „იმ განსხვავებული კონკრეტული წარმოდგენებისა და აზრების რიცხვი, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს სამეტყველო აქტებით, უსასრულოა, ენა-

387 Н. С. Трубецкой, Основы фонологии, гл. 7.

388 იქვე, გვ. 19.

389 იქვე, გვ. 8.

390 იქვე.

391 იქვე.

ში არსებული ლექსიკური მნიშვნელობების რიცხვი კი — შეზღუდული. ენის „ცოდნა“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ენის მიერ მოწოდებული განსაზღვრული რაოდენობის სემანტიკური და გრამატიკული საშუალებებით ჩვენ გამოვხატავთ ყველა კონკრეტულ წარმოდგენას, ყველა აზრს და მათ კავშირებს. ამგვარად, მეტყველების აღსანიშნისაგან განსხვავებით აღსანიშნი ენაში შედგება სასრული რაოდენობის ერთეულებისაგან. ზუსტად ასეთივე დამოკიდებულებაა ენასა და მეტყველებას შორის აღმნიშვნელის სფეროშიც. არტიკულირებული მოძრაობები და შესაბამისი ბგერადობა, რომელიც ჩნდება მეტყველებაში, უსაზღვროდ მრავალფეროვანია, ხოლო ბგერითი ნორმები, რომლისგანაც შედგება აღმნიშვნელის ერთეულები, სასრულია, რაოდენობრივად განსაზღვრულია“³⁹².

რამდენადაც ენა შედგება წესებისა ანუ ნორმებისაგან, ავტორის აზრით, იგი წარმოადგენს სისტემას, ან უკეთ, კერძო (გრამატიკულ, სემანტიკურ) სისტემათა სიმრავლეს³⁹³. ენობრივი სისტემის, მისი სტრუქტურის საფუძველზე ზდება მეტყველების მოწესრიგებაც, „მხოლოდ ამიტომ არის შესაძლებელი მეტყველებაში ამოტივტივებული წარმოდგენებისა და აზრების უსასრულო მრავალფეროვნება დავუკავშიროთ ენობრივი სისტემის ელემენტებს“, — წერს ავტორი. ყოველივე ეს ძალაშია აღმნიშვნელისთვისაც: „ბგერითი ნაკადი წარმოადგენს უწყვეტ, ერთი შეხედვით, ერთმანეთში გარდამავალ ბგერადობათა მოუწესრიგებელ თანმიმდევრობას. ამის საპირისპიროდ აღმნიშვნელის ერთეულები ენაში ქმნიან მოწესრიგებულ სისტემას. და სწორედ იმის გამო, რომ მეტყველების აქტში გამოვლენილი ბგერითი ნაკადის ცალკეული ელემენტები ანუ მომენტები შეიძლება შევეუფარდოთ ამ სისტემის ცალკეულ წევრებს, ბგერით ნაკადშიც მყარდება წესრიგი“³⁹⁴.

ენისა და მეტყველების განსხვავების შესაბამისად აღმნიშვნელშიც განსხვავებულია „ენის ბგერა“ და „მეტყველების ბგერა“³⁹⁵ ანუ, სხვაგვარად, ფონემა — თავისი ბუნებით ზეინდივიდუალური, სოციალური მოვლენა და ბგერა — ინდივიდუალური, ფიზიკური მოვლენა³⁹⁶.

392 Н. С. Трубецкой, Основы фонологии, гл. 8—9.

393 იქვე, გვ. 9.

394 იქვე.

395 იქვე, გვ. 9, 16, 19.

396 N. Trubetzkoy, Polabische Studien, гл. 112.

მეტყველების ელემენტს წარმოადგენს „სმენით აღსაქმელი ფიზიკური“ ბგერა. ბგერისაგან, როგორც მატერიალური ელემენტისაგან, განსხვავებით ენობრივი აღმნიშვნელის ელემენტი — ფონემა „უსხეულოა“³⁹⁷. იგი არ თავსდება უშუალოდ წარმოთქმისა და მოსმენის დონეზე. ფონემა შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ ენობრივ, კერძოდ, ფონოლოგიურ ოპოზიციათა (დაპირისპირებათა) მთლიანი სისტემის გათვალისწინებით.

ფონოლოგიურ ოპოზიციებზე მსჯელობისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ავტორის მოსაზრებები ენობრივი ფუნქციების შესახებ³⁹⁸. კ. ბიულერის სქემაზე დამყარებით ტრუბეტკოიც ბგერით მხარეში განასხვავებს სამ ფუნქციას. სახელდობრ, რამდენადაც მეტყველება გულისხმობს მოლაპარაკეს, მსმენელსა და საუბრის საგანს, ამდენად ყოველ ენობრივ გამოხატულებაში ერთდროულად უნდა გავარჩიოთ სამი ასპექტი: გამოხატვა (ექსპრესია), მიმართვა (აქელაცია) და შეტყობინება (ექსპლიკაცია) საუბრის საგნის შესახებ³⁹⁹.

აღნიშნული სამი ფუნქციის შესაბამისად ბგერითი ნიშნებიც შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ექსპრესიული (ახსიათებენ მოლაპარაკეს), აქელაციური (იწვევენ გარკვეულ გრძნობებს მსმენელში) და ექსპლიკაციური (გამოიყენებიან ინტელექტუალური მნიშვნელობის გადმოსაცემად, ე. ი. სიტყვებისა და წინადადებების შესაცნობად)⁴⁰⁰.

ექსპლიკაციური ბგერითი ნიშნებიც, თავის მხრივ, ფუნქციონალური თვალსაზრისით, არ არიან ერთგვაროვანად მიჩნეული. მართალია, ყველა ისინი ემსახურებიან ინტელექტუალური მნიშვნელობის გამოხატვას, მაგრამ ავტორი მათში განარჩევს სამი სახის ნიშნებს, რომლებიც ასრულებენ განსხვავებულ ფუნქციებს: მწვერვალის შემქმნელს ანუ კულმინაციურს (მიუთითებენ წინადადებაში შემავალ ერთეულთა რაოდენობაზე), გამმიჯნველს ანუ დელიმიტაციურს (მიუთითებენ სიტყვებს ან მორფემებს შორის საზღვრებზე)⁴⁰¹ და მნიშვნელობის განმასხვავებელს ანუ დისტინქციურს (განასხვავებენ მნიშვნელობის მქონე ერთეულებს — სემემებს)⁴⁰².

ამ სამი ექსპლიკაციური ფუნქციიდან პირველი ორი, ავტორის მიხედვით, მხოლოდ დამხმარე საშუალებების როლში გამოდის (ენობრივ ერთეულებს შეიძლება არც ჰქონდეთ ეს ფუნქციები), მაშინ როდესაც მესამე (განმასხვავებელი, დისტინქციური) აუცილებელია ნებისმიერი ენობრივი ერთეულისათვის⁴⁰³. სწორედ ამ ფუნქციის გათვალისწინებით ხდება ენობრივ, resp. ფონოლოგიურ ოპოზიციათა დადგენა.

³⁹⁷ N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, გვ. 232.

³⁹⁸ დაწვრ. იხ. Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 22—23.

³⁹⁹ იქვე, გვ. 22.

⁴⁰⁰ დაწვრ. იხ. იქვე, 22—23.

⁴⁰¹ ფონოლოგიური სასაზღვრო სიგნალების შესახებ დაწვრ. იხ. Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 299—325. იხ. აგრეთვე N. Trubetzkoy, Die phonologischen Grenzsignale.

⁴⁰² Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

⁴⁰³ იქვე.

ფონოლოგიური ოპოზიციები, რომელთა საფუძველზედაც ხდება ფონემათა დადგენა, ავტორის მიხედვით, პირველ ყოვლისა, ბგერითი ოპოზიციებია⁴⁰⁴. მაგრამ ბგერათა შორის ობიექტური ფონეტიკური განსხვავება ყოველთვის არ შეესაბამება ფონოლოგიურ განსხვავებას⁴⁰⁵. დეფინიციის თანახმად, ფონოლოგიური ოპოზიციები „ისეთი ბგერითი დაპირისპირებებია, რომელთაც შეუძლიათ მოცემულ ენაში ინტელექტუალური მნიშვნელობის განსხვავება“⁴⁰⁶. ფონოლოგიური (ფონოლოგიურ-დისტინქციური ანუ მნიშვნელობის განმასხვავებელი) ოპოზიციების⁴⁰⁷ საპირისპიროდ ოპოზიციები, რომლებიც მოკლებული არიან აღნიშნულ უნარს, განისაზღვრებიან როგორც ფონოლოგიურად არაარსებითი ანუ არავანმასხვავებელი⁴⁰⁸. მაგ., *o—i* დაპირისპირება გერმანულში მნიშვნელობის განმასხვავებელია, ე. ი. ფონოლოგიურია (შდრ. *so* „ასე“ — *sie* „ისინი“), მაგრამ წინაენისმიერ და უკუ-ლარულ *r* ბგერებს შორის დაპირისპირება არ იქნება ფონოლოგიური, რადგან გერმანულში არ გვხვდება სიტყვათა არც ერთი წყვილი, რომლის წევრები განსხვავებული იქნებოდნენ მხოლოდ ამ ბგერებით⁴⁰⁹.

როგორც წესი, ფონოლოგიურ ოპოზიციებს ქმნიან მხოლოდ ურთიერთმონაცვლე ბგერები, ე. ი. ისეთი ბგერები, რომელთაც მოცემულ ენაში შეუძლიათ შეგვხვდნენ ერთნაირ ბგერითს გარემოცვაში⁴¹⁰. ეს არის პირდაპირი ფონოლოგიური ოპოზიციები⁴¹¹. ბუნებრივია, რომ ურთიერთგამომრიცხველი ბგერები, რომლებიც არასოდეს არ გვხვდებიან ერთნაირ გარემოცვაში, ვერ შექმნიან ფონოლოგიურ ოპოზიციებს. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის ურთი-

404 Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 100.

405 N. Trubetzkoy, Polabische Studien, გვ. 115.

406 Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 41. იხ. აგრეთვე მისივე: Polabische Studien, გვ. 115.

407 თავის მხრივ, ფონოლოგიური ოპოზიციები იმის მიხედვით, თუ რის მნიშვნელობას განასხვავებენ, იყოფიან სიტყვათგანმასხვავებელ (ლექსიკურ) და წინადადებათგანმასხვავებელ (სინტაქსურ) ოპოზიციებად. უფრო დაწერ. იხ. Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 100. იხ. აგრეთვე N. Trubetzkoy, Les systèmes phonologiques.... გვ. 123—124; მისივე: La phonologie actuelle, გვ. 240.

408 Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

409 იქვე.

410 ეს არ ეხება ე. წ. თავისუფალ ვარიანტებს, რომლებიც ასეთ პოზიციასში არ განასხვავებენ მნიშვნელობას. დაწერ. იხ. იქვე, გვ. 39—40.

411 N. Trubetzkoy, Essai d'une théorie des oppositions phonologiques, გვ. 9.

ერთგამომრიცხველი ბგერები, რომელთაც არ გააჩნიათ არც ერთი საერთო ნიშანი, რითაც ისინი შეიძლება განსხვავებული ყოფილიყვნენ ამავე სისტემის დანარჩენი ბგერებისაგან (მაგ., h და ნაზალური ვუტურალური ng გერმანულში). პირდაპირი ფონოლოგიური ოპოზიციებისაგან განსხვავებით, ასეთ ოპოზიციებს ავტორი უწოდებს არაპირდაპირ ოპოზიციებს⁴¹².

ფონოლოგიური ოპოზიციის წევრს ეწოდება ფონოლოგიური (ანუ მნიშვნელობის განმასხვავებელი, დისტინქციური) ერთეული. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ფონოლოგიური ერთეული შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობისა. მაგ., გერმანულში ბგერობრივად სრულიად განსხვავებული სიტყვები, როგორცაა Man („კაცი“) და Weib („ქალი“), განსხვავებული ფონოლოგიური ერთეულებია. სიტყვათა წყვილში tausend („ათასი“) — Tischler („დურგალი“) განსხვავებულია ყველა ბგერა, გარდა თავკიდური ბგერებისა. არსებობენ ისეთი ფონოლოგიური ერთეულებიც, რომლებიც იშლებიან უფრო მცირე ერთეულებად. მაგ., გერმ. სიტყვების Mähne („ფაფარი“) — Bühne („სცენა“) სხვა სიტყვებთან შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს განსხვავებული [me:] და [by:] ერთეულები დავშალოთ უფრო მცირე ერთეულებად (შდრ. Mähne — gähne „ვამთქნარებ“ და Mähne — mahne „ვაფრთხილებ“; Bühne — Sühne „მონანიება“ და Bühne — Bohne „ცერცვი“). მაგრამ მიღებული [m] [ε] [b] [y] ერთეულების შემდგომი დაყოფა გერმანული ენის ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით უკვე შეუძლებელია⁴¹³.

ფონოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც მოცემული ენის თვალსაზრისით არიშლებიან ერთმანეთის მომდევნო უფრო მცირე ფონოლოგიურ ერთეულებად, ავტორი უწოდებს ფონემებს⁴¹⁴. მაშასადამე, ფონემები წარმოადგენენ ენის უმოკლეს ფონოლოგიურ

⁴¹² დაწვრ. იხ. Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 39—41; მისივე: Essai..., გვ. 9—10.

⁴¹³ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 41 — 42. — რა თქმა უნდა, თითოეული ეს ელემენტი ფონეტიკური თვალსაზრისით შედგება მთელი რიგი არტიკულაციური მოძრაობებისგან, რომელთაც შეესაბამება გარკვეული აკუსტიკური ეფექტი. მაგრამ არც ერთი ეს „აკუსტიკური ატომი“, ავტორის აზრით, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დამოუკიდებელი ფონოლოგიური ერთეული, რადგან ასეთი „ატომები“ ყოველთვის გვხვდებიან ერთად და არა ცალკე. დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 42.

⁴¹⁴ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 42. იხ. აგრეთვე მისივე: Über eine neue Kritik..., გვ. 132.

ერთეულებს, რომელთა გარკვეული თანმიმდევრობები ქმნიან სიტყვებს⁴¹⁵.

ფაქტობრივად, ავტორის აზრით, ფონემა წარმოადგენს სიტყვათა სტრუქტურის განმასხვავებელ ნიშანს. ყოველი სიტყვა უნდა შეიცავდეს იმდენ ფონემას და ისეთი თანმიმდევრობით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსხვავება სხვა სიტყვებისაგან. ფონემათა რიგი, რომელიც ქმნის მთელს, დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული სიტყვისათვის. და თუმცა ამ რიგში შემაჯავლი ყოველი ფონემა გეხვდება როგორც განმასხვავებელი ნიშანი სხვა სიტყვებშიც, ეს არ ეწინააღმდეგება სიტყვის სტრუქტურულ ხასიათს. საქმე ისაა, რომ, ავტორის მიხედვით, ყოველი სიტყვა, როგორც სტრუქტურა, იმაზე მეტია, ვიდრე მისი შემაჯავნელი ფონემების ჯამი, მაგრამ ეს მთლიანობა არ არის ლოკალიზებული სიტყვის ბგერით გარსში. ამიტომაც არის შესაძლებელი იმის თქმა, რომ სიტყვა უნაშთოდ იყოფა ფონემებად, რომ სიტყვა შედგება ფონემებისაგან (ხაზი ავტორისაა — ი. ქ.)⁴¹⁶.

ყოველი ბგერა შეიცავს არტიკულაციურ-აქუსტიკური ნიშნების მთელ წყებას, რომელთაგან თითოეულ ენაში განსასხვავებლად გამოყენებულია, ე. ი. ფონოლოგიურად ღირებულია (რელევანტურია) არა ყველა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი⁴¹⁷. მაგ., გერმანულში ნაპრალოგან „ich-Laut“ და „ach-Laut“ ბგერებს შორის დაპირისპირება, რომელიც გამოწვეულია ნაპრალოგან წარმოქმნის ადგილით (პირველ შემთხვევაში — მაგარ სასასთან, მეორე შემთხვევაში კი — რბილ სასასთან), არ არის დისტინქციური, მაგრამ ამ ბგერათაგან თითოეულის დაპირისპირება ხშულ k-სთან უკვე დისტინქციურია (შდრ. stechen „პობა“, „ჭრა“ — stecken „ჩატენა“, „ჩაჩრა“). მაშასადამე, გამოდის, რომ ნაპრალოგან წარმოქმნა გერმანულში ფონოლოგიურად ღირებულია, ამ ნაპრალოგანის ლოკალიზაცია კი — არა⁴¹⁸.

ბგერები ფონოლოგიურ ოპოზიციებში მონაწილეობენ მხოლოდ ფონოლოგიურად ღირებული (რელევანტური) ნიშნებით⁴¹⁹. ხოლო რამდენადაც ყოველი ფონემა, თანახმად დეფინიციისა,

⁴¹⁵ Н. С. Трубецкой. Основы фонологии. გვ. 42—43.

⁴¹⁶ იქვე, გვ. 43—44, იხ. აგრეთვე მისივე: Über eine neue Kritik...

⁴¹⁷ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 44. იხ. აგრეთვე მისივე: Les systèmes phonologiques.... გვ. 121.

⁴¹⁸ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 44. ბგერების განმასხვავებელ ნიშანთა ზოგადი კლასიფიკაციისათვის დაწვრი. იხ. იქვე, გვ. 102—254. იხ. აგრეთვე. N. S. Trubetzkoy, Die phonologischen Systeme. გვ. 99 და შემდ.

⁴¹⁹ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 43—45.

არის ფონოლოგიური ოპოზიციის წევრი⁴²⁰, იგი წარმოგვიდგება როგორც მოცემული ბგერითი წარმონაქმნისათვის დამახასიათებელ ფონოლოგიურად ღირებულ ნიშანთა ერთიანობა⁴²¹.

ფონემის აღნიშნული გაგებიდან გამომდინარეობს, რომ ფონემის ფონოლოგიური შინაარსის (ე. ი. ბგერათა ფონოლოგიურად ღირებული ნიშნების) დადგენა გულისხმობს მოცემულ ენაში არსებულ ფონოლოგიურ ოპოზიციათა მთლიანი სისტემის დადგენას. ყოველ ფონემას მხოლოდ იმდენად აქვს ფონოლოგიური შინაარსი, „რამდენადაც ფონოლოგიურ ოპოზიციათა სისტემას ახასიათებს გარკვეული წესრიგი და სტრუქტურა“⁴²². შესაბამისად ფონემის განსაზღვრა ნიშნავს „ფონოლოგიურ სისტემაში მისი ადგილის ჩვენებას“. ეს კი, ფაქტობრივად, შესაძლებელია მხოლოდ „ამ სისტემისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის გათვალისწინებით“⁴²³. ამიტომაც თვლის ავტორი, რომ „ფონოლოგიის ძირითადი ცნებაა არა ფონემა, არამედ ფონოლოგიური (დისტინქციური) ოპოზიცია“⁴²⁴.

მნიშვნელობების განმასხვავებელი ოპოზიციები სხვადასხვა სახისაა. ოპოზიციათა მთლიან სისტემასთან მიმართების თვალსაზრისით შეიძლება განსხვავებულ იქნას შემდეგი სახის ოპოზიციები: მრავალგანზომილებიანი და ერთგანზომილებიანი, პროპორციული და იზოლირებული. ოპოზიცია იქნება მრავალგანზომილებიანი, თუ შედარების საფუძველი (ე. ი. ოპოზიციის წევრებისათვის საერთო ნიშნები) მეორდება ამავე სისტემის სხვა წევრებში, მაშინ როდესაც ერთგანზომილებიან ოპოზიციებში შედარების საფუძველი სპეციფიკურია მხოლოდ მოცემული ოპოზიციის წევრებისათვის და არ გვხვდება სისტემის არც ერთ სხვა წევრთან⁴²⁵. მაგ., ოპოზიცია t—d გერმანულში ერთგანზომილებიანია, რადგან გერმანული ენის ფონოლოგიურ სისტემაში მხოლოდ ეს ორი თანხმოვანია ხშული და დენტალური ერთსა და იმავე დროს. ოპოზიცია d—b იმავე გერმანულში მრავალგანზომილებიანია, რადგან ის, რაც საერთოა ამ ფონემებს შორის (სახელ-

⁴²⁰ H. C. Трубейкой, Основы фонологии, გვ. 42, იხ. აგრეთვე მისივე: Über eine neue Kritik..., გვ. 138; Essai..., გვ. 10; La phonologie actuelle, გვ. 238.

⁴²¹ H. C. Трубейкой, დასახ. ნაშრ., გვ. 45; მისივე: Die phonologischen Systeme, გვ. 99; Polabische Studien, გვ. 120.

⁴²² H. C. Трубейкой, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

⁴²³ N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, გვ. 233.

⁴²⁴ N. Trubetzkoy, Über eine neue Kritik..., გვ. 133, იხ. აგრეთვე H. C. Трубейкой, დასახ. ნაშრ. გვ. 74.

⁴²⁵ H. C. Трубейкой, დასახ. ნაშრ., გვ. 75. — მრავალგანზომილებიან ოპოზიციათა შემდგომი დაყოფისათვის ქვეტიპებად დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 76—77. ოპოზიციათა შესახებ იხ. აგრეთვე მისივე: Essai d'une théorie des oppositions....

დობრ, სუსტი ხშვა) მეორდება სხვა ფონემაშიც (მაგ., გ-ში)⁴²⁶. ოპოზიცია იქნება პროპორციული, თუ მის წევრებს შორის არსებული მიმართება იდენტურია იმ მიმართებებისა, რომელიც არსებობს სხვა რომელიმე ოპოზიციის (ან ოპოზიციების) წევრთა შორის. თუ მოცემული ენის სისტემაში სხვა ასეთი ოპოზიცია არ არსებობს, მაშინ ოპოზიცია იქნება იზოლირებული⁴²⁷. მაგ., ოპოზიცია p—b გერმანულში პროპორციულია, რადგან p და b-ს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც gვაქვს t და d ან k და g ფონემებს შორის. პირიქით, ოპოზიცია p—k იზოლირებულია, რამდენადაც გერმანული ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ არსებობს ფონემათა სხვა ისეთი წყვილი, რომლის წევრები ერთმანეთის მიმართ იქნებოდნენ ანალოგიურ დამოკიდებულებაში⁴²⁸.

ოპოზიციის წევრთა შორის მიმართების თვალსაზრისით შეიძლება განვასხვაოთ პრივატიული. გრადუალური (საფეხურებრივი) და ეკვიპოლენტური (ტოლფასი) ოპოზიციები⁴²⁹. პრივატიულია ოპოზიცია, თუ მისი ერთი წევრი (მარკირებული) ხასიათდება რაიმე ნიშნით, მეორე კი (არამარკირებული) — ამ ნიშნის უქონლობით (მაგ., მელერი-არამელერი). გრადუალური (საფეხურებრივი) იქნება ოპოზიცია, თუ მისი წევრები ხასიათდებიან ერთი და იმავე ნიშნის სხვადასხვა ხარისხით (მაგ., u—o). ეკვიპოლენტურია ოპოზიცია, თუ მისი ორივე წევრი ლოგიკურად ტოლფასია, ე. ი. თუ ისინი არ გვევლინებიან ერთი და იმავე ნიშნის სხვადასხვა საფეხურებად და არ ხასიათდებიან რაიმე ნიშნით ან მისი უქონლობით (მაგ., p—l)⁴³⁰.

განმასხვავებელი ძალის მოცულობის ანუ სხვადასხვა პოზიციაში კმედიოუნარიანობის მიხედვით ოპოზიციები იქნებიან მუდმივი და ნეიტრალიზებადი (მოსხნადი). მაგ., დანიურში დახურულ და ღია ჯ და ე ხმოვნებს შორის დაპირისპირება მუდმივია, რადგან იგი შეიძლება შეგვხვდეს ყველა მოსალოდნელ პოზიციაში. მაგრამ დაპირისპირება e-ე ფრანგულში ფონოლოგიური ღირებულებისა მხოლოდ სიტყვის ბოლოში (შღრ. les „ისინი“ — lait „რძე“). ყველა სხვა პოზიციაში კი e და ე ხმოვნების შეხვედრა მკაცრად რეგულირებულია: ე გვხვდება დახურულ, e კი — ღია მარცვლებში. მაშასადამე, ეს ხმოვნები დამოუკიდებელი ფონემებია მხოლოდ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში, სხვა შემთხვევაში კი წარმოადგენენ ერთი და იმავე ფონემის კომბინატორულ ვარიანტებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფრანგულში გარკვეულ პოზიციებში ხდება მოცემული ფონოლოგიური დაპირისპირების ნეიტრალიზაცია⁴³¹. ასეთ ოპოზიციებს ავტორი უწოდებს ნეიტრალიზებად ოპოზიციებს, ხოლო თვით პოზიციებს,

⁴²⁶ Н. С. Трубейкой. Основы фонологии, გვ. 76.

⁴²⁷ იქვე, გვ. 77—78.

⁴²⁸ იქვე, გვ. 78.

⁴²⁹ „პრივატიული“ და „ეკვიპოლენტური“ ოპოზიციების აღსანიშნავად ტრუბეცკოის ადრინდელ ნაშრომებში გამოყენებულია ტერმინები „კორელაციური“ და „ღიზიუნქციური“. შღრ. N. S. Trubetzkoy, Die phonologischen Systeme, გვ. 97; მისივე: La phonologie actuelle, გვ. 235.

⁴³⁰ დაწვრ. იხ. Н. С. Трубейкой, დასახ. ნაშრ., გვ. 82—83.

⁴³¹ ნეიტრალიზაციის ტიპების შესახებ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 256—272.

რომლის დროსაც ადგილი აქვს ნეიტრალიზაციას — ნეიტრალიზაციის პოზიციებს⁴³².

რამდენადაც ფონემის შინაარსი, ავტორის მიხედვით, განისაზღვრება იმ ადგილით, რომელიც ამა თუ იმ ფონემას უკავია მოცემული ენის ფონოლოგიურ სისტემაში, ე. ი. ფაქტობრივად „ამავე სისტემის სხვა ფონემებთან მიმართებებით“⁴³³, ზოგჯერ ფონემას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი დეფინიციაც. მაგ., გერმანული ენის *r*, იმის მიხედვით, თუ რა ფონემები უპირისპირდებიან მას, განისაზღვრება როგორც „არალატერალური ლიკვიდი“, მაგრამ ეს განსაზღვრება წმინდა ნეგატიურია, რადგანაც „ლიკვიდი“, თავის მხრივ, გერმანული ენის ფონოლოგიურ სისტემაში შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც „არანაზალური სონორი“, სონორი კი — როგორც „არაჩქამიერი“⁴³⁴.

ამგვარად, ფონემა როგორც „ენის“ ელემენტი შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ გარკვეული ფონოლოგიური („ასოციაციური“) ანალიზის შედეგად⁴³⁵. რეალურ მეტყველებაში ფონემა (ფონემათა თანმიმდევრობა) წარმოდგენილია ფიზიკური ბგერებით (ბგერათა თანმიმდევრობით). „ბგერითი ნაკადის გარკვეულ წერტილებში — წერს ავტორი — შეგვიძლია შევიცნოთ ბგერითი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია შესაბამისი ფონემური რიგის ცალკეული ფონემისათვის. ყოველი ასეთი წერტილი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გარკვეული ფონემის რეალიზაცია“⁴³⁶. მაგრამ რეალიზაციის დროს გარდა ფონოლოგიურად ღირებული (რელევანტური) ნიშნებისა, ბგერითი ნაკადის მოცემულ წერტილში გვხვდება სხვა, ფონოლოგიურად არაარსებითი (არარელევანტური) ნიშნებიც. ყველა იმ ფონოლოგიურად არსებით და არაარსებით ნიშანთა ერთიანობას, რომლებიც გვხვდებიან ბგერითი ნაკადის იმ წერტილში, სადაც რეალიზდება ფონემა, ეწოდება ბგერა⁴³⁷. ამგვარად, ყოველი ბგერა, თანახმად დეფინიციისაა, შეიცავს, ერთი მხრივ, ფონოლოგიურად არსებით ნიშნებს, რომელთა მეშვეობით ის ხდება გარკვეული ფონემის რეალიზაცია („ფონ-

⁴³² Н. С. Трубецкой, Основы фонологии, гл. 86. იხ. აგრეთვე N. Trubetzkoy, Die Aufhebung der phonologischen Gegensätze, гл. 33 და შემდ.

⁴³³ N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, гл. 233.

⁴³⁴ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., гл. 74.

⁴³⁵ N. Trubetzkoy, Polabische Studien, гл. 120.

⁴³⁶ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., гл. 46.

⁴³⁷ იქვე, გვ. 45.

ნემის მატერიალური სიმბოლო“) ⁴³⁸, ხოლო, მეორე მხრივ, ფონოლოგიურად არაარსებით ნიშნებს, რომელთა გამოჩენა გამოწვეულია განსხვავებული საწარმოთქმო პირობებით. სწორედ ამიტომ არის, რომ ერთი და იგივე ფონემა გაბმულ სამეტყველო ნაკადში რეალიზებულია მრავალი განსხვავებული ბგერით. მაგ., გერმანული ენის *g* ფონემისათვის რელევანტურია შემდეგი ნიშნები: ნაქის აწეულობის დროს სრული ხშვა, ენის კუნთების მოღუნება და განხშვა ჰაერის ნაკადის გარეშე. ისეთი ფონეტიკური ნიშნები კი, როგორცაა ხშვის ადგილი, ბაგეებისა და სახმო სიმების მონაწილეობა ხშვის დროს, ფონოლოგიურად არარელევანტურია. ამიტომაც მხოლოდ ამ ნიშნებით განსხვავებული მთელი რიგი ბგერები გერმანულში (მჟღერი, ნახევრადმჟღერი, ყრუ *g*; ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული ველარული *g*; ლაბიალიზებული და არალაბიალიზებული პალატალური *g* და ა. შ.) მიიჩნევიან *g* ფონემის რეალიზაციებად ⁴³⁹.

ყველა განსხვავებული ბგერა, რომლითაც რეალიზებულია ესა თუ ის ფონემა, იქნება მოცემული ფონემის ფონეტიკური (კომბინატორული ან თავისუფალი) ვარიანტი ⁴⁴⁰. ფონემის ვარიანტები ხასიათდებიან საერთო ნიშნებით, რომლებითაც შესაბამისი ფონემა განსხვავდება ამავე სისტემის სხვა ფონემებისაგან ⁴⁴¹. სწორედ იმის გამო, რომ ბგერები იდენტიფიცირდებიან როგორც გარკვეული ფონემის ვარიანტები, ენის ფონეტიკურ და ფონოლოგიურ სისტემებს შორის არსებობს Art Konkordanz ⁴⁴².

თუ მეტყველებაში ფონემა ყოველთვის რეალიზებულია ბგერებით, როგორც ფონემის ვარიანტებით, პირიქით, მეტყველების ნაკადში დადასტურებული სამეტყველო ბგერების მიმართ არ იქნება სწორი იმის მტკიცება, რომ ისინი ყოველთვის ფონემის რეალიზაციებია. სამეტყველო ბგერა შეიძლება იყოს ფონემაზე უფრო აბსტრაქტიზებული ერთეულის — არქიფონემის წარმომადგენელიც. სახელდობრ, როგორც აღნიშნული იყო, ნებისმიერ ენაში ცალკეულ ოპოზიციათა ფუნქციონალური როლი შეიძლება განს-

⁴³⁸ N. Trubetzkoy. La phonologie actuelle. გვ. 232.

⁴³⁹ H. C. Трубецкой. Основы фонологии. გვ. 46.

⁴⁴⁰ იქვე. კომბინატორული და თავისუფალი ვარიანტების შესახებ უფრო დაწერ. იხ. იქვე, გვ. 53, 56, 58. იხ. აგრეთვე N. Trubetzkoy. Polabische Studien, გვ. 115—116.

⁴⁴¹ H. C. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

⁴⁴² N. Trubetzkoy. Polabische Studien. გვ. 112.

ხეავდებოდეს პოზიციათა მიხედვით. სხვაგვარად, ფონოლოგიური ოპოზიცია შეიძლება განიციდინდეს ნეიტრალიზაციას. მაგრამ ავტორის მიხედვით, ნეიტრალიზაციას ექვემდებარება არა ყველა სახის, არამედ მხოლოდ ერთგანზომილებიანი ოპოზიცია. ამ დროს დაპირისპირებული წევრები კარგავენ თავიანთ დამოუკიდებელ ფონოლოგიურ ღირებულებას და რელევანტური რჩება მხოლოდ ორივე ფონემისათვის საერთო ნიშნები. სწორედ ამ ნიშანთა ერთიანობა ქმნის არქიფონემას⁴⁴³, რომლის წარმომადგენლებადაც გვევლინებიან ნეიტრალიზაციის პოზიციებში დადასტურებული (არამარკირებული) ბგერები⁴⁴⁴.

ფონემის, როგორც ფიქციის თეორია

1. 15 აღნიშნული თეორია შექმნილია 30-იან წლებში ამერიკელი ენათმეცნიერის ვ. ტვოდელის მიერ. ეს არის პირველი ფონოლოგიური თეორია, რომელშიაც ფონემა შემოტანილია როგორც წმინდა ლინგვისტური ერთეული⁴⁴⁵.

თეორია შექმნილია როგორც უარყოფა მანამდე არსებული თეორიებისა, რომლებშიც ფონემის დეფინიციები წარმოდგენილი იყო ბგერებთან დაკავშირებულ ფიზიკურ ან ფსიქიკურ რეალობათა ტერმინებით. ამ რიგის დეფინიციები, ავტორის აზრით, „მიზანშეუწონელია და ალბათ შეუძლებელიც“. შეუძლებელია იმით, რომ კომპეტენტურ ლინგვისტთა ცდები ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა⁴⁴⁶. მიზანშეუწონელი კი იმდენადაა, რამდენადაც ლინგვისტიკის ამოცანებს უკეთ გამოადგება ფონემის როგორც აბსტრაქტული, ფიქციური ერთეულის ცნება. ავტორის აზრით, ასეთ დეფინიციას ექნება ორგვარი უპირატესობა: ჩვენ შეგვეძლება გამოვიყენოთ ფონემა მხოლოდ როგორც

⁴⁴³ Н. С. Трубецко́й, Основы фонологии, გვ. 87; იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 93.

⁴⁴⁴ N. Trubetzkoj, Die phonologischen Systeme, გვ. 98.—სამეტყველო ნაკადში არქიფონემის წარმომადგენელთა შესახებ დაწერ. იხ. Н. С. Трубецко́й, დასახ. ნაშრ., გვ. 88—93.

⁴⁴⁵ ფონემის, როგორც ლინგვისტური ერთეულის გაგება ენათმეცნიერებისათვის უცხო არ არის, მაგრამ ფონემის დეფინიციის პრინციპად იგი ნაკლებადაა გამოყენებული. ამ თვალსაზრისით ტვოდელის თეორიასთან ახლოს დგას ე. წ. „ორსაფეხურიანი თეორია“, რომელსაც აქვამად არ ვეხებით.

⁴⁴⁶ ფსიქოლოგიური და ფიზიკური თეორიების კრიტიკისათვის დაწერ. იხ.

W. F. Twaddell, On defining the phoneme, გვ. 56—67.

მოხერხებული ტერმინი და არ ვიქნებით დამოკიდებული ლაბორატორიულ მონაცემებზე, ხოლო თუ მომავალში შესაძლებელი იქნება ობიექტური ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დეფინიციის მიღება, ფონემის ეს გაგება უმტკივნეულოდ შეიძლება შეიცვალოს⁴⁴⁷. ამ მოსაზრებებზე დამყარებით ფონემა გაგებულია როგორც „ეკრისტისტიკული ანუ პრაგმატული ფიქცია“⁴⁴⁸.

1. 151 სხვა ფონოლოგიური თეორიებისაგან განსხვავებით ტვოდელის თეორია მიზნად არ ისახავს ბგერითი მრავალფეროვნების დაყვანას გარკვეული რაოდენობის ენობრივ ინვარიანტებამდე⁴⁴⁹. ფონემა ავტორს შემოაქვს მხოლოდ ფონოლოგიური სისტემის შესასწავლად⁴⁵⁰, კერძოდ, „ფონოლოგიურ მიმართებათა აღსაწერად, რომლებიც არსებობენ ენის ელემენტებს შორის“⁴⁵¹ და რომელთა ჯამი ქმნის ენის ფონოლოგიურ სისტემას⁴⁵². ამ მიმართებების შესწავლა იწყება უშუალოდ წარმოთქმის დონეზე.

„წარმოთქმა აკუსტიკურ-არტიკულაციური მოვლენაა, რომელიც თან ახლავს სოციალურ სიტუაციებს და მიმართებაშია მათთან“⁴⁵³. არ არსებობს ზუსტად ერთნაირი ორი წარმოთქმაც კი: „ყველა წარმონათქვამი ფონეტიკურად განსხვავებული უნდა იყოს“. მაგრამ მოცემულ კოლექტივში მაინც შეიძლება ლაპარაკი მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე. ავტორის აზრით, კრიტერიუმად გვევლინება ამ კოლექტივის წევრთა, როგორც მსმენელთა, რეაქცია. შესაბამისად, „ყველა წარმონათქვამი, რომელიც ერთნაირ (recurrent) სოციალურ სიტუაციებში მსმენელთა რეაქციის თვალსაზრისით ერთი და იგივეა, ფონეტიკურ-სიგნიფიკურად მსგავსია“, ხოლო აღნიშნული თვალსაზრისით ყველა განსხვავე-

447 დაწვრ. იხ. W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

448 იქვე, გვ. 68.

449 ტვოდელის თეორიის შესახებ იხ. J. Vachek, One aspect of the phoneme theory; Н. С. Трубейской, Основы фонологии, გვ. 50—51; А. А. Реформатский, Проблема фонемы в американской лингвистике, გვ. 225—229.

450 ტვოდელის მიხედვით, არც ფონოლოგიური სისტემა არსებობს ობიექტურად. „იგი არ არის არც ფენომენი და არც ინტუიცია“. ფონოლოგიური სისტემა არის „ფონეტიკოსებისა და ფონოლოგების მიერ შეჯამებული ფორმულირებები“ ენის ფორმათა შორის არსებული ფონოლოგიური მიმართებებისა. იხ. W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

451 იქვე, გვ. 68.

452 იქვე, გვ. 76.

453 იქვე, გვ. 69.

ბული წარმონათქვამი „ფონეტიკურ-სიგნიფიკურად განსხვავებულ-
ლია“⁴⁵⁴.

წარმონათქვამი ფონეტიკური მოვლენაა და, როგორც ასეთი, „გვხვდება“ (occurs) სამეტყველო ნაქადში⁴⁵⁵. ავტორის მიხედვით, იგი ქმნის „მეტყველებას“ (parole). მრავალრიცხოვანი წარმონათქვამებიდან აბსტრაქტირდება ფორმა — „ენა“ (langue), რომელიც, მეტყველებისგან განსხვავებით, კი არ „გვხვდება“, არამედ „არსებობს“ (exists)⁴⁵⁶. ფორმა არის „ყველაფერი ის, რაც მსგავსია მოცემულ წარმონათქვამებში“ (წარმოთქმის თანმხლები ობიექტურად არსებული, მაგრამ არასიგნიფიკური განსხვავებები მხედველობაში არ მიიღება). ფორმა თავისთავად მიუწვდომელია დაკვირვებისათვის. „ჩვენ ვაკვირდებით წარმოთქმის მონაკვეთებს, რომლებიც შეესატყვისება ფორმას — განმარტავს ავტორი — და ვსწავლობთ აბსტრაქტულ ფორმას, რომელიც შეესაბამება წარმოთქმის ამ მონაკვეთებს“⁴⁵⁷. ცხადია, რომ ერთი და იმავე წარმოთქმებიდან აბსტრაქტირებული ფორმები „ერთი და იგივე ფორმებია“ და შეესაბამებიან სიგნიფიკურად მსგავს წარმოთქმებს. ტვოდელი მათ „ფონოლოგიურად მსგავს ფორმებს“ უწოდებს. შესაბამისად, ფონეტიკურ-სიგნიფიკურად განსხვავებულ წარმოთქმათა აბსტრაქციით მიღებული ფორმები განიხილება როგორც „ფონოლოგიურად განსხვავებული ფორმები“. ასე რომ, ენაში „მხოლოდ სიგნიფიკური განსხვავებები შეიძლება იყოს ფონოლოგიურად რელევანტური“⁴⁵⁸.

ყოველი წარმოთქმა (phonetic events), ტვოდელის მიხედვით, შედგება მონაკვეთებისაგან, რომელთაც ჩვეულებრივ „სამეტყველო ბგერებს“ უწოდებენ⁴⁵⁹. ფორმებს შორის ფონოლოგიური განსხვავებები შეესატყვისება ფონეტიკურ (უფრო ზუსტად, სპეციფიკურ არტიკულაციურ)⁴⁶⁰ განსხვავებებს, რომლებიც სისტემატურად მეორდება წარმოთქმის მონაკვეთებს შორის⁴⁶¹. როდესაც ფონოლოგიური განსხვავება შეესატყვისება სათანადო წარ-

454 W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

455 იქვე, გვ. 69, 70.

456 იქვე, გვ. 70.

457 იქვე.

458 იქვე.

459 იქვე, გვ. 71 (4).

460 ფონოლოგიურ განსხვავებათა შესაბამის არტიკულაციურ განსხვავებებზე იხ. იქვე, გვ. 72 (10), 77 (VII), 78.

461 დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 71 (5).

მოთქმათა მხოლოდ თითო მონაკვეთს შორის არსებულ („სისტემატურად განმეორებულ“) განსხვავებას, საქმე გვაქვს მინიმალურ ფონოლოგიურ განსხვავებასთან. ამერიკის ინგლისურში *beet : bit : bait : bet : bat* წარმოადგენენ მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების მქონე ფორმებს, რომელთა შესაბამისი საწარმოთქმო მონაკვეთები განსხვავდებიან მხოლოდ მეორე კომპონენტის მიხედვით⁴⁶².

მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების მქონე ფორმების ერთიანობა ქმნის ჯგუფს, რომელიც შესაბამის წარმონათქვამთა ცალკეულ მონაკვეთებს შორის ნაწილობრივი სიგნიფიკური მსგავსების საფუძველზე განსაზღვრულია როგორც კლასი⁴⁶³. გასაგებია, რომ აღნიშნული მსგავსება გულისხმობს არა სათანადო ბგერითი ფაქტების აბსოლუტურ იდენტობას, არამედ „ფონოლოგიურ იგივეობას“. ავტორისათვის ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში განხილული ფორმები თავკიდური და ბოლოკიდური მონაკვეთების მიხედვით ფონოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: შესაბამისი წარმოთქმები გვიღენენ გარკვეულ ობიექტურ მსგავსებას, ხოლო მათ შორის განსხვავება არ არის დაკავშირებული მსმენელთა განსხვავებულ რეაქციასთან⁴⁶⁴. ამგვარად, *beet : bit...* ფორმების ჯგუფში წარმოთქმათა პირველი და უკანასკნელი მონაკვეთების სიგნიფიკური მსგავსება შეესაბამება ფონოლოგიურ იგივეობას, რასაც ავტორი გამოხატავს [b] და [t] სიმბოლოებით, ხოლო თვით ჯგუფი განიხილება როგორც [b—t] ფონოლოგიური კლასი⁴⁶⁵. მაგრამ აღნიშნული ჯგუფი, ტვოდელის მიხედვით, არ არის უბრალოდ კლასი, იგი ამავე დროს „მოწესრიგებული კლასიცაა“. კლასის ამ თვისებას განსაზღვრავს „იმ ფონეტიკურ განსხვავებათა ხასიათი, რომლებიც სისტემატურად მეორდებიან ცალკეულ ფორმათა შესაბამის საწარმოთქმო მონაკვეთებს შორის“⁴⁶⁶. სხვა სიტყვებით, „მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების მქონე ფორმათა კლასში მოწესრიგებულობა შეესატყვისება ფონეტიკური ფაქტების კვალიტატიურ-არტიკულაციურ განსხვავებებს“⁴⁶⁷. ეს განსხვავებები ქმნიან

462 W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 71 (5)

463 იქვე, გვ. 71 (7).

464 იქვე, გვ. 71 (7), 72 (11).

465 იქვე, გვ. 71 (7).

466 იქვე, გვ. 71 (8).

467 იქვე, გვ. 72—73 (11).

„მიმართებათა მოწესრიგებულ კლასს“. შესაბამისად, წარმოთქმისაგან აბსტრაქირებული ფონოლოგიური განსხვავებებიც „ქმნის მიმართებათა მოწესრიგებულ კლასს“⁴⁶⁸.

ასეთი მოწესრიგებული მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების მქონე ფორმათა კლასის წევრებს შორის მიმართებას ავტორი უწოდებს მინიმალურ ფონოლოგიურ განსხვავებას, ხოლო ამ განსხვავების წევრს — მიკროფონემას. ამგვარად, მიკროფონემებზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ განვიხილავთ „ერთმანეთთან შედარებით და კლასთან მიმართებაში“. ასე, ზემოაღნიშნულ ფორმათა (beet : bit...) ფონოლოგიური განსხვავებებისაგან აბსტრაქირდება მიკროფონემათა სერია [i : ɪ : e : ε : æ]. მაგრამ beet ფორმის [i] არ არის მიკროფონემა per se; ასეთად იგი ხდება მხოლოდ bit ფორმის [i]-სთან და ა. შ. შედარებით. ამასთანავე, არც ერთი ეს მიკროფონემა არ შეგვიძლია განვიხილოთ სხვა კლასის (seek, sick...) ფორმათა მონაკვეთებთან მიმართებაში: მოცემული მიკროფონემები [b—t] კლასის ფორმებისაგან აბსტრაქირებული ფონოლოგიური განსხვავების წევრებია⁴⁶⁹.

მიკროფონემათა დადგენა ტვოდელისათვის მხოლოდ პირველი ეტაპია ფონოლოგიურ მიმართებათა დადგენის რთულ პროცედურაში. შემდგომი აბსტრაქცია გულისხმობს მიკროფონემათა გაერთიანებას უფრო ფართო კლასებში — მაკროფონემებში. ავტორის მიხედვით, „მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების მქონე ფორმათა ორი ან მეტი კლასი იქნება ერთგვაროვნად (similarly) მოწესრიგებული, თუ შესაბამის წარმოთქმათა შორის კვალიტატიურ-არტიკულაციური განსხვავებები ერთგვაროვანია და იმყოფებიან ურთიერთცალსახა დამოკიდებულებაში“⁴⁷⁰. ასე, ფორმათა კლასები pill till kill bill და nap gnat knak nab უნდა ჩავთვალოთ ერთგვაროვნად მოწესრიგებულ კლასებად, რამდენადაც პირველი კლასის დასაწყის მონაკვეთებს (p—t—k—b) შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც დასტურდება მეორე კლასის ბოლო მონაკვეთებს შორის. განსხვავება, რომელიც მხოლოდ გარკვეული პოზიციითაა განპირობებული (მაგ., პირველ კლასში ასპირირებულ p t k და არასპირირებულ b ვარიანტებს შორის მახვილიანი ხმოვნის წინ), მხედველობაში არ მიიღება⁴⁷¹.

468 W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ. გვ. 71 (8).

469 იქვე, გვ. 72 (9).

470 იქვე, გვ. 73 (12).

471 იქვე.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ „არტიკულაციურად ერთგვაროვნად მოწესრიგებულ ფორმათა კლასებში განსხვავებებიც (ე. ი. წესრიგიც) ერთნაირია“. ერთგვაროვნადაა მოწესრიგებული შესაბამისი მიკროფონემებიც, როგორც „მსგავსი და ურთიერთცალსახა განსხვავებების წევრები“⁴⁷². ერთგვაროვნად მოწესრიგებულ მიკროფონემათა ერთიანობა კი, ტვოდელის მიხედვით, ქმნის ფონემას ანუ, როგორც ავტორი უწოდებს, მაკროფონემას, რომელიც განისაზღვრება როგორც ფორმათა შორის ერთგვაროვანი მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების ერთგვაროვნად მოწესრიგებულ წევრთა (მიკროფონემათა) ჯამი.

თავისთავად ცხადია, რომ მაკროფონემა, ავტორის გაგებით, არ შეიძლება ემყარებოდეს მიკროფონემათა შესაბამისი არტიკულაციური კომპლექსების იდენტურობას ან პოზიტიურ მსგავსებას. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტია მხოლოდ ის, რომ „ეს არტიკულაციური კომპლექსები ერთგვაროვნად განსხვავდება სხვა არტიკულაციური კომპლექსებისაგან“⁴⁷³. მაგ., წარმოთქმის თავიკიდური მონაკვეთი pill-ში არ არის, იდენტური nap-ის ბოლოკიდური მონაკვეთისა, მაგრამ ისინი ერთნაირად განსხვავდებიან till და guat წარმოთქმათა სათანადო მონაკვეთებისაგან. ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში (მაკრო-)ფონემა არის ჯამი ყველა იმ ფონოლოგიური განსხვავებისა, რომელიც შეესაბამება ბილაბიალურ, ყრუ და ხშულ არტიკულაციას⁴⁷⁴. სხვაგვარად, ავტორისათვის ეს ნიშნავს, რომ „p-ფონემის“ შესატყვისი იქნება ყოველი ბილაბიალური ყრუ ხშული არტიკულაციური კომპლექსი, თუკი ის მოქცეულია ისეთ ფონეტიკურ თანმიმდევრობაში, სადაც მას შეუძლია დაუპირისპირდეს ბილაბიალურ ხშულ, მაგრამ არა ყრუ, ლაბიალურ ყრუ, მაგრამ არა ხშულ, ყრუ ხშულ, მაგრამ არა ლაბიალურ არ-

472 ავტორის მიხედვით, ენებში ძალიან იშვიათია ფონოლოგიურ განსხვავებათა აბსოლუტურად სიმეტრიული განმეორება, ე. ი. „ყოველთვის არ შეიძლება მიკროფონემათა კლასები მოვიყვანოთ ურთიერთცალსახა მიმართებაში“. მაგ., ამერიკის ინგლისურში დადასტურებულია წინა |i, ɛ, ɛ, æ| ხმოვნების შესაბამისი ხუთი ფონემა შემდეგ სერიაებში: beet, bit, bait, bel, ba: და ა. შ., მაგრამ seel, fit, fat სერიაები ამ თვალსაზრისით ნაკლებია. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ყოველთვის უნდა დადგინდეს შემთხვევით ხარვეზებთან გვაქვს საქმე თუ სისტემისათვის დამახასიათებელ შეზღუდვასთან. დაწვრ. იხ. W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 74—75.

473 იქვე, გვ. 73 (13).

474 იქვე, გვ. 73—74.

ტიკულაციებს. ამიტომ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავამყაროთ რაიმე სახის „ფონემური“ მიმართება *pill* და *spill* ფორმათა ხშულებს შორის, რადგან *spill* ფორმის ხშული არ იმყოფება ისეთ ფონეტიკურ მიმდევრობაში, სადაც მას შეეძლო დაპირისპირებოდა არაყრუ არტიკულაციას⁴⁷⁵. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ არის ავტორისათვის მაკროფონემა „ნეგატიური, რელაციური, დიფერენციული აბსტრაქცია“ სოსიურისეული აზრით⁴⁷⁶. არტიკულაციური კომპლექსებისაგან განსხვავებით, რომელიც გვევლინება „მეტყველების“ (*parole*) ელემენტად, იგი წარმოგვიდგება იმ მიმართებათა წევრად, რომელიც ქმნის „ენის“ (*langue*) სისტემას⁴⁷⁷.

ფონემის გლოსემატიკური თეორია

1. 16 ზემოგანხილულ ფონოლოგიურ თეორიებში ფონემის გაგება (ფონემა — ბგერითი წარმოდგენა, ფონემა — ბგერითი ტიპი ან ბგერათა კლასი, ფონემა — დიფერენციულ ნიშანთა ერთიანობა) მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო ბგერათა ფონეტიკურ თავისებურებათა გაგებასთან, მათ ასახვასთან. ამ თეორიათაგან განსხვავებით ფონემის გლოსემატიკური თეორია მიჩნეულია ისეთ თეორიად, რომელიც ცდილობს ბგერითი ფაქტები განიხილოს ფიზიკური სუბსტანციისაგან დამოუკიდებლად, როგორც უსხეულო, „ალგებრული“ ერთეულები⁴⁷⁸.

გლოსემატიკური თეორიის საფუძველზე ფონემის ცნების ასეთი ინტერპრეტაცია სწორი არ არის. საქმე ისაა, რომ გლოსემატიკა (სტრუქტურალიზმის სხვა მიმდინარეობებისგან განსხვავებით) კვლევის ფართო მიზნებს ისახავს⁴⁷⁹. იგი გულისხმობს ისე-

⁴⁷⁵ W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

⁴⁷⁶ იქვე.

⁴⁷⁷ იქვე.

⁴⁷⁸ R. Jakobson and M. Halle. *Fundamentals of language*, გვ. 15; M. Ivič. *Trends in linguistics*, გვ. 177; O. C. Ахманова. *Фонология*, გვ. 17; В. А. Звегинцев, *Глоссематика и лингвистика*, გვ. 219.

⁴⁷⁹ „გლოსემატიკას“ ხშირად მიიჩნევენ კოპენჰაგენის ლინგვისტური წრის თეორიად, რაც არ არის სწორი. ეს წრე იმთავითვე (ჩამოყალიბდა 1931 წ.) მისწრაფოდა ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტთა თანამშრომლობისაკენ და აერთიანებდა განსხვავებული ორიენტაციის ლინგვისტებს (კოპენჰაგენის ლინგვისტური წრის შესახებ დაწვრ. იხ. Rapport sur l'activité de Cercle linguistique de Copenhague).

თი მეთოდოლოგიური და მეთოდური აპარატის შექმნას, რომელიც გამოდგება არა მხოლოდ ჩვეულებრივი, ბგერითი, ენების შესასწავლად, არამედ ენებისათვის ფართო გაგებით, საერთოდ სემიოტიკური სისტემისათვის. ამიტომ აღნიშნული თეორიის ინტერპრეტაციის დროს ყოველთვის მკაცრად უნდა იქნეს დიფერენცირებული ის, თუ რას ეხება მსჯელობა, ზოგადად ენას როგორც წმინდა სემიოტიკურ სისტემას, თუ კონკრეტულად „ბუნებრივ“ ბგერით ენას (თუმცა, სამწუხაროდ, სათანადო ტერმინოლოგია თვით თეორიაში ყოველთვის გარჩეული არ არის)⁴⁸⁰. ამ განსხვავების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ბგერითი ფაქტების ანალიზიც. სახელდობრ, გლოსემატიკაში მართლაც მოთხოვნილია, რომ ენობრივი (და მათ შორის ბგერითი) ერთეულები შესწავლილ იქნეს როგორც წმინდა ღირებულებები, ე. ი. უსხეულო ალგებრუ-

საკუთრივ „გლოსემატიკის“ შექმნა ძირითადად დაკავშირებულია ამ წრის ერთ-ერთი ორგანიზატორის ლ. იელმსლევის სახელთან. თეორია მუშაიდებოდა სხვა წევრების, მათ შორის ჰ. ულდალის, აქტიური თანამშრომლობით. მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახით იგი ფიგურირებს უკვე 1935 წლიდან, მაგრამ ისე, როგორც ავტორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, თეორია დაუმთავრებელი დარჩა. დღეისათვის არსებობს თეორიის შესავალი, ზოგადი აღრიცხვის (ალგებრის) პირველი ნაწილი და სხვადასხვა ავტორების, განსაკუთრებით ლ. იელმსლევის, მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებშიც განხილულია გლოსემატიკის როგორც ზოგადი, ისე კერძო საკითხები. მაგრამ როგორც სამართლიანად არის აღნიშნული, „გლოსემატიკური ევანგელე არ არსებობს“ (X. Спанг-Хансен, Глоссеმატიка, გვ. 309). იმის ფარგლებშიც კი, რაც დამთავრებულია, გლოსემატიკა არ წარმოადგენს ერთიან და საბოლოოდ დადგენილ დოქტრინას. როგორც ამას ავტორებიც აღნიშნავენ, იგი უფრო სამუშაო პიპოთეზაა, მონახაზია, რომელიც მოითხოვს შემდგომ დაზუსტებასა და გაღრმავებას, ხოლო თუ საჭირო იქნება — შეცვლასაც (იხ. L. Hjelmslev, La stratification du langage, გვ. 164, 173). ამის შედეგია, რომ არა თუ არ არსებობს სრული შეთანხმება ამა თუ იმ საკითხის ფორმულირებაში ავტორთა შორის, რომლებიც გლოსემატიკის ძირითად პრინციპებს იზიარებენ, არამედ ხშირად ამ თვალსაზრისით განსხვავება შეიმჩნევა ერთი ავტორის სხვადასხვა დროს გამოსულ შრომებში. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ტერმინოლოგიურ სირთულეებთან ერთად მნიშვნელოვნად აძნელებს თეორიის შესწავლას.

⁴⁸⁰ ამ თვალსაზრისით სავსებით სამართლიანია ნ. ხომსკის შენიშვნა, რომ გლოსემატიკა არ არის უკიდურესად მკაცრი და უმბალესი „ოპერაციონალური სიზუსტის“ მქონე თეორია. იხ. Н. Хомский, Логические основы лингвистической теории, გვ. 530. საკითხის შეახებ იხ. აგრეთვე X. Спанг-Хансен, დასახ. ნაშრ., გვ. 340; В. П. Мурат, Глоссематическая теория, გვ. 168.

ლი სიდიდეები, მაგრამ ეს აუცილებელი ჩანს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ენა განიხილება სხვა სემიოტიკური სისტემების რიგში, როგორც მიმართებათა აბსტრაქტული სისტემა. ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ ფონემის თეორიას, ე. ი. თეორიას, რომელიც სწავლობს ბგერით ფაქტებს, როგორც ასეთებს, გლოსემატიკაში, იგი დაკავშირებულია ენობრივი ნორმისა და უზუსის შესწავლასთან და ბევრ საერთოს ავლენს სხვა ფონოლოგიურ თეორიებთან.

გლოსემატიკაში ფონემის დეფინიცია მხოლოდ ნაწილია გლოსემატიკურ დეფინიციათა რთული სისტემისა და გაუგებარია ამ სისტემის გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც აუცილებლად მიგვაჩნია რამდენადმე ვრცლად შევჩერდეთ თვით თეორიაზე, მის ზოგად პრინციპებზე (მით უფრო, რომ გლოსემატიკური თეორიის ინტერპრეტაცია გაცილებით მეტ დავას იწვევს სპეციალისტთა შორის, ვიდრე რომელიმე სხვა თეორიისა)⁴⁸¹. თეორიას განვიხილავთ იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია ლუი იელმსლევის ნაშრომებში.

გლოსემატიკის რამდენადმე სრულყოფილი განხილვა გულისხმობს, ერთი მხრივ, თეორიის ლინგვისტური და ფილოსოფიური წინამძღვრების დადგენას, მეორე მხრივ, იმ პერსპექტივათა ჩვენებას, რომელთაც მოცემული თეორია სახავს როგორც ზოგადმეთოდოლოგიურ, ისე კონკრეტულ ენათა კვლევის სფეროში. ბუნებრივია, ჩვენ აქ ვერ შევხვებით ყველა ამ საკითხს. გლოსემატიკის ლინგვისტური და ფილოსოფიური წინამძღვრების განხილვა სცილდება ჩვენი ნაშრომის მიზნებს⁴⁸². ასევე ვერ შევჩერდებით

⁴⁸¹ გლოსემატიკის შესახებ იხ. B. Siertsema, A study of Glossematics; A. Мартине, О книге „Основы лингвистической теории“ Луи Ельмслева; F. Hintze, Zum Verhältnis der sprachlichen „Form“ zur „Substanz“; X. Спанг-Ханссен, დასახ. ნაშრ.; M. Ivič, დასახ. ნაშრ., გვ. 176—184; B. W. Christensen, Glossématique. linguistique fonctionnelle, grammairre générative et stratification du langage; O. C. Ахманова, Глоссематика Луи Ельмслева как проявление упадка современного буржуазного языкознания; A. C. Чикобава, Проблема языка как предмета языкознания, გვ. 160—166; B. A. Звегнцев, დასახ. ნაშრ.; B. П. Мурат, დასახ. ნაშრ.; Ю. К. Лекомцев, Основные положения глоссематики; ი. რამიშვილი, ლუი იელმსლევის გლოსემატიკის საფუძვლები და სხვ.

⁴⁸² გლოსემატიკის ფილოსოფიური წინამძღვრების შესახებ იხ. S. Johansen, Glossematics and logistics; B. A. Звегнцев, დასახ. ნაშრ.;

თეორიაში დასმულ ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებზე, რადგან სხვა მიზეზთა შორის ისიც არის, რომ „ზოგიერთი ჩვენთაგანისათვის ძნელია გავივით მისი გამოყენება, რადგან არ გაგვაჩნია საკმარისი ცოდნა მათემატიკისა და სიმბოლური ლოგიკის სფეროში, რათა მიეყვებოთ მტკიცებათა რთულ სისტემას“⁴⁸³. ამჟამად გლოსემატიკა გვიანტერესებს მხოლოდ იმ პერსპექტივათა თვალსაზრისით, რომელთაც ეს თეორია სახავს კონკრეტული ბუნებრივი ენების, კერძოდ, მათი ფონოლოგიური სისტემების, კვლევისათვის⁴⁸⁴. უფრო ზუსტად, ჩვენ გვიანტერესებს გლოსემატიკის თვალსაზრისით ფონეტიკური სუბსტანციის შესწავლის შესაძლებლობები.

1. 101 გლოსემატიკა წარმოადგენს დედუქციური (აღრიცხვითი) თეორიის აგების პირველ ცდას ენათმეცნიერების (და საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) სფეროში⁴⁸⁵. მისი შექმნის აუცილებლობა ლ. იელმსლევის მიხედვით, განპირობებულია შემდეგი მოსაზრებით⁴⁸⁶:

В. П. Мурат, დასახ. ნაშრ., გვ. 158 და შემდ.; ი. რამიშვილი. კოპენაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები.

⁴⁸³ Э. Хауген, *Направления в современном языкознании*, გვ. 248.

⁴⁸⁴ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გლოსემატიკური თეორია არ იძლევა კონკრეტულ-ენობრივი ანალიზის შესაძლებლობას (A. Мартинე, დასახ. ნაშრ.; L. L. Hammerich, *Les Glossématises danois et leurs méthodes*) ან, რომ ყოველ შემთხვევაში, მისი გამოყენება ძნელია სრულიად შეუსწავლელ ენათა მიმართ (E. Haugen, [რეც.]—*Prolegomena to a theory of language*“, გვ. 251; B. Sierstema, დასახ. ნაშრ., გვ. 24—25, 52—53). გლოსემატიკის მეთოდების შესახებ მსჯელობა მოცემული იქნება ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში, მაგრამ წინასწარ მაინც აღვნიშნავთ, რომ კვლევის მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით გლოსემატიკასა და სხვა ფონოლოგიურ თეორიებს შორის არსებითი განსხვავება არ არის.

⁴⁸⁵ ზოგჯერ გლოსემატიკურ დედუქციურ თეორიას მიიჩნევენ აპრიორისტულ თეორიად, რაც აშკარა გაუგებრობის შედეგია. ამ თეორიის განსხვავების შესახებ ფილოსოფიური და აპრიორისტული თეორიებისგან იხ. L. Hjelmstev. *Prolegomena...*, გვ. 3, 4, 11; მისივე: *Editorial*, გვ. V; Л. Ельмслев. *Можно ли считать, что значения слов образуют структуру?* გვ. 120.

⁴⁸⁶ წინამდებარე მიმოხილვაში ჩვენ არ ვიცავთ ქრონოლოგიურ პრინციპს (აუცილებელ შემთხვევაში საკირო განმარტებები მოცემულია სქოლიოში). ვაღმოცემის გამარტივების მიზნით, არ ვიცავთ აგრეთვე დასაგების იმ თანმიმდევრობას, რომლითაც ძირითადი პრინციპები განხილულია თვით გლოსემატიკაში. ამავე მიზეზით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეძლებისამებრ გვერდი ავუაროთ გლოსემატიკაში მიღებულ ფორმალურ დეფინიციათა რთულ იერარქიულ სისტემას და უფრო მეტად ვისარგებლოთ ოპერაციონალური დეფინიციებით.

ენა, ადამიანის მეტყველება, თავისი შეუდარებელი მრავალმხრივობით მუდამ იქცევდა კაცობრიობის ყურადღებას. იგი დიდი ხანია მეცნიერული აღწერის საგანსაც წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ავტორი თვლის, ენის ნამდვილი შესწავლა აქამდე მაინც არ ყოფილა. ენას განიხილავდნენ არა როგორც „იმანენტური ცოდნის მიზანს“, არამედ როგორც „ტრანსცენდენტური შემეცნების საშუალებას“. კვლევის ძირითადი ინტერესი მიმართული იყო ენის ფიზიკური და ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ლოგიკური, სოციალური და ისტორიული ხასიათის მონაცემებისაკენ და არა თვით ენისაკენ. ფაქტობრივად, ის, რაც ისწავლებოდა, იყო მხოლოდ ენის *disiecta membra*, რომელიც არ იძლეოდა ენის, როგორც მთლიანობის, შეცნობის საშუალებას⁴⁸⁷.

თვალსაზრისები, რომლითაც შეიძლება და საჭიროა ენის შესწავლა, მართლაც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მაგრამ, ავტორის აზრით, „ვერც ერთი მათგანი ვერ შექმნის საფუძველს ენის შესახებ დამოუკიდებელი მეცნიერებისათვის“, სანამ არ იქნება საკუთრივ „ლინგვისტური“ თვალსაზრისი, რომელსაც შეუძლია დაადგინოს მათი „შედარებითი კანონიერებაცა“ და დაადოს მათ „შედარებითი შეზღუდვაც“. ეს ნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას ნამდვილი ლინგვისტური მეცნიერება („ლინგვისტური ლინგვისტიკა“), რომელიც ენას წარმოგვიდგენს არა როგორც უბრალოდ „ლოგიკური, ისტორიული, ფიზიოლოგიური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების კონგლომერატს, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, სპეციფიკური ბუნების მქონე მთლიანობას“. მხოლოდ ასეთ გაგებას შეუძლია აგვიხსნას ენაში ამ აშკარად ჰეტეროგენიული ელემენტების გაერთიანების შესაძლებლობა⁴⁸⁸. სხვაგვარად, იმისათვის, რათა შეიქმნას ჭეშმარიტი ლინგვისტიკა, რომელიც უკვე აღარ გამოვა დამხმარე დისციპლინის როლში, მან თავის საგნად უნდა გაიხადოს ენა, „როგორც თვითკმარი მთლიანობა, სტრუქტურა *sui generis*“⁴⁸⁹.

სწორედ ეს მიზანია დასახული ენის განხილულ თეორიაში, რომელსაც არსებული ლინგვისტური თეორიებისგან განსასხვა-

⁴⁸⁷ დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 1—2.

⁴⁸⁸ L. Hjelmslev, *Language*. გვ. 4—5.

⁴⁸⁹ L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 2. ლინგვისტური იმანენტისმის შესახებ დაწვრ. იხ. მისივე: *Editorial*, გვ. VII—VIII; *La stratification...* გვ. 163—164.

ვებლად ავტორები გლოსემატიკას (ბერძნ. სიტყვისაგან — γλῶσσα „ენა“) უწოდებენ.

გლოსემატიკური თეორია არ წყვეტს კავშირს ტრადიციულ ენათმეცნიერებასთან. პირიქით, ახალ თვალსაზრისსა და მისგან გამომდინარე შედეგებზე დაყრდნობით იგი მოითხოვს ამ კავშირის შენარჩუნებას და გულისხმობს იმ მიდწევათა გამოყენებას, რომლებიც ნაყოფიერი აღმოჩნდნენ ენობრივი კვლევის პრაქტიკაში⁴⁹⁰.

ენის სპეციფიკური სტრუქტურის შესწავლა, გლოსემატიკის მიხედვით, გულისხმობს ენის, როგორც დამოკიდებულებათა სისტემის, შესწავლას. თეორია ამოდის იქიდან, რომ „ობიექტის აღწერა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს: აღინუსხოს ის მიმართებები, რომლებშიც მოცემული ობიექტი შედის ან რომლებიც მასში შედიან“⁴⁹¹. იმისათვის, რათა გავიზაროთ მეცნიერული ანალიზის ეს პრინციპი, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ „საკვლევი ობიექტიცა და მისი ნაწილებიც არსებობენ მხოლოდ ამ დამოკიდებულებათა მეოხებით: ობიექტის მთლიანობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მათი საერთო ჯამით, ხოლო მისი ნაწილები — დამოკიდებულებებით, რომლითაც ისინი უკავშირდებიან სხვა ნაწილებს, მთელს, მისი სხვა დონის ნაწილებს და იმ დამოკიდებულებათა ჯამით, რომლითაც სხვა დონის ნაწილები უკავშირდებიან ერთმანეთს. ასეთი განხილვის შემდეგ ცხადი ხდება, რომ გულუბრყვილო რეალიზმის „ობიექტები“, ჩვენი თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა ამგვარ დამოკიდებულებათა კონუნების გადაკვეთა. ეს ნიშნავს, რომ ობიექტი შეიძლება აღიწეროს მხოლოდ მათი საშუალებით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მისი განსაზღვრა და მეცნიერული გააზრება“⁴⁹². შესაბამისად, გლოსემატიკური ანალიზის პრინციპი მდგომარეობს „დამოკიდებულებათა დადგენაში“⁴⁹³. ამ აზრით, ანალიზის პრინციპი უნივერსალურია⁴⁹⁴. რაც შეეხება ანალიზის საფუძველს, იგი სხვა-

⁴⁹⁰ დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, Éditorial, გვ. X—XI; მისივე: La notion de rection, გვ. 12; Л. Ельмслев, Можно ли считать, что значения слов образуют структуру? გვ. 118.

⁴⁹¹ L. Hjelmslev, Language, გვ. 8.

⁴⁹² L. Hjelmslev, Prolegomena.... გვ. 13—14; იხ. აგრეთვე მისი: Éditorial, გვ. VIII.

⁴⁹³ L. Hjelmslev, Prolegomena.... გვ. 17, 60.

⁴⁹⁴ იქვე, გვ. 13.

დასხვაგვარი შეიძლება იყოს და არჩევანი უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ დამოკიდებულებათა რომელი ხაზებია რელევანტური მოცემული ინდივიდუალური შემთხვევისათვის⁴⁹⁵.

ენათმეცნიერების ობიექტის შემოფარგვლა ენით, როგორც თვითმყოფი, სპეციფიკური სტრუქტურით, გლოსემატიკაში მიჩნეულია მხოლოდ დროებით საშუალებად კვლევის პროცესში. იგი არ გულისხმობს თვალსაზრისის ან იმ არსებითი ფაქტორების შეზღუდვას, რომლებიც შედიან ენაში. ეს შეზღუდვა ნიშნავს მხოლოდ კვლევის ობიექტის დაყოფას სირთულის ხარისხის მიხედვით. შეზღუდვა შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, თუ იგი საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ ანალიზის შემდეგ „გლობალური მთლიანობა“ (ენა ცხოვრებასა და სინამდვილეში) ხელახლა განვიხილოთ როგორც ერთიანი, მაგრამ „აქამად არა როგორც შემთხვევითი წარმონაქმნი ან კონგლომერატი de facto, არამედ როგორც მოვლენა, ორგანიზებული ძირითადი პრინციპის მიხედვით“⁴⁹⁶.

ლინგვისტური თეორიის მიზანია შექმნას „პროცედურული მეთოდი“ ნებისმიერი (როგორც აქამდე არსებული, ისე მომავალში მოსალოდნელი) ენის ნებისმიერი ტექსტის აღსაწერად⁴⁹⁷. უფრო მეტიც, თეორია ისეა ჩაფიქრებული, რომ მისი აპარატი უნდა გამოდგეს არა მხოლოდ ჩვეულებრივი, ე. წ. „ბუნებრივი“ („ლინგვისტური“) ენებისათვის (რომლებიც ამოსავალია მოცემული თეორიისათვის), არამედ ენებისათვის ფართო გაგებით, „არალინგვისტური“ ენებისათვისაც, ყოველი ანალოგიური სტრუქტურისათვის, ყოველი სემიოტიკისათვის⁴⁹⁸. „ენა, ჩვეულებრივი გაგებით, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ უფრო ზოგადი ობიექტის სპეციფიკური შემთხვევა“⁴⁹⁹ (l'espèce langue)⁵⁰⁰. ავტორის აზრით, ლინგვისტმა თავისი კვლევა უნდა მიმართოს მხოლოდ „ბუნებრივი“ ენებისაკენ, ხოლო დანარჩენი სემიოტიკური სისტემები დაუთმოს სხვებს, მაგ., ლოგიკოსებს. მაგრამ ლინგვისტს არა აქვს უფლება ხელი მოკიდოს ენის შესწავლას, თუ არ ექნება ფართო თვალსაზრისი⁵⁰¹. სწორედ არალინგვისტური ენების შესწავლით

⁴⁹⁵ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 17, 54.

⁴⁹⁶ იქვე, გვ. 11, 81—82.

⁴⁹⁷ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 9—10; L. Hjelmslev, Language, გვ. 10.

⁴⁹⁸ L. Hjelmslev, Éditorial, გვ. X; მისივე: Prolegomena..., გვ. 65. ენის ადგილისათვის სხვა სემიოტიკურ სისტემათა შორის დაწვრ. იხ. Prolegomena..., გვ. 70; მისივე: La stratification..., გვ. 164.

⁴⁹⁹ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 68.

⁵⁰⁰ L. Hjelmslev, Éditorial, გვ. IX.

⁵⁰¹ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 68; იხ. აგრეთვე გვ. 65.

და მათთან შედარებით ხდება შესაძლებელი დადგენილ იქნეს ლინგვისტური ენების differentia specifica⁵⁰².

თავისთავად გასაგებია, რომ ასეთი ფართო მიზნებისათვის განკუთვნილი თეორია არ შეიძლება აიგოს მხოლოდ ცდისეულ მონაცემებზე დამყარებით. „კვლევის გამოცდილება ვერ ქმნის ადეკვატურ საფუძველს ლინგვისტური სტრუქტურის თეორიისათვის“, — გვეუბნება ავტორი, — რამდენადაც ფაქტობრივ წარმოდგენელია ყველა თეორიულად შესაძლებელი ენის თეორიულად შესაძლებელი ტექსტის გათვალისწინება. ამიტომაც „რაგინდ მრავალფეროვან, მაგრამ აუცილებლად მინც შეზღუდულ გამოცდილებაზე დამყარებით, ლინგვისტი-თეორეტიკოსი აწარმოებს ყველა შესაძლებლობის გამოთვლას გარკვეულ ფარგლებში“⁵⁰³. შესაბამისად, გლოსემატიკური თეორია წარმოგვიდგება როგორც ზოგადი აღრიცხვა (general calculus), რომელიც წინასწარ ითვალისწინებს ყველა მოსალოდნელ შემთხვევას⁵⁰⁴. მაგრამ თეორია ისეა აგებული, რომ იგი არაფერს ამბობს „არც თავისი გამოყენების შესაძლებლობაზე და არც ცდისეულ მონაცემებთან მიმართებაზე“⁵⁰⁵. მართალია, შესაძლებელია ამ ზოგადი აღრიცხვის დედუქცირება „ტიპოლოგიის ფორმით, რომლის კატეგორიებიც იქნებიან ინდივიდუალური ენები, ან უფრო ზუსტად, ინდივიდუალური ენობრივი ტიპები“⁵⁰⁶, მაგრამ „ზოგად აღრიცხვაში არ დგას ამ ინდივიდუალური სტრუქტურული ტიპების მანიფესტაციის საკითხი“⁵⁰⁷. სხვაგვარად, „აღრიცხვისათვის არსებობს არა ინტერპრეტირებული სისტემები, არამედ მხოლოდ ისეთი სისტემები, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით არ არის განსხვავება, მაგ., ერთი მხრივ, ჭადრაკის თამაშსა ან წმინდა ალგებრასა და, მეორე მხრივ, ენებს შორის“⁵⁰⁸. ლინ-

⁵⁰² L. Hjelmslev, Éditorial, გვ. X.

⁵⁰³ ეს ფარგლები დადგენილია ნებისმიერად, მაგრამ იმ ობიექტების გათვალისწინებით, რომელთაც გარკვეული ნიშნების შიხედვით შეიძლება ეწოდოთ „ენები“. დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, Language, გვ. 105; მისივე: Prolegomena..., გვ. 10.

⁵⁰⁴ დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 9—10; მისივე: Language, გვ. 105.

⁵⁰⁵ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 8.

⁵⁰⁶ იქვე, გვ. 67—68. . . .

⁵⁰⁷ იქვე, გვ. 68.

⁵⁰⁸ იქვე, გვ. 71.

გვისტური ენაც წარმოადგენს „მხოლოდ შესაძლო მანიფესტაცი-
ას“⁵⁰⁹.

ავტორის მიხედვით, ყოველი ნებისმიერი კონკრეტული აღწე-
რა დამოკიდებულია ზოგად სისტემაზე (ზოგად ალგებრაზე)⁵¹⁰:
მოცემული ობიექტი თანმიმდევრულად და სრულად შეიძლება
აღიწეროს იმ კლასებით, რომლებიც წინასწარ არის გათვალის-
წინებული ალგებრაში⁵¹¹. სხვანაირად, მასალის დესკრიფცია მდგო-
მარეობს იმის აღნიშვნაში, თუ აღრიცხვით წარმოდგენილი შესაძ-
ლებლობებიდან რომელია რეალიზებული ამ მასალაში⁵¹².

ამიტომაც არის, რომ ლინგვისტური თეორიის შემოწმება არ
შეიძლება არსებული ენებითა და ტექსტებით. იგი მოწმდება მხო-
ლოდ „ემპირიზმის პრინციპის“ თვალსაზრისით⁵¹³, რომელიც გუ-
ლისხმობს, რომ „აღწერა უნდა იყოს არაწინააღმდეგობრივი, ამომ-
წურავი და შეძლებისამებრ მარტივი“⁵¹⁴.

ემპირიზმის პრინციპი გამოიყენება კვლევის სხვადასხვა დონეზე (რამდენად-
მე წინააღმდეგობრივი შედეგებით), რადგანაც ტერმინი „აღწერა“ გლოსემატიკა-
ში გულისხმობს როგორც კონკრეტული ობიექტის აღწერას, ისე ზოგად დესკ-
რიფციულ აპარატსაც.

კონკრეტული აღწერა იქნება ამომწურავი, თუ იგი გრძელდება მანამ, სანამ
მოცემული მეთოდის ფარგლებში ობიექტი არ დაიყვანება გარკვეულ სტრუქ-
ტურამდე (უნაშთოდ); იგი იქნება მარტივი, თუ ობიექტი აღიწერება შემდგომ
განუყოფელ შემადგენელ ერთეულთა უმცირესი რიცხვის საშუალებით, რჩება
რა ამ დროს არაწინააღმდეგობრივი და ამომწურავი.

მეორე მხრივ, ალგებრა ზოგადი აღწერაა, რომლისგანაც უნდა გამოყვანილ
იქნეს ყველა კონკრეტული აღწერა—ნამდვილიც და პოტენციურიც. მისი ამომწუ-
რაობის საბოლოო შემოწმებაც მოხდება დედუქციის გზით მიღებულ კონკრე-
ტულ აღწერათა ინდუქციის საშუალებით. მაგრამ რამდენადაც ალგებრა არის
ზოგადი, ინდუქციაც ყოველთვის იქნება უსრული და ალგებრის სისრულე შეიძ-
ლება განისაზღვროს მხოლოდ ალბათობრივად. იგივე შეიძლება ითქვას ალგებ-
რის სიმარტივეზედაც, რომელიც საბოლოოდ მაინც ინდუქციის საშუალებით თუ
შეიძლება შემოწმდეს.

⁵⁰⁹ L. Hjelm slev, Éditorial, გვ. IX.

⁵¹⁰ ავტორთან ზოგადი „სისტემა“ და „თეორია“ ამ აზრით სინონიმები გა-
მოდის.

⁵¹¹ L. Hjelm slev and H. J. Uldall, Outline of glossematics, გვ.
22—24.

⁵¹² იქვე, გვ. 86.

⁵¹³ L. Hjelm slev, Prolegomena.... გვ. 10.

⁵¹⁴ იქვე, გვ. 6; L. Hjelm slev and H. J. Uldall, დასახ. ნაშრ., გვ.
20—21.

რამდენადაც კონკრეტული აღწერა შეიძლება იყოს სხვადასხვა სირთულის, თავისთავად ცხადია, რომ ზოგადი აღწერა არ შეიძლება იყოს მარტივი (თუ ალგებრა იქნება მეტისმეტად ვიწრო, მაშინ იგი არ გამოდგება ყველა ობიექტისათვის (ვერ უზრუნველყოფს ამომწურავ აღწერას)⁵¹⁵. რაც უფრო რთულია ალგებრა, მით უფრო რთული იქნება მის საფუძველზე გაკეთებული კონკრეტული აღწერაც, მაგრამ ეს დანაკარგი კომპენსირდება იმ სიმარტივით, რომელსაც ვაღწევთ ერთგვაროვნად აღწერილ ენათა შედარებისას. ამგვარად ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ კომპრომისის გზით, რომელიც მუდმივ შემოწმებასა და გადასინჯვას საჭიროებს.

დამოკიდებულებები ანუ ფუნქციები, რომელთაც ადგენს გლოსემატიკა ობიექტის აღსაწერად, სხვადასხვაგვარია⁵¹⁶. ეს ფუნქციები არჩეულია არა იმიტომ, რომ მათ საერთოდ ენიჭებათ „აბსოლუტური უპირატესობა“ ობიექტის დახასიათებისათვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს ფუნქციებია მიჩნეული რეღევანტურად მოცემული თეორიისათვის“⁵¹⁷.

ერთმანეთის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებაში მყოფ ერთეულებს ანუ ფუნქციის წევრებს ეწოდებათ ფუნქტივები. მუდმივი არის ფუნქტივი, „რომლის არსებობა აუცილებელი პირობაა იმ ფუნქტივის არსებობისათვის, რომელთანაც მას აქვს ფუნქცია“. ცვლადი ეწოდება ფუნქტივს, „რომლის არსებობა არ არის აუცილებელი პირობა იმ ფუნქტივის არსებობისათვის, რომელთანაც მას აქვს ფუნქცია“. ამ ცნებათა საფუძველზე განსაზღვრულია: ურთიერთდამოკიდებულება (ინტერდეპენდენცია) — „როგორც ფუნქცია ორ მუდმივს შორის“; დეტერმინაცია — „როგორც ფუნქცია მუდმივსა და ცვლადს შორის“; თავსებადობა (კონსტელაცია) — „როგორც ფუნქცია ორ ცვლადს შორის“⁵¹⁸.

⁵¹⁵ დაწვრ. იხ. L. Hjelmslev and H. J. Uldall, დასახ. ნაშრ., გვ. 22—24; 86—87.

⁵¹⁶ რომ „ობიექტს“, გარკვეული აზრით, ქმნის მიმართებები, ეს ერთ-ერთი იმ აქსიომათაგანია, რომელსაც გლოსემატიკა იმთავითვე ემყარებოდა. მაგრამ წლიდან წლამდე იხვეწებოდა ამ მიმართებათა სახეების ვაგება და სათანადო ტერმინოლოგია. ფუნქციათა აქ წარმოდგენილი დეფინიციები არსებითად მოცემულია უკვე 1939 წ. იხ. L. Hjelmslev, La notion de rection, გვ. 14, 19—20.

⁵¹⁷ L. Hjelmslev and H. J. Uldall, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

⁵¹⁸ L. Hjelmslev, Prolegomena.... გვ. 20—21.—გარკვეულ შემთხვევებში თეორიისათვის მიზანშეწონილია ამ ფუნქციათა დაჯგუფება სხვადასხვა თვალსაზრისით. ასეთი გაერთიანებული ფუნქციებისათვის იხ. იქვე, გვ. 21—22; მისივე: Language, გვ. 97—99, 107. ფუნქციათა სრული ფორმალური დეფინიციისათვის იხ. L. Hjelmslev and H. J. Uldall, დასახ. ნაშრომი.

ფუნქციათა შორის განსხვავებას, მნიშვნელოვანს ლინგვისტური თეორიისათვის, ქმნის აგრეთვე კონიუნქციური (და-და, both-and) და დიზიუნქციური (ან-ან, either-or) ფუნქციების დაპირისპირება⁵¹⁹. კონიუნქცია ანუ რელაცია მასში შემავალი ფუნქტივების თანაარსებობას გულისხმობს, დიზიუნქცია ანუ კორელაცია კი ფუნქტივებს შორის ალტერნაციას ემყარება⁵²⁰.

რელაციისა და კორელაციის გარჩევა უდევს საფუძვლად პროცესსა და სისტემას შორის განსხვავებას. შესაბამისად, პროცესი შეიძლება განისაზღვროს როგორც რელაციური, სისტემა კი — როგორც კორელაციური იერარქია⁵²¹.

გარკვეული აზრით, ყველა არის შეღის როგორც პროცესში, ისე სისტემაში. ამის გამო, ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინების გვერდით გლოსემატიკაში შემოტანილია სპეციალური ტერმინები ამ დამოკიდებულებათა აღსანიშნავად პროცესსა და სისტემაში. ასე, ურთიერთდამოკიდებულება (ინტერდებენდენცია) პროცესში აღნიშნულია როგორც სოლიდარობა, სისტემაში კი — შეესებადობა (complementarity). ასევე დეტერმინაცია პროცესში იქნება სელექცია, სისტემაში — სპეციფიკაცია, ხოლო თავსებადობა პროცესში — კომბინაცია, სისტემაში — ავტონომია⁵²².

ავტორის მიხედვით, საერთოდ, პროცესი და სისტემა ფართო ცნებებია და არ დაიყვანება მხოლოდ სემიოტიკურ ობიექტებამდე. სემიოტიკურ პროცესსა და სემიოტიკურ სისტემას გლოსემატიკაში ეწოდება სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა, ხოლო როცა საქმე ეხება ენას (ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით), მაშინ შესაბამისად გამოყენებულია ტერმინები: ტექსტი და ენა⁵²³.

ექსპერიმენტული მონაცემების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ ის, რაც მკვლევარს ეძლევა ამოსავლად, არის ტექსტი „თავის განუყოფელ და აბსოლუტურ მთლიანობაში“⁵²⁴. თუ გვინდა ავაგოთ სისტემა წარმოდგენილი პროცესისათვის, მაშინ გლოსემატიკური პრინციპების თანახმად, „ერთადერთი შესაძლებელი პროცედურა იქნება ანალიზი, რომლის დროსაც ტექსტი განხილულია როგორც კლასი, რომელიც იყოფა სეგმენტებად, შემდეგ ეს სეგმენტებიც, როგორც კლასები, იყოფა სეგმენტებად და ა. შ., სანამ ანალიზი

⁵¹⁹ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 22.

⁵²⁰ იქვე, გვ. 22—24.

⁵²¹ იქვე, გვ. 23—24.

⁵²² იქვე, გვ. 15.

⁵²³ იქვე, გვ. 24; იხ. აგრეთვე: La stratification..., გვ. 170.

⁵²⁴ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 7.

არ იქნება ამოწურული“⁵²⁵. ეს ნიშნავს, რომ ანალიზი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული „შესაძლო პირველადი ნაწილები, რომლებიც უკვე აღარ ექვემდებარებიან ანალიზს“⁵²⁶, ანუ სხვაგვარად, სანამ არ დადგინდება განსაზღვრული რიცხვი იმ ელემენტებისა, რომლებიც „მუდმივად მეორდებიან სხვადასხვა კომბინაციაში“⁵²⁷.

ამგვარად, ნებისმიერი ტექსტი (ზეპირი ან წერილობითი) წარმოადგენს კლასს, ანუ როგორც მას პროცესში უწოდებენ — ჯაქსს, რომლის ნაწილებიც, თავის მხრივ, ჯაქვებია⁵²⁸. ტექსტის ანალიზი მთლიანად არის პროცედურა, რომლის ცალკეული ოპერაცია წარმოადგენს ცალკეულ მინიმალურ დანაწილებას⁵²⁹. ამ პროცედურის შიგნით ყოველი ოპერაცია გულისხმობს წინამაგაღს და იგულისხმება მომდევნოს მიერ⁵³⁰. მაშასადამე, პროცედურის სეგმენტებს შორის ყოველთვის არის დეტერმინაცია. ასეთ პროცედურას მთლიანად ეწოდება დედუქცია⁵³¹. შესაბამისად, ლინგვისტური თეორიის მეთოდი განისაზღვრება „როგორც აუცილებლად ემპირიული და დედუქციური“⁵³².

ანალიზის უპირველესი ამოცანა, გლოსემატიკის მიხედვით, როგორც ვნახეთ, არის ტექსტუალური პროცესის დანაწილება⁵³³. პროცესში დადგენილი მინიმალური, შემდგომ განუყოფელი, ელემენტები თავიანთი კომბინაციური შესაძლებლობების მიხედვით ლადებებიან სისტემაში პარადიგმებად. პარადიგმა გაგებულია როგორც „იმ ელემენტთა კლასი, რომლებიც შეიძლება მოთავსებულ იქნან ერთსა და იმავე ადგილას ჯაქვში“⁵³⁴. ასე, გრაფიკულ მაგალითში *pet* და *man p, e, t* და *m, a, n* ელემენტები ქმნიან ჯაქვებს, რომლებიც შედიან ენობრივ პროცესში, ხოლო *p* და *m, e* და *a, t* და

⁵²⁵ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 7.

⁵²⁶ იქვე, გვ. 18; იხ. აგრეთვე L. Hjelmslev, Language, გვ. 99, 106.

⁵²⁷ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 5.

⁵²⁸ იქვე, გვ. 18; იხ. აგრეთვე L. Hjelmslev, Language, გვ. 97 და შემდ.

⁵²⁹ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 18.

⁵³⁰ სიმარტივისათვის აქ განვიხილავთ მხოლოდ ე. წ. გაგრძელებულ ანალიზს, რომელიც ემყარება დაყოფის ერთ საფუძველს. ანალიზთა კომპლექსისათვის დაწვ. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 18—19.

⁵³¹ იქვე, გვ. 19; იხ. აგრეთვე გვ. 7.

⁵³² იქვე, გვ. 7.

⁵³³ იქვე, გვ. 18.

⁵³⁴ L. Hjelmslev, Language, გვ. 33.

ი ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ დაიკავონ ერთი და იგივე ადგილი ჯაჭვში, ქმნიან პარადიგმებს, რომლებიც შედიან ენობრივ სისტემაში⁵³⁵. ისეთ პარადიგმას, რომელშიც გაერთიანებული ელემენტები „შეიძლება მოთავსებულ იქნენ ჯაჭვის მხოლოდ მოცემულ და არა სხვა ადგილზე“, ეწოდება კატეგორია⁵³⁶ (მაგ., ყველა ენაში განსხვავებულ კატეგორიებს ქმნიან ხმოვნები და თანხმოვნები)⁵³⁷.

ამგვარად, ენობრივი სისტემა, ენა, დგას ენობრივი პროცესის, ტექსტის, უკან და მიიღწევა ამ პროცესის, ტექსტის საშუალებით⁵³⁸. მაგრამ ის ფაქტი, რომ პროცესი გვეძლევა უშუალოდ, ხოლო სისტემა უნდა „ადმოჩენილ“ იქნეს პროცედურული გზით, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს „პროცესი შეიძლება არსებობდეს სისტემის გარეშე, სისტემა უპროცესოდ კი — არა“. პროცესსა და სისტემას შორის არსებობს დეტერმინაცია, სადაც პროცესი განაპირობებს სისტემას: „სისტემის არსებობა აუცილებელი წინამძღვარია პროცესის არსებობისათვის“. პროცესი არსებობს მხოლოდ სისტემის მეოხებით; პროცესი წარმოდგენელია უსისტემოდ, მაშინ როცა სისტემის წარმოდგენა უპროცესოდ შესაძლებელია. მაშასადამე, „არ შეიძლება გვექონდეს ტექსტი, თუ არ გვექნება ენა“, მაგრამ „შეიძლება გვექონდეს ენა და არ გვექონდეს ტექსტი ამ ენაზე“. ეს ნიშნავს, რომ ლინგვისტური თეორიის მიერ ასეთი ენა დაშვებულია როგორც „შესაძლებელი სისტემა“, მაგრამ მასთან დაკავშირებული არც ერთი პროცესი არ არის რეალიზებული. სხვაგვარად, ეს პროცესი ვირტუალურია⁵³⁹.

იმ საყოველთაოდ აღიარებულ დებულებას, რომ ენა ნიშანთა სისტემაა, გლოსემატიკური თეორია იმთავითვე ითვალისწინებს, მაგრამ საქმე ისაა, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიეწეროს სიტყვას „ნიშანი“.

ტრადიციული გაგებით „ნიშანი“ არის რალაციის ნიშანი, რომელიც გარკვეული აზრით ნიშნის გარეთაა, ე. ი. „ნიშანი ფუნქციონ-

⁵³⁵ L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 22; იხ. აგრეთვე: Language. გვ. 32—33.

⁵³⁶ L. Hjelmslev. Language. გვ. 33; კატეგორიების შესახებ იხ. აგრეთვე Prolegomena.... გვ. 54.

⁵³⁷ L. Hjelmslev. Language. გვ. 35.

⁵³⁸ სწორედ ცალკეული პროცესებისათვის შესაბამის სისტემათა დადგენის შემდეგ აიკვება ზოგადი სისტემა, რომელიც წარმოადგენს ზოგად და ამომწურავ აღრიცხვას საერთოდ სემიოტიკათა ფარგლებში. დაწერ. იხ. L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 5, 10, 73.

⁵³⁹ დაწერ. იხ. იქვე, გვ. 24—25.

ნირებს, აღნიშნავს; არანიშნისაგან განსხვავებით იგი ატარებს მნიშვნელობას⁵⁴⁰. პირველ საფეხურზე, წერს ლ. იელნსლევო, საცდელი ტექსტუალური ანალიზი თითქოს ამტკიცებს ამ მოსაზრებას. არსები, რომელთაც ჩვეულებრივ უწოდებენ წინადადებებს, მის ნაწილებს, სიტყვებს, აკმაყოფილებენ მოცემულ პირობას: ისინი ატარებენ მნიშვნელობას, ე. ი. წარმოადგენენ „ნიშნებს“. თავის მხრივ, სიტყვის ნაწილებიც (ძირები, აფიქსები) შეიძლება განვიხილოთ როგორც მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები. მაგ., ინგლისურ სიტყვაში in-act-iv-ate-s გვაქვს ხუთი ნიშანი⁵⁴¹. მაგრამ ავტორი გახაზავს იმ ფაქტს, რომ ანალიზის მსვლელობაში ყოველთვის დადგება მომენტი, როდესაც „მიღებულ არსზე უკვე არ შეიძლება ითქვას, რომ ის ატარებს მნიშვნელობას“. ასეთებია, მაგ., მარცვლები, ფონემები⁵⁴². მაშასადამე, „ენის განსაზღვრა როგორც ნიშანთა სისტემისა არადამაკმაყოფილებელია“. როგორც ჩანს, „ენა თავისი მიზნით, პირველ ყოვლისა, ნიშანთა სისტემაა“. რათა საესებით დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა „იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს ახალი ნიშნების, ახალი სიტყვების, ახალი ძირების შესაქმნელად“, მაგრამ, ამასთანავე, დარჩეს ხმარებაში მოხერხებული, პრაქტიკული. ნიშანთა ურიცხვი რაოდენობის პირობებში ეს მიიღწევა იმით, რომ „ყველა ნიშანი აიგება არანიშნებისაგან, რომელთა რიცხვი შეზღუდული და მკაცრადაც შეზღუდულია“⁵⁴³. ნიშნებში შემავალ ასეთ არანიშნებს ავტორი უწოდებს ფიგურებს⁵⁴⁴ ანუ ელემენტებს⁵⁴⁵. „ენა ორგანიზებულია ისე, რომ მცირერიცხოვანი ფიგურებითა და მათი ახალ-ახალი გადანაწილებით შეიძლება აიგოს ურიცხვი ნიშნები“. სწორედ ფიგურებისაგან ნიშნის შედგენაში ვლინდება, ავტორის აზრით, „ნებისმიერი ენის სტრუქტურის ძირითადი თავისებურება“⁵⁴⁶.

⁵⁴⁰ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 28.

⁵⁴¹ იქვე.

⁵⁴² იქვე, გვ. 29.

⁵⁴³ იქვე, გვ. 29; იხ. აგრეთვე L. Hjelmslev, Language, გვ. 39.

⁵⁴⁴ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 29.—„ფიგურა“ ეწოდება ნიშნის შემადგენელ ნებისმიერ „არანიშანს“. ფიგურები შეიძლება იყოს მარცვალთა კომბინაციები, მარცვლები (იხ. იქვე, გვ. 41, 42), ფონემები (იქვე, გვ. 34, 42, 43) და ფონემის ნაწილებიც კი (იქვე, გვ. 45). ასე რომ, გლოსემატიკაში მოსალოდნელი არ არის ფიგურების გაგებასთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობა. შდრ. A. Мартине, О книге «Основы лингвистической теории»..., გვ. 459.

⁵⁴⁵ L. Hjelmslev, Language, გვ. 106.

⁵⁴⁶ L. Hjelmslev, La s'ratification..., გვ. 185—186; მისივე: Prolegomena..., გვ. 29.

აღნიშნული ფაქტი აიძულებს ავტორს შემოიღოს ანალიზი შინაარსისა და გამოხატულებისა ცალ-ცალკე⁵⁴⁷.

ყველა სემიოტიკური სისტემისა და ამდენად ენისთვისაც ძირითადი სემიოტიკური ფუნქცია არის ნიშნური ფუნქცია (ანუ დენოტაცია), რომლის ფუნქციებია შინაარსი და გამოხატულება, სხვანაირად — პლერემატიკა (ბერძნ. სიტყვისაგან *πλήρης* „სავსე“) და კენემატიკა (ბერძნ. სიტყვისაგან *κένος* „ცარიელი“)⁵⁴⁸. სინტაგმატიკის თვალსაზრისით ნიშნური ფუნქცია განხილულია როგორც სოლიდარობა. გამოხატულება და შინაარსი აუცილებლად გულისხმობენ ერთმანეთს⁵⁴⁹: „გამოხატულება იმდენად არის გამოხატულება, რამდენადაც იგი შინაარსის გამოხატულებაა, ხოლო შინაარსი იმდენად არის შინაარსი, რამდენადაც იგი გამოხატულების შინაარსია“⁵⁵⁰. პარადიგმატიკის თვალსაზრისით გამოხატულებასა და შინაარსს შორის დამოკიდებულება განხილულია როგორც ავტონომია⁵⁵¹.

ყოველი ენა შედგენილია გამოხატულებისა და შინაარსისაგან, წარმოადგენს რა მათ მთლიანობას⁵⁵² (შესაბამისად „ნიშანიც“ გლოსემატიკაში განიხილება როგორც გამოხატულებისა და შინაარსის ერთიანობა)⁵⁵³. ამიტომ ყოველი ტექსტი ანალიზის პირველ საფეხურზე იყოფა „ორ და მხოლოდ ორ ნაწილად, ...სახელდობრ, გამოხატულების ხაზად და შინაარსის ხაზად, რომლებიც ნიშნური ფუნქციის საფუძველზე ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სოლიდარობით“. ასევე, „ენობრივი სისტემის პირველ დანაწევრებას მივყავართ მისი ორი პარადიგმის — გამოხატულების მხარისა და შინაარსის მხარის დადგენამდე“. საერთო სახელწოდებად გამოხატულების ხაზისა და გამოხატულების მხარისათვის, ერთი მხრივ, და შინაარსის ხაზისა და შინაარსის მხარისათვის, მეორე მხრივ,

⁵⁴⁷ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 28—29.

⁵⁴⁸ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 30; მისივე: Introduction à la discussion générale..., გვ. 102.

⁵⁴⁹ ამ დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, არ არღვევს ავტორის მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ შინაარსის ერთსა და იმავე სისტემას ზოგჯერ შეიძლება შეესაბამებოდეს გამოხატულების რამდენიმე სისტემა და პირიქით. L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 67.

⁵⁵⁰ იქვე, გვ. 30; L. Hjelmslev, La stratification..., გვ. 170.

⁵⁵¹ L. Hjelmslev, La stratification..., გვ. 170.

⁵⁵² L. Hjelmslev, Language, გვ. 99.

⁵⁵³ Л. Ельмслев, Можно ли считать..., гв. 128.

გლოსემატიკაში გამოყენებულია ტერმინები: გამოხატულების სიბრტყე (expression plane) და შინაარსის სიბრტყე (content plane)⁵⁵⁴.

ენის მექანიზმის ასეთი გაგების საფუძველზე, გლოსემატიკის მიხედვით, შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ „ლინგვისტიკის დაყოფა ფონეტიკად, მორფოლოგიად, სინტაქსად, ლექსიკოლოგიად და სემანტიკად, დაყოფა, რომელიც მრავალი თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელია და შეიცავს მთელ რიგ დამთხვევებს“⁵⁵⁵.

ნიშნური ფუნქციის საფუძველზე ხდება გამოხატულებისა და შინაარსის ხაზების შემდგომი დაყოფაც ცალ-ცალკე. ტრადიციული ანალიზისაგან განსხვავებით, რომელიც თვლიდა, რომ ტექსტის დიდი ნაწილების ლოგიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზი უკვე ჩატარებულია, გლოსემატიკური ანალიზი მიმდინარეობს „უდიდესი განფენილობის ინვარიანტებიდან უმცირესი განფენილობის ინვარიანტებისაკენ“⁵⁵⁶. ასე, შინაარსის ხაზი, *inter alia* შესაძლებელია და აუცილებელიც დაიყოს ლიტერატურულ უარებად, შემდეგ სხვადასხვა მეცნიერებებად. ანალიზის მომდევნო საფეხურებზე ტექსტის დიდი ნაწილები დაიყოფა ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებებად, ცალკეულ შრომებად, თავებად, პარაგრაფებად... და უკვე შემდეგ რთულ წინადადებებად, მარტივ წინადადებებად⁵⁵⁷.

ანალიზის ყოველ საფეხურზე საჭიროა შემოღებულ იქნეს გაიგივების მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ ტექსტის მრავალ ადგილას რეგისტრირებული „ერთი და იგივე“ არსი, ანუ სხვაგვარად, ერთი და იმავე არსის მრავალი ნიმუში.

ანალიზის მიმდინარეობის დროს ეს მიიღწევა სინთეზით. სახელდობრ, თუ პროცედურაში შემავალი ყოველი ოპერაციისათვის „ანალიზი არის ფუნქციებისა და მათი წვერების რეგისტრაცია“, ყოველი ოპერაციისათვის სინთეზი მდგომარეობს „იმ კომპონენტების კლასებად გაერთიანებაში, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ ერთი და იმავე ფუნქციის (ფუნქციების) წვერები“⁵⁵⁸. ამგვარად, თუ მთლიანად პროცედურაში დედუქცია წინ უსწრებს ინდუქციას (რადგან მხოლოდ დედუქციის შედეგად დადგენილი ელემენტები შეიძლება დაექვემდებარონ სინთეზს ინდუქციის გზით), თითოეულ ოპერაციაში ორივე პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს⁵⁵⁹.

⁵⁵⁴ L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 37.

⁵⁵⁵ იქვე, გვ. 37, 64; Л. Ельмслев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 118.

⁵⁵⁶ L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 62.

⁵⁵⁷ იქვე, გვ. 63; L. Hjelmslev, *Language*, გვ. 99.

⁵⁵⁸ L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 25.

⁵⁵⁹ L. Hjelmslev and H. J. Uldall, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 25—26, 35.

აღნიშნულ ნიმუშებს ეწოდება ვარიანტები (ვარიაციები და ვარიანტები), ხოლო არსებს, რომელთა ნიმუშებიც ისინი არიან — ინვარიანტები⁵⁶⁰. ინვარიანტებად ვარიანტების გასაერთიანებლად აუცილებელი კრიტერიუმის როლში გვევლინება განმასხვავებელი ფაქტორი. სახელდობრ, განსხვავება ინვარიანტული (ლინგვისტური) იქნება ერთ სიბრტყეზე, თუ მას შეესაბამება განსხვავება მეორე სიბრტყეზე და პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება ვარიანტებთან⁵⁶¹. აღნიშნული პრინციპი ძალაშია ენის ყველა ინვარიანტისათვის, განურჩევლად მათი მოცულობისა⁵⁶².

ზოგჯერ ორ ვარიანტს შორის დაპირისპირება იხსნება და ისინი ერთხვევიან ერთმანეთს. ასეთი დამთხვევით მიღებულ კატეგორიას ეწოდება სინკრეტიზმი. გამოდის, რომ როცა ორი არსი გარკვეულ პირობებში კომუტაციური შემოწმებით ინვარიანტულია, ხოლო სხვა პირობებში ერთხვევა ერთმანეთს, მაშინ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი გვევლინებიან ვარიანტებად, ხოლო მათი სინკრეტიზმი იქნება ინვარიანტი⁵⁶³.

გლოსემატიკის მიხედვით, განსხვავება გამოხატულებასა და შინაარსს შორის და მათი ურთიერთმოქმედება ნიშნური ფუნქციის სახით. „წარმოადგენს ყველა ენის სტრუქტურის საფუძველს“⁵⁶⁴. ენებს შორის მსგავსებაც პირველ ყოვლისა სწორედ „სტრუქტურულ პრინციპში“ ვლინდება. „განსხვავებას ქმნის ამ პრინციპის გამოყენება in concreto“⁵⁶⁵. სახელდობრ, თუ ერთმანეთს შევადარებთ სხვადასხვა ენას, შეიძლება გამოიყოს კიდევ ერთი საერთო ფაქტორი — მასალა (ფრ. *matière*, ინგლ. *purport*). მასალა თავისთავად არსებობს ამორფული სახით, იგი „შეიძლება შეცნობილ იქნეს მხოლოდ ფორმაციის მეოხებით და მის გარეშე მოკლებულია მეცნიერულ არსებობას“⁵⁶⁶. მაგრამ ფორმაცია არ არის უნივერსალური (უნივერსალურია მხოლოდ ფორმაციის პრინციპი)⁵⁶⁷. თითოეული

560 ტერმინები „ვარიაცია“ და „ვარიანტი“ გლოსემატიკაში შემოღებულია თავისუფალი და განპირობებული ვარიანტების აღსანიშნავად.

⁵⁶¹ L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 39.

⁵⁶² იქვე, გვ. 41—42.

⁵⁶³ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 56—60; მისევე: *Note sur les oppositions suprimables*, გვ. 53 და შემდ.

⁵⁶⁴ L. Hjelmslev, *Prolegomena...* გვ. 37.

⁵⁶⁵ იქვე, გვ. 48.

⁵⁶⁶ იქვე.

⁵⁶⁷ იქვე.

ენა „თავის საკუთარ საზღვრებს“ ავლებს მასალაში, მასალა ფორმდება ენათა მიხედვით⁵⁶⁸ ანუ „ერთი და იგივე მასალა სხვადასხვაგვარად სტრუქტურდება სხვადასხვა ენაში⁵⁶⁹. სწორედ ამ ფორმის ზეგავლენითაა, რომ ამორფული მასალა გადაიქცევა სუბსტანციად („სემიოტიკურად გაფორმებულ სუბსტანციად“)⁵⁷⁰. ასე, სხვადასხვა ენის წინადადებათა (მაგ., ინგლ. I do not know, ფრ. je ne sais pas, ესკიმ. naluvara და ა. შ. „მე არ ვიცი“) შედარებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ფორმდება შინაარსის პროცესში ამორფული მასალა შინაარსის ფორმის ზეგავლენით შინაარსის სუბსტანციად⁵⁷¹. შინაარსის ფორმის ზეგავლენით სხვადასხვაგვარად ფორმდება მასალა შინაარსის სისტემაშიც. მაგ., რიცხვის ზონა სხვაგვარად სეგმენტირდება იმ ენებში, სადაც გვაქვს მხოლოდბითი და მრავლობითი რიცხვები, ხოლო სხვაგვარად იმ ენებში, სადაც ამ ორ რიცხვს გარდა გარჩეულია კიდევ ორობითი, სამობითი და ოთხობითი რიცხვიც⁵⁷². ანალოგიური მდგომარეობაა გამოხატულების მასალის გაფორმებაშიც, რის შედეგადაც გამოხატულების მასალა გადაიქცევა გამოხატულების სუბსტანციად. მაგ., გამოხატულების პროცესში ერთი და იგივე მასალა — Berlin სხვადასხვაგვარად არის გაფორმებული ენათა მიხედვით: ინგლ. [ber 'li:n], გერმ. [ber 'li : n], იაპ. [berulinu] და ა. შ.⁵⁷³ ასევე სხვადასხვაგვარად სეგმენტირდება ფონეტიკური ზონა გამოხატულების სისტემის თვალსაზრისით. მაგ., კონტინუუმი, რომელსაც ქმნის ზემო სასა ფარინგსიდან ტუჩებამდე, ჩვეულებრივ იყოფა სამ ზონად — უკანა k-ზონად, შუა t-ზონად და წინა p-ზონად, მაგრამ ესკიმოსური და ლატვიური განასხვავებენ ორ k-ზონას, ბევრ ინდურ ენაში გარჩეულია ორი t-ზონა და ა. შ.⁵⁷⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგები ხდება, თუ რატომ ილაშქრებს ავტორი უნივერსალური გრამატიკის, უნივერსალური ფონეტიკის და მისთ. შექმნის წინააღმდეგ⁵⁷⁵. „წინასწარ განწირულია, წერს იგი, როგორც სპეკულაციურ ონ-

⁵⁶⁸ L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 32, 48.

⁵⁶⁹ იქვე, გვ. 38.

⁵⁷⁰ L. Hjelmslev. La stratification.... გვ. 173, 174.

⁵⁷¹ L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 31—32.

⁵⁷² იქვე, გვ. 33.

⁵⁷³ იქვე, გვ. 35.

⁵⁷⁴ იქვე, გვ. 34.

⁵⁷⁵ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქმის ავტორი ხელს იღებდეს უნივერსალური თვისებების შესწავლაზე საერთოდ.

ტოლოგიურ სისტემებზე გრამატიკის აგების, ისე ერთი ენის გრამატიკის მიხედვით მეორე ენის გრამატიკის აგების ცდები. ...ძველი ოცნება უნივერსალურ ფონეტიკურ სისტემასა და უნივერსალურ ცნებათა სისტემაზე არ შეიძლება რელიზებულ იქნეს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი სისტემები მოწყვეტილი აღმოჩნდებიან ენობრივი რეალობისაგან⁵⁷⁶.

„ფორმა“ და „სუბსტანცია“ ფართო ცნებებია. სემიოტიკური ფორმა და სუბსტანცია მხოლოდ კერძო შემთხვევაა იმ ზოგადი განსხვავებისა. როცა საქმე ეხება საკუთრივ ენას, მაშინ შესაბამისად ავტორს შემოაქვს სახელწოდებები: ენობრივი სქემა და ენობრივი უზუსი⁵⁷⁷.

ენობრივი სქემა ანუ ენობრივი ფორმა წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ ენის ელემენტებს შორის არსებულ შინაგან (სინტაგმატიკურ და პარადიგმატიკულ) მიმართებათა საფუძველზე⁵⁷⁸. ენებს შორის მსგავსებაც მათ შინაგან სტრუქტურაშია და ემყარება ფორმას⁵⁷⁹. ყოველი ენის საფუძველს ქმნის მისი სტრუქტურა. „მხოლოდ ენობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს ენის იგივეობასა და მუდმივობას. სანამ გვექნება ერთი და იგივე ენობრივი სტრუქტურა, — წერს იელმსლევ, — შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ გვაქვს ერთი და იგივე ენა. ამ კრიტერიუმის გარეშე მხოლოდ ისღა დაგვრჩებოდა სათქმელად, რომ ენა განუწყვეტლივ იცვლება და რომ ყოველ დილით ვაწყდებით ახალ ენას, იმისგან განსხვავებულს, რაც გვქონდა წინა დღეს: ყოველ დილით გაზეთში ჩვენ შეგვხვდება ესა თუ ის ნიშანი, რომელიც ახალია ენისათვის ან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მაინც. უფრო მეტიც, ამ კრიტერიუმის გარეშე ჩვენ საერთოდ ვერ ვიტყვი, რომ ვფლობთ ენას: არავინ არ იცის ყველა ნიშანი, რომელიც კი გამოყენებულია ენაში...“⁵⁸⁰ მხოლოდ სტრუქტურა

⁵⁷⁶ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 48—49. იხ. აგრეთვე Л. Ельмслев, Можно ли считать..., გვ. 120.

⁵⁷⁷ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 51, 52, 68; მისივე: La stratification..., გვ. 172—173.

⁵⁷⁸ დაწერ. იხ. L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 49; მისივე; La stratification..., გვ. 164; Langue et parole, გვ. 31; Л. Ельмслев, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

⁵⁷⁹ L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 49; მისივე: Language, გვ. 35—36.

⁵⁸⁰ L. Hjelmslev, Language, გვ. 37—38.—ამგვარად, ენობრივი სისტემის, მისი სტრუქტურის მუდმივობა, რომელზედაც ლაპარაკობს იელმსლევი (და სხვა

გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ ერთსა და იმავე ენაზე, მისი სხვადასხვაგვარი რეპრეზენტაციის მიუხედავად) „თითქმის ბანალური ჰუმბარტება იქნება იმის თქმა — წერს იელმსლევი — რომ დანიური ენა წარმოდგენილი ზეპირად ან წერილობით, ტელეგრაფიკებული მორზეს ანბანით ან გადაცემული საერთაშორისო საზღვაო სიგნალიზაციის საშუალებით, ყველა შემთხვევაში იქნება ერთი და იგივე დანიური და არა ოთხი განსხვავებული ენა. ერთეულები, რომლებიც შედიან მასში, ოთხივე შემთხვევაში იცვლება, მაგრამ მათ შორის არსებულ მიმართებათა ჩონჩხი უცვლელი რჩება და სწორედ ეს გარემოება გვაძლევს შესაძლებლობას შევიცნოთ ენა“⁵⁸¹. ამ აზრით „ენობრივი სტრუქტურის ელემენტები მოგვაგონებს a, b, c, x, y, z სახის ალგებრულ სიდიდეებს“, რომელთაც შეიძლება შეენაცვლოს სხვადასხვა სახის სუბსტანციური არსი⁵⁸². ენობრივი სტრუქტურის, ენობრივი სქემის ელემენტი განისაზღვრება „როგორც წმინდა ოპოზიციური, რელაციური და ნეგატიური არსი. განსაზღვრა არ მიაწერს მას არავითარ პოზიტიურ თვისებას. იგი მიუთითებს, რომ ელემენტი შეიძლება რეალიზებულ იქნეს, მაგრამ არაფერს ამბობს მის რეალიზაციაზე“⁵⁸³. როგორც კი ლაპარაკს დავიწყებთ რეალიზაციაზე, გადავდივართ სუბსტანციის სფეროში⁵⁸⁴.

ენობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს ელემენტთა რიცხვს და მათი შეერთების წესებს⁵⁸⁵. ყველაფერი ის კი, რაც სტრუქტურასთან მიმართებით შეიძლება შეიცვალოს, მიჩნეულია უზუსის კუთვნილებად. შესაბამისად, „ფუნქციაში, რომელიც არსებობს ენობრივ სტრუქტურასა და ენობრივ უზუსს შორის, სტრუქტურა არის მუდმივი, უზუსი კი — ცვლადი“⁵⁸⁶.

გლოსმატიკოსები, არ ნიშნავს საერთოდ სისტემის, სტრუქტურის ცვალებადობის უარყოფას (შდრ. В. А. Звегинцев, დასახ. ნაშრ., გვ. 227—228. იხ. აგრეთვე: L. L. Hammerich, დასახ. ნაშრ.). ავტორს მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ უშუალოდ კომუნეიკაციის პროცესში სისტემა მდგრადია და საფუძვლად უდევს მანიფესტაციას, რომელიც შეიძლება სხვადასხვა სუბსტანციით იყოს წარმოდგენილი (დაწერ. იხ. ქვემოთ).

⁵⁸¹ Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике, გვ. 103—104.

⁵⁸² L. Hjelmslev, Introduction à la discussion..., იხ. აგრეთვე მისივე: Prolegomena..., გვ. 68.

⁵⁸³ L. Hjelmslev, Langue and parole, გვ. 31.

⁵⁸⁴ Л. Ельмслев, Можно ли считать..., გვ. 132.

⁵⁸⁵ L. Hjelmslev, Language, გვ. 37, 40.

⁵⁸⁶ იქვე, გვ. 40.

უზუსის სფეროს განეკუთვნება, მაგ., სტრუქტურულიდან გამომდინარე შესაძლებლობათა გამოყენება ენაში. სახელდობრ, სტრუქტურიდან გამომდინარე ყველა შესაძლებლობა მთელი სისრულით არასოდეს არ არის რეალიზებული. ამასთანავე, არასოდეს არ მოხერხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი შესაძლებლობა იქნება გამოყენებული და რომელი — არა: ამა თუ იმ შესაძლებლობის გამოყენება წმინდა შემთხვევითობაა⁵⁸⁷. ასე რომ, ყოველ ენაში ფაქტობრივად გამოყენებულ ნიშნებს გარდა რჩება გამოუყენებელი შესაძლებლობების ამოუწურავი რეზერვი⁵⁸⁸, საიდანაც საჭიროებისამებრ მუდამ შეიძლება ახალი ნიშნების შექმნა⁵⁸⁹. ფაქტობრივად გამოყენებულ შესაძლებლობებს ადგენს სწორედ ენობრივი უზუსი. ამიტომაც ენის შესასწავლად „საკმარისი არ არის მხოლოდ ენობრივი სტრუქტურის ცოდნა, საჭიროა ენობრივი უზუსის ცოდნა“⁵⁹⁰.

უზუსში შედის აგრეთვე ელემენტთა რებრეზენტაცია, რომელიც არ არის ფიქსირებული ენობრივი სტრუქტურის მიერ. „ლინგვისტური სტრუქტურის ელემენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნენ ყოველნაირი საშუალებით“ (გრაფიკული სიმბოლოებით, ბგერებით, სხვადასხვა სახის სასიგნალო სისტემებით და ა. შ.)⁵⁹¹. ენა შექმნილია ისე, როგორც, მაგ., ჰადრაკის თამაში, სადაც ფიგურების რაოდენობა და თამაშის წესები განსაზღვრულია თამაშის სტრუქტურით, ხოლო ახალი კომბინაციების შექმნა და ფიგურების მასალა განეკუთვნება უზუსს⁵⁹².

წმინდა ფორმისაგან განსხვავებით უზუსი წარმოდგენს ენობრივ ჩვევათა ერთიანობას⁵⁹³. შესაბამისად, უზუსის ელემენტის „განსაზღვრება არ არის არც ოპოზიციური, არც რელაციური და არც ნეგატიური, იგი მხოლოდ ჩამოთვლის ყველა პოზიტიურ ნიშანს, რომელიც დამახასიათებელია მოცემული უზუსისათვის“⁵⁹⁴.

თუ უზუსი გულისხმობს სტრუქტურას და დამოკიდებულია მასზე, ენობრივ უზუსზეა დამოკიდებული ენობრივი ნორმა⁵⁹⁵.

⁵⁸⁷ L. Hjelmslev. Language. გვ. 36.

⁵⁸⁸ იქვე, გვ. 36, 40.

⁵⁸⁹ იქვე, გვ. 36, 39.

⁵⁹⁰ იქვე, გვ. 37.

⁵⁹¹ იქვე, გვ. 40—41.

⁵⁹² იქვე, გვ. 42—43.

⁵⁹³ L. Hjelmslev. Langue and parole. გვ. 37.

⁵⁹⁴ იქვე, გვ. 35.

⁵⁹⁵ უზუსი, თავის მხრივ, აგრეთვე დაკავშირებულია სამეტყველო აქტთან,


ნორმა წარმოადგენს მატერიალურ ფორმას, მიღებულს უზუსისაგან, მაგრამ დამოუკიდებელს „დეტალური მანიფესტაციისაგან“⁵⁹⁶. ნორმის ელემენტი განისაზღვრება როგორც „ოპოზიციური და რელაციური არსი“, მაგრამ მას აქვს პოზიტიური თვისებები, რომლითაც ის განსხვავდება ენის სხვა ელემენტებისაგან⁵⁹⁷.

ფორმასა და სუბსტანციას შორის არსებობს ფუნქცია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სინტაგმატიკის, ისე პარადიგმატიკის თვალსაზრისით.

სინტაგმატიკის თვალსაზრისით ფორმასა და სუბსტანციას შორის ურთიერთობა წარმოადგენს მანიფესტაციას. მანიფესტაცია არის სელექცია, რომლის მუდმივი (მანიფესტირებული) არის ფორმა, ხოლო ცვლადი (მანიფესტანტი) — სუბსტანცია⁵⁹⁸.

ფორმასა და სუბსტანციას შორის დეტერმინაციის გამო სინტაგმატიკის თვალსაზრისით სემიოტიკური ფუნქცია შეიძლება განვიხილოთ როგორც რელაცია შინაარსის ფორმასა და გამოხატულების ფორმას შორის⁵⁹⁹. შესაბამისად „ნიშანიც“ შეიძლება გამოიყენოთ იმ ერთეულის აღსანიშნავად, რომელიც შედგება შინაარსის ფორმისა და გამოხატულების ფორმისაგან⁶⁰⁰.

რომელიც სრულდება გარკვეული უზუსის მიხედვით. მათ შორის ფუნქცია არის ინტერდუპენდენცია (ურთიერთდამოკიდებულება). დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, *Langue et parole*, გვ. 37—40. — ამგვარად, გლოსემატიკაში სოსიურისეული მიმართების „ენა“ — „მეტყველება“ შესაბამისად გვაქვს შემდეგი მიმართება:



რომელშიც წმინდა სქემას რელაზაციის (resp. სუბსტანციის) სფეროში უპირისპირდება სამი კომპონენტი: უზუსი, ნორმა და სამეტყველო აქტი. ამათგან ძირითადია უზუსი: ნორმა ყოველთვის გამოიყენება უზუსიდან და ამ უკანასკნელის მიმართ მეორეული გამოდის; სამეტყველო აქტიც ყოველთვის სრულდება რაიმე უზუსის საფუძველზე და შეიძლება უშუალოდ არც იყოს დაკავშირებული ნორმასთან. ასე რომ, მოცემული მიმართებაც ფაქტობრივად ორწევრიანია: სქემა — უზუსი და არა ოთხწევრიანი (შდრ. В. П. Мухом, დასახ. ნაშრ., გვ. 154. საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე თ. შარაძენიძე, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა, გვ. 89—92). ამიტომაც არის, რომ სხვა შემთხვევებში ავტორი მხოლოდ ორწევრიან დაყოფაზე ლაპარაკობს. იხ., მაგ. L. Hjelmslev, *Prolegomena...*

⁵⁹⁶ L. Hjelmslev, *Langue et parole*, გვ. 32.

⁵⁹⁷ იქვე, გვ. 35.

⁵⁹⁸ L. Hjelmslev, *La stratification...*, გვ. 170, 186.

⁵⁹⁹ იქვე, გვ. 170—171.

⁶⁰⁰ L. Hjelmslev, *Prolegomena...*, გვ. 36.

ფორმასა და სუბსტანციას შორის დამოკიდებულება ყოველთვის ნებისმიერია⁶⁰¹. სწორედ ამ ნებისმიერობით აიხსნება ზემოაღნიშნული ფაქტი, რომ ფორმის ერთი და იგივე არსი შეიძლება მანიფესტირებელ იქნეს სხვადასხვაგვარი სუბსტანციით⁶⁰², ანუ, რაც იგივეა, „ერთი და იგივე ლინგვისტური სტრუქტურა შეიძლება შეესაბამებოდეს სრულიად განსხვავებულ ლინგვისტურ უზუსტებს⁶⁰³. ცხადია, რომ ერთი ფორმის შესაბამის სხვადასხვა სუბსტანციებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, თუკი მონაცვლე სისტემათა შორის იქნება შესატყვისობა, ე. ი. მათ ელემენტებს შორის მიმართება, ამ სისტემათა ფორმა, იქნება ერთნაირი (როგორც ეს გვაქვს, მაგ., გრაფიკული და ფონიკური ფაქტების ტრანსპოზიციის დროს ორთოგრაფიისა და ორთოეპიის შემთხვევაში)⁶⁰⁴. როდესაც ეს პირობა დაცული არ არის, მაშინ საქმე გვექნება განსხვავებულ სუბსტანციათა შესაბამის განსხვავებულ ფორმებთან⁶⁰⁵.

ფორმისა და სუბსტანციის დამოკიდებულების თვალსაზრისით სულ სხვა სურათი გვაქვს პარადიგმატიკაში. აქ, აინტაგმატიკისაგან განსხვავებით, საჭიროდ არის მიჩნეული სუბსტანციის შემოტანა

⁶⁰¹ Л. Ельмслев, Можно ли считать... გვ. 130—131.

⁶⁰² მართალია, ფორმასა და სუბსტანციას შორის მიმართება მიჩნეულია ნებისმიერ მიმართებად, მაგრამ, მეორე მხრივ, ავტორი ვარაუდობს, რომ ნებისმიერობასაც აქვს თავისი საზღვრები. ეს გასაგებია, რამდენადაც არსებობს სიახლოვე გარკვეულ ფორმებსა და სუბსტანციის გარკვეულ სექტორებს შორის. იხ. L. Hjelmslev, Animé et inanimé..., გვ. 214.

⁶⁰³ L. Hjelmslev, Language. გვ. 40; Prolegomena..., გვ. 67.

⁶⁰⁴ დაწერ. იხ. L. Hjelmslev, Introduction à la discussion générale... გვ. 104—107. —უბუღებამ, რომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება მანიფესტირებულ იქნეს სხვადასხვა სუბსტანციით, დიდი კამათი გამოიწვია ენათმეცნიერებაში (საკითხის შესახებ იხ. В. А. Звегинцев, დასახ. ნაშრ., გვ. 230—231; В. П. Мурат, დასახ. ნაშრ., გვ. 172 და შემდგ.). კერძოდ, აღინიშნა, რომ გრაფიკული და ფონიკური სისტემები არ შეიძლება იყვნენ ერთი და იმავე ფორმის მანიფესტაციები, რადგან ისინი ერთმანეთის (ორივე კი შინაარსის) მიმართ ასიმეტრიული სისტემებია. როგორც ზემოთ დამოწმებული ადგილებიდან ჩანს, იელმსლევი ამ შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ ორთოეპიული და მისი შესაბამისი ორთოგრაფიული სისტემების და არა ნებისმიერი ფონოლოგიური და გრაფიკული სისტემების ფორმალურ იგივეობას.

⁶⁰⁵ L. Hjelmslev, Introduction à la discussion générale... გვ. 106; იხ. აგრეთვე: Prolegomena... გვ. 67; La stratification... გვ. 174—175.

ენის ორივე სიბრტყისათვის⁶⁰⁶. შესაბამისად, ფორმისა და სუბსტანციის დამოკიდებულება უკვე წარმოგვიდგება როგორც ურთიერთდამოკიდებულება (კერძოდ, შევსებადობა)⁶⁰⁷. (სხვათა შორის, გლოსემატიკისათვის ეს საკითხი დგება ჰპეციალურ შემთხვევებში, ისეთი ემპირიული ობიექტის ვერიფიკაციისათვის, როგორც არის ენა)⁶⁰⁸. ამგვარად, პარადიგმატიკაში სიბრტყე დაიყვანება არა წმინდა ფორმამდე, არამედ განისაზღვრება როგორც შინაარსის სიბრტყე ან გამოხატულების სიბრტყე შესაბამისი სუბსტანციებითურთ⁶⁰⁹.

სუბსტანციის ის დონე („უშუალო სემიოტიკური სუბსტანცია“), რომელთანაც პარადიგმატიკის თვალსაზრისით ურთიერთდამოკიდებულებაშია (და რომლის მიერ სინტაგმატიკის თვალსაზრისით სელექტირებულია) ფორმა, არის კოლექტიური შეფასების დონე⁶¹⁰ (დაწვრ. იხ. ქვემოთ). იელმსლევმა სპეციალურად გახაზავს იმ გარემობასაც, რომ კოლექტიური შეფასების დონე გულისხმობს გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტების მონაწილეობასაც. „ლინგვისტიკა, რომელიც დიდი ხანია თავს იცავდა „ფსიქოლოგიზმის“ ყოველგვარი გამოვლენისაგან... უნდა დაუბრუნდეს ფ. დე სოსიურის აქუსტიკურ სახესა და კონცეპტს“. მაგრამ ავტორისათვის მანინ „ეს არის უფრო ნომენკლატურის ნაწილობრივი დამთხვევა, ვიდრე რეალური ანალოგია“. საქმე ის არის, რომ სოსიურის ტერმინები და ინტერპრეტაციები იწვევენ გაუგებრობებს, შეცდომები კი არ უნდა გამოვლინდეს. ამასთანავე, ავტორს უჭირს დანამდვილებით იმის თქმა, შეიძლება თუ არა მის მიერ დასახული კვლევა „განხილულ იქნეს როგორც ფსიქოლოგიური რიგისა“, რადგან ჭერჭერობით თვით ფსიქოლოგიას არ მოეპოვება სასესებით დამაკმაყოფილებელ“ დეფინიციები. ყოველ შემთხვევაში, ეს კვლევა არ უნდა აირიოს არც ლინგვისტურ ფსიქოლოგიაში, რომელიც სწავლობს ენობრივ შეგროვებას, არც მეტყველების ესთეტიკისა და არც ლინგვისტური კორექციის შესწავლაში⁶¹¹.

ამგვარად, ენობრივი ფორმა წარმოგვიდგება როგორც შინაარსის ფორმა და გამოხატულების ფორმა, შესაბამისად მასალაც განიხილება როგორც შინაარსის სუბსტანცია და გამოხატულების

⁶⁰⁶ ენის პარადიგმატიკის სფეროში წმინდა ფორმასთან ერთად სუბსტანციის შემოტანის საჭიროებაზე იელმსლევმა უკვე ლაპარაკობს 1954 წლიდან (დაწვრ. იხ. მისი: *La stratification...*) და იმეორებს შემდეგდროინდელ ნაშრომებში (*Animé et inanimé...; Можно ли считать...*). აპიტომ სრულიად გაუმართლებელი გვეჩვენება იმ სპეციალისტების დამოკიდებულება გლოსემატიკისადმი, რომლებიც ჩუმად უვლიან გვერდს ამ ფაქტს და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას კმაყოფილდებიან იელმსლევის აღრინდელ ნაშრომებზე მითითებით.

⁶⁰⁷ L. Hjelmslev, *La stratification...*, გვ. 170, 171.

⁶⁰⁸ იქვე, გვ. 171.

⁶⁰⁹ იქვე, გვ. 171—172.

⁶¹⁰ იქვე, გვ. 178.

⁶¹¹ დაწვრ. იქვე, გვ. 179. იხ. აგრეთვე მისივე: *Language*, გვ. 44.

სუბსტანცია⁶¹². საერთო სახელწოდებად დასახელებული ოთხი კომპონენტისათვის გამოყენებულია ტერმინი შრე (ფრ. *stratum*)⁶¹³. ავტორი ადგენს გარკვეულ მიმართებებს როგორც შრეებს შორის, ისე თითოეული შრის შიგნითაც.

შრეებს შორის რელაცია — შრეთაშორისი (ფრ. *interstratique*) რელაცია — გულისხმობს ერთი შრის ერთეულთა პროექციას მეორე შრის ერთეულებზე. ასეთი პროექციით მიღებულ ერთეულებს ეწოდებათ გარეგანი (ფრ. *extrinsèque*) ერთეულები. შინაარსის ფორმასა და გამოხატულების ფორმას შორის რელაციით დადგენილი გარეგანი ერთეულებია (გლოსემატებია) ნიშნის ორი მხარე (შინაარსის ფორმისათვის — პლერემატები, გამოხატულების ფორმისათვის — კენემატები), ერთმანეთთან დაკავშირებული სემიოტიკური ფუნქციით⁶¹⁴. გარეგანი მიმართებები გვაქვს აგრეთვე ფორმასა და სუბსტანციას შორის ენის ორსავე სიბრტყეზე. შესაბამისი გარეგანი ერთეულები იქნება მანიფესტაციის წევრები: ფორმის ერთეულები — მანიფესტირებულები და სუბსტანციის ერთეულები — მანიფესტანტები⁶¹⁵.

დამოუკიდებელი ანალიზით ყოველი შრის შიგნით გამოიყოფა ე. წ. შინაგანი ერთეულები (*unités intrinsèques*), რომელთაც ფიგურები ეწოდებათ⁶¹⁶. გლოსემატები (პლერემატები და კენემატები) შედგენილია ერთი ან რამდენიმე ფიგურისაგან. მაგრამ ავტორისათვის ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ „ფიგურები გამოიყოფა ნიშნის ანალიზით: ისინი გამოიყოფა მხოლოდ შინაგანი ერთეულების ანალიზით“⁶¹⁷. ფიგურებისაგანაა შედგენილი მანიფესტაციის წევრებიც⁶¹⁸.

შინაგანი ერთეულების გამოყოფა იწყება ანალიზის გარკვეული საფეხურიდან. სახელდობრ, ტექსტის დიდი ნაწილები (ლიტე-

⁶¹² L. Hjelmslev, *Prolegomena...*, გვ. 35—36; მისივე: *La stratification...*, გვ. 163, 169.

⁶¹³ დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, *La stratification*, გვ. 165 და შემდ.

⁶¹⁴ იქვე, გვ. 183, 184.

⁶¹⁵ იქვე, გვ. 186.

⁶¹⁶ იქვე, გვ. 185—186.

⁶¹⁷ იქვე, გვ. 185. — ზოგი ავტორი თვლის, რომ თითქოს იელმსლევთან ფიგურების დადგენის პრინციპი არ იყოს ნათელი. იხ., მაგ., В. А. Звегинцев, *Глоссематика и лингвистика*, გვ. 228—229. ასეთი მტკიცების საფუძველს გლოსემატიკა არ იძლევა.

⁶¹⁸ L. Hjelmslev, *La stratification...*, გვ. 186.

რატურული ქანები, ცალკეულ ავტორთა ნაწარმოებები, თავები, პარაგრაფები და ა. შ.) ერთიანია ყველა შრისათვის⁶¹⁹ და მათთვის საკმარისია ერთი დედუქცია⁶²⁰. მაგრამ აღრე თუ გვიან ანალიზის მსვლელობაში მიღწეული იქნება ეტაპი, როდესაც გამოხატულები-სა და შინაარსის, ან ფორმისა და სუბსტანციის ერთეულები უკვე აღარ დაემთხვევიან ერთმანეთს⁶²¹. ამ მომენტიდან საჭიროა შრეების სტრუქტურული ანალიზი გაგრძელდეს ცალ-ცალკე, ე. ი. საჭირო ხდება მათთვის დამოუკიდებელი დედუქციებისა და ინდუქციების შემოტანა⁶²². როგორც ჩანს, შინაარსისა და გამოხატულების სიბრტყეებისათვის ეს ეტაპი იწყება ანალიზის იმ საფეხურიდან, რომელზედაც ხდება წინადადებების დაყოფა. მაგალითად, ინგლისურში ერთეული „I saw him when he came in“ (მე ის დავინახე, როცა შემოვიდა) შედგება შინაარსის ორი ნექსუსისაგან⁶²³, მაგრამ გამოხატულების ერთი ნექსუსისაგან (ე. ი. გვაქვს ერთი დამავალი ინტონაცია)⁶²⁴. ამის მიხედვით, ლინგვისტიკის სფერო, რომელიც ქმნის მის სპეციფიკურ ობიექტს, შეიძლება შემოისაზღვროს ერთეულებით, „რომელთაგან ყველაზე დიდი არის ფრაზა (უფრო ზუსტად — ლექსისი)⁶²⁵, ყველაზე მცირე კი — გლოსემა“⁶²⁶.

ზღწერის დროს მოსალოდნელია იდენტური, მაგრამ არა ურთიერთცალსახად შესატყვისი კატეგორიების არსებობა. სემიოტიკის მოცემული დეფინიციის თანახმად⁶²⁷, შინაარსი და გამოხატულება არც შეიძლება იყოს კონფორმალური⁶²⁸. ავტორის აზრით, თუ ჩვენ დავაკვირდებით ჩვეულებრივ ენებს, მაშინ დავინახავთ მათი სტრუქტურების სპეციფიკას, რომელიც სწორედ იმაში მდგომარე-

⁶¹⁹ L. Hjelmslev, La stratification.... გვ. 180.

⁶²⁰ L. Hjelmslev and H. J. Uldall, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

⁶²¹ იქვე.

⁶²² იქვე, გვ. 27—28. იხ. აგრეთვე L. Hjelmslev, La stratification..., გვ. 168—169.

⁶²³ „ნექსუსი“ გლოსემატიკაში განსაზღვრულია მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით.

⁶²⁴ L. Hjelmslev and H. J. Uldall, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

⁶²⁵ ტერმინი „ლექსისი“ ჩვენ შემოგვაქვს la lexie-ს გადმოსაცემად, რომელიც აღნიშნავს ფორმის იმ ერთეულს, რომელსაც სუბსტანციის დონეზე შეესატყვისება ფრაზა. — L. Hjelmslev, La stratification..., გვ. 180, 181.

⁶²⁶ იქვე, გვ. 180.

⁶²⁷ იხ. L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 68.

⁶²⁸ იქვე, გვ. 29, 34, 37, 64, 72.

პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ერთეულთა განუსაზღვრელი ინვენტარი დაყვანილ იქნას განსაზღვრულ ინვენტარამდე ანუ, რაც იგივეა, განუსაზღვრელ ინვენტარში შემავალი არსები დაიყოს განსაზღვრულ ინვენტარში შემავალ არსებად⁶³⁴. მაგ., განუსაზღვრელი მოცულობის ტექსტში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს განუსაზღვრელი რიცხვი წინადადებებისა, სიტყვებისა და ა. შ. მაგრამ დედუქციის მსვლელობაში დადგება მომენტი, როცა ინვენტარის მოცულობა მცირდება. ასე, ენებში მარცვალთა რაოდენობა შედარებით დიდი, მაგრამ მაინც შეზღუდულია. შემდგომი დაყოფით კი ჩვენ მივალწვეთ ჩვეულებრივ ფონემებად წოდებულ ერთეულებს, რომელთა რაოდენობა ყველა ენაში იმდენად მცირეა, რომ შეიძლება გამოხატულ იქნეს უკვე ორნიშნა რიცხვით⁶³⁵. ასეთი დაყოფით ანუ დეფინიციით⁶³⁶ ტექსტუალური ანალიზის პოლოსაფეხურზე ორივე სიბრტყისათვის დგება მინიმალური ფიგურების⁶³⁷, ანუ როგორც მათ სხვაგვარად უწოდებს ავტორი, ელემენტების ინვენტარი. ენობრივი ფორმის თვალსაზრისით ეს ერთეულები განისაზღვრება როგორც ტაქსემები⁶³⁸ (ბერძნ. სიტყვისაგან τὰξις, „პროცესი“, „მიმდინარეობა“)⁶³⁹.

ტაქსემების დადგენით ამოიწურება სინტაგმატიკური ანალიზი სელექციის საფუძველზე. გარკვეულ პირობებში შესაძლებელი ხდება ტაქსემების შემდგომი დანაწილებაც დაუშლელ ინვარიანტებად, რომელთაც გლოსემები (გამოხატულებისათვის — კენემატემები, შინაარსისათვის — პლერემატემები) ეწოდებათ⁶⁴⁰. სახელდობრ, თუკი ტაქსემური ინვენტარი იძლევა იმის საშუალებას, რომ ტაქსემები სპეციალური წესების მიხედვით⁶⁴¹ განლაგდნენ ორ-, სამ- ან მეტგანზომილებიან სისტემაში, მაშინ შესაძლებელი

⁶³⁴ L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 45.

⁶³⁵ იქვე, გვ. 26.

⁶³⁶ დეფინიციისათვის დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 45; L. Hjelmslev. Language. გვ. 103.

⁶³⁷ L. Hjelmslev. La stratification.... გვ. 185.

⁶³⁸ L. Hjelmslev. La stratification.... გვ. 181; მისივე: Prolegomena.... გვ. 63.

⁶³⁹ L. Hjelmslev. Introduction à la discussion générale.... გვ. 102.

⁶⁴⁰ L. Hjelmslev. Über die Beziehungen.... გვ. 172; იხ. აგრეთვე La stratification.... გვ. 166.

⁶⁴¹ ავტორის მიხედვით, ეს სპეციალური წესები ემყარება იმ ფაქტს, რომ ერთი და იმავე კატეგორიის ენობრივი ელემენტები განსხვავდებიან თვისებრივად. იხ. L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 64.

გახდება, სიმარტივის პრინციპის შესაბამისად, მათი შემდგომი დაყოფაც გლოსემებად. „წარმოვიდგინოთ, მაგ., რომ რეგისტრირებულია 9 ტაქსემის შემცველი კატეგორია. კვალიტატიური დაყოფის სპეციალური წესების მიხედვით ეს ტაქსემები შეიძლება განლაგებულ იქნან ორგანოზომილებიან სისტემაში, სამ-სამი წვერით თითოეული განზომილებისათვის, ასე რომ, 9 შეიძლება აღიწეროს როგორც 3×3 . მაშასადამე, განზომილების წევრები იქნებიან ტაქსემის ნაწილებიც, რადგან 9 ტაქსემიდან თითოეული ახლა წარმოგვიდგება როგორც ერთეული, რომელიც შეიცავს თითო-თითო წევრს ორივე განზომილებიდან. შესაბამისად, 9 ტაქსემა შეიძლება აღიწეროს როგორც მიღებული $3 + 3 = 6$ ინვარიანტისაგან, კერძოდ, განზომილებათა წევრებისაგან“⁶⁴². სწორედ ამ ინვარიანტებს ეწოდებათ გლოსემები და მათი კატეგორიები, ტაქსემური კატეგორიებისაგან განსხვავებით, ურთიერთსოლიდარულია⁶⁴³.

ტაქსემებიცა (და მათი შემადგენელი გლოსემებიც) წარმოადგენენ ფორმის ელემენტებს და განისაზღვრებიან როგორც წმინდა ღირებულებები. მათ განსაზღვრაში არ შედის მითითება ისეთ თავისებურებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სახის სუბსტანციასთან. განსაზღვრა ემყარება მხოლოდ ამ ელემენტთა ფუნქციონალურ თვისებებს. ამის ილუსტრირება შეიძლება იმის მაგალითით, თუ როგორაა განხილული ტაქსემები ბუნებრივი ენის სფეროში.

ენის ორსავე სიბრტყეზე ტაქსემები ჯგუფდებიან, ერთი მხრივ, როგორც ძირითადი (ინგლ. basic) ანუ შემადგენელი (ინგლ. constituent) ელემენტები (რომლებიც ქმნიან ჯაჭვებს) და, მეორე მხრივ, როგორც მახასიათებელი (ინგლ. characterising) ანუ მაჩვენებელი (ინგლ. exponent) ელემენტები (რომლებიც, გარკვეული აზრით, აერთიანებენ ჯაჭვებს)⁶⁴⁴. ამ დაყოფის შესაბამისად გამოხატულების სიბრტყეზე გვექნება: გამოხატულების შემადგენლები ანუ კენემები⁶⁴⁵ და გამოხატულების მახასიათებლები ანუ

⁶⁴² L. Hjelmslev. Prolegomena.... გვ. 64.

⁶⁴³ იქვე; მისივე: La s'ratification.... გვ. 181.

⁶⁴⁴ დაწერ. იხ. L. Hjelmslev, On the principles of phonematics, გვ. 51; მისივე: The syllable as a structural unit, გვ. 269; Language, გვ. 107, 109.

⁶⁴⁵ ამ მნიშვნელობით იელმსლევის აღრინდელ ფონოლოგიურ ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი „ფონემა“. იხ. L. Hjelmslev, On the principles of phonematics.

პროსოდემები; შინაარსის სიბრტყეზე — შინაარსის შემადგენლები ანუ პლერემები და შინაარსის მახასიათებლები ანუ ფლექსიური ელემენტები⁶⁴⁶.

ელემენტთა ეს ორი კატეგორია ანუ სახე — ძირითადი და მახასიათებელი ელემენტები — თავის მხრივ იყოფა ტიპებად⁶⁴⁷. ძირითადი ელემენტები (კენემები და პლერემები) იყოფა ცენტრალურ ელემენტებად, ე. ი. ელემენტებად, „რომლებიც აუცილებელი არიან მინიმალურ ერთეულებში“⁶⁴⁸ და პერიფერიულ ანუ განაპირებულ (მარგინალურ) ელემენტებად, რომლებიც არ არიან აუცილებელი მინიმალურ ერთეულში⁶⁴⁹.

მახასიათებელი ელემენტები იყოფა, ერთი მხრივ, ექსტენსიურ ელემენტებად, „რომლებიც ახასიათებენ მთელ წარმონათქვამს“, ხოლო, მეორე მხრივ, ინტენსიურ ელემენტებად, „რომლებიც მოკლებული არიან ამ თვისებას“, ე. ი. ახასიათებენ ჯაჭვებს, რომლებიც უფრო მცირეა, ვიდრე მთელი წარმონათქვამი. გამოხატულების სიბრტყეზე ესენია, ერთი მხრივ, მოდულაციები და, მეორე მხრივ, აქცენტები; შინაარსის სიბრტყეზე — ზმნური ფლექსია, ერთი მხრივ (დრო, კილო და მისთ.) და სახელური ფლექსია, მეორე მხრივ (ბრუნვა, რიცხვი და მისთ.)⁶⁵⁰.

როგორც თეორიის განხილვამ ცხადყო, გლოსემატიკაში ფორმალური ანალიზის ტაქსემური დონე გარკვეული აზრით შეესაბამება იმ დონეს, რომელზედაც სხვა თეორიებში ფონემური ანალიზი წარმოებს. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ენათმეცნიერთა შორის იმ შეხედულების გავრცელებას, რომ თითქოს გლოსემატიკის მიხედვით გამოხატულების ერთეულები და, კერძოდ, ფონემები შეიძლება განხილულ იქნენ მხოლოდ როგორც წმინდა

⁶⁴⁶ L. Hjelmslev, *The syllable...*, გვ. 271—272; *Über die Beziehungen...*, გვ. 174—175.

⁶⁴⁷ ჩვენ აქ ვეხებით მხოლოდ ტიპებად დაყოფას. ტიპების დაყოფის შესახებ ქვეტოპებად იხ. L. Hjelmslev, *Language*, გვ. 110—112.

⁶⁴⁸ ასეთ მინიმალურ ერთეულებად გამოხატულებისათვის ავტორი მიიჩნევს მარცვლებს, შინაარსისათვის კი — სინტაგმებს. L. Hjelmslev, *The syllable...*, გვ. 271.

⁶⁴⁹ დაწვრ. იხ. L. Hjelmslev, *The syllable...* გვ. 171—172; მისივე: *Language*, გვ. 109—110.

⁶⁵⁰ L. Hjelmslev, *The syllable...*, გვ. 171—172; *Language*, გვ. 109.

ფორმის ელემენტები, შესაბამის სუბსტანციასთან ყოველგვარი მიმართების გარეშე⁶⁵¹.

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, გლოსემატიკის პრინციპების საფუძველზე ფონემის ცნების ასეთი ინტერპრეტაცია სწორი არ არის. იგი არ ითვალისწინებს ყველა იმ შესაძლებლობას, რომელსაც ფაქტობრივად აღნიშნული თეორია შეიცავს. საქმე ის არის, რომ ფორმალური ანალიზი, რომლითაც ხდება ტაქსემების დადგენა, არ არის საკმარისად მიჩნეული ენის შესასწავლად. ფორმის ელემენტები, მოცემულ შემთხვევაში — ტაქსემები, როგორც ღირებულებები, წარმოადგენენ ენის წმინდა სემიოლოგიური ასპექტით განხილვის შედეგად მიღებულ ერთეულებს. მაგრამ როგორც აღნიშნული იყო, წმინდა ფორმის (resp. ენის, როგორც იმანენტური სტრუქტურის) შესწავლა ჩათვლილია დროებით საშუალებად (იხ. ზემოთ). თეორია აგებულია სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ საერთოდ ენა, და მით უფრო ბუნებრივი ენა, საზოგადოებაში („ცხოვრებასა და სინამდვილეში“) არსებობს და ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც სქემა, არამედ ამავე დროს როგორც უზუსი. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგანაც ენობრივი სქემა ყოველთვის მანიფესტირებულია ენობრივი სუბსტანციით (ამა თუ იმ უზუსით). ამიტომაც სუბსტანციის (უზუსის) შესწავლა ისევე აუცილებლად არის მიჩნეული ენათმეცნიერებისათვის, როგორც ფორმის შესწავლა⁶⁵². ენის ცოდნა ნიშნავს არა მარტო სტრუქტურის (ე. ი. სქემის, ფორმის) ცოდნას, არამედ უზუსის ცოდნასაც (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ).

ყოველი ტაქსემური ელემენტი, როგორც სქემის ელემენტი, რეალურ მეტყველებაში მანიფესტირებულია სუბსტანციური

651 აღნიშნული თვალსაზრისის დამკვიდრებას თავის დროზე ხელი შეუწყო სწორედ იმ გარემოებამ, რომ იელმსლევმა აღრიხედელ ნაშრომებში „ფონემას“ იყენებდა „ტაქსემის“ („კენემის“) მნიშვნელობითაც. შდრ. L. Hjelmlev. On the principles of phonemalics, გვ. 51 და შემდ.; მისივე: Quelques réflexions... გვ. 40 და შემდ.

652 როდესაც იელმსლევმა მსჯელობდა იმის შესახებ, რომ უნდა აიგოს ლინგვისტური მეცნიერება სუბსტანციის გათვალისწინების გარეშე (იხ., მაგ., Л. Е л х м с л е в. Метод структурного анализа), აქ იგულისხმება არა ის, რომ ენათმეცნიერებას საერთოდ არ სჭირდება ენობრივი სუბსტანციის შესწავლა (რაც აბსურდი იქნებოდა გლოსემატიკის თვალსაზრისით), არამედ, პირველ ყოვლისა, ის, რომ ფორმის შესწავლაში არ შეიძლება შემოვიტანოთ სუბსტანციის ელემენტები (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბოლოს იელმსლევმა ამ თვალსაზრისშიც შეიტანა კორექტივი და სუბსტანცია დაუშვა პარადიგმატიკაში).

ელემენტებით. სწორედ აქ, მანიფესტაციის სფეროში, უნდა ვეძებოთ ის ერთეული, რომელიც ფაქტობრივად შეესაბამება სხვა თეორიათა ფონემურ ერთეულებს. სახელდობრ:

იელმსლევის მიხედვით, გამოხატულების თითოეული ტაქსემა (უკეთ, ტაქსემის ვარიანტები) ფონეტიკური მანიფესტაციის დონეზე წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი (უზუსტის თვალსაზრისით დაშვებული) განსხვავებული ბგერებით (ფონემებით)⁶⁵³, რომლებიც მიღებული არიან ფორმის ვარიანტების პროექციით ბგერით სუბსტანციაზე⁶⁵⁴. ამ მანიფესტაციის აღწერა შესაძლებელია სხვადასხვა გზით (როგორც ეს ფაქტობრივად გვაქვს კიდევაც სხვადასხვა თეორიაში — ი. ქ.). გლოსემატიკა ირჩევს აბსტრაქტული „კონცეპტის“ დადგენის გზას. ეს გულისხმობს, რომ ცალკეული ბგერებისაგან ინდუქციის გზით შეიძლება მიღებულ იქნეს „კონცეპტი“ ანუ გვარეობითი ცნება, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაძლებელი ვარიანტის ყველა მანიფესტაციას. გამოხატულების სიბრტყისათვის ასეთ კონცეპტს წარმოადგენს ფონემატემა⁶⁵⁵.

ამრიგად, ფონემატემა ღირებულება (ე. ი. წმინდა ფორმა) კი არ არის, არამედ, იელმსლევის აზრით, მხოლოდ „მატერიალური ფორმა“, რომელიც წარმოადგენს წმინდა ფორმის ასახვას და მთლიანად დამოკიდებულია სუბსტანციაზე⁶⁵⁶. უფრო ზუსტად, ფონემატემა ის არის, რაც, გლოსემატიკის მიხედვით, ქმნის ენობრივ ნორმას.

ზოგადად ფონემატემა წარმოადგენს გამოხატულების ტაქსემის მანიფესტაციას⁶⁵⁷. მაგრამ რამდენადაც, თავის მიხრივ, ტაქსემის გაგება გულისხმობს ფუნქციონალურად განსხვავებულ კატეგორიებს — შემადგენლებსა (ცენემებსა) და მახასიათებლებს (პროსოდემებს), შესაბამისად ფონემატემაც, როგორც გვარეობითი ცნება, აერთიანებს ორი სახის მანიფესტაციას — შემადგენლის მანიფესტაციას და მახასიათებლის მანიფესტაციას. ფონემატემის ამ სახეებისათვის იელმსლევი გვთავაზობს ტერმინებს — ფონემასა და პროსოდეას⁶⁵⁸.

⁶⁵³ შესაბამისად, გლოსემის მანიფესტაციებზე მიჩნეულია ფონემის ნაწილები. იხ. L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 64.

⁶⁵⁴ Л. Ельмслев, Можно ли считать..., გვ. 132.

⁶⁵⁵ „ფონემატემის“ ანალოგიურად გრაფიკული მანიფესტაციის აღსაწერად ავტორს შემოაქვს ტერმინი „გრაფემატემა“. იხ. იქვე, გვ. 132.

⁶⁵⁶ დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 132—133.

⁶⁵⁷ L. Hjelmslev, La stratification..., გვ. 181.

⁶⁵⁸ L. Hjelmslev, Introduction à la discussion générale..., გვ. 107.

ამგვარად, გლოსემატიკისათვის ფონემა არის ინდუქციური აბსტრაქციით მიღებული ერთეული, რომელიც აერთიანებს განსაზღვრული რაოდენობის კონკრეტულად წარმოთქმულ ბგერებს (კენემების ცენტრალური და მარგინალური ნაწილების შესაბამისად — ხმოვნებსა და თანხმოვნებს)⁶⁵⁹. მაგრამ რა სახის ერთიანობაა ფონემა? იელმსლევის (და სხვა გლოსემატიკოს ავტორთა) აზრით, ფონემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბგერათა კლასი⁶⁶⁰.

ეს კლასი გარკვეული ნიშნებით ახლოს დგას ჯოუნზისეულ ფონემასთან⁶⁶¹. სახელდობრ, ამ უკანასკნელის მსგავსად, ფონემა გლოსემატიკაშიც წარმოადგენს კლასს, რომელშიც ერთიანდება „ფორმის ვარიანტთა ყველა მანიფესტაცია“, ე. ი. სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოცვასა და სხვადასხვა ფონეტიკურ პოზიციაში დადასტურებული ბგერები. მაგრამ, ჯოუნზისეულ ფონემასთან შედარებით გლოსემატიკური ფონემა მოცულობით უფრო მცირე გამოდის, რადგან მასში არ შედიან სინკრეტიზმის ვარიანტთა მანიფესტაციები⁶⁶².

⁶⁵⁹ ტერმინებს „ხმოვნები“ და „თანხმოვნები“ ავტორი ხმარობს იმ შემთხვევებში, როდესაც გათვალისწინებულია მათი ენობრივი ფუნქცია (მარცვალში მათი როლი). ფუნქციის მითითების გარეშე სათანადო ბგერითი ერთეულებისათვის გამოყენებულია ტერმინები „ეოკოიდი“ და „კონტოიდი“. იხ. L. Hjelmslev, *Language*, გვ. 65.

⁶⁶⁰ გლოსემატიკის ავტორებს მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებლად მიაჩნიათ ფონემის განსაზღვრა როგორც „დისტინქციურ ნიშანთა“ ერთიანობისა (შდრ. ფონემის გაგება ტრუბეცკოსთან). სახელდობრ, „ჩვენ არ ვიზიარებთ ცდებს, — ნათქვამია იელმსლევისა და ულდალის ნაშრომში, — რომლის მიხედვით „ფონემები“ იყოფა „დისტინქციურ ნიშნებად“. ...დისტინქციური ნიშანი, როგორცაა მაგ., მელერობა, არ მიიღება ფონემის ანალიზით, ვთქვათ m-სი სიტყვაში [miizli]. იგი მიიღება მთლიანად სიტყვის ანალიზით და სხვა დედუქციის შედეგად“. იხ. L. Hjelmslev and H. J. Uldall, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 28, 29.

⁶⁶¹ იქვე, გვ. 29. — ყველა საკითხი, რომელიც ფონემის, როგორც ბგერათა კლასის, განხილვას სჭირდება, მართალია, გლოსემატიკაში გაშუქებული არ არის, მაგრამ ეს უკვე თეორიის დეტალებს ეხება და არა თვით თვალსაზრისს.

⁶⁶² მოცულობით გლოსემატიკური ფონემა მოგვაგონებს დესკრიპტივისტიკის კლასს, მაგრამ, როგორც ცნობილია, იქ ფონემათა დამთხვევა გამორიცხულია სხვა თვალსაზრისით.

ფონემის ცნების განსაზღვრისათვის

1. 2 როგორც ძირითადი ფონოლოგიური თეორიების განხილვა ცხადყოფს, ყველა მოცემულ შემთხვევაში ფონემის გაგება დაკავშირებულია ინვარიანტის გაგებასთან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფონემები ლინგვისტური, resp. ენობრივ-ფუნქციონალური, თვალსაზრისით დადგენილი ინვარიანტული ერთეულებია¹, რომელთა მიმართ კონკრეტული სამეტყველო ბგერები გამოდიან ფონეტიკური ვარიანტების, ფონეტიკური სუბსტრატის როლში². ეს არის ის საერთო, რომელიც უფლებას იძლევა განხილული თეორიები კვალიფიცირებულ იქნენ სწორედ როგორც ფონემის თეორიები. მაგრამ მხოლოდ იმის თქმა, რომ ფონემა ინვარიანტული ერთეულია, არ არის საკმარისი მისი სპეციფიკის დასადგენად. საჭიროა დაზუსტდეს, თუ როგორია მისი მიმართება ბგერით რეალობასთან და, რაც მთავარია, რა სახის ინვარიანტულ ერთეულად გვევლინება ფონემა განსხვავებულ თეორიათა მიხედვით.

ბგერით რეალობასთან ფონემის დამოკიდებულების თვალსაზრისით ფონოლოგიური თეორიები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად. თეორიათა ერთ ჯგუფში დეფინიციისათვის პირველად ერთეულებად აღებულია ბგერები და ფონემა განსაზღვრულია მათთან მიმართებით (ფონემა არის ბგერის ფსიქიკური ეკვივალენტი, ბგერითი ტიპი, ბგერათა ოჯახი). მეორე ჯგუფის თეორიებში

¹ „ფუნქციონალური“ ჩვენთვის არ ნიშნავს მხოლოდ „დისტინქიურს“ („მნიშვნელობის განმასხვავებელს“), როგორც ეს სტრუქტურალიზმის ზოგ მიმდინარეობაშია მიღებული. რამდენადაც ვინის ფუნქციონირება მდგომარეობს მის, როგორც აზროვნების იარაღისა და ურთიერთობის საშუალების, სოციალურ გამოყენებაში, ლინგვისტური თვალსაზრისით „ფუნქციონალურია“ ყველაფერი ის, რაც მნიშვნელოვანი ჩანს ამ გამოყენების თვალსაზრისით.

² „ბგერითი ტიპის“ სახით ინვარიანტების ილდეა, რა თქმა უნდა, არც კლასიკური ფონეტიკისათვის ყოფილა უცხო, მაგრამ ფონემების შემთხვევაში აბსტრაქციის სხვა საფუძველია ნაგულისხმევი.

ფონემა პირველადია და განისაზღვრება სხვა ფონემებთან მიმართებით (ფონემა არის დისტინქციური ოპოზიციის წევრი, მიმართებათა სისტემის ელემენტი), ხოლო ბგერებზე გადასვლა ხდება უკვე დადგენილი ფონემებიდან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, დეფინიციის პროცედურებს ბგერებიდან ფონემებისაკენ მივყავართ თუ ფონემებიდან ბგერებისაკენ, საბოლოო ჯამში მაინც სამეტყველო ბგერათა სიმრავლე თავისი ამოუწურავი მრავალფეროვნებით გვევლინება იმ ობიექტურ ფონეტიკურ მოცემულობად, რომლის განსხვავებული ლინგვისტური თვალსაზრისებით შესწავლის საფუძველზე, აიგება განსხვავებული თეორიები. ამ თეორიებში ბგერები და ფონემები სხვადასხვა დონის ერთეულებია. თუ სამეტყველო ბგერები დაკვირვების დონეზე თავსდება, ფონემებზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ როგორც აბსტრაქციის დონეზე წარმოდგენილ, ფორმალურ-ლინგვისტური პროცედურებით დადგენილ ერთეულებზე³. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეტყველო ბგერები ისე, როგორც ისინი განიხილებიან ფონოლოგიურ თეორიებში (ე. ი. როგორც ობიექტურად არსებული, გრძნობადი აღქმისათვის მისაწვდომი მოვლენები), წარმოადგენენ იმ რიგის ერთეულებს, რომლებიც „ენობრივი ერთეულების“ სახელწოდებით არიან ცნობილი⁴. ბგერებისაგან განსხვავებით, ფონემები შეიძლება განხილულ

³ როდესაც ვლაპარაკობთ ფონემის „დადგენაზე“, ჩვენ არ ვითვალისწინებთ God's truth და hocus-pocus პრინციპებზე აგებულ თეორიათა შორის განსხვავებას, რადგან საბოლოო შედეგების თვალსაზრისით მათ შორის არსებითი სხვაობა არც არის მოსალოდნელი.

⁴ სპეციალურ ლიტერატურაში „ენობრივი ერთეულის“ სხვადასხვაგვარ გაგებას ვხვდებით. ზოგი ავტორის მიხედვით, იგი განაცალკევებული მატერიალური ფაქტია, გრძნობადი აღქმის ერთეულია (იხ., მაგ., П. В. Чесноков. Основные единицы языка и мышления, გვ. 91). სხვა ავტორების აზრით „ენობრივი ერთეული“ წარმოადგენს ენობრივი სტრუქტურის ერთეულს. ეს ის არის, რაც ენაში არსებობს ობიექტურად (მაგრამ არა როგორც გრძნობადი აღქმის ერთეული) და საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ საანალიზო (ლინგვისტური) ერთეულები (დაწვრ. იხ. Г. А. Климов, Фонема и морфема, გვ. 22, 105; А. А. Леонтьев, Психологические единицы и порождение речевого высказывания, გვ. 9). აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ამ თვალსაზრისების განხილვაზე. ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა (და ეს არსებითია), რომ ორივე შემთხვევაში „ენობრივი ერთეული“ გაგებულია როგორც რეალური ენობრივი სისტემის, ე. ი. მოქმედი ფუნქციონალური სისტემის ელემენტი.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში არის ტენდენცია, რომ ენობრივი ერთეულები გაიმიჯნოს ე. წ. ფსიქოლინგვისტური ერთეულებისაგანაც. ეს უკანასკნელები გაგებულია როგორც ენობრივი უნარის ერთეულები, გარკვეული სახის

იქნენ როგორც ლინგვისტური ანალიზის ერთეულები ანუ ლინგვისტური ერთეულები⁵.

ენობრივი და ლინგვისტური ერთეულების განსხვავება ენათმეცნიერებისათვის ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1871 წ. წერდა ბოდუენ დე კურტენე „ენათმეცნიერების კატეგორიების“, როგორც წმინდა აბსტრაქციების, განსხვავებაზე „ენის კატეგორიებისაგან“, ე. ი. იმისაგან, რაც ობიექტურად არსებობს, „სოცხლობს“ ენაში. გრამატიკული რეფლექსიით მიღებულ კატეგორიებზე ლაპარაკობს პ. პაულიც⁷. მეტი ურადლება ექცევა ამ საკითხს ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან, მაგრამ დღეისათვის მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი საბოლოოდ გადაწყვეტილია⁸.

ენობრივი და ლინგვისტური ერთეულების გარჩევა სავსებით გამართლებულია ზოგადმეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. ვგულისხმობთ შემდეგს:

ზემოვანხილული კვლევის ნიმუშები ემყარება აბსტრაქციას, რომელიც წმინდა სახით გამოვიყოფს შესასწავლი ობიექტის ამა თუ იმ მხარეს, მნიშვნელოვან დასახული კვლევის თვალსაზრისით. ასე რომ, თეორიულ (ფონოლოგიურ) სისტემებში უკვე საქმე გვაქვს არა უბრალოდ კონკრეტულ ფაქტებთან, არამედ განსხვავებულ „აბსტრაქტულ“, „თეორიულ“ ობიექტებთან, რომლებიც ასახავენ რაიმე თვალსაზრისით გაერთიანებულ მოვლენათა (ბგერათა) თვისებებს (გვევლინებიან ამ თვისებათა წარმომადგენლებად⁹. ამგვარად, ფონოლოგიური თეორიები შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს აგრეთვე თეორიული მოდელირების თვალსაზრისითაც. სახელდობრ, როგორც ყოველი მეცნიერული თეორია, ფონოლოგიური თეორიაც გარკვეული ასპექტით შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც მოდელი. ამ კონტექსტში სავსებით ბუნებრივი ჩანს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება მოდელირებისა და მოდელის გაგებას თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

ფსიქიკური წარმონაქმნები, რომლებიც შეიძლება გააცნობიეროს ენის მატარებელმა (იხ. S. Saporta, Relations between psychological and linguistic units. იხ. აგრეთვე А. А. Леонтьев, Слово в речевой деятельности, გვ. 72). ეს ერთეულები მიჩნეულია მეტაენის და არა ენაობიექტის ერთეულებად. იხ. Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 22..

⁵ „ლინგვისტური ერთეულის“ როგორც ანალიზის შედეგად დადგენილი ერთეულის განსაზღვრისათვის იხ. Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8, 22. მეცნიერული ანალიზის ერთეულების შესახებ ენათმეცნიერებაში იხ. აგრეთვე П. С. Кузнецов, К вопросу об ударении и тоне в фонологическом и фонетическом отношении, გვ. 84; Е. С. Кубрякова, Об основных единицах лингвистического анализа, გვ. 182.

⁶ И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, გვ. 60, შგმ. 24. იხ. აგრეთვე იქვე, II, გვ. 276, 286—289.

⁷ Г. Пауль, Принципы истории языка, გვ. 48.

⁸ უფრო მეტიც. ეს ცნებები ყოველთვის გარჩეულიც არ არის, რაც, თავის მხრივ, ხშირად სერიოზული გაუგებრობის წყარო ხდება.

⁹ აბსტრაქტული ობიექტების შესახებ დაწვრ. იხ. კრებ. Логика научного исследования, განსაკ. გვ. 70—71, 75—76, 168, 172.

მოდელირება მოცემულ შემთხვევაში გაგებულია როგორც ობიექტის მეცნიერული კვლევის მეთოდი. იგი ყოველთვის დაკავშირებულია აბსტრაქციასა და იდეალიზაციასთან, რომელთა მეშვეობითაც ხდება შესასწავლი ობიექტის გარკვეული მხარეების გამოყოფა და ასახვა სათანადო (ობიექტის იზომორფულ ან ჰომომორფულ) მოდელებში. ამგვარად, მოდელი ფუნქციონირებს როგორც მეთოდოლოგიური (აზრობრივად წარმოდგენილი ან მატერიალურად რეალიზებული) სისტემა, შემოტანილი ობიექტის რაიმე თვალსაზრისით შესწავლის მიზნით. ამ გზით მიღებული ინფორმაცია შემდგომ გადაიტანება „ორიგინალზე“, ე. ი. ობიექტზე, რომელიც დაექვემდებარა სათანადო მოდელირებას. ერთი და იგივე ინდივიდუალური ობიექტი შეიძლება დაექვემდებაროს სრულიად განსხვავებულ მოდელირებას (აღიწეროს განსხვავებულ მეტაენათა ტერმინებით), რაც ნაკარნახევი თვით რეალური სინამდვილის, მისი მოვლენების რთული ბუნებით. იმის მიხედვით, თუ სინამდვილის ფრაგმენტის რომელი მხარეა აღებული საანალიზოდ, რა ამოცანებს ისახავს მოდელირება, რა ცნებით და პროცედურული აპარატია გამოყენებული ანალიზის მსვლელობაში მეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე და ა. შ., განსხვავებული იქნება მოდელირებიც. ყოველივე ეს სამართლიანია არა მხოლოდ სხვადასხვა მეცნიერებათა ფარგლებში, არამედ ერთი კონკრეტული მეცნიერებისა და ხშირად ერთი თეორიული სისტემის ფარგლებშიც კი. შეძლებისდაგვარად უფრო რთულ მოდელელებზე გადასვლა და სხვადასხვა სახის მოდელების შეხამება იძლევა საკვლევი ობიექტის უფრო სრულად და ღრმად დახასიათების საშუალებას¹⁰.

ენობრივი სისტემის განსაკუთრებულმა სირთულემ, ერთი მხრივ, და კვლევის სიზუსტის მოთხოვნილებამ, მეორე მხრივ, განაპირობებს მოდელირების პრინციპის ფართოდ გამოყენება ენათმეცნიერებაშიც¹¹. თუმცა საკუთრივ „მოდე-

¹⁰ მოდელებისა და მოდელირების შესახებ დაწერ. იხ. В. А. Штоф, Моделирование и философия. იხ. აგრეთვე ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში სტატიები „Моделирование“ და „Модель“: Философская энциклопедия, т. 3, გვ. 478 და შემდ.

¹¹ ზემოაღნიშნული აზრით ლინგვისტური მოდელის დეფინიცია პირველად გვაქვს ჩ. ჰოკეტთან, რომლის მიხედვით „გრამატიკული დესკრიფციის მოდელი“ აღნიშნავს აღრიცხვის სისტემას (frame of reference), რის ფარგლებშიც მკვლევარი განიხილავს ენის გრამატიკულ ფაზას და აყალიბებს თავისი გამოკვლევის შედეგებს (იხ. С. F. Hockett, Two models of grammatical description, გვ. 386). ენათმეცნიერებაში ტერმინი „მოდელის“ სხვადასხვა მნიშვნელობისა და მოდელირების პრინციპებისათვის დაწერ. იხ. Y. R. Chao, Models in linguistics and models in general, გვ. 563—564; Н. Хомский, Три модели описания языка; А. А. Зинovieв, И. И. Ревзин, Логическая модель как средство научного исследования; О. С. Ахманова, И. А. Мельчук, Е. В. Падучева, Р. М. Фрумкина. О точных методах исследования языка; И. И. Ревзин, Метод моделирования и типология славянских языков; Г. А. Климов, დასახ. ნაშრ.; J. Hockett, The role of models in linguistic studies; А. Людсканов, Некоторые замечания в отношении моделирования в языкознании და სხვ. მრ.

ლის“ ცნება აქ შედარებით ახალია (შემოტანილია მანქანური თარგმანის, ინფორმაციის გადაცემისა და მისთ. პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით). მაგრამ, როგორც სამართლიანად არის შენიშნული, პრაქტიკულად იმის გამოყენება, რაც სავსებით შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ლინგვისტურ მოდელებად, ისევე ძველია, როგორც თვით ენის შესწავლა¹². აბსტრაქტული მოდელირების ტენდენციები განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ენობრივი სისტემის, მისი სტრუქტურული და ფუნქციონალური მხარეების ფორმალიზაციისა და სქემატიზაციის პრაქტიკაში, რომელსაც თანამედროვე ენათმეცნიერება მიმართავს. სწორედ ასეთი აბსტრაქტული მოდელის, ლინგვისტური აღწერის, ელემენტებს უწოდებენ ლინგვისტურ ერთეულებს¹³ და განასხვავებენ მათ ენობრივი ერთეულებისაგან, ერთი მხრივ, და სხვა მოდელის ერთეულებისაგან, მეორე მხრივ.

ფონემის გამოყენება იმ სახით, როგორითაც ეს პირველად შემოიტანეს ენათმეცნიერებაში ბოდუენმა და სოსიურმა (იხ. ზემოთ) და შემდგომ გვხვდება ფონოლოგიური კვლევის პრაქტიკაში, იძლევა მისი, როგორც ლინგვისტური ერთეულის, ინტერპრეტაციის საშუალებას¹⁴, თუმცა ყველა თეორიაში ეს ერთნაირად აღიარებული არ არის¹⁵. სახელდობრ, თუ ზოგ ავტორთან ფონემა გაგებულია როგორც კვლევის მიზნებით შემოტანილი წმინდა მეცნიერული აბსტრაქცია და თეორიაც მთლიანად ამ პრინციპზეა აგებული (მაგ., ტოდელთან), სხვა თეორიებში ფონემა განხილულია როგორც რეალური ენობრივი სისტემის (ფსიქიკური სისტემის, რეალიზებული ფიზიკური სისტემის ან მიმართებათა სისტემის) ელემენტი. მაგრამ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, ექსპლიციტურად იქნება ეს გამოხატული თუ არა, ფონემები ბგერებისა და ბგერითი მიმართებების კვლევის შედეგად (აბსტრაქციის სხვადასხვა საფუძველზე და სხვადასხვა საფეხურზე) მიღებული ერთეულებია. სწო-

¹² Y. R. Chao, დასახ. ნაშრ., გვ. 558.

¹³ Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

¹⁴ ლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ერთეულებს შორის განსხვავების შესაბამისად, ფონემის ტრადიციულ გაგებაშიც შეიძლება განვასხვაოთ ფონემები, როგორც წმინდა „ლინგვისტური“ ან როგორც „ფსიქოლინგვისტური“ ერთეულები. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ასეთ გარჩევას არ მივმართავთ, რადგან ის, რაც ფონოლოგიურ (კერძოდ, მენტალისტურ) თეორიათა მიხედვით შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც „ფსიქოლინგვისტური“ ამავდროს „ლინგვისტურითაც“.

¹⁵ სხვადასხვა ავტორთან ფონემის, როგორც ლინგვისტური ერთეულის, ინტერპრეტაციის შესაძლებლობისათვის იხ. აგრეთვე Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 18—21, 46—47.

რედ ამდენად არის ფონემა „შემოქმედებითი აზრის მიერ შექმნილი“¹⁶.

ყოველივე ზემოთქმულიდან გასაგები ზღვება, რომ კონკრეტული სამეტყველო ბგერებისაგან განსხვავებით, ფონემებზე არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი „არსებობენ“ სამეტყველო ნაკადში¹⁷. რამდენადაც ფონემა აბსტრაქციის შედეგია და შემეცნების სფეროს განეკუთვნება, იგი შეიძლება „არსებობდეს“ მხოლოდ იმ აზრით, რომ შესაბამისი კონკრეტული ბგერები ფონეტიკური რეალიზაციის სფეროში ატარებენ იმ ნიშნებს, რომლებსაც მათში ფონემის მოცემული გაგება გამოყოფს¹⁸.

ფონემის აბსტრაქტულობა რომ არ ნიშნავს რეალური ენობრივი (კერძოდ, ბგერითი) სინამდვილისგან მოწყვეტას, ეს კარგად ჩანს ტვოდელის თეორიის მაგალითზე.

ტვოდელის თეორიამ სხვადასხვაგვარი შეფასება მიიღო ლინგვისტიკაში. ფონემის „ფიქტიურობა“ ზოგი ენათმეცნიერის მიერ ინტერპრეტირებულ იქნა როგორც ბგერით რეალობასთან კავშირის გაწყვეტა¹⁹. ასეთი ინტერპრეტაცია, ჩვენი თვალსაზრისით, არ შეესაბამება იმ ვითარებას, რომელიც ფაქტობრივ განხილულ თეორიაშია წარმოდგენილი. ფონემის, როგორც ფიქციის, კვალიფიკაცია, ტვოდელის მიხედვით, არ ნიშნავს ბგერითი რეალობის უარყოფას და მისგან მოწყვეტას. აქტორი მხოლოდ გაუბნის (და სრულიად სამართლიანადაც) მეცნიერული აბსტრაქციით მიღებული ერთეულის ჰიპოსტაზირებას. „აზროვნების ფილოსოფიურად გავარჯიშებული მანერით“, როგორც ნ. ტრუბეცკოი ახასიათებს ტვოდელის მსჯელობის ფორმას²⁰, იგი იმას ამტკიცებს, რომ ფონემა არ არის იმ სახის ფონეტიკური რეალობა, რომელიც შეიძლება „შეგვხვდეს“ სამეტყველო ნაკადში, ე. ი. იგი არ არის „პოზიტიური“ და „ადიტიური“ ერთეული, რომლისგანაც შედგება ან რომლითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან საწარმოთქმო მონაკვეთები²¹. როგორც შიმარტების წევრი, ფონემა „არსებობს“ ისევე აბსტრაქტულად, როგორც გარკვეული დამოკიდებულების (ნათესაობის) საფუძველზე „არსებობს“, მაგ., ძმა²². რა თქმა უნდა, ასეთი აბსტრაქცია — ფონემა არა თუ არ

¹⁶ Г. Глосон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 239. იხ. აგრეთვე П. С. Кузнецов, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

¹⁷ იხ. აგრეთვე W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

¹⁸ აბსტრაქტული ობიექტების „არსებობაზე“ იხ. Логика научного исследования, გვ. 171.

¹⁹ იხ. მაგ., M. J. Andrade, Some questions of fact and policy concerning phonemes, გვ. 9—12; R. Jakobson and M. Halle, Fundamentals of language, გვ. 13—14; A. A. Реформатский, Н. С. Трубецкой и его „Основы фонологии“, გვ. 344.

²⁰ Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 51.

²¹ W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 75, 68.

²² იქვე, გვ. 74.

გამორიცხავს მის კავშირს ბგერით რეალობასთან, არამედ ზედმიწევნით ზუსტად ასახავს მას. სახელდობრ, თუ რას გულისხმობს ფონემის აბსტრაქტული „არსებობა“, ეს კარგად ჩანს იმ დამოკიდებულებაში გათვალისწინებით, რომელსაც ავტორი ფონემას (მაკროფონემას) და ბგერებს შორის ადგენს.

ავტორის აზრით, ეს დამოკიდებულება არის ენისა (langue) და მეტყველების (parole) ელემენტთა შორის დამოკიდებულება. აღნიშნული დამოკიდებულებისათვის ამოსავლად მიჩნეულია ფორმისა და სუბსტანციის განსხვავება. თანახმად დეფინიციისა, სამეტყველო ბგერები, როგორც მეტყველების ელემენტები, ფონეტიკური, resp. სუბსტანციური ფაქტებია. მათგან განსხვავებით ფონემები (მაკროფონემები) წარმოადგენენ ფორმის ელემენტებს, რომლებიც დახასიათებულია როგორც „ნეგატიური“, „რელაციური“, „დიფერენციული“ ერთეულები სოსიურისეული აზრით²³. მაკროფონემა რომ „რელაციური“ და „დიფერენციული“ ერთეულია, ეს სადავო არ არის (თავის მხრივ, მიკროფონემა რელაციური და დიფერენციულია), მაგრამ იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ნეგატიურ“ (resp. წმინდა ფორმის) ერთეულად. საქმე ის არის, რომ მაკროფონემაში ერთიანდებიან ერთგვაროვნად მოწესრიგებული, ე. ი. ფონოლოგიურად იდენტური მიკროფონემები. ფორმის ელემენტებს შორის ფონოლოგიური იდენტობა კი, მართალია, არ გულისხმობს შესაბამის საწარმოთქმო მონაკვეთებს შორის. სრულ ფონეტიკურ იგივეობას, მაგრამ ტვოდელთან აქ შესაძლო განსხვავებებთან ერთად ყოველთვის დაშვებულია მსგავსება. უფრო მეტიც, ფორმებს შორის ერთგვაროვანი მიმართებები მხოლოდ გარკვეულ ობიექტურ მსგავსებას ემყარება²⁴. ამასთანავე, მსგავსება სწორედ ფონოლოგიურად რელევანტურ კვალიტატიურ-არტიკულაციურ თვისებებშია, რომლებთანაც არის დაკავშირებული ენის სიგნიფიკაციური განსხვავებები²⁵. ასე რომ, გარკვეული აზრით, მაკროფონემა გამოდის განმასხვავებელ ფონოლოგიურ ნიშანთა ერთიანობა და, ამ მხრივ, ახლოს დგას ტრუბეტკოისეულ ფონემასთან²⁶.

მაკროფონემის ნამდვილი არსი მაინც არ იქნება გარკვეული, სანამ არ გაითვალისწინებთ კიდევ ერთ ვარაუდებს. მაკროფონემა, როგორც ენის ელემენტი, დადგენილია აბსტრაქციით. მეტყველების ელემენტები, ამ შემთხვევაში — ბგერები, წარმოადგენენ იმ კონკრეტულ ფონეტიკურ რეალობად. რომლისგანაც ხდება აბსტრაქცია. ბგერებისაგან ფონოლოგიური აბსტრაქციის პირველ საფეხურზე. მინიმალური ფონოლოგიური განსხვავების მქონე ფორმათა შეკი-

²³ ფაქტობრივად. აქ უნდა ვიგულისხმოთ არა ფორმის, არამედ ფორმის ლინგვისტური აღწერის ელემენტები.

²⁴ მსგავსების შესახებ დაწერ. იხ. იქვე, გვ. 77. — ამ კონტექსტში შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ტვოდელისათვის მაკროფონემის დეფინიცია აუცილებლად გულისხმობს როგორც წინასწარ ჩატარებულ, ისე პარალელურად მიმდინარე ფონეტიკურ ანალიზს. იხ. იქვე, გვ. 77—88.

²⁵ მართალია, მოცემულ თეორიაში სიგნიფიკური განსხვავებები დგინდება არა უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის ცოდნით, არამედ მსმენელთა რეაქციის საფუძველზე, მაგრამ, ფაქტობრივად მაინც იმავე რიგის მოვლენასთან გვაქვს საქმე.

²⁶ საკითხის შესახებ იხ. J. Vachek. One aspect of the phoneme theory; H. C. Трубейкой. დასახ. ნაშრ., გვ. 50—51.

რისპირებით, მიიღებინა მიკროფონემები. ასე, ქართულში, ქარ-, კარ-, ბარ-, ზარ-, სარ- და მისთ. ფორმათა შეპირისპირებით შეიძლება გამოიყოს ქ, კ, ბ, ზ, ს მიკროფონემები, რომელთა შორის განსხვავება შესაბამედა სათანადო ბგერით მონაკვეთებს შორის არსებულ სპეციფიკურ არტიკულაციურ განსხვავებებს. ფონოლოგიური აბსტრაქციის მეორე საფეხურზე უკვე ხდება განსხვავებულ, მაგრამ ერთგვარონად მოწესრიგებულ კლასებში შემავალ მიკროფონემათა გაერთიანება მიკროფონემაში. ამგვარად, მიკროფონემათა უშუალო ვარიანტებია არა ბგერები — მეტყველების ელემენტები, არამედ მიკროფონემები — ფორმის ელემენტები. მაგრამ რამდენადაც მიკროფონემები, თავის მხრივ, მეტყველების ელემენტებისგან აბსტრაქციით მიღებული ერთეულებია, ამდენად მიკროფონემებიც საბოლოო ჯამში უკავშირდებიან ბგერებს, ასახევენ მათ მიმართებებს, ე. ი. იმ ფონეტიკურ-სიგნიფიკურ განსხვავებებს, რომლებიც რეალურად დასტურდება ენაში²⁷. ხოლო რამდენადაც ფონოლოგიური მიმართებები ენაში საკმაოდ მრავალფეროვანია, მიკროფონემების რიცხვიც შესაბამისად დიდია, ყოველ შემთხვევაში იმდენი, რამდენიც განსხვავებული მიმართება გვაქვს. მაგ., ქართულში |ქ-| კლასში ცალი, ცელი, ცილი, ცოლი, ცული სერიები გვივლენს ა. ე. ი. მიკროფონემებს. ეს მიკროფონემები გაერთიანდებიან ერთ მიკროფონემაში |ქ-რ| ან |ქ-ც| კლასების ა. ე. ი. მიკროფონემებთან ერთად²⁸. ასევე, ს და ზ მიკროფონემებში გაერთიანდებიან ს და ზ მიკროფონემები შემდეგ სერიათა მიხედვით: |ს-რ|, |ს-ლ| და |ზ-რ|, |ზ-ლ|, |ლ-ზ|. მაგრამ აქ არ შემოვლენ ს და ზ მიკროფონემები, რომლებიც სხვა სერიაში ღვინდებიან (მაგ., ს „სხვა“, ზ „ზღვა“ ფორმებში და ა. შ.).

ასე რომ, ბგერით რეალობასთან მიმართების თვალსაზრისით ტვოდელის თეორიასა და სხვა ფონოლოგიურ თეორიებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ არის²⁹.

1. 22 როგორც აღნიშნული იყო, ლინგვისტური აბსტრაქციის პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება ფონემების დადგენა, გულისხმობს ბგერითი ფაქტების შესწავლას ენობრივ-ფუნქციონალური თვალსაზრისით. მაგრამ თუ ენობრივის, ფუნქციონალურის ძიება

²⁷ აღსანიშნავია, რომ თვით „ფიქცია“ ავტორის მიერ შემოღებულია „რეალური, აბსტრაქტული კლასის, ოპოზიციითა წევრების ჯამის აღსაწერად“. W. F. Twaddell, Answers to Andrade's questions, გვ. 297.

²⁸ მართალია ამ კლასებში გვაქვს ნაკლები სერიები: ქარ-, ქერ-, ქორ- ან კაც-, კეც-, კოც-. მაგრამ ეს შემთხვევითი ხარვეზებია და ფონემური დაჯგუფების დროს მხედველობაში არ მიიღება.

²⁹ ამიტომ ჩვენ ნაკლებად ეფექტური გვეჩვენება ფონემათა თეორიების დაჯგუფება, როგორც გვთავაზობს ტვოდელი, იმის მიხედვით, განსაზღვრულია ფონემა რაიმე სახის (ფსიქიკური, ფიზიკური) რეალობის ტერმინებით თუ გავაგებულია როგორც აბსტრაქტული, ევრისტიკული ანუ პრაგმატული „ფიქცია“ (W. F. Twaddell, On defining the phoneme, გვ. 67). ამ კლასიფიკაციას სხვადასხვა ფორმით ემყარებიან შემდეგდროინდელი ავტორებიც. იხ. მაგ. K. A m m e r, Einführung in die Sprachwissenschaft, გვ. 137—138.

წარმოადგენს საერთო მიზანს ყველა ფონოლოგიური თეორიისათვის, აღნიშნულ თეორიებს შორის განსხვავებას ქმნის, პირველ ყოვლისა, თვით ამ ენობრივის, ფუნქციონალურის და, მაშასადამე, ფონემებსა და ბგერებს ანუ ფონემურ ინვარიანტებსა და შესაბამის ბგერით ვარიანტებს შორის დამოკიდებულების გაგება³⁰.

ფონემის განსხვავებულ თეორიათა არსებობა სხვადასხვაგვარად არის შეფასებული. ფონოლოგების დიდი ნაწილი ასეთი მრავალთეორიანობის წინააღმდეგია (მათი პოზიცია გასაგებია: სწორი და მისაღებია მხოლოდ ის კონცეფცია, რომელსაც თვითონ ავითარებენ). მეორე მხრივ, ითვლება რომ განსხვავებული თეორიები არა თუ არ ეწინააღმდეგებიან, არამედ გარკვეული აზრით ავსებენ კიდევაც ერთმანეთს. სწორედ ამ თვალსაზრისს გამოხატავს დებულება, რომ „სხვადასხვა სისტემა და ახსნა უბრალოდ სწორი ან არასწორი კი არ არის, არამედ შეიძლება მიჩნეული იყოს მხოლოდ როგორც კარგი ან ცუდი გარკვეული მიზნებისათვის“³¹. მსგავსი პრინციპი უდევს საფუძვლად ფონემის ე. წ. პლურალისტურ თეორიებსაც.

მართლაც, ისეთი რთული, მრავალსპექტიანი ფუნქციონალური სისტემის შესწავლის პროცესში, როგორცია ენა, და კერძოდ მისი გამოხატულების მხარე, ფონემის განსხვავებული თეორიების არსებობა (არა მხოლოდ ფონოლოგიის განვითარების სხვადასხვა

³⁰ ფონემებსა და მის ვარიანტებს შორის დამოკიდებულების გარკვევისას აუცილებელია იმის დაზუსტებაც, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ფონემის ვარიანტად: ბგერა, როგორც უშუალოდ წარმოთქმა-მოსმენის ერთეული, თუ მისგან მიღებული აბსტრაქცია. ამ საკითხს გარკვეული თეორიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა ფონოლოგიაშიც (იხ., მაგ., E. Buyssens, Le phonème et sa réal. sation). ცხადია, რომ ვარიანტი ანუ ალოფონი არ შეიძლება იყოს უშუალოდ წარმოთქმა-მოსმენის ერთეული. ფონემის ნებისმიერი პოზიციური ვარიანტი არის აბსტრაქცია, რომელიც მიღებულია მოცემულ პოზიციაში დადასტურებული ბგერებისგან (სწორედ ამას გულისხმობს ჯოუნზის „პირველი ხარისხის აბსტრაქტული ბგერები“ ან ერთ პოზიციაში დადასტურებულ ბგერათა ქვეკლასები ჰოკეტთან, გლისონთან და სხვ.). ასე რომ, ფონემის უშუალო რეალიზაციებად ფაქტობრივად უნდა მივიჩნიოთ არა ბგერები, წარმოთქმისა და მოსმენის ელემენტები, არამედ აბსტრაქტული ალოფონები. ბგერები კი, თავის მხრივ, წარმოადგენენ ამ ალოფონების რეალიზაციებს. სწორედ ასეთი აბსტრაქტული ალოფონისათვის შემოაქვთ ტერმინი „ალოფონემა“ დაწერ. იხ. E. Pulgram, A proposal Alloph. or. et. All. morph. et.

³¹ Y. R. Chao, The non-uniqueness of phonemic solutions of phonetic systems, გვ. 38.

ეტაპზე, არამედ ერთი გარკვეული პერიოდის და ზოგჯერ ერთი მიმდინარეობის ფარგლებშიც) სრულებით არ არის მოულოდნელი. მაგრამ ამ თეორიათა მნიშვნელობა მაინც არ შეიძლება ერთნაირი იყოს ენათმეცნიერული კვლევის თეორიისა თუ პრაქტიკისათვის. რამდენადაც ფონოლოგიური თეორიების ამოცანას წარმოადგენს ფუნქციონალური ენობრივი სისტემის ერთი მხარის — გამოხატულების — შესწავლა, ბუნებრივია, საბოლოო ჯამში მათი შეფასებაც უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულად და ღრმად წვდებიან ისინი ენის ფუნქციონირების არსს. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფონემის ნებისმიერი თეორია ყოველთვის რომელიმე ლინგვისტური თეორიის ბაზაზე არის შექმნილი. როგორცაა მოცემულ პერიოდში გაბატონებული ლინგვისტური თეალსაზრისი. ისეთია ამ პერიოდის ფონოლოგიური მიმდინარეობებიც. ამიტომ ამ უკანასკნელთა შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული თეორიის ფარგლებში დასმული ამოცანები და მათი გადაჭრის პერსპექტივები, არამედ, პირველ ყოვლისა, სწორედ ამოსავალი ზოგად-ლინგვისტური (და საერთოდ იდეოლოგიური) საფუძვლები: როგორ არის გაგებული თვით ფუნქციონალური ენობრივი სისტემა, როგორც ენათმეცნიერების საგანი, რა მეთოდოლოგიურ და მეთოდურ პრინციპზე დამყარებით ხდება ამ სისტემის შესწავლა და ა. შ. ამ მხრივ კი ლინგვისტური მიმდინარეობები სხვადასხვა სურათს გვიჩვენებენ, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ენის ობიექტური თვისებებით, არამედ ლინგვისტური კვლევის მიღწევებითა და მიზანდასახულობით ენათმეცნიერების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

1. 28 მენტალისტურ თეორიებში ენობრივია მხოლოდ ფსიქიკური, რადგან ფსიქიკაში ის აისახება, რაც ფუნქციონალურია, „სიგნიფიკურია“ მოცემული ენის თვალსაზრისით. ასე რომ, ენის „ფსიქიკურობა“ არა თუ არ გამოორიცხავს ფუნქციონალურის გაგებას, არამედ გულისხმობს და ემყარება მას. ლინგვისტური ფსიქოლოგიზმის პოზიციებიდან ასეთი მიდგომა მოულოდნელი არ არის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ენათმეცნიერებაში ფსიქოლოგიზმის სპეციფიკას იმაში ხედავდნენ, რომ იგი ენის რაობის, მისი წარმოშობისა თუ განვითარების კანონზომიერებათა ახსნას ძირითადად ფსიქიკურ კანონზომიერებებში ეძებდა. ენის არსი მის ფსიქიკურ სუბსტრატამდე იყო დაყვანილი, ენობრივი ერთეულები განისაზღვრებოდა წარმოდგენათა ტერმინებით, ენათმეცნიერების

საფუძვლად ფსიქოლოგია იქნა მიჩნეული³². მაგრამ უფრო გვიან, როდესაც ენათმეცნიერებამ უარი თქვა ენობრივი ფაქტების ფსიქოლოგიურ ინტერპრეტაციაზე, ყოველგვარი მენტალისტური დაშვებები ლინგვისტიკაში კვალიფიცირებულ იქნა როგორც ობსტრუქცია მეცნიერულ მუშაობაში³³. მენტალისტურ თეორიებში დასმული პრობლემებისა და ამ თეორიათა ფარგლებში მიღწეული კონკრეტული შედეგების დიდი ნაწილიც კანონგარეშე იქნა გამოცხადებული. ასეთი განაჩენი საკმაოდ მკაცრი და ცალმხრივი იყო. საქმე ის არის, რომ სწორედ აღნიშნულ თეორიებში განიხილებოდა როგორც ამჟამად ფსიქოლინგვისტურად მიჩნეული, ისე წმინდა ლინგვისტიკური პრობლემატიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი, რომელთა დასმა ან წინ წამოწევა (მიუხედავად იმისა, რომ მათი კონკრეტული გადაწყვეტა ზოგჯერ საკამათო ან სრულიად მიუღებელიც კი შეიძლება იყოს), მათ უდავოდ დამსახურებდად უნდა ჩაითვალოს. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ენის ფუნქციონირების, მისი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი გამოყენების პრობლემების კვლევას.

როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიაში ენათმეცნიერებაში არ ყოფილა ერთგვაროვანი მიმდინარეობა. მაგ., მისი ერთ-ერთი მიმართულებისათვის ადამიანის სამეტყველო მოქმედებაში ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მხარეთა ურთიერთნიშანობების უფლებეულობა ნიშანდობლივი. ამით, ფაქტობრივად, უფლებეულობა სოციალური ურთიერთობის როლიც ინდივიდუალურ ენაზე ფორმირების პროცესში. ეს არის ჰუმბოლდტის ზოგადლინგვისტურ და ფილოსოფიურ შეხედულებათა თავისებური ინტერპრეტაციისა და ჰერბარტის ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ბაზაზე შექმნილი ლინგვისტური ფსიქოლოგიის ფორმა, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობდა ჰ. შტაინთალი³⁴. ამ თეორიამ თავის დროზე გარკვეული გაკლენა იქონია ლინგვისტური ფსიქოლოგიის განვითარებაზე, მაგრამ ენათმეცნიერება საბოლოოდ მაინც არ წასულა შტაინთალის გზით.

32 ფსიქოლოგიის შესახებ იხ. აქვე, გვ. 27 და შემდ.

33 W. F. Twaddell, On defining the phoneme. გვ. 57.

34 საზოგადოების შიგნით ენის ერთიანობისათვის შტაინთალს გადაწყვეტილია არა იმდენად ენობრივი საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობის რამდენადაც საბოლოო ჯამში საერთო ეროვნული გონი (дух народа), მეტიც ერთი ხალხის წარმომადგენელ ინდივიდებს, ასე ვთქვათ. დაბადებულ ენაზე და, პირველ ყოვლისა, სწორედ ენაში ვლინდება. იხ. Г. Штейн-талъ, Грамматика, логика и психология, გვ. 133 — 134. შტაინთალის მოძღვრების შესახებ დაწერ. იხ. Р. Шор, Краткий очерк истории гвистических учений, გვ. 121—123; А. С. Чикобава, Проблема языка как предмета языкознания, გვ. 21 და შემდ.; А. А. Леонтьев, Психология, гвистика, гв. 7—10; Н. Агэнс, Sprachwissenschaft, გვ. 252—260.

ენის სპეციფიკური არსის დაყვანა მის ფსიქიკურ სუბსტრატამდე (აქედან გამომდინარე შედგეგებითურთ) ენათმეცნიერებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და ეს გზა შემდეგში სამართლიანად იქნა უარყოფილი. მაგრამ ლინგვისტური ფსიქოლოგიზმის ფარგლებში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა თვალსაზრისი, რომ ენა სოციალური მოვლენაა და მისი შესწავლაც სწორედ ამ მიმართულებით წარმართა³⁵. ყოველ შემთხვევაში, ის თეორიები, რომელთა საფუძველზედაც ხდება ფონემის, როგორც ფსიქიკური ერთეულის, ინტერპრეტაცია, ენის საზოგადოებრივი ხასიათის გაგებაში არსებითად სწორ თვალსაზრისზე დგანან. მართალია, აღნიშნულ თეორიებშიც ენა კვალიფიციერებულია როგორც წმინდა ფსიქიკური მოვლენა, ხოლო ენობრივი ერთეულები — როგორც წარმოდგენები, მაგრამ ენის ფსიქიკური მხარე განიხილება უკვე სოციალურ, საზოგადოებრივ მხარესთან კავშირში. ენის ფსიქიკურობა მიჩნეულია მისი საზოგადოებრივი ფუნქციონირების საფუძველად: თუ ენას ჩამოვაშორებთ ფსიქიკურ კომპონენტს, აუხსნელი დარჩება მისი სოციალური ფუნქციონირების მექანიზმიც. და როგორც ვნახეთ, ეს დასკვნა სამართლიანია არა მარტო იმ გაგებისათვის, რომლის თანახმად ენა განიხილება როგორც მთელი საზოგადოების მოღვაწეობის სოციალური პროდუქტი (სოსიური, სეპირი). იგი სამართლიანია იმ გაგებისთვისაც, რომლის მიხედვით ენა ინდივიდუალური ფსიქიკის კუთვნილებაა (ბოდუენი, შჩერბა)³⁶. როგორც აღნიშნული თვალსაზრისის განხილვიდან ჩანს, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ენის „ინდივიდუალური“ არსებობა დაკავშირებულია მის სოციალურ, საზოგადოებრივ დანიშნულებასთან. ენა გაგებულია უკვე არა როგორც „ეროვნული გონის“ გამოვლენა (შტაინთალისეული აზრით), არამედ ძირითადად როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში გამომუშავებული სოციალური წარმონაქმნი, რომლის რეალური მატარებელი მხოლოდ ინდივიდი შეიძლება იყოს (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ).

ენის საზოგადოებრივი და ფსიქიკური მხარეების ურთიერთობის ფონზე ხდება ფონემების, როგორც ფსიქიკური ერთეულების, განხილვაც. სახელდობრ, ზემოგანხილულ თეორიებში ყურადღების

³⁵ მოკემული პერიოდისთვის ენის სოციალური ხასიათის აღიარებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ამერიკელი ენათმეცნიერის უილიამ ლუიჯი უილსონის წიგნაც „The life and growth of language“ (1875).

³⁶ შდრ. Я. В. Лоя, История лингвистических учений, გვ. 76.

ცენტრში აღმოჩნდა სამეტყველო ბგერათა წარმოქმნისა და აღქმის ფსიქიკური საფუძვლების შესწავლა. მაგრამ საქმე ეხება არა საერთოდ ნორმალური მეტყველებისათვის აუცილებელ ფსიქიკურ მომენტებს (რაც საერთოა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკებისათვის), არამედ კონკრეტული ენობრივი წარმოქმნისა და კონკრეტული ენობრივი აღქმის ფუნქციონალურ მექანიზმს, რომლის ელემენტებსაც წარმოადგენენ ფონემები.

როგორც მოცემულ თეორიათა განხილვიდან ჩანს, აღნიშნული ფუნქციონალური მექანიზმის კვლევა აქ ძირითადად მიმდინარეობს ორი თვალსაზრისით (განსხვავებულ თეორიებში განსხვავებული აქცენტებით). პირველ ყოვლისა, ზღვება იმ სოციალური საფუძვლების დადგენა, რომელიც განაპირობებს ერთ ენობრივ კოლექტივში გაერთიანებულ ინდივიდთა წარმოქმნისა და აღქმის ერთგვაროვნებას. ამასთან დაკავშირებით, ყურადღების ცენტრშია საერთო ენობრივი, მოცემულ კერძო შემთხვევაში, საერთო ფონემური, ინვენტარის ჩამოყალიბებისა და კომუნიკაციის პროცესში მისი გამოყენების საკითხები. აღნიშნული თეორიები ამოდიან იმ ზოგადი დაშვებიდან, რომ ენობრივი კომუნიკაციის პროცესი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ მუდმივს, ინვარიანტულს, იმას, რაც უცვლელი რჩება არა მხოლოდ ინდივიდუალურ წარმოქმნათა ცალკეული აქტების, არამედ საერთოდ გარკვეული ენობრივი კოლექტივის წარმოქმნის თვალსაზრისითაც. ბგერები, როგორც წარმოქმნის მომენტობრივი პროდუქტები, ამ მიზნისათვის გამოუსადეგარად იქნა მიჩნეული. „მუდმივად“ გამოცხადდა მხოლოდ მათი საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენები³⁷. სწორედ ასეთ წარმოდგენებად გვევლინებიან ფონემები, თუმცა დეფინიციაში ფსიქიკური მომენტი ყოველთვის არ არის ასახული (მაგ., სეპირთან). ინდივიდუალურ ენობრივ სისტემაში აღნიშნული წარმოდგენა — ფონემები ჩნდება და კორექტირდება მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში, სხვათა (და საკუთარი) მეტყველების მოსმენის საფუძველზე. თავის მხრივ, ფონემა გვევლინება როგორც ნორმა, როგორც გარკვეული ენობრივი ეტალონი, რომელიც საფუძვლად ედება წარმოქმნის კონკრეტულ აქტებს. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ფონემური ინვენტარის ერთგ-

37 როგორც აღნიშნული იყო, განხილულ თეორიებში წარმოდგენები „მუდმივია“ მხოლოდ მეტყველების პროცესში ცვალებადი რეალიზაციების მიმართ.

ვარონებას მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის³⁸.

მეორე თვალსაზრისი, რომლითაც აღნიშნულ თეორიებში ენობრივი ფუნქციონირების მექანიზმი განიხილება, გულისხმობს იმ ცნობილი ფაქტების ახსნას, თუ რატომ აღიქვამს ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე მშობლიურ ენაში მხოლოდ გარკვეულ ბგერით განსხვავებას და ვერ აღიქვამს ზოგ ისეთ განსხვავებას, რომელიც შეიძლება შესამჩნევი იყოს სხვა ენაზე მოლაპარაკეთათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნულ თეორიებში მიმდინარეობს იმ ფართო ფუნქციონალური საფუძვლების დადგენა, რომელიც განაპირობებს კონკრეტულ ენობრივ აღქმასა და შესაბამის წარმოთქმას. ასეთ საფუძვლად, როგორც ნაჩვენებია იყო, მიჩნეულია ერთი მხრივ, მნიშვნელობასთან კავშირი — წარმოდგენათა მორფოლოგიზაცია-სემასიოლოგიზაცია (ბოდუენი, შჩერბა), მეორე მხრივ, მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია (შჩერბა, სეპირი, ბოდუენი).

„ენისა“ და „ენობრივის“ გაგების შესაბამისად ფონემებიც მენტალისტურ თეორიებში განხილულია როგორც ფსიქიკური რეალობის ელემენტები, ბგერის ფსიქიკური ეკვივალენტები, გარკვეული სახის წარმოდგენები³⁹, რომლებიც მეტყველების სფეროში რეალიზებულია ბგერითი ვარიანტებით, კონკრეტული სამეტყველო ბგერებით. ფონემები, როგორც საკუთრივ ენობრივი, ე. ი. სისტემის თვალსაზრისით არსებითი ელემენტები, უპირისპირდებიან ფიზიკურ ბგერებს, არაენობრივს, ე. ი. სისტემის თვალსაზრისით

³⁸ ეს ერთგვარონება, როგორც სათანადო თეორიათა განხილვისას ენახეთ, აბსოლუტური არ არის, იგი შეფარდებითია.

³⁹ თავის მხრივ, ეს „წარმოდგენები“ გაგებულია როგორც არაცნობიერი, ლატენტური ერთეულები (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ), რამაც გარკვეული შენიშვნები გამოიწვია საკუთრივ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით: არაცნობიერი არ შეიძლებაო კვალიფიცირებული ყოფილიყო როგორც ფსიქიკური (იხ. მაგ., D. Č y ž e v s k y j, Phonologie und Psychologie. გვ. 9. საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე არ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, 11, გვ. 68). ჩვენთვის ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო არაცნობიერის არსებობის შესაძლებლობის საკითხი საკუთრივ ფსიქოლოგიის პოზიციებიდან (მით უფრო, რომ ასეთი შესაძლებლობა ფსიქოლოგიამო დაშვებულია. დაწვრ. იხ. დ. უ ზ ნ ა ძ ე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, გვ. 138 და შემდ.). მთავარია, რომ ავტორები ფონემას განიხილავენ როგორც ფსიქიკაში არსებულ ერთეულს, ბგერის ფსიქიკურ სუბსტრატს და ეკვივალენტს.

არაარსებით ელემენტებს. ასეთი დაპირისპირება მიუღებელია ენათმეცნიერებისათვის, და, რაც მთავარია, დაუსაბუთებელი რჩება თვით მოცემულ თეორიათა ფარგლებშიც.

ფონემებისა და ბგერების ურთიერთობა აღნიშნულ თეორიებში გაგებულია როგორც ენის „ცენტრალური“ („ცერებრაციული“) და „პერიფერიული“ ნაწილების (ბოლუენი, შჩერბა), ან „ენისა“ და „მეტყველების“ (სოსიური, სეპირი) ელემენტთა ურთიერთობა. სათანადო თეორიათა განხილვიდან ჩანს, რომ ორსავე შემთხვევაში ძირითადად საქმე გვაქვს ფსიქიკური ენობრივი სისტემისა და მისი რეალიზაციის დამოკიდებულებასთან⁴⁰. უფრო ზუსტად, ერთი მხრივ არის ცერებრაცია, ენობრივ წარმოდგენათა დამუშავება, საკუთრივ ენა, როგორც მოლაპარაკეთა ფსიქიკაში არსებულ წარმოდგენათა „მოწესრიგებული კომპლექსი“, „მეტყველების პრაქტიკით დალექილი საგანძური“, მეორე მხრივ — მისი ობიექტივაცია სხვისი აღქმისათვის მისაწვდომი ფიზიკური (მოცემულ შემთხვევაში — ბგერითი) საშუალებებით, „მეტყველება“. ფონემა არსებობს ცერებრაციაში ანუ ფსიქიკურ ენობრივ სისტემაში როგორც ინვარიანტული ნორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვთქვათ და მოვისმინოთ სამეტყველო ბგერა, სწორედ როგორც მოცემული ენის ბგერა⁴¹. ასეთი ფსიქიკური კომპონენტის არსებობა (განურჩევლად იმისა, თუ როგორ გვესმის მისი ბუნება ან რას ვუწოდებთ მას), მართლაც აუცილებელია მეტყველების ფსიქო-ფიზიკური მექანიზმის ფუნქციონირებისა და საბოლოოდ ენობრივი კომუნიკაციისათვის. მაგრამ აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, რომ ენობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ სამეტყველო მექანიზმის ფსიქიკური ნაწილი. განხილულ თეორიათა ავტორები კი სწორედ ასეთ დასკვნას აკეთებენ, თუმცა, ფაქტობრივად ფსიქიკური და ფიზიკური მომენტების ურ-

⁴⁰ როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები (გვ. 38, 55), ერთი მხრივ, „ცენტრალური“ და „პერიფერიული“ ნაწილების, ხოლო, მეორე მხრივ, „ენისა“ და „მეტყველების“ გაგება მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ეს განსხვავება მოცემულ შემთხვევაში არ მიგვაჩნია არსებითად, რადგანაც იგი ეხება წარმოდგენათა ასოციაციების სფეროს და ფიზიკური რეალიზაციის პროცესში არაფერს ცვლის.

⁴¹ ენობრივი კომუნიკაციის, ენის სოციალური ფუნქციონირების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უფრო სრულყოფილია ბოლუენისეული გაგება ფონემისა, როგორც საწარმოთქმო-სმენითი (არტიკულაციურ-აუსტიკური) წარმოდგენისა. სოსიურ-სეპირის „აუსტიკური ხატი“ ასახავს ამ ფუნქციონირების მხოლოდ ერთ მხარეს — ენობრივ აღქმას.

თიერთობის საკითხი მათთან არსებითად მაინც სწორად არის დასმული. სახელდობრ, როგორც თავსებით სამართლიანად არის შენიშნული, ენობრივი ურთიერთობა მხოლოდ ფსიქიკური ელემენტებით შეუძლებელია. მისთვის ისევე აუცილებლად არის მიჩნეული ფიზიკური საშუალებებიც, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი ხდება უშუალო კონტაქტი. სწორედ ასეთი საშუალებების როლში გამოდიან ბგერები. მაგრამ ბგერა, ბგერითი ფაქტები, როგორც ეს განხილულ თეორიებშია გაგებულნი, არ არის უბრალოდ კონტაქტის საშუალება. თავის მხრივ, ფსიქიკური არ არსებობს ფიზიკურის გარეშე. ფიზიკურის მიმართ იგი მეორეულია, წარმოადგენს რა მის ასახვას. უფრო ზუსტად, თუ აღნიშნულ თეორიებში ფონემა, ერთის მხრივ, განიხილება როგორც რეალიზაციის საფუძველი, გარკვეული აზრით პირველადი და უცვლელი კონკრეტულ ბგერათა წარმოქმნის თვალსაზრისით, ეგვევ ფონემა, მეორე მხრივ, გაგებულია როგორც ბგერის ფსიქიკური ეკვივალენტი, წარმოთქმულ და მოსმენილ ბგერათა შთაბეჭდილებების შერწყმით მიღებული. სხვაგვარად, თუ ბგერა (ფიზიკური) ემყარება ფონემას (ფსიქიკურს), წარმოადგენს რა მის კონკრეტულ რეალიზაციას მეტყველების პროცესში, თავის მხრივ, ფონემა მიიღება ბგერებისაგან, წარმოადგენს მათ ფსიქიკურ რეპრეზენტაციას, ფსიქიკურ ეკვივალენტს.

სხვა საკითხია, თუ წარმოთქმა-მოსმენის ასეთი მოდელი რამდენად შეესაბამება ფაქტობრივ ვითარებას. სახელდობრ, თუ ფონემა, აღნიშნულ თეორიათა მიხედვით, მხოლოდ ბგერებისაგან (როგორც ვარიანტებისაგან) მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე არის შექმნილი, მაშინ როგორღა არის შესაძლებელი განსხვავებული ბგერებისაგან ერთნაირი შთაბეჭდილების მიღება? ავტორთა არგუმენტი, რომ მოლაპარაკე-მსმენელები ვარიანტულ განსხვავებას ვერ აღიქვამენ, ყოველთვის არ მართლდება. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვარიანტებს შორის განსხვავება არ ემთხვევა ამ ენისათვის რელევანტურ (ფონოლოგიურ) განსხვავებას, რაც გვაქვს, ჩვეულებრივ, ბოდუენისეული ე. წ. „წმინდა ფონეტიკური“ ანუ „ჩანასახოვანი“ დივერგენციის დროს, მართლაც შეიძლება (თუმცა გარკვეული შეზღუდვებით) დავუშვათ, რომ ენის მატარებლებს ვარიანტული განსხვავებები არ ესმით⁴². მაგრამ თუ ერ-

⁴² ის, რომ ენაში ასეთი განსხვავებების არსებობას მოცემული ენის მატარებლები ჩვეულებრივ ვერ გრძნობენ, განპირობებულია აღქმის ენობრივი, ფუნქციონალური ხასიათით და არა ნაკლებად გავარჯიშებული სმენის უუნარობით,

თი ფონემის ვარიანტებად მივიჩნევთ ბგერებს, რომელთა შორის განსხვავება ფონეტიკურად ემთხვევა ამ ენაში არსებულ ფონოლოგიურ განსხვავებას (რაც გვაქვს მორფოლოგიურად შეპირობებული ვარიანტების შემთხვევაში ბოდუენთან და სეპირთან), მაშინ ასეთ ვარიანტულ განსხვავებას მოლაპარაკებები აღიქვამენ⁴³. მაგ., ქართველი მოლაპარაკებისათვის ჩვეულებრივ არ არსებობს ისეთი ფონეტიკური განსხვავება, როგორცაა ვ და ჟ-ს შორის (ვ ფონემის მქლერ და ყრუ ვარიანტებს შორის ფორმებში ვ-ბარე და ვ-ხატე) განსხვავება. მაგრამ ისეთი ვარიანტული განსხვავება, როგორცაა გვაქვს თ და დ-ს შორის სიტყვებში „ავათ“ (<ავად) და „დაავადება“ უკვე შესამჩნევია, რადგან თ-დ განსხვავება რელევანტურია ქართული ენობრივი სისტემისათვის და სმენაც მიჩვეულია მის გარჩევას⁴⁴. ასე რომ, მორფოლოგიურად შეპირობებული ვარიანტების ერთ ფონემაში გაერთიანება შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს მხოლოდ როგორც ლინგვისტური ოპერაცია და უნდა შეფასდეს სწორედ ამ თვალსაზრისით⁴⁵. შესაბამისად, ფონემაც მენტალისტურ თეორიებში გამოდის არა მხოლოდ ფსიქოლინგვისტური (ენობრივი უნარის), არამედ ასევე ლინგვისტური მოდელირების ერთეულიც.

მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყდეს ერთ ფონემაში განსხვავებულ ბგერათა გაერთიანების საკითხი, ეს არ ეხება ფონემებისა და ბგერების, ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენების, დამოკიდებულების ხასიათს. აღნიშნულ თეორიებში ბგერითი ფენომენის ეს ორი მხარე განხილულია მათ კავშირში, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში, რაც კარგად არის გამოხატული სოსიურის დებულე-

როგორც ამას ზოგჯერ უშეებენ. იხ. მაგ., W. F. Twaddell, On defining the phoneme, გვ. 57—59; Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 47.

⁴³ ამ კონტექსტში ძალიან საყურადღებოა ს. ბულიჩის შენიშვნა, გამოთქმული ბოდუენის თვალსაზრისის მიმართ. სახელდობრ, „...თუკი, თვით პროფ. ბოდუენისავე განსაზღვრით, ბგერის მთლიან წარმოდგენაში ანუ ფონემაში შედის ყველა მოსმენილი ბგერის მოვონება, მაშინ უცნაურად გვეჩვენება ავტორის დაშვება, თითქოს აღაშინა, რომელსაც ესმის *ног* ფორმა *к* თანხმოვნით (*НОК*), მაინც წარმოიდგენს მას *г* თანხმოვნით“. С. Булич, Фонема, გვ. 24).

⁴⁴ ეს კარგად ჩანს ნაკლებად წიგნიერთა მიერ დაწერილ ფორმებზე დაკვირვებისას. ასეთი პირები ჩვეულებრივ წერენ „ავათ“, „მზავისი“ და მისთ. ფორმებს, ე. ი. ფაქტობრივად იმას, რაც ესმით.

⁴⁵ მენტალისტურ თეორიებში მკვლევრისა და ენის მატარებელთა სისტემების აღრევაზე იხ. აგრეთვე Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

ბით, რომ ენა არის „მეტყველების ინსტრუმენტიცა და მისი პროდუქტიც“. და მართლაც, ვინც ენას განიხილავს როგორც ურთიერთობის საშუალებას და ცდილობს მასში გამოყოფოს ურთიერთობისათვის აუცილებელი ფაქტორები, არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდეს აღნიშნულ ერთიანობას⁴⁶.

ამგვარად, დამოკიდებულება, რომელიც მოცემულ თეორიებში ფსიქიკურ ერთეულებსა (ფონემებსა) და მათ ფიზიკურ რეალიზაციებს (ბგერებს) შორის არის დაშვებული, „ენობრივისა“ და „არაენობრივის“ შორის რაიმე არსებითი დაპირისპირების საშუალებას არ იძლევა. ფონემებისა და ბგერების დაპირისპირება მოცემულ თეორიებში არ არის გამართლებული სხვა თვალსაზრისებითაც.

როგორც აღნიშნული იყო, ფონემა ამ თეორიებში გვევლინება აგრეთვე როგორც ნორმა, ენობრივი ეტალონი, რომელიც საფუძვლად ედება წარმოთქმისა და მოსმენის კონკრეტულ აქტებს. ამ აზრით ფონემა არის წარმოთქმის „მიზანიც“, „განზრახვაც“, რომელიც რეალიზებულია პერიფერიული შესრულების სფეროში კონკრეტული სამეტყველო ბგერებით⁴⁷. მაგრამ ეს რეალიზაცია ექვემდებარება გარკვეულ მოდიფიკაციებს (იგულისხმება როგორც თავისუფალი, ისე კომბინატორული ვარიაცია). სწორედ ამაში ხედავენ ავტორები აშკარა შეუსაბამობას (კოლიზიას, ბოდუენის მიხედვით), რომელიც თითქოს არსებობს ფონემურ განზრახვასა, resp. ენობრივ ნორმასა და მის ბგერით შესრულებას შორის. ფაქტობრივად, როგორც ეს შესანიშნავად აქვს ნაჩვენები სეპირს, არავითარი წინააღმდეგობა განზრახვასა და შესრულებას შორის, რომელიც შეიძლება გამოდგეს „ენობრივისა“ და „არაენობრივის“ დაპირისპირების საფუძვლად, აქ არ არის და არც შეიძლება იყოს⁴⁸. საქმე ის არის, რომ ავტორთა აზრითაც, ფონემები ფსიქიკაში არსებობენ არა იზოლირებულად (უფრო ზუსტად, არა მხოლოდ იზოლირებულად), არამედ უფრო დიდი ერთეულების —

⁴⁶ ამ აზრით სწორია ვ. დოროშევსკის შენიშვნა, რომ ბგერა საერთოდ არ არსებობს ამ ერთიანობის გარეშე. იხ. W. Doroszewski, *Autour du „Phonème“*, გვ. 64.

⁴⁷ მართალია, ფონემა ყველა თეორიაში „განზრახვის“ ტერმინებით არ არის დახასიათებული, მაგრამ ეს აზრი ყველგან გატარებულია.

⁴⁸ ამ თვალსაზრისით ფსიქოლოგიური თეორიების კრიტიკისათვის იხ. W. Doroszewski, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 67; H. C. Трубеевский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 47.

მორფემების, სიტყვების... შედგენილობაში. წარმოთქმის ფონემა მთლიანობაში⁴⁹, მთლიანობის წარმოთქმის ჩვევები კი განსხვავებულია იზოლირებულ ბგერათა წარმოთქმის ჩვევებისაგან. აქ უკვე საქმე გვაქვს ბგერათა ურთიერთაკომოდაციასთან, რომლის დროსაც ყოველი ბგერის წარმოთქმა იცვლება მეზობელ ბგერათა წარმოთქმის გავლენით. მაგრამ იგულისხმება, რომ ეს ცვლილებები მიმდინარეობს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოცემული ენის ნორმით ნაკარნახევი მიმართულებით და, განხილული თეორიების მიხედვით, სავალდებულოა მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის⁵⁰. თუკი არსებული ნორმიდან გადახრა იმდენად დიდი იქნება, რომ შესამჩნევი გახდება ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის, თანდათანობით შეიცვლება ნორმა (სათანადო ადგილები დაწვრ. იხ. ზემოთ). მაშასადამე, გამოდის, რომ ენობრივი ნორმა მხოლოდ ფსიქიკურად არსებულ ფონემებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მათ შესრულებაშიც⁵¹. ასევე ენობრივი ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს აღქმაც: მსმენელს ვარიანტული განსხვავება ჩვეულებრივ არ ესმის⁵².

ფონემებსა და ბგერებს შორის არ შეიძლება დადგეს აგრეთ-

49 И. А. Бодуэн де Куртене, ИГ, II, გვ. 60.

50 მართალია, ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ პოზიციური ვარიანტები, მაგრამ ნორმის გავლენისაგან არც ე. წ. „თავისუფალი“ ვარიანტებია მთლიანად თავისუფალი. მათი წარმოთქმაც ნორმის ირგვლივ მერყეობს.

51 წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი ჩანს ფონემის „წერტილოვანი“ ბუნების დაშვება, როგორც ეს განხილულ მენტალისტურ თეორიებში გვაქვს. სახელდობრ, თუ ფონემა, როგორც ენობრივი ნორმა, არსებობს დამოუკიდებელი ფსიქიკური „წერტილის“ სახით, მაშინ უნდა დავუშვათ სათანადო რეალიზაციათა, როგორც ნორმისაგან განსხვავებულ ერთეულთა, შესაბამისი დამოუკიდებელი ფსიქიკური „წერტილების“ არსებობაც. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

52 ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ამერიკელი ლინგვისტის მ. სკოდემის თვალსაზრისი. სკოდემის მიხედვით, ფონემის ნორმა რთული შედგენილობისა და შეიცავს „ვარიანტულ ნორმებს“, დამოკიდებულს „იმ ფონეტიკურ გარემოებებზე, რომლებშიც მოცემული ფონემა გვხვდება“. მაგ., ინგლ. p ფონემისათვის შეიძლება დადგენილ იქნეს უკიდურეს შემთხვევაში სამი ნორმა მაინც. სახელდობრ: შედარებით ძლიერი ასპირირებული — სიტყვის თავკიდურში (pit); ძლიერი არასპირირებული — ხმოვნებს შორის (upper); სუსტი არასპირირებული — s-ს შემდეგ (spill). დაწვრ. იხ. M. Swadesh. The phonemic principle. გვ. 119.

ვე სოციალურისა და ინდივიდუალურის მიმართების საკითხი, როგორც ეს სოსიურთან ვეაქვს.

ზემოთ აღნიშნული იყო (გვ. 53), რომ სოსიურისათვის სოციალური მხოლოდ ფსიქიკურია და ისიც არა მთლიანად, არამედ მისი პასიური, რეცეპტორული ნაწილი (i→c). სოციალურის ასეთი უკიდურესი სტერილიზაცია რამდენადმე აბუნდოვანებს თვით სოციალური ფუნქციონირების მექანიზმის გაგებას. სახელდობრ, პირდაპირი მნიშვნელობით სოციალურისა და ინდივიდუალურის დამოკიდებულებაზე სოსიურთან ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეტყველება გაგებულა როგორც ინდივიდუალური კომბინაციების წარმოქმნა⁵³. მაგრამ როდესაც მეტყველებაში ნაგულისხმევაა ფიზიკური რეალიზაციის აქტები, ძნელია ვილაპარაკოთ ასეთ დაპირისპირებაზე. საქმე ის არის, რომ ავტორი, მართალია, გახაზავს წარმოთქმის შესრულების ინდივიდუალურ ხასიათს, მაგრამ წარმოთქმა ხომ მთლიანად ინდივიდუალური არ არის⁵⁴. ინდივიდუალური შესრულება შეზღუდულია ენობრივი ნორმებით. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამაზე თვით ავტორიც მიუთითებს, როდესაც ამბობს, რომ ინდივიდები ცდილობენ გაიმეორონ (reproduiront) თუ ზუსტად არა, მიახლოებით. მაინც, ერთი და იგივე ნიშნები, დაკავშირებული ერთსა და იმავე ცნებებთან⁵⁵, მაგრამ აქედან სათანადო დასკვნები არ გამოყავს. ასე რომ, ფაქტობრივად, მოცემულ შემთხვევაშიც რელევანტური რჩება მაინც პოტენციური ფსიქიკური სისტემისა და მისი კონკრეტული ობიექტივაციის დამოკიდებულება.

⁵³ მეტყველების დამახასიათებელი თვისებაა კომბინაციათა თავისუფლება, ამბობს სოსიური. მაგრამ ეს თავისუფლება მაინც საკმაოდ პირობითი გამოდის, რადგანაც ავტორისავე აღიარებით, ყველა კომბინაცია (სინტაგმა) ერთნაირად თავისუფალი როდია. სახელდობრ, კომბინაციები, რომლებიც აგებულია გარკვეული „შაბლონებით“ განეკუთვნება „ენას“ და არა „მეტყველებას“. ამიტომაც არის, რომ სინტაგმატიკის სფეროში კოლექტიური გამოყენებით განმტკიცებული ენის ფაქტებისა და ინდივიდის თავისუფლებაზე დამოკიდებული მეტყველების ფაქტების გამოჩენას ავტორი ვერც ახერხებს. დაწერ. იხ. F. de Saussure, Cours.... გვ. 173.

⁵⁴ აღნიშნული თვალსაზრისით სოსიურის კრიტიკისათვის იხ. O. Jespersen, *Mankind, national...*; A. C. Чикобава, *Проблема языка как предмета языкознания*, გვ. 117—118; A. И. Смирницкий, *Объективность существования языка*, გვ. 15; P. A. Будагов, *Из истории языкознания*, გვ. 11 და შემდ.

⁵⁵ F. de Saussure, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ასევე გაუმართლებელია ენათმეცნიერებისათვის ფონემებისა და ბგერების, როგორც ფუნქციონალური და არაფუნქციონალური ერთეულების დაპირისპირება, რასაც ზოგჯერ გახაზავს ე. სეპირი⁵⁶ (იხ. ზემოთ, გვ. 74).

როგორც აღნიშნული იყო, სეპირის მიხედვით, ფსიქიკურია მხოლოდ ის, რაც ფუნქციონალურია, „სიგნიფიკურია“ მოცემული ენის თვალსაზრისით. მაგრამ მაშინ ასევე ფუნქციონალურია მეტყველება, საიდანაც ხდება ფსიქიკურის მიღება, ენობრივის, resp. ფუნქციონალურის, კრისტალიზაცია. მართალია, მეტყველებაში ენობრივთან ერთად არის „არაენობრივიც“, ე. ი. ის, რაც წარმოქმნილია პერიფერიული შესრულების სფეროში, მაგრამ ამის გამო მათი დაპირისპირების საკითხი, თეორიულად მაინც, არ უნდა დამდგარიყო. საქმე ის არის, რომ ავტორისავე აზრით, არაფუნქციონალურ განსხვავებებს მოლაპარაკებები ვერ აღიქვამენ და ამდენად ეს განსხვავებები არც არსებობენ მოცემული ენის, როგორც ფსიქიკური სისტემის, თვალსაზრისით. ასე რომ, ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ბგერებს შორის ფუნქციონალური და არაფუნქციონალური განსხვავებების გამოიჯნას მეტყველებაში და არა ამ თვალსაზრისით ენისა და მეტყველების ელემენტთა დაპირისპირებას.

1. 24 ლინგვისტური ფსიქოლოგიზმის შემდგომი პერიოდი ენათმეცნიერებაში ხასიათდება ძლიერი ანტიმენტალისტური ტენდენციებით. ფონემის მენტალისტური თეორიებიც მიჩნეულ იქნა როგორც კრიზისის გამოხატულება⁵⁷ და თითქმის ბოლო დრომდე მათი მნიშვნელობა მხოლოდ ფონოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით ფასდებოდა. ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო არა იმდენად ფონემის მოცემული ვაგებიდან გამომდინარე კონკრეტულ ნაკლოვანებათა გააზრებით, რამდენადაც ზოგადი დაშვებით, რომ ფონემის ზუსტი ფსიქოლოგიური დეფინიცია ენათმეცნიერების ფარგლებში შეუძლებელია და, რაც მთავარია, არ არის საჭირო⁵⁸. შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც ფსიქიკაში მიმდინა-

56 სხვა მენტალისტურ თეორიებში ამ დაპირისპირების საკითხი არსებობდა არც დამდგარა.

57 А. Мартине, О книге: «Основы лингвистической теории» Л. Ельмслева, გვ. 438.

58 დაწერ. იხ. W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 57; Л. Блумфилд, Язык, გვ. 46; Н. С. Трубачковой, დასახ. ნაშრ., გვ. 47—48.

რე ენობრივი პროცესები სრულიად მიუწვდომელი ჩანს უშუალო დაკვირვებისათვის. ფონემის მენტალისტური ინტერპრეტაციის საჭიროება კი მოიხსნა იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერება გაემიჯნა ფსიქოლოგიას, შეიცვალა თვით ლინგვისტური კვლევის საგანი. ენობრივი სისტემა იმ სახით, როგორც ის სოსიურის შემდეგ (და მისი გავლენით) გამოყოფილ იქნა კვლევის სპეციფიკურ ობიექტად განსხვავებულ ენათმეცნიერულ მიმდინარეობებში, არსებითად წარმოადგენს „ვარიანტებად“ მიჩნეულ კონკრეტულ სამეტყველო ფაქტებში რეალიზებულ და მათგან აბსტრაქციით მიღებულ ინვარიანტთა სისტემას. ეს არის სამეტყველო მოქმედების მზა პროდუქტი, ტექსტით წარმოდგენილი და ტექსტის ანალიზით მისაღწევი⁵⁹. იმ მექანიზმის შესწავლის საჭიროება კი, რომელიც ქმნის და ამუშავებს ამ პროდუქტს კომუნიკაციის მიზნებით, საერთოდ მოიხსნა⁶⁰. შესაბამისად, დავიწროვდა ენათმეცნიერული კვლევის სფეროც. განსაკუთრებული სიმკაცრით იქნა მოთხოვნილი ლინგვისტური კვლევის შემოსაზღვრა კლასიკურ სტრუქტურალისტურ სკოლებში. ძირითადი ამოცანა, რომელიც აქ საკუთრივ ლინგვისტიკის ანუ „მიკროლინგვისტიკის“ წინაშე ისახება. ამ სისტემის, მისი ელემენტების, ამ უკანასკნელთა შორის არსებულ სპეციფიკურ მიმართებათა სტრუქტურის დადგენაში მდგომარეობს⁶¹. ხოლო ის, რაც ამ პრობლემატიკის ფარგლებს გარეთ

⁵⁹ „ტექსტი“ აქ გამოყენებულია გლოსემატიკაში მიღებული მნიშვნელობით, სახელდობრ, როგორც ნებისმიერი (ბგერითი, გრაფიკული) სუბსტანციით მანიფესტირებული სინტაგმატური ჯაჭვები. იხ. L. Hjelmslev, *Prolegomena...*, გვ. 86.

⁶⁰ აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სტრუქტურალისტებიცა და მათი მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც სხვა პუნქტებში ტრადიციულ ლინგვისტიკას აგრძელებენ, საესებით ერთნაირ თვალსაზრისზე დგანან.

⁶¹ „სტრუქტურალიზმი“ ენათმეცნიერებაში არ ყოფილა ერთგვაროვანი მიმდინარეობა. ენის სისტემისა და სტრუქტურის, მათ შორის მიმართების (ყველა აქედან გამომდინარე შედეგებითურთ) გაგება, რომელსაც ემყარებიან სტრუქტურალისტური მიმდინარეობები, საკმაოდ განსხვავებულია. უფრო ზუსტი იქნება თუ ვილაპარაკებთ სტრუქტურალისტურ მიმდინარეობებზე, როგორც გარკვეულ ეტაპზე ლინგვისტიკის ისტორიაში. სისტემისა და სტრუქტურის სხვადასხვაგვარი გაგებისათვის და საერთოდ განსხვავებული სტრუქტურალისტური სკოლების შესახებ დაწერ. იხ. A. Martinet, *Structural linguistics*; E. Benveniste „Structure“ en linguistique; В. Скаличка. Копенгагенский структурализм и «Пражская школа»; К. Хансен, Пути и цели структурализма; М. М. Гухман. Исторические и методологические

რჩება (მეტყველების ფსიქო-ფიზიკური თავისებურებები, ის მხარეები, რომლითაც ენა დაკავშირებულია საზოგადოებასთან, აზროვნებასთან და მისთ.), „მაკროლინგვისტიკის“ კომპეტენციამი გადადის⁶².

ლინგვისტური კვლევის ობიექტის შეცვლასთან დაკავშირებით იცვლება ფონემური სისტემის, მისი ფუნქციონირების გაგებაცა და შესწავლის მეთოდებიც ანტიმენტალისტურ თეორიებში. ფონოლოგიური ანალიზი მიმდინარეობს უკვე არა იმის გათვალისწინებით, თუ რა აისახება ფსიქიკურ სისტემაში, არამედ მხოლოდ იმის საფუძველზე, რაც „ობიექტურად“ გვეძლევა ბგერითი რეალიზაციის სფეროში. ფონემური სისტემის შესწავლა ფაქტობრივად ნიშნავს იმის დადგენას, თუ ენისათვის დამახასიათებელი ბგერითი მიმართებებისა და სუბსტანციური თავისებურებებიდან რომელია მოცემული ენობრივი სისტემის, მისი ფუნქციონირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი. იმის მიხედვით კი, რა ზოგადმეთოდოლოგიური და ზოგადლინგვისტური პრინციპები ედება საფუძვლად თვით ამ ენობრივი სისტემის, მისი ფუნქციონირების შესწავლას, რა კონკრეტულ ამოცანებს ისახავს სათანადო კვლევა, განსხვავებულია ფონემის ცნებაც და, შესაბამისად, ფონემებსა და ბგერებს შორის დამოკიდებულების გაგებაც აღნიშნულ თეორიებში. ჩვენ აქ ვერ შევხებით, თუნდაც გაკვრით, ყველა იმ საკითხს, რომელიც ფონემის სხვადასხვაგვარ გაგებასთან ან მის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით დგება. მკითხველთა ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ ძირითად მომენტებზე, რომელთაც განსაზღვრეს ფონემის ცნების თავისებურება ამა თუ იმ თეორიაში⁶³.

1. 241 ფონემის ე. წ. ფიზიკური თეორიები კვლევის ძირითად მიზნად ისახავენ ობიექტურად ენაში დადასტურებულ ბგერათა სიმრავლის მოწესრიგებას ლინგვისტური თვალსაზრისით, მაგრამ ამასთანავე ცდილობენ ფონემას შეუნარჩუნონ სათანადო ბგერითი ვარიანტების ფონეტიკური სახე. ამდენად არის ფიზიკური თეორი-

კие основы структурализма; А. С. Мельничук. Понятия системы и структуры языка; თ. შარაძენიძე, სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლების შესახებ.

62 მიკრო- და მაკროლინგვისტიკის შესახებ დავერ. თხ. G. L. Trager, The field of linguistics.

63 რაც შეეხება ფონემური ანალიზის საკითხებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ფონემის რაობის გაგება, მათზე სპეციალურად მსჯელობა გვექნება ქვემოთ, ნაშრომის მეორე ნაწილში.

ების ფონემა „ფონეტიკური ბუნების“ ერთეული⁶¹. შესაბამისად, ფონემის დეფინიციებიც მოცემულია არა ფონემური სისტემის, არამედ ბგერების ტერმინებით (ფონემა — ბგერათა კლასი, ფონემა — ბგერთი ტიპი).

აღნიშნული (განსაკუთრებით, ფონემის, როგორც ბგერათა კლასის) თეორიები სპეციალისტების მიერ ხშირად კვალიფიცირებულია როგორც არაფუნქციონალური თეორიები⁶⁵. ამ თეორიებს, მართლაც არ მოუციათ ენობრივი, კერძოდ, ფონემური სისტემის, ფუნქციონირების რამდენადმე სრული სურათი (რაც მათ ფარგლებში ფაქტობრივად მიუღწეველიცაა), მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მათთვის ფუნქციონალური მიდგომა უცხოა. როგორც ფონემური ანალიზის პროცედურებიდან ჩანს (დაწვრ. იხ. ქვემოთ), ფონემები აქაც გარკვეული ფუნქციონალური თვალსაზრისით დადგენილი აბსტრაქციებია (შჩერბასა და მის მიმდევრებთან ეს მომენტი დეფინიციაშიც არის შეტანილი), რომლებიც არ ემთხვევიან თავიანთ ბგერთ რეალიზაციებს⁶⁶.

როგორც ფონეტიკური ბუნების ერთეულები, ფონემები აღნიშნული ტიპის თეორიებში ხასიათდებიან შესაბამისი ბგერთი ვარიანტების ფონეტიკურ თავისებურებათა ტერმინებით. მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენადაც ფონემები გათანაბრებული არიან სამეტყველო (საწარმოთქმო-აკუსტიკურ) ნორმასთან, ამან გამოიწვია ზოგ ავტორთან ფონემის წვერებს ანუ ვარიანტებს შორის ერთ-ერთის, როგორც ძირითადი წვერის, ძირითადი ვარიანტის გამოყოფის საჭიროებაც.

ფონემის, როგორც ბგერათა ოჯახის, ბგერათა კლასის, ინტერპრეტაციისათვის ასეთი დაშვება (როგორც ეს გვაქვს ჯონსთან) არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც ჩანს. საქმე ის არის, რომ „ბგერათა ოჯახი“, „ბგერათა კლასი“ გამოდის მექანიკური ერთიანობა, მართალია, „თვისებებით მონათესავე“, მაგრამ მაინც ფონეტიკურად რამდენადმე განსხვავებული ბგერებისა. ასეთ პირობებში მისი, როგორც „ფონეტიკური ბუნების ერთეუ-

⁶¹ D. Jones, The phoneme... გვ. 218.

⁶⁵ იხ. მაგ., Н. С. Трубейкојй, დასახ. ნაშრ., გვ. 50; А. А. Реформатский, К проблеме фонемы..., გვ. 469; L. Hjelmslev, Prolegomena..., გვ. 51; A. Martinet, [რეუ.] D. Jones, The phoneme..., გვ. 253.

⁶⁶ სწორედ ასეთ განზოგადებას გულისხმობს ლ. შჩერბა, როდესაც განასხვავებს საკუთრივ ენის (ენობრივი სისტემისა) და მეტყველების ფაქტებს. იხ. ზე-ოთ, გვ. 88.

ლის“, ე. ი. გარკვეული მთლიანობის, ფონეტიკური დახასიათება შეიძლება მხოლოდ რომელიმე ვარიანტის, კერძოდ, ძირითადი ვარიანტის მიხედვით⁶⁷. მაგ., ქართულ წარმოთქმაში გვაქვს ორი კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი ვ და ჟ. ამათგან ვ გვხვდება ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების წინ, ჟ კი — ყრუ თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოში. ფონემის აღნიშნული გაგების თანახმად, ეს ორი ბგერა გაერთიანდება ერთ ფონემაში (ისინი არ გვხვდებიან ერთსა და იმავე პოზიციაში და ავლენენ გარკვეულ ფონეტიკურ სიახლოვეს). მაგრამ იმისათვის, რომ ეს ფონემა დახასიათდეს როგორც „ფონეტიკური ერთეული“, მხოლოდ წევრების დადგენა არ არის საკმარისი. წევრების დადგენა საკმარისი აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმის კონსტატაციისათვის, რომ მოცემულ ფონემაში ერთიანდებიან კბილბაგისმიერი მჟღერი და ყრუ ნაპრალოვნები, მაგრამ ამის საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, თუ როგორ უნდა დახასიათდეს ქართული ენის ფონემურ სისტემაში შემავალი შესაბამისი ფონემა, როგორც კბილბაგისმიერი მჟღერი ნაპრალოვანი თუ როგორც კბილბაგისმიერი ყრუ ნაპრალოვანი. სწორედ ამისთვისაა აუცილებელი გამოიყოს ძირითადი ვარიანტი (ანუ ნორმა), რომლის მიხედვით მოხდება სათანადო ფონემის დახასიათებაც. ასეთი ვარიანტი გარკვეული ნიშნების მიხედვით ქართულისთვის იქნება მჟღერი ვ და არა ყრუ ჟ. შესაბამისად, განხილული ფონემაც დახასიათდება როგორც მჟღერი კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი. ამიტომ, მოცემული თეორიის თვალსაზრისით, არათანმიმდევრულად მიგვანჩნია ამერიკელ დესკრიპტივისტთა პრაქტიკა, რომლის თანახმად ფონემის ყველა ვარიანტი — ალოფონი თანაბარუფლებიან წევრებად არის გამოცხადებული (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ).

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს იმ თეორიებში, რომლებშიც ფონემა განსაზღვრულია როგორც „ბგერითი ტიპი“. აქ ფონემისა და ბგერის ურთიერთობა განხილულია როგორც ზოგადის, საერთოსა და კერძოს, კონკრეტულის დამოკიდებულება. როგორც ცნობილია, ასეთი დამოკიდებულება გულისხმობს, რომ ყოველი კერძო, ინდივიდუალური მოვლენა გამოხატავს თავის ზოგად ტიპს, წარმოადგენს მისი არსებობის ფორმას, ხოლო ზოგადი, სა-

67 ასე რომ, აქ კლასი განისაზღვრება რეალიზაციათა ნიშნებით და არა კირიქით. შდრ. R. Jakobson and M. Halle, *Fundamentals of language*, გვ. 13.

ერთო, მოცემულია კერძოში, ინდივიდუალურში. ამიტომაც ყველა კონკრეტული მოვლენა, როგორც ზოგადის, საერთოს, არსებობის ფორმა, ამ ზოგადის, საერთოს თვალსაზრისით თანაბრად ღირებუ-
ლი გამოდის⁶⁸.

თუ ამ პოზიციიდან შევხედავთ ფონემისა და ბგერის დამოკი-
დებულებას, როგორც მას წარმოგვიდგენენ შჩერბა და მისი მიმ-
დევრები, მაშინ მათთანაც არ შეიძლებოდა დამდგარიყო ძირითადი
ვარიანტის გამოყოფის საკითხი. როგორც უკვე აღნიშნული იყო,
შჩერბასთან ფონემა — ბგერითი ტიპი ემყარება მხოლოდ ერთ ვა-
რიანტს (ელფერს), რომელიც, ავტორის აზრით, „სხვადასხვა მი-
ზეზთა გამო“ ყველაზე ტიპობრივია მოცემული ფონემისათვის (იხ.
ზემოთ, გვ. 89). სწორედ ეს არის ნორმა. მაგრამ თუკი ფონე-
მა, როგორც ბგერითი ტიპი, ზოგადია, მაშინ, იგი არ შეიძლება ემ-
ყარებოდეს მხოლოდ ერთ ელფერს. მისთვის ყველა ელფერი თა-
ნაწორუფლებიანი და თანაბრად „ტიპობრივი“ უნდა იყოს. თუ ფო-
ნემური ნორმა დაკავშირებულია მხოლოდ ერთ, „ტიპობრივ“ ელ-
ფერთან, მაშინ გამოდის, რომ სხვა (არატიპობრივი) ელფერები
წარმოადგენენ ნორმიდან გადახრას. ეს კი არ შეესაბამება ფაქტობ-
რივ ვითარებას. ყოველი ვარიანტი არსებობს როგორც პოზიციუ-
რი ვარიანტი, ე. ი. გვხვდება მხოლოდ ერთ გარკვეულ ფონეტიკურ
გარემოცვაში და არ შეიძლება შეგვხვდეს მეორეში. ეს ნიშნავს,
რომ ყოველი პოზიციური ვარიანტი ნორმაა თავისი ადგილისათვის
(და ამიტომაც არ აღიქმის მსმენელთა მიერ)⁶⁹. სწორედ ამ გარე-
მოებას უწევს ანგარიშს მ. სვოდეში, როდესაც „ფონემური ნორ-
მის“ გვერდით, უფრო ზუსტად, მის საფუძვლად, სრულიად სა-
მართლიანად, „ვარიანტულ ნორმებსაც“ უშვებს⁷⁰ (იხ. ზემოთ, გვ. 173).

⁶⁸ დაწერ. იხ. Философская энциклопедия, т. 2, გვ. 102—104.

⁶⁹ როგორც ექსპერიმენტებიდან ჩანს, პოზიციური ვარიანტების შეცვლა
სხვა პოზიციური ვარიანტებით არა მხოლოდ არღვევს საწარმოთქმო — აკუსტი-
კურ ნორმას, არამედ უმეტეს შემთხვევაში გაუგებარს ხდის თვით ბგერას.
დაწერ. იხ. C. M. Harris, A study of the building blocks in speech; C. D. Schatz, The role of context in the perception of stops; A. M. Li-
berman, P. Delattre and F. S. Cooper, The role of selected stimu-
lus-variables in the perception.

⁷⁰ ამ კონტექსტში ძალიან საყურადღებოა ლ. ზინდერის შენიშვნა გარკვე-
ულ შემთხვევებში „ძირითადი ელფერის უქონლობისა და მოცემული ფონემი-
სათვის რამდენიმე თანაბარუფლებიანი ელფერის არსებობაზე“ (იხ. ზემოთ, გვ.
90—91).

ფონემის ცნებასთან დაკავშირებით არსებით შენიშვნას იწვევს ფიზიკურ თეორიათა კიდევ ერთი მხარე. აღნიშნული თეორიები სერიოზული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ საერთო ენობრივი, კერძოდ, საერთო ფონემური, სისტემის დადგენის დროს. თუ რა სახისაა ეს სირთულე, კარგად ჩანს ჯოუნზის თეორიის მაგალითზე. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ თეორიის პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბგერათა ფონეტიკური მსგავსების დადგენის საკითხს. ამ მსგავსების ძიებამ მიიყვანა ავტორი ფონემის ცნების პარალელურად დიაფონის (სხვადასხვა ინდივიდის მიერ გამოყენებული ბგერათა ოჯახის) ცნების საჭიროებამდე (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ, გვ. 80 — 81). სახელდობრ, იჯულისხმება, რომ სხვადასხვა ინდივიდთა მიერ წარმოთქმულ ბგერებს შორის ფონეტიკური განსხვავება იმდენად დიდია, რომ ძნელია ვილაპარაკოთ მათთან ერთგვარი ფონემური სისტემის არსებობაზე. ფაქტობრივად, დიაფონური ვარიანტების გამოყენებლებს აქვთ საკუთარი ფონემები, ან უჩვეულო ფონემური დისტრიბუცია, ზოგჯერ კი საერთოდ ძნელია იმის გარკვევა, დიაფონური ვარიანტები გვაქვს, თუ სხვადასხვა ფონემები. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ ენაში იმდენი ფონემური სისტემა გვექონია, რამდენიც ინდივიდია (ამას ემატება სხვადასხვა სტილით მეტყველებაც). ასე ფართოდ ინდივიდუალური მეტყველების გათვალისწინება აღნიშნული თეორიის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მაშინ, ფაქტობრივად, გადაუჭრელი რჩება საერთო ფონემური სისტემის საკითხი. ამ მხრივ კი მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო სწორედ დიაფონების თეორიის განვითარებას, ვიდრე ფონემებისას. უფრო მეტიც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე ინდივიდიც კი არასოდეს არ წარმოთქვამს ერთსა და იმავე ბგერას ერთნაირად, მაშინ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ნ. ტრუბეცკოის. რომ ჯოუნზისეული ფონემა ფაქტობრივად უნდა განისაზღვროს როგორც დიაფონების ოჯახი⁷¹.

1. 242 ფონემის მორფემატული თეორია მიზნად ისახავს ენის, კერძოდ, მისი ფონემური სისტემის, ფუნქციონალურ ანალიზს მორფოლოგიური მონაცემების საფუძველზე. თეორია ამოღის იმ პრინციპიდან, რომ ბგერითი მხარე შესწავლილი უნდა იქნეს არა დამოუკიდებლად (როგორც დამოუკიდებელი ენობრივი „იარუსი“) არამედ ენის სტრუქტურული იერარქიის გათვალისწინებით. რო-

⁷¹ Н. С. Трубецкой, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 51.

გორც მთლიანობის ნაწილი, რომელიც „აუცილებელ“ კავშირშია სხვა, კერძოდ, მორფემატულ იარუსთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეორია მიზნად ისახავს აღწეროს ენის ბგერითი მხარე მორფემებთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა განსაზღვროს მორფემათა ფონემური შედგენილობა.

თავისთავად მორფემის ფონემური შედგენილობის განსაზღვრა იმდენად მნიშვნელოვანია ენის როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კვლევის თვალსაზრისით, რომ ამას სპეციალური დასაბუთება არც სჭირდება. მაგრამ თვით ბგერითი ფაქტებისადმი ასეთი მიდგომა საერთოდ ფონემური სისტემის ფუნქციონირების შესწავლის თვალსაზრისით (რისი პრეტენზიაც თეორიას აქვს), რა თქმა უნდა, საკმაოდ ვიწრო და ცალმხრივია, თუმცა სავსებით გამართლებული და მისაღები.

თეორიის ამოსავალი პრინციპებისა და კვლევის დასახული მიზნების შესაბამისად, ფონემა გაგებულია როგორც მორფემის კომპონენტი, „მორფემის მოძრავი ელემენტი“ (ბოდუენისეული აზრით). როგორც ასეთი, ფონემა წარმოადგენს აბსტრაქციას, რომელიც აერთიანებს ფონეტიკურად განსხვავებულ, მაგრამ ფუნქციონალურად იგივეობრივ, კერძოდ, ერთი და იმავე მორფემის შემადგენელ ბგერებს (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ. გვ. 95 და შემდ). ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ფონემის ცნების აგებისას ბგერათა ფონეტიკური თვისებები საერთოდ არ იყოს გათვალისწინებული⁷². რეფორმატსკის მიხედვით, ფონემა მაინც „ბგერითი ერთეულია“ (იგი ენაში ასრულებს პერცეფციულ ფუნქციასაც) და ფონეტიკურად ხასიათდება თავისი ვარიანტების მიხედვით (მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენენ ეს ვარიანტები). სახელდობრ, მოცემული გაგების თანახმად, ფონემა აერთიანებს სრულიად განსხვავებულ ბგერით სიდიდეებს — ვარიაციებსა და ვარიანტებს (იხ. ზემოთ, გვ. 98). ვარიაციების მიმართ ფონემა გამოდის საერთო, რომელიც „ვლინდება ცალკეულში, ცალკეულის გზით“. აქ გარდა ფუნქციონალური ერთიანობისა, გარკვეული ფონეტიკური სიახლოვეც გვაქვს: ვარიაციები ფონემის ის მოდიფიკაციებია, რომლებიც იცვლებიან რა წარმოთქმის კონკრეტული პირობების მიხედვით, მაინც ინარჩუნებენ საერთო კონსტიტუციურ თავისებურე-

⁷² შდრ. Т. П. Ломтев, Проблема фонемы в свете нового учения о языке. сб. аგრეთვე Л. Р. Зиндер, Существуют ли звуки речи? 33-293.

ბებს. ეს კი ნიშნავს, რომ მათზე დამყარებული ფონემაც ატარებს მათ ფონეტიკურ სახეს და არ ირევა სხვა ფონემებში. ამ მხრივ, მდგომარეობას ვერ ცვლის ერთი ფონემის ფარგლებში ვარიანტების გაერთიანებაც. ავტორისეული განმარტების თანახმად, ვარიანტი არის სიგნიფიკაციურად სუსტი პოზიციის ბგერა. ფონეტიკურად იგი შეიძლება ემთხვეოდეს სხვა ფონემასაც, ე. ი. ვარიანტების შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფონემათა გადაკვეთას. მაგრამ მოცემული ფონემის ფონეტიკური სახის დადგენაზე არც ეს მოქმედებს, რადგან ამ უკანასკნელისათვის გადაწყვეტია მაინც ფონემის ძირითადი ვარიანტი. მაგ., ქართულში სიტყვის ბოლოს მქდერი თანხმოვნები ყრუვდებიან: დ—თ, ბ—ფ, ზ—ს და ა. შ. მაგრამ ასეთი ყრუ ვარიანტების არსებობა, მოცემული თეორიის თვალსაზრისით, ხელს არ შეგვიშლის სათანადო ფონემები დავახსიათოთ ძირითადი ვარიანტის მიხედვით როგორც მქდერები (შდრ. ავათ, მაგრამ ავადა).

ავტორის აზრით, ფონემა და ბგერა ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ფუნქციონალური და არაფუნქციონალური ერთეულები: ბგერა ფონეტიკური დაყოფის ერთეულია, ფონემა კი — მორფოლოგიური, resp. ფუნქციონალური, სემიოტიკური დაყოფისა. ასეთი დაპირისპირებისათვის არავითარი საფუძველი არ არის. საქმე ის არის, რომ ფონემა ავტორს ბგერებისაგან გამოყავს: ფონემა გარკვეულ ბგერათა რიგია, მათი აბსტრაქციაა⁷³. ეს ბგერები კი ერთიანდებიან ფუნქციური იგივეობის საფუძველზე, ე. ი. ისინი ასრულებენ ერთნაირ ფუნქციას და წარმოგვიდგებიან როგორც უშუალოდ ამ ფუნქციის შემსრულებლები, ე. ი. ფუნქციონალური და სემიოტიკური ერთეულები. ფონემა ფუნქციონალურია იმდენად, რამდენადაც ემყარება ბგერათა რეალურ ფუნქციონირებას. მხოლოდ ამ აზრით არის იგი „რეალური“ აბსტრაქცია. ასე რომ, ფონემებსა და ბგერებს შორის განსხვავება, როგორც მას წარმოგვიდგენს მორფემატული თეორია, ფაქტობრივად შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც ლინგვისტურ და ენობრივ ერთეულებს შორის განსხვავება.

1. 243 ენობრივი ფუნქციონირების თვალსაზრისით ბგერითი მხარის შესწავლას ისახავს მიზნად ფონემის ფუნქციონალური თე-

⁷³ როგორც საკვებით სამართლიანად შენიშნავს ს. ბერნშტეინი, აქ გვაქვს ბგერითი მატერიისაგან აბსტრაქციების უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე ეს გვქონდა შეჩერბას „ბგერით ტაში“. იხ. С. И. Бернштейн, Основные понятия фонологии. გვ. 63.

ორიაც. ძირითად ფუნქციად მიჩნეულია დისტინქციური (სიტყვათა მნიშვნელობის განმასხვავებელი) ფუნქცია და მთლიანად თეორიაც ამ ფუნქციის მიხედვითაა აგებული. განხილულ თეორიათაგან განსხვავებით აქ ფონოლოგიის ძირითად ცნებად ცხადდება არა ფონემის, არამედ დისტინქციური (ფონოლოგიური) ოპოზიციის ცნება⁷⁴ (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ, გვ. 110). შესაბამისად, ენის ფონოლოგიური სისტემის დადგენა გულისხმობს, პირველ ყოვლისა, სწორედ დისტინქციურ ოპოზიციათა სისტემის, ხოლო შემდეგ, მასზე დამყარებით, ფონემათა სისტემის დადგენას⁷⁵. ოპოზიციის გაგება უდევს საფუძვლად ფონემის ორივე განსაზღვრასაც, რომელთაც გვთავაზობს ტრუბეცკოვი: ფონემა — უმოკლესი ფონოლოგიური ერთეული⁷⁶; ფონემა — ფონოლოგიურად რელევანტურ ნიშანთა ერთიანობა⁷⁷.

74 ოპოზიციის გაგებისა და ოპოზიციათა კლასიფიკაციის კრიტიკისათვის იხ. ბ. ფ. ჩ. ხ. უ. ა. ტრუბეცკოვის ფონოლოგიური სისტემის ძირითადი ცნებები, გვ. 38—41; A. A. Реформатский, Н. С. Трубецкой и его «Основы фонологии», გვ. 345. საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე Т. В. Булыгина, Пражская лингвистическая школа, გვ. 76.

75 ფაქტობრივად, ოპოზიციითა სისტემაა ამრსავალი ფონემების (მაკროფონემების) სისტემისათვის ტეოლელის თეორიაშიც (იხ. ზემოთ, გვ. 117—122). მართალია, ეს თეორია ფონემებს (მაკროფონემებს) ადგენს მხოლოდ გარკვეული პოზიციებისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის საფუძველზე მოცემული ენის ფონემათა საერთო რაოდენობის დადგენა შეუძლებელი იყოს. მაგრამ ეს შემდგომი აბსტრაქციის საქმეა და ავტორის ასეთი მიზანი არც კჭონია.

76 დაზუსტება, რომელიც შეაქვს ტრუბეცკოვის ფონემის, როგორც ფონოლოგიური ერთეულის გაგებაში (რომ ფონემა მოცემული ენის თვალსაზრისით არ შეიძლება დაიყოს დროში ერთმანეთის მომდევნო უფრო მცირე ფონოლოგიურ ერთეულებად) აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფონემა არ შეიძლება განისაზღვროს როგორც მინიმალური. საქმე ისაა, რომ ფონოლოგიური ერთეულის მოცემული განმარტების თანახმად (Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 41. იხ. აგრეთვე *Projet de terminologie phonologique standardisée*, გვ. 311), მინიმალური ფონოლოგიური ერთეული, რომელსაც შეუძლია მოცემულ ენაში „ინტელექტუალური მნიშვნელობის განსხვავება“, ფაქტობრივად გამოდის ფონემაში შემავალი რელევანტური ნიშანი და არა თვით ფონემა. მაგ., ამ პოზიციებიდან ქართ. სიტყვები გერი — ქერი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა გ და ქ ფონემებით, არამედ მელერობა-სიყრუის ნიშნით. საკითხის შესახებ. იხ. აგრეთვე Й. Вахек, Фонемы и фонологические единицы; Т. В. Булыгина, დასახ. ნაშრ., გვ. 63 და შემდ.

77 ფონემის მოცემული დეფინიციის კრიტიკისათვის დაწვრ. იხ. Г. В. Воронкова, М. И. Стеблин-Каменский, Фонема—пучок РП? გვ. 17 და შემდ.

ფონემასა და მის ვარიანტებს, ბგერებს, შორის დამოკიდებულება ტრუბეცკოს განხილული აქვს როგორც აბსტრაქტული ნორმისა და მისი კონკრეტული რეალიზაციის დამოკიდებულება. უფრო ზუსტად, ეს არის ენობრივი წარმონაქმნის, საკუთრივ ენის (langue) და მეტყველების (parole) ფაქტებს შორის დაპირისპირება. მაგრამ თვით ენისა და მეტყველების დაპირისპირების საფუძველი, როგორც მას ავტორი წარმოგვიდგენს, საკმაოდ ბუნდოვანი ჩანს. ჩვენ შევეცდებით ვუჩვენოთ, თუ რა სახეა იღებს ეს დაპირისპირება ბგერითი ფაქტების ლინგვისტური ანალიზის დროს. იმ თავისებურებათა მიხედვით, რომლებიც მეტყველების საპირისპიროდ ენას მიეწერება, ეს უკანასკნელი წარმოგვიდგება როგორც ენობრივი კოლექტივის წევრებისათვის საერთო, ზეინდივიდუალური, სოციალური წარმონაქმნი; სამეტყველო მოქმედების მუდმივი კომპონენტი; ღირებულებების, ნორმებისა და მიმართებების მკაცრად მოწესრიგებული სისტემა; უსხეულო აბსტრაქციების, ცნებითი სქემებისაგან შედგენილი ნორმა.

ენას როგორც საერთოს, სოციალურს, უპირისპირდება მეტყველება — კონკრეტული და ინდივიდუალური მოვლენა. ენისა და მეტყველების დაპირისპირება ამ საფუძველზე გაუმართლებელია. გაუმართლებელია იგი არა მხოლოდ ფაქტობრივი ვითარების, არამედ თვით მოცემული თეორიის თვალსაზრისითაც. მეტყველება, მართალია, კონკრეტულია, ინდივიდუალურია, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ მას ასრულებს ინდივიდი⁷⁸. შესრულება კი ყოველთვის ხდება ნორმის ფარგლებში: კონკრეტული, ინდივიდუალური ემყარება საერთოს, ზეინდივიდუალურს, სოციალურს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა თვით კომუნიკაციის პროცესიც. მეორე მხრივ, თუკი ბგერითი მოვლენებიდან, კერძოდ, ბგერებიდან ის, რაც განსხვავებულია და, მაშასადამე, ფუნქციონალურია მოცემული ენის თვალსაზრისით, განხილული იქნება როგორც ენობრივი, ფონოლოგიური, მაშინ მეტყველებაში დარჩენილი „არაფუნქციონალური“, არაენობრივი, არაფონოლოგიური ნაწილი ვერ განდება ფონემის რეალიზაცია, როგორადაც ავტორი ახასიათებს მეტყველების აქტებს. მაგ., თუ ქართ: ვ ფონემაში შევა რელევანტური წიშნები: ნაპრალოვნობა (ვ-ბ) და კბილბაგისმიერობა (ვ-ზ),

78 ბგერათა წარმოქმნის სფეროში სოციალურისა და ინდივიდუალურის დაპირისპირების სხვა საფუძველი ტრუბეცკოსათვის, ისევე როგორც თავის დროზე სოსიურისათვის, არ არსებობს. საკითხის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 55.

არარელევანტური მეღერობა (ვარიანტულ დონეზე ვ-ფ) ვერ შექმნის „სმენით აღსაქმელ ფიზიკურ ბგერას“, რომელიც შეიძლება იყოს ფონემის „ბგერითი რეალიზაცია“, ფონემის „მატერიალური სიმბოლო“. ავტორიც სწორედ იმას გახაზავს, რომ ბგერებში, როგორც ფონემის რეალიზაციებში, თავმოყრილია როგორც ფონოლოგიურად არსებითი, რელევანტური ნიშნები, ისე ფონოლოგიურად არაარსებითი, არარელევანტური ნიშნებიც. სწორედ მათი ერთიანობა ქმნის ბგერას (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ, გვ. 114). ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ მეტყველების ფაქტებიც იმდენად არიან საერთოენობრივი და სოციალური, რამდენადაც ეს სჭირდება ენის ფუნქციონირებას, შეესაბამება მის საკომუნიკაციო დანიშნულებას.

მეტყველების საპირისპიროდ, ენა, ენობრივი წარმონაქმნი, დახასიათებულია როგორც სამეტყველო მოქმედების მუდმივი, უცვლელი კომპონენტი. მაგრამ ეს „მუდმივობა“, რა თქმა უნდა, შეფარდებითია. ენა ავტორისათვის მუდმივია მხოლოდ იმ აზრით, რომ იგი „საფუძვლად ედება უსასრულო რაოდენობის კონკრეტულ სამეტყველო აქტებს“, რომლებიც ფონეტიკური თვალსაზრისით აუცილებლად განსხვავებული იქნებიან ერთმანეთისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენის „მუდმივობა“ აქ ნიშნავს იმას, რომ ცვალებად ბგერით რეალიზაციებს საფუძვლად ედება მეტყველების მოცემული პერიოდისათვის მიღებული ენობრივი ნორმა, რომლის გარშემოც თავს იყრის და წესრიგდება მეტყველებაში არსებულ ვარიანტთა მთელი მრავალფეროვნება. ასე რომ, ინდივიდუალური წარმოთქმის თავისუფლებისა და ცვალებადობის საზღვრებიც დადგენილია ნორმით, ექვემდებარება ნორმას. თუ მეტყველებაში ადგილი ექნა იმ რიგის ცვლილებებს, რომლებიც შეეხება ენას, დროთა განმავლობაში შეიცვლება ეს სისტემაც და ე. ი. ენობრივი ნორმაც.

ავტორის აზრით, ენა არსებობს როგორც სასრული რაოდენობის ერთეულების — ღირებულებების, ნორმების, მიმართებების — მოწესრიგებული სისტემა. ენისაგან განსხვავებით, მეტყველება წარმოგვიდგენს ელემენტთა უსასრულო მრავალფეროვნებას, მათ მოუწესრიგებელ თანმიმდევრობას. მაგრამ, როგორც ავტორი თვლის, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რამდენადაც მეტყველების ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული ურთიერთშესაბამისობა, მეტყველებაც ისევე მოწესრიგებულია და, მაშასადამე, ისევე სისტემური, როგორც ენა (იხ. ზევით, გვ. 107).

დაბოლოს, ენის ყოველი ელემენტი და, ამდენად ფონემაც, და-

ხასიათებულია როგორც უსხეულო აბსტრაქცია, ცნებითი სქემა, რომელსაც უპირისპირდება მეტყველების „ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური“ ელემენტი, „სმენით აღსაქმელი ფიზიკური ბგერა“. ფონემებსა და მის ბგერით ვარიანტებს შორის დამოკიდებულების დასაზუსტებლად ეს ყველაზე ხელშესახები განსხვავებაა, მაგრამ აქ ისევე გაურკვეველი რჩება, თუ როგორია აღნიშნული უსხეულო აბსტრაქციის არსებობის ფორმა და, შესაბამისად, მასთან ბგერების მიმართების ხასიათი.

როგორც აღნიშნული იყო (იხ. ზემოთ, გვ. 105), ტრუბეცკოის მიხედვით, ენა და, მაშასადამე, მისი ელემენტებიც, არსებობენ ფსიქიკაში. მაგრამ ავტორისათვის ფონემებსა და ბგერებს შორის დამოკიდებულება მაინც არ არის ენის ფსიქიკური კომპონენტისა და მისი ფიზიკური რეალიზაციის დამოკიდებულება. გარდა ავტორის აშკარა ანტიმენტალისტური განწყობილებისა (რომლითაც იგი უდგება ბოდუენისა და თავის ადრინდელ თვალსაზრისს), ასეთ დაშვებას ხელს უშლის თვით ფონემის, როგორც დიფერენციულ ნიშანთა ერთიანობის გაგება. საქმე ისაა, რომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბგერის ფსიქიკური კორელატი, რომელიც საფუძვლად ედება წარმოთქმისა და მოსმენის კონკრეტულ აქტებს, მოლაპარაკეთა ფსიქიკაში არსებობს სწორედ ასეთი და არა სხვა სახით. ფონემა როგორც აბსტრაქცია, ცნებითი სქემა, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც ფუნქციონალური ანალიზის კომპონენტი, რომელიც მართლაც სხვა რიგის მოვლენაა, ვიდრე ბგერა⁷⁹, მაგრამ მათ შორის დამოკიდებულება ორი განსხვავებული ობიექტის და, შესაბამისად, ორი მეცნიერების შექმნის საფუძველს არ იძლევა⁸⁰.

1. 244 თუ აქამდე განხილულ ფონოლოგიურ თეორიათა ძირითადი მიზანი იყო მხოლოდ გარკვეული ლინგვისტური თვალსაზრისით ბგერითი ვარიანტების დაყვანა ფონემურ ინვარიანტებამდე, კვლევის უფრო ფართო მიზნებს ისახავს გლოსემატიკა, რაც განპირობებულია თვით გლოსემატიკური თეორიის ფართო ზოგადმეთოდოლოგიური და ზოგადლინგვისტური ორიენტაციით⁸¹.

⁷⁹ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე Г. В. Воронкова, М. И. Стеблун-Каменский, დასახ. ნაშრ. გვ. 20. შდრ. А. А. Реформатский, Н. С. Трубецкой и его «Основы фонологии». გვ. 344.

⁸⁰ ენისა და მეტყველების დაპირისპირების საკითხისათვის ტრუბეცკოის თეორიაში იხ. აგრეთვე თ. შარაძენიძე, პრადის საენათმეცნიერო სკოლის ზოგადლინგვისტური თეორია, გვ. 84 და შემდეგ.

⁸¹ ჩვენ აქ ვერ შეეჩერდებით საკუთრივ ლინგვისტური პრობლემების გან-

გლოსემატიკა ენას განიხილავს, პირველ ყოვლისა, როგორც სემიოტიკურ სისტემას, ყველაზე მნიშვნელოვანს სხვა სემიოტიკურ სისტემათა შორის. აქედან გასაგებია ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც ავტორები იჩენენ ზოგადსემიოლოგიური პრობლემების მიმართ. საერთოდ სემიოტიკურ სისტემათა განსაზღვრა, ამ სისტემათა შორის ენის სპეციფიკისა და მისთ. საკითხების კვლევა, რომელზედაც ამხვილებენ ყურადღებას გლოსემატიკაში, აუცილებელია ენათმეცნიერებისათვის, თუკი ენა მიჩნეული იქნება (და მიჩნეულია კიდევაც) სემიოტიკურ სისტემად⁸².

ამ პრობლემების ფონზე გასაგები ხდება, თუ რამ განაპირობა ის თავისებური დამოკიდებულება, რომელსაც გლოსემატიკა იჩენს ენობრივი ფაქტებისადმი. ენის ელემენტები განიხილება, ერთი მხრივ, ზოგადსემიოტიკური თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი როგორც კონკრეტული ენობრივი ფაქტები (სათანადო ადგილები დაწვრ. იხ. ზემოთ). გლოსემატიკის იდეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენათმეცნიერული კვლევის სხვადასხვა დარგში: ენობრივი ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალიების, მეტაენისა და შუამავალი ენის საკითხების, სემანტიკური სტრუქტურების, პერსპექტიული ფონეტიკისა და მისთ. კვლევაში. განსაკუთრებით პერსპექტიულად გვეჩვენება გლოსემატიკური იმპლიკაციების გამოყენება დიაქრონიულ კვლევაში და ა. შ.

ენის აღნიშნული გაგების შესაბამისად, გლოსემატიკა ცდილობს შექმნას ისეთი ზოგადმეთოდოლოგიური ბაზა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა განსხვავებული ბუნებრივი ენებისა და საერთოდ განსხვავებული სემიოტიკური სისტემების ერთგვაროვანი აღწერა. ასეთი მიზნის დასახვა არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ სავსებით შესაძლებელი და კანონიერი ლინგვისტური კვლევის თვალსაზრისით⁸³. მაგრამ სპეციალისტების შენიშვნას იწვევს ის გზა, რომელიც ავტორმა ამ მიზნის მისაღწევად აირჩია.

ხილავს. ეს სპეციალური გამოკვლევის საგანია და ამიტომ წინამდებარე ნაშრომში დავკმაყოფილებით მხოლოდ თეორიის მიზანდასახულობის მოკლე დახასიათებით.

⁸² ენის სემიოტიკურ სისტემად გამოცხადების წინამდებარე და ამასთან დაკავშირებით გლოსემატიკის კრიტიკისათვის იხ. *О. С. Ахманова*, დასახ. ნაშრ., გვ. 44 და შემდ.

⁸³ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, *А. Мартини*, *О книге «Основы лингвистической теории» Луи Ельмслева*; *В. А. Звегинцев*, *Глоссематика*.

პირველ ყოვლისა, შენიშვნა გამოიწვია თეორიის ზოგადმეთოდოლოგიურმა საფუძვლებმა: გლოსემატიკა წარმოადგენს სიმბოლურ-ლოგიკის პრინციპების მიხედვით დედუქციური (აღრიცხვითი) თეორიის (ენის იმანენტური ალგებრის) აგების პირველ ცდას ენათმეცნიერების (საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) სფეროში. უკვე ეს ფაქტიც კი საკმარისია იმ ინტერესის ასახანელად, რომელსაც სპეციალისტები იჩენდნენ და იჩენენ ამ თეორიის მიმართ მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე⁸⁴. იმანენტური ალგებრის შექმნა და მისი პრინციპების მიხედვით ენობრივი ფაქტების აღწერა თავისთავად ძალზე საყურადღებოა და სავსებით გამართლებული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე⁸⁵. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის მაინც აღწერის ერთ-ერთი და არა ერთადერთი შესაძლო სახე, როგორც ამას თეორიის ავტორები ამტკიცებენ.

1. 25 ფონეტიკური თეორიებისაგან განსხვავებით, ფონოლოგიური თეორიები, პირველ ყოვლისა, ენათმეცნიერული თეორიებია. მათი მიღწევები განპირობებულია საერთოდ ენათმეცნიერების მიღწევებით, მათი შეფასებაც უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორ არის გაგებული ლინგვისტიკის კვლევის საგანი.

როგორც კვლევის პრაქტიკა ცხადყოფს, ენათმეცნიერების საგანი არ შეიძლება იყოს ვიწრო სისტემა, როგორც ეს სტრუქტურალისტურ თეორიებში გვაქვს. ნებისმიერი სპეციფიკური სისტემის, მისი ელემენტების, მათ შორის არსებულ კავშირთა და მიმართებათა სტრუქტურის შესწავლა გარდაუვალი და ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია სოციალური (და არ მხოლოდ სოციალური) მოვლენების მეცნიერული კვლევის პროცესში. მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი გულისხმობს ამ კავშირებისა და მიმართებების დადგენას⁸⁶. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოვლენის შინაგანი კავშირების შესწავლას ვ. ი. ლენინი⁸⁷. ენათმეცნიერებაც

⁸⁴ გლოსემატიკის შესახებ არსებული ლიტ-ისათვის იხ. B. Sierstema, *A study of glossematics*; B. П. Мурат, *Глоссематическая теория*.

⁸⁵ იხ. აგრეთვე B. П. Мурат, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 130 და შემდ.

⁸⁶ სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის ყოფილა ხაზგასმული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის როლი სოციალური მოვლენებისათვის „სტრუქტურის“ ცნების დამუშავებაში. იხ. მაგ., R. Bastide, *Introduction à l'étude du mot „structure“*, გვ. 11; A. С. Мельничук, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 20.

⁸⁷ ვ. ი. ლენინი, *თხზულებანი*, ტ. 38, გვ. 87—88.

ლოგიკური აუცილებლობით მივიდა ამის საკითრებამდე⁸⁸. მაგრამ წმინდა სტრუქტურული ანალიზი საკმარისი არ არის ენობრივი სისტემის რამდენადმე სრული დახასიათებისათვის. ჩვენ აქ არ განვიხილავთ ყველა იმ შენიშვნას, რომელიც სპეციალისტებს გამოუთქვამთ კლასიკური სტრუქტურალიზმის მისამართით⁸⁹. შეეჩერდებით მხოლოდ ერთ არსებით პუნქტზე. მხედველობაში გვაქვს სტრუქტურული ენათმეცნიერების ტაქსონომიური ხასიათი, რომლის დროსაც არსებითია (და ეს ეხება არა მარტო სტრუქტურალისტურ მიმდინარეობებს) ენობრივი სისტემის, როგორც ელემენტთა ინვენტარის, შესწავლა. მთელი ყურადღება გადატანილია იმ ელემენტთა დადგენისა და კლასიფიკაცია პროცედურებზე⁹⁰. მაგრამ ასეთი მიდგომის დროს ფაქტობრივად ყურადღების გარეშე რჩება ენის სოციალური ფუნქციონირება, რომლის შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერებაში კვლევის ძირითად ამოცანად არის მიჩნეული. ფუნქციონირების შესწავლა გულისხმობს ენობრივი სისტემის შესწავლას იმ მოცულობით, რომელიც საკმარისი იქნება მისი ნამდვილი არსის შესასწავლად. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ ლინგვისტიკა შეიძლება არსებობდეს არა როგორც მიკროლინგვისტიკა, არამედ მხოლოდ როგორც მაკროლინგვისტიკა⁹¹.

ასეთი ფართო მიდგომის აუცილებლობა ნაკარნახევია თვით ენობრივი სინამდვილით, ენის გამოყენების პრაქტიკით. თავისი დანიშნულებით ენა საზოგადოების კუთვნილებაა. იგი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებაში, რომელიც მას იყენებს როგორც არსებობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს — აზროვნების იარაღსა და კომუნიკაციის საშუალებას. ენის არსი მის სოციალურ ფუნქციონირ-

⁸⁸ დაწერ. იხ. მ. მაკარიანი, ლინგვისტიკის საგნის შესახებ, გვ. 48 და შემდ.

⁸⁹ დაწერ. იხ. არნ. ჩიქობავა, სტრუქტურალიზმი, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა; მისივე: ზოგადი ენათმეცნიერება, II; თ. შარაძენიძე, სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლების შესახებ; P. A. Будагов, Из истории языкознания; O. C. Ахманова, Основные направления лингвистического структурализма; В. И. Абаев, Лингвистический модернизм как дегуманизация науки о языке და მრ. სხვ.

⁹⁰ Н. Хомский, Логические основы лингвистической теории, გვ. 479, 480, 500.

⁹¹ ფაქტობრივად, კომუნიკაციის პროცესის შესწავლა გულისხმობს აგრეთვე ე. წ. პარალინგვისტიკური ფაქტების გათვალისწინებასაც.

რებაში ვლინდება. ფუნქციონირება არის ენის არსებობის ფორმა. ამიტომ ენობრივი სისტემის შესწავლა პირველ ყოვლისა ნიშნავს მისი, როგორც მოქმედი ფუნქციონალური სისტემის, შესწავლას. სწორედ ამ მიმართულებით კვლევამ განაპირობა ენათმეცნიერების შემომბრუნება ვილჰელმ ჰუმბოლდტის ცნობილი დებულებისაკენ, რომ ენა ადამიანის გონითი მოღვაწეობის პროდუქტი (ერგონი) კი არ არის, არამედ თვით მოღვაწეობაა, ენერგიაა (უფრო ზუსტად, ენა მხოლოდ ერგონი კი არ არის, არამედ ენერგიაცაა). დღის წესრიგში ხელახლა დგება ენის ისეთი ასპექტების შესწავლის საკითხი, რომლებიც ცოტა ხნის წინ გატანილ იქნენ წმინდა ლინგვისტიკის საზღვრებიდან. მეტყველების სხვა მხარეებთან ერთად ენათმეცნიერებისათვის აუცილებელი ხდება ფსიქიკური მომენტების გათვალისწინებაც⁹². შესაბამისად კვლევის სფეროში ისევ შემოდის ენის მატარებელთა (მოლაპარაკე-მსმენელთა), როგორც უშუალოდ კომუნიკაციის პროცესში მონაწილეთა, პრობლემა, რომლის განხილვის გარეშე შეუძლებელია ენის ნამდვილი ფუნქციონირების შესწავლა⁹³. ეს გასაგებია. ენა არსებობს ინდივიდის ფსიქიკაში და ფუნქციონირებს მეტყველებაში აქტუალიზებული სახით. ენის რეალური მატარებელი ინდივიდია, რომელიც ფლობს და იყენებს მას პირდაპირი სოციალური დანიშნულებით⁹⁴. სოციალური გამოყენების შესაძლებლობა განსაზღვრულია ენის ერთიანობით (გარკვეული ენობრივი საზოგადოების შიგნით), რაც ფაქტობრივად მიიღწევა კომუნიკაციის პროცესში ჩაბმულ ინდივიდთა ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის პირობებში. ეს ურთიერთობა და ურთიერთგავლენა კი შესაძლებელი ხდება მხოლოდ სამეტყველო აქტე-

⁹² მხედველობაში გვაქვს არა საერთოდ მეტყველების შესაძლებლობის განსაზღვრელი წმინდა ფსიქიკური ფაქტორები, არამედ მხოლოდ ისეთი მომენტები, რომლებიც სპეციფიკურია კონკრეტულ ენაზე მეტყველების (წარმოთქმისა და აღქმის) თვალსაზრისით, ან უკავშირდებიან უნივერსალურ ენობრივ კანონზომიერებებს.

⁹³ სწორედ ეს პრობლემები დგას თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში, მაგრამ თვით ფსიქოლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსი ჯერ კიდევ არ შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, იგი ეხება პრობლემებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ლინგვისტიკისათვის, თუ მას უნდა შეისწავლოს ენა ფართო ფუნქციონალურ კონტექსტში.

⁹⁴ აქელაი სრულიად აშკარა ხდება ინდივიდუალურ ენათა (მეტყველების, ფართო გაგებით) შესწავლის მნიშვნელობაც ენათმეცნიერებისათვის.

ბის შედეგად, ფიზიკური, ბგერითი საშუალებებით. მაგრამ ბგერითი საშუალება შეიძლება იყოს ურთიერთობის საშუალება მხოლოდ გარკვეული ენობრივი შეგარბნების, ენობრივი ცოდნის არსებობისას, რომელიც ენის მატარებელს უჩნდება მოცემული ენის ათვისებისა და პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე⁹⁵. ასე რომ, საზოგადოებაში ენა ფუნქციონირებს როგორც მთლიანი ფსიქო-ფიზიკური მოვლენა და ასევე უნდა იქნეს განხილული⁹⁶. ენის ფუნქციონალური გაგება არა თუ არ გამორიცხავს რომელიმე ამ მხარეს, არამედ გულისხმობს მათ ერთიანობას. ამიტომ მათი გათიშვა ყოველთვის ხელოვნურია, რასაც მივყავართ ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილ ორ უკიდურესობამდე — ფსიქოლოგიზმამდე და ფიზიკალიზმამდე. აღნიშნული ურთიერთობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ენობრივი სისტემის, მისი ერთეულების, როგორც მოქმედი ფუნქციონალური სისტემის რეალური კომპონენტების, განხილვა. ეს, რატომ უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს ენის მატარებელს გაცნობიერებული ჰქონდეს ენობრივი სისტემა მისი ერთეულების სრული ინვენტარი (თუმცა საჭიროების დროს, როგორც ეს სეპირის დაკვირვებებიდან ჩანს, მათი ფსიქიკური რეალობის გამოვლენა მეტ-ნაკლებად ყოველთვის მოხერხდება). ენის არსებობისა და გამოყენების პროცესი არ არის ცნობიერი⁹⁷. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ა. სეშე, წარმოთქმა-მოსმენის აქტები მთლიანად ავტომატურია. „ენის ფაქტები საკუთრივ ლინგვისტური, ე. ი. სისტემატური და აბსტრაქტული ასპექტით სპონტანურად არ წარმოუდგება მოლაპარაკის ცნობიერებას“⁹⁸. მეტყველებაში რეალიზებული ენობრივი ფაქტების დადგენა გარკვეულ ანალიზს, მეცნიერულ რეფლექსიას გულისხმობს, მაგრამ თვით ეს ანალიზი (ექსპლიციტურად იქნება ეს თუ არა) მხოლოდ აღნიშნულ რეალობათა გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

⁹⁵ აქ, ბუნებრივია, იგულისხმება არა ენობრივი ფაქტების მეცნიერული ცოდნა, ან მოლაპარაკე-მსმენელთა მიერ მათი რაიმე სახით ინტერპრეტაცია, არამედ მხოლოდ ის, რასაც ჩვეულებრივ სიტყვაზმარებაში ენის პრაქტიკულ ცოდნას ეძახიან.

⁹⁶ ასეთი ფართო მიდგომის საჭიროებაზე ლაპარაკობდნენ ადრეც, მაგრამ ფსიქოლინგვისტიკის შექმნამდე ენათმეცნიერთა წრეებში ამ აზრებს სათანადო აღიარება არ მოუპოვებიათ. იხ. მაგ., H. Gray, *Mécanisme et mentalisme en langage*, იხ. აგრეთვე M. Schlauch, *Early behaviorist psychology*.

⁹⁷ დაწვრი. იხ. დ. უზნაძე, ენის შინაფორმა.

⁹⁸ A. Sechehaye, *De la définition du phonème...*, გვ. 51.

ყოველივე ზემოთქმულის ილუსტრირება კარგად შეიძლება სამეტყველო ბგერების მაგალითზე.

სამეტყველო ბგერა, რამდენადაც ის სამეტყველოა და არა უბრალოდ ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მოვლენა, არსებობს მხოლოდ როგორც რომელიმე კონკრეტული ენის ბგერა. სწორედ აქედან წარმოდგება „კულტურული (ფონემური) ყრუ-მუნჯობის“⁹⁹ ცნობილი ფაქტი, რომელიც ვლინდება ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკის მიერ სხვა (არამშობლიური) ენის ბგერათა წარმოთქმისა და აღქმის ათვისების სიძნელეში.

ყოველი ენის ბგერათა არტიკულაცია ენობრივია, ე. ი. განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ ამ ენაში გამომუშავებული საწარმოთქმო ჩვევებით. მოლაპარაკეები, როგორც გარკვეული ენობრივი საზოგადოების წევრები, ბავშვობიდან ითვისებენ და შემდგომ სამეტყველო პრაქტიკაში ავტონატურად ემყარებიან წარმოთქმის იმ ნორმას, რომელიც მიღებულია მოცემულ საზოგადოებაში. მეორე მხრივ, კომუნიკაციის პროცესში მონაწილე მსმენელისათვისაც ბგერის მოსმენა არ არის უბრალოდ გავონების აქტი. გავონება გულისხმობს გაგებასაც¹⁰⁰. მოსმენის ფიზიოლოგიური მომენტი შეერწყმის ენობრივი აღქმის მომენტს და მსმენელს ესმის არა საერთოდ რაიმე ბგერა, არამედ სწორედ მოცემული ენის ბგერა. ამიტომაც არის, რომ ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვა ენის წარმომადგენლებს სხვადასხვანაირად ესმით¹⁰¹, რაც მათი ენობრივი სისტემის თავისებურებებითაა განპირობებული.

ამგვარად, სამეტყველო ბგერის, როგორც ფუნქციონალური ენობრივი სისტემის ელემენტის, ნამდვილი არსი არ შეიძლება სრულყოფილად იქნეს გაგებული იმ ფსიქიკური ენობრივი საფუძვლების გათვალისწინებლს გარეშე, რომელიც ამა თუ იმ ენის მატარებლებს უმუშავდებათ ხანგრძლივი ენობრივი ურთიერთობის შე-

⁹⁹ E. Pulgram, Introduction to the spectrography of speech. გვ. 79.

¹⁰⁰ გ. ახელედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 4.

¹⁰¹ მაგალითებისათვის იხ. P. J. Rousselot, Principes de phonétique expérimentale, გვ. 34 და შემდ.; E. Fischer-Jørgensen, What can the new techniques of acoustic phonetics contribute to linguistics? გვ. 51; E. Polivanov, La perception des sons d'une langue étrangère, გვ. 79 და შემდ.; D. Jones, The phoneme.... გვ. 36—37.

დეგად და რომელსაც, თავის მხრივ, ემყარებიან კონკრეტული სამეტყველო (საწარმოთქმო-სმენითი) აქტები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბგერათა განხილვისას (რომ არაფერი ვთქვათ ფონემის მენტალისტურ თეორიებზე) ეს გარემოება არასოდეს არ ყოფილა უარყოფილი, მაგრამ ჩვენ ერთხელ კიდევ დავიმოწმეთ იმიტომ, რომ ბგერითი მოვლენების ლინგვისტური დახასიათებისას იგი თითქმის ბოლო დრომდე უგულებელყოფილი იყო.

ნაწილი მეორე

ფონემური ანალიზის პრინციპები

2 ფონემური ანალიზის პრინციპთა დამუშავებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფონოლოგიურ კვლევაში. ფონემათა დასადგენად სპეციალური მეთოდების საკითხი ფონოლოგიის ძირითად პრობლემათა წყებას განეკუთვნება¹. ეს გასაგებია. ფონეტიკისაგან განსხვავებით ფონოლოგიის ერთეული — ფონემა ლინგვისტური ანალიზის ერთეულიცაა (დაწერ. იხ. ზემოთ) და წარმოგვიდგება როგორც მეტ-ნაკლებად ამ ანალიზით დადგენილი.

როგორც აღნიშნული იყო, ფონემური ანალიზის პრაქტიკა უცხო არ ყოფილა არც ფონოლოგიამდელი კვლევისათვის. ცალკეული ენებისათვის ანბანური დამწერლობის შექმნა და ბგერითი ვარიანტების იდენტიფიკაცია უკვე გულისხმობს გარკვეულ ანალიზს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ანალიზი (იშვიათი გამონაკლისების გარდა)² ძირითადად მაინც მიმდინარეობდა ინტუიციური პრაქტიკის, ვიდრე თეორიული გააზრების დონეზე. ასე რომ, დიონისე პალიკარანსელის (II ს. ჩვ. წ) გულწრფელი აღიარება, რომ ასოების „რიცხვის ზუსტად დადგენა ადვილი არ არის“³, სამართლიანი ჩანს თითქმის მთელი ფონოლოგიამდელი კვლევისათვის⁴.

1 სრული ფონემური ანალიზი გულისხმობს როგორც ფონემათა დადგენის, ისე ფონემათა (სინტაგმატიკური და პარადიგმატიკული) კლასიფიკაციის პროცედურებს. ჩვენ აქ მოკლედ ვეხებით მხოლოდ ფონემათა დადგენის პრინციპებს.

2 სრულიად განცალკევებით დგას ამ თვალსაზრისით XII ს. ისლანდიელი ანონიმი ავტორი, რომელსაც თავისი ენისათვის ანბანის ნიშნები შემოაქვს მკაცრი პრინციპით: მხოლოდ იმ ბგერებისათვის, რომელთაც მინიმალურად დაპირისპირებულ წყვილებში შეუძლიათ მნიშვნელობის განსხვავება. მაგ., „ერთსა და იმავე პოზიციაში“ ნახალური და არანახალური ხმოვნების დაპირისპირება იწვევს სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებასაც, რაც საფუძველს აძლევს ავტორს ეს ხმოვნები მიიჩნიოს განსხვავებულ ერთეულებად და აღნიშნოს განსხვავებული ნიშნებით (მდრ. hār „თმა“ — hār „თევზი“, órar „სივლე“ — órar „ჩენი“ და ა. შ.). დაწერ. იხ. First grammical treatise, გვ. 16—17.

³ Античные теории..., გვ. 108.

⁴ სპეციალური მეთოდის საკითხი კვლევის პრაქტიკულ ამოცანებთან და-

ფონემის განსხვავებულ გაგებათა შესაბამისად განსხვავებულა ფონემათა დადგენის პროცედურები და მათი როლი სხვადასხვა თეორიაში.

2. 1 როგორც აღნიშნული იყო, მენტალისტურ თეორიებში ფონემა გაგებულ იქნა როგორც ფსიქიკური ენობრივი სისტემის ელემენტი. ეს სისტემა არსებობს ცალკეულ ინდივიდთა ფსიქიკაში „წარმოდგენათა სისტემატიზირებულად“, „მოწესრიგებული კრებულის“, „შინაგანი სისტემის“ სახით (სათანადო ადგილები დაწვრი. იხ. ზემოთ). ამ სისტემის შიგნით თითოეული ფონემა ხასიათდება ფსიქიკური დამოუკიდებლობით. ფონემა ის ელემენტი, რომელსაც წარმოთქვამენ (უფრო ზუსტად, რომლის წარმოთქმასაც ისახავენ მიზნად) და აღიქვამენ მოცემულ ენაზე მოლაპარაკეები. ამიტომაც ენის მატარებელმა ყოველთვის „იცის“ (ინტუიციურად „გრძნობს“), თუ რა ელემენტებია, resp. რა ფონემებია მის საკუთარ ენაში. შესაბამისად, ფონემური ანალიზი მიმართულია არა იმდენად ფონემათა დადგენისაკენ, რამდენადაც მათი გამოვლენისაკენ. „მკვლევრის ამოცანა, — წერდა ბოდუენ დე კურტენე. — მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის სულში სწორად წაიკითხოს, ე. ი. მეცნიერული აზროვნების შუქით გაანათოს ის, რაც ობიექტურ ფსიქიკურ სამყაროში ჩამოყალიბდა და არსებობს ყოველგვარი მეცნიერების გარეშე“⁷. ერთადერთი საშუალება კი ამის მისაღწევად, მენტალისტების მიხედვით, შეიძლება იყოს მხოლოდ მოლაპარაკე ინდივიდების მეტყველებაზე, უფრო ზუსტად, ენის მატარებელთა ფონემურ ინტუიციასზე დაკვირვება. „ერთადერთი ფონეტიკური მეთოდი არის სუბიექტური მეთოდი, რამდენადაც ჩვენ ყოველთვის უნდა მივმართოთ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე

კავშირებით ექსპლიციტურად დადგა კლასიკურ ფონეტიკაში (იხ. ზემოთ, გვ. 21—23). მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ამ ძიებას მაინც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და მთლიანად ფონეტიკური ანალიზის პრაქტიკაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

5 როგორც აღნიშნული იყო, იმისათვის, რომ განსხვავებული ბგერები გაგებულ იქნეს ერთ ფონემად, ბოდუენის მიხედვით, საუსებით საკმარისია მხოლოდ ფონაციური ერთიანობა. განსხვავებული აკუსტიკური შთაბეჭდილებები ამ გაერთიანებას ხელს არ უშლის (დაწვრი. იხ. ზემოთ, გვ. 42).

6 ფაქტობრივად, მენტალისტურ თეორიებში ხდება იმ ინტუიციური პრაქტიკის ექსპლიკაცია, რომელსაც ყოველთვის ემყარებოდნენ ფონეტიკურ კვლევაში.

⁷ И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, II, гв. 260. იხ. აგრეთვე გვ. 96—97.

ინდივიდის ცნობიერებას, თუ გვინდა გავიგოთ რომელ ფონეტიკურ განსხვავებებს იყენებს ის ენობრივი ურთიერთობის მიზნებით და სხვა წყარო, გარდა მისი ცნობიერებისა. ჩვენ არა გვაქვს⁸.

„სუბიექტური მეთოდის“ გამოყენება, ე. ი. ენის მატარებელთა მეტყველებაზე დაკვირვება, ავტორთა მიხედვით, შეიძლება სხვადასხვაგვარად წარიმართოს, შესასწავლი ენის ფონემათა გამოვლენა შესაძლებელია მკვლევრის მიერ მოცემული ენის სანდო მასალის მოპოვების ან შერჩევის და უშუალოდ მისი ანალიზის გზით. ასევე შესაძლებელია თვით ენის მატარებელს მიეცეს საშუალება არაპირდაპირი გზით გამოავლინოს თავისი ენის ფონემები. მაგ., ე. სეპირი ასეთ შემთხვევაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წერა-კითხვის სწავლების პროცესზე დაკვირვებას, თვლიდა რა, რომ ამ დროს ენის მატარებლის მიერ დაშვებული შეცდომები სწორედ მოცემული ენის ფონემური სისტემითაა განპირობებული⁹. მაგრამ რა გზითაც არ უნდა წარიმართოს ფონემური ანალიზი, ყველა შემთხვევაში ითვლება, რომ, იგი მკვლევრისაგან მოითხოვს დიდ სიფრთხილეს (განსაკუთრებით მაშინ, როცა საკვლევი ენა არ არის მშობლიური), რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი შეცდომები. სწორედ ეს აქვთ მხედველობაში შჩერბას და სეპირს, როცა ლაპარაკობენ ფონემური ანალიზის კვლევის სირთულეზე. „ამ პრაქტიკული ექსპერიმენტის სიძნელე, — წერდა ე. სეპირი, — ბუნებრივია, იცვლება ენის მატარებელთა ინტელექტუალურობის, მათი ენის შინაგანი სირთულის მიხედვით, მაგრამ ასევე იცვლება მკვლევრის „ფონემური ინტუიციის“ მიხედვითაც. მრავალ კვალიფიცირებულ ლინგვისტს ამ მიზნით ჩაუტარებია სრულიად მცდარი ექსპერიმენტები და არასოდეს არ გაუაზრებია, რომ შეცდომა ეკუთვნოდა არა ენის მატარებელს, არამედ თვით მას“¹⁰.

მენტალისტური მიდგომის დროს ფონემათა გამოვლენის პროცედურებისათვის ანალიზური კრიტერიუმების როლი მინიმუმამდეა დაყვანილი, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ენის ფუნქციონა-

⁸ Л. В. Щерб а. Субъективный и объективный метод в фонетике. გვ. III. — შჩერბას მიხედვით „სუბიექტური“ მეთოდის გამოყენება სრულბითაც არ ამცირებს ე. წ. „ობიექტური“ მეთოდის („სხვადასხვა მარეგისტრირებული“ აპარატებით დაკვირვების) მნიშვნელობას. ეს უკანასკნელი არკვევს, აზუსტებს, უფრო ცხადს ხდის „სუბიექტური“ მეთოდით მოპოვებულ მთელ რიგ ფაქტებს. დაწვრ. იხ. Л. В. Щерб а. დასახ. ნაშრ. გვ. 112.

⁹ E. Sapir, La réalité psychologiques des phonèmes, გვ. 250.

¹⁰ იქვე, გვ. 249—250.

ლური მხარის უგულებელყოფას, როგორც ზოგჯერ ამას ფიქრობენ სპეციალისტები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მენტალისტებთან „სუბიექტური“ მეთოდი არასოდეს არ ყოფილა „სუბიექტური“ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. როგორც სათანადო თეორიათა განხილვიდან ჩანს, მისი გამოყენება ყოველთვის ემყარებოდა ობიექტურ ენობრივ რეალობას. სახელდობრ, ავტორები ცდილობენ იმ ენობრივ-ფუნქციონალური საფუძვლების დადგენას, რომლებიც განაპირობებენ თვით ფონემის არსებობას მოლაპარაკე ინდივიდთა ფსიქიკაში. სამწუხაროდ, აღნიშნული თეორიების განხილვის დროს ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ¹¹.

2. 2 ფონემური ანალიზის პრინციპებისა და პროცედურების დამუშავება განსაკუთრებით ფართო ხასიათს ღებულობს ანტიმენტალისტურ თეორიებში, მაგრამ სხვა საფუძველზე, სხვა ლინგვისტურ და მეთოდოლოგიურ წინამძღვრებზე დამყარებით.

მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერებამ უარი თქვა ფონემის მენტალისტურ ინტერპრეტაციაზე და დღის წესრიგში დადგა მეტყველების მზა პროდუქტის — წარმოთქმულ ბგერათა სიმრავლის — მოწესრიგება წარმოთქმა-მოსმენის ფუნქციონალური მომენტების გათვალისწინების გარეშე, უნდა შეცვლილიყო კვლევის მეთოდებიც. ახალი მეთოდოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად ფონემა შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ გარკვეული „ლინგვისტური“, „ობიექტური“ და „ფუნქციონალური“ კრიტერიუმებისა და პროცედურების საშუალებით¹².

¹¹ ბოდუენის თეორიის მიმართ გამოთქმული იყო შენიშვნა, რომ ამ თეორიის მიხედვით თითქოს გაურკვეველი რჩება ჩანასახოვანი დივერგენტების ფსიქიკური (resp. ფონემური) ერთიანობის საკითხი. „სინამდვილეში, თუ კიდევ შეიძლება დავეუშვათ, რომ ჩვენ ვცდილობთ ერთნაირად წარმოვთქვათ под მორფემა სიტყვებში под-пода და ამიტომ ბოლოკიდურ თანხმოვანთა განსხვავებულ წარმოთქმას აღვიქვამთ ერთნაირად, სრულიად გაუგებარია, ბოდუენის თეორიის თვალსაზრისით, რის საფუძველზე მივისწრაფვით ერთნაირად წარმოვთქვათ, მაგ., k თანხმოვანი ისეთ სიტყვებში, როგორიცაა куль, кот, как და მისთ., ან რატომ აღვიქვამთ ამ განსხვავებული ბგერადობის თანხმოვნებს როგორც ერთ ფონემას“ (Л. Р. Зиндери М. И. Матусевич, К истории учения о фонеме, გვ. 65). ეს შენიშვნა შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ იმის გაუთვალისწინებლობის გამო, რომ ბოდუენი ენის ფუნქციონირებაში მორფოლოგიურ მომენტებთან ერთად სემანტიკურსაც გულისხმობს (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ, გვ. 42).

¹² L. Hjelmslev, On the principles of phonematics, გვ. 49; H. C. Трубейской, Основы фонологии, გვ. 9; R. Jakobson, On the identification of phonemic entities, გვ. 424.

ლინგვისტური (ფუნქციონალური) პროცედურები, რომლებიც გამოყენებულია ენის ფონემათა ინვენტარის დასადგენად ფონოლოგიური კვლევის პრაქტიკაში¹³, არის გაბმული სამეტყველო ნაკადის სეგმენტაცია და ბგერათა ფონემური იდენტიფიკაცია¹⁴. ფონემათა დასადგენად განსხვავებული პროცედურების გამოყოფა თითქოს გულისხმობს მათ შორის გარკვეული იერარქიული დამოკიდებულების არსებობას: ლოგიკურად და პროცესუალურად სეგმენტაცია წინ უნდა უძღოდეს იდენტიფიკაციას¹⁵. მაგრამ, ფაქტობრივად, ანალიზის მსვლელობაში ორივე პროცედურა ერთდროულად გამოიყენება. მათი ხელოვნური გათიშვა აუცილებელი ჩანს მხოლოდ ფონემური ანალიზის პრინციპთა გასაგებად¹⁶.

ბგერათა ნაკადის სეგმენტაცია

2. 21 აღნიშნული პროცედურა გულისხმობს გაბმული სამეტყველო ნაკადის დისკრეტულ ბგერით ერთეულებად, კერძოდ, ბგერებად დაყოფას. მაგრამ ყოველი ბგერა, თავის მხრივ, წარმოგვიდგება როგორც რომელიმე ფონემის რეალიზაცია ანუ ვარიანტი. ამიტომ სეგმენტაციის პროცესი, ფაქტობრივად, განსხვავებულ ფონემათა განსხვავებული რეალიზაციების ანუ ვარიანტების დადგენის პროცესიცაა¹⁷. რამდენადაც წმინდა ფონეტიკური კრიტერი-

¹³ ამ შემთხვევაში ვლასარაკობთ საერთოდ ფონოლოგიაზე და არა ცალკეულ ფონოლოგიურ მიმდინარეობებზე, რადგან მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით ფონემის ანტიმენტალისტურ თეორიებს შორის განსხვავება ვაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე თვით ფონემის გაგებაში.

¹⁴ ზოგი ავტორი ფონემათა დადგენის პროცედურაში გამოყოფს სამ ფეხურს: სამეტყველო ნაკადის სეგმენტაციას ფონემური სივრცის ბგერით ერთეულებად, გამოყოფილი ბგერითი სეგმენტების პარადიგმატული განაწილების დადგენას და ერთნაირ პარადიგმატულ განაწილებაში მყოფი სეგმენტების ფონემად გაერთიანებას. დაწვრ. იხ., А. А. Реформатский, Дихотомическая классификация дифференциальных признаков и фонетическая модель языка, გვ. 106—110; Г. А. Климов, Фонема и морфема, გვ. 97—98.

¹⁵ სხვადასხვა ფონოლოგიურ თეორიაში ეს პროცედურები ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით და სხვადასხვაგვარი ფორმულირებებით; მაგრამ, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე პროცედურასთან გვაქვს საქმე.

¹⁶ დაწვრ. იხ. С. F. Hockett, A course in modern linguistics, გვ. 103; მისივე: A manual of phonology, გვ. 143; E. Fischer-Jørgensen, On the definition of phoneme categories on a distributional basis, გვ. 11—12.

¹⁷ მეტწილად სეგმენტაციის საფეხურზე გამოყენებული მეთოდები ფორმულირებულია ისე, რომ ანგარიში ეწევა მხოლოდ ბგერათა ფონემური კლასი-

უმებით ბგერითი ნაკადის სეგმენტაცია ვერ ხერხდება, ფონოლოგიური ანალიზის პრაქტიკაში მიმართავენ სპეციალურ მეთოდს, რომლის საშუალებითაც წარმოებს ბგერათა გამოყოფა ლინგვისტურ საფუძვლებზე.

როგორც ცნობილია, წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით ბგერითი ნაკადის სეგმენტაცია სამეტყველო ბგერებად საკმაოდ ძნელია. საქმე ისაა, რომ ბუნებრივი სეგმენტაცია არ ხდება ბგერების დონეზე¹⁸. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, კომუნიკაციის პროცესში ალქმის თვალსაზრისით მოლაპარაკებისათვის პირველად ერთეულებად გამოყოფენ არა ბგერებს, არამედ, მაგ., ბგერათმომდევრობებს¹⁹. მსგავსი დასკვნის გაკეთება შეიძლება არტიკულაციის თვალსაზრისითაც²⁰. მეორე მხრივ, ბოლო დროის გამოკვლევები ცხადყოფს კომუნიკაციის პროცესში ბგერაზე უფრო მცირე მონაკვეთების, ბგერის ცალკეული ნიშნების, ალქმის მნიშვნელობასაც²¹. სამეტყველო ნაკადის ცალკეულ ბგერით სეგმენტებს შორის საზღვრების დადგენა ხდება მხოლოდ ლინგვისტურ საფუძველზე²². სხვაგვარად, ბგერათმომდევრობის სეგმენტაცია ბგერებად ნიშნავს მის ისეთ მონაკვეთებად დაყოფას, რომელთაგან თითოეული, როგორც ბგერითი ვარიანტი, შეესაბამება რომელიმე ფონემას²³. ამ თვალსაზრისით სწორია დებულება, რომ „სეგმენტაციის მოდელი ლინგვისტური მოდელია“²⁴.

ფიკაციის მოთხოვნებს, ე. ი. სათანადო მეთოდების საშუალებით ხდება იმის დადგენა, თუ რომელი ბგერები განეკუთვნებიან (ან არ განეკუთვნებიან) სხვადასხვა ფონემებს. მაგრამ რამდენადაც გაბმული სამეტყველო ნაკადიდან თვით ბგერების გამოყოფაც ხდება ამავე საფეხურზე და ამავე პროცედურების საშუალებით, აღნიშნული საფეხური შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, პირველ ყოვლისა, სწორედ როგორც სეგმენტაციის საფეხური, რადგან ფონემური კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ სეგმენტაციის შედეგად მიღებულ ბგერით ერთეულებს.

¹⁸ დაწერ. იხ. D. Jones, The phoneme..., გვ. 1; M. Halle, On the bases of phonology, გვ. 324—325; Н. И. Дукельский, Принципы сегментации речевого потока, გვ. 44, 91, 100—102. შტრ. В. Bloch, A set of postulates..., გვ. 12; L. G. Jones, Preliminary phonetic segmentation, გვ. 117 და შემდ.

¹⁹ З. Н. Джапаридзе, Некоторые вопросы перцептивной фонетики, გვ. 50—51.

²⁰ G. E. Peterson, The speech communication process, გვ. 155—156.

²¹ G. A. Miller and P. E. Nicely, An analysis of perceptual confusion among some English consonants, განსაკ. გვ. 351; R. Jakobson and M. Halle, Phonology in relation to phonetics, გვ. 21; J. H. Greenberg and J. Jenkins, Studies in the psychological correlates of the sound system of american English, გვ. 170 და შემდ.

²² იხ. აგრეთვე Н. И. Дукельский, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

²³ Г. Глосон, Введение в дескриптивную лингвистику, გვ. 238; Г. А. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

²⁴ Г. Глосон, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

ლინგვისტური თვალსაზრისით სამეტყველო ჯაჭვიდან ბგერე-
ბი გამოიყოფა როგორც ამა თუ იმ ფონემის შესაბამისი მინიმალური დისტინქციური (განმასხვავებელი) ერთეულები²⁵. ბგერათა გამოყოფის ეს პრინციპი საერთოა ყველა ფონოლოგიური თეორიისათვის.

ბგერათა ფონემური კლასიფიკაციისათვის აღნიშნული პრინციპის გამოყენება გულისხმობს შემდეგს: თუ ერთნაირ ფონეტიკურ პირობებში დადასტურებული ბგერები განსხვავდებიან ისე, რომ მათ შორის განსხვავება ქმნის მეტყველების უფრო დიდ მონაკვეთებს (მარცვლებს, სიტყვებს) შორის მინიმალურ განსხვავებასაც, მაშინ ეს ბგერები კვალიფიცირებული უნდა იქნენ როგორც სხვადასხვა ფონემის რეალიზაციები ანუ ვარიანტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთი და იმავე ფონემის ვარიანტებია.

ბგერათა ფონემური კლასიფიკაციის დროს სეგმენტაციის პროცედურით გათვალისწინებული თითოეული პირობა (ერთნაირი ფონეტიკური პირობები და ორი ერთეულის განსხვავება) აუცილებელია, რადგან თუ არ იქნება შესრულებული ერთ-ერთი მათგანი, მეთოდი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. სახელდობრ, ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ თუ შესადაარებელი ბგერები არ იქნებიან ერთნაირ ფონეტიკურ პირობებში, „მაშინ ისინი ვერ მოგვევლინებიან ორი სიტყვისათვის ერთადერთი განმასხვავებელი ელემენტის როლში“²⁶ და, მაშასადამე, შეუძლებელი იქნება მათი ფონემური სტატუსის ზუსტად დადგენაც²⁷. მეორე მხრივ, თუ ერთნაირ ფონ-

²⁵ ჩვენ ამჟამად არ ვეხებით ბგერათა ფონემური ღირებულების საკითხს და სიმარტივისათვის ვუშვებთ, რომ ერთი ბგერა (ბგერითი სეგმენტი) შესაბამება ერთ ფონემას. სინამდვილეში სეგმენტაციის პროცედურა ბევრად უფრო რთულია. განსაკუთრებულ სიძნელეს ქმნის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთზე მეტი ბგერა შეესაბამება ერთ ფონემას ან ერთი ბგერა — ერთზე მეტ ფონემას. სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის გაშუქებას დიდი ადგილი ეთმობა. იხ. მაგ., A. Martinet, *Un ou deux phonèmes*; მისივე: *Occlusives and affricates with reference to some problems of romance phonology*; C. F. Hockett, *A manual of phonology*, გვ. 161 და შემდ.; B. Bloch and G. L. Trager, *Outline of linguistic analysis*, გვ. 41; C. L. Ebeling, *Linguistic units*, გვ. 59 და შემდ.; H. C. Трубейкои, *Основы фонологии*, გვ. 62—73 და სხვ. მრ.

²⁶ H. C. Трубейкои, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

²⁷ ზოგი ენათმეცნიერი შენაცულებს პროცედურას ურთიერთგამომრაცხავ პოზიციამდე მიმართავს, მაგრამ ასეთ შემთხვევებს თეორიული დასაბუთება არ ახლავს.

ნეტიკურ პირობებში ორი ბგერის შენაცვლება არ გვაძლევს შესა-
დარებელ ერთეულებს შორის განსხვავებას, მაშინ საქმე გვექნება
არა განსხვავებული ფონემების რეალიზაციებთან, არამედ ერთი
ფონემის ვარიანტებთან, როგორც მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს
ამ ბგერებს შორის ფონეტიკური განსხვავება (მაგ. ე. წ. „თავისუ-
ფალი“ ვარიანტების შემთხვევაში).

ასეთი ზოგადი სახით ეს მტკიცებები საერთოა ყველა ფონო-
ლოგიური თეორიისათვის. ცალკეულ ავტორებს შორის სხვაობა
თავს იჩენს იმის განსაზღვრაში, თუ რა არის „ერთნაირი ფონეტი-
კური პირობები“ ან რას გულისხმობს „განსხვავება“.

2. 211 „ერთი და იგივე პოზიცია“ სხვადასხვა ავტორთან
(„ერთი და იგივე ფონეტიკური კონტექსტი“ ჯოუნზთან, „პოზიცი-
ური მსგავსება“ დესკრიპტივისტებთან და ა. შ.) ძირითადად გუ-
ლისხმობს როგორც ერთნაირ ბგერით გარემოცვას, ისე ერთნაირ
ფონეტიკურ პირობებს (მარცვალში, სიტყვაში... ბგერის პოზიციას,
ბგერაზე მახვილის, ტონის და მისთ. გავლენას და ა. შ.)²⁸.

განსხვავებული ბგერებისათვის „ერთი და იმავე პოზიციის“
დადგენა, თავის მხრივ, ნიშნავს ე. წ. „მინიმალური წყვილების“
(შჩერბასთან „კვაზი-ომონიმების“)²⁹ დადგენას, ე. ი. სიტყვათა (ან
უფრო მცირე ერთეულთა) ისეთი წყვილების დადგენას, რომლის წევრები
განსხვავდებიან მხოლოდ ერთი ნიშნით (მოცემულ შემთხვევაში,
მხოლოდ ერთი ბგერით). მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი წყვილები
ყველა ენაში ყველა ბგერისათვის შეიძლება ვერც მოიძებნოს, ზოგ
თეორიაში ბგერის ფონემური კლასიფიკაციისათვის მხოლოდ „ერთ-
ნაირი პოზიციის“ ძებნა და მხოლოდ „მინიმალური წყვილების“
დადგენა არ არის საკმარისად მიჩნეული. შესაბამისად ფართოდე-
ბა „პოზიციის“ და „მინიმალური წყვილების“ გაგებაც სხვადასხვა
ავტორთან. მაგ., დ. ჯოუნზი „ერთი და იმავე კონტექსტის“ გაგე-
ბას აფართოვებს იმგვარად, რომ მასში შემოაქვს „საკმარისი მსგავ-
სების სიტუაცია“³⁰. ამ მიზნით ხდება სიტყვათა სერიების მოშვე-
ლილებაც. მაგ., ინგლ. η და ζ ბგერების ფონემური სტატუსის და-
სადგენად შეიძლება მივმართოთ სიტყვათა სერიებს: singer „მომ-

²⁸ დაწვრ. იხ. Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 53—59; D. Jones, The phoneme..., გვ. 9—10; B. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 42 და სხვ. მრ.

²⁹ Л. В. Щерба. Фонетика французского языка, გვ. 56.

³⁰ D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41.

ღერალი“ [sɪtə]—sitter „მჯდომარე“ [sɪtə], letter „წერილი“ [lɛtə]—leisure „დასვენება“ [lɛzə] ან ring „ბეჭედი“ [rɪŋ]—rim „რგოლი“, „არშა“ [rɪm]—room „ოთახი“ [ru:m]—rouge „ფერი“ („წასასმელი“) [ru:ʒ]³¹. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ენაში გარკვეული ბგერებისათვის არ მოიძებნება მინიმალური წყვილები, პ. გლისონს შემოაქვს „ნაწილობრივ მინიმალური წყვილების“ (ერთზე მეტი ნიშნით განსხვავებული წყვილების) დადგენის მეთოდი³². მაგ. ინგლისურ ენაში არ მოიძებნება სიტყვათა წყვილები, რომლებიც განსხვავებული იქნებოდნენ მხოლოდ [ʒ] და [ʒ] ბგერებით. ამიტომაც ავტორი იშველიებს ისეთ წყვილებს, როგორიცაა treasure „განძი“ [trɛʒər]—pressure „წნევა“ [prɛʒər], რომლებშიც |ʒ|—|ʒ| დაპირისპირება წარმოდგენილია ინგლისურისათვის დამახასიათებელი |t|—|p| დაპირისპირებასთან ერთად³³. ლ. შჩერბას აზრით კი, „საერთოდ საკმარისია ენაში ორი ბგერის დაპირისპირება მსგავს ფონეტიკურ პირობებშიც, რათა ისინი ასრულებდნენ განსხვავებულ ფონემათა როლს“³⁴. მინიმალური წყვილების არსებობა აუცილებლად არ მი-აჩნიათ არც შჩერბას მიმდევრებს³⁵.

2. 212 რაც შეეხება განმასხვავებელი კრიტერიუმის გამოყენებას, აქ პირველ რიგში აუცილებელია იმის დაზუსტება, თუ რას განასხვავებენ მსგავს (ან დაახლოებით მსგავს) ფონეტიკურ პირობებში ბგერები. დაპირისპირების პრინციპი, რომელსაც ემყარებიან ტრუბეტკოი და პრადის ფონოლოგიური სკოლის სხვა წარმომადგენლები, გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებას. „თუ ორი ბგერა გვხვდება ერთსა და იმავე პოზიციაში და ამავე დროს მათ არ შეუძლიათ შეენაცვლონ ერთმანეთს ისე, რომ არ შეცვალონ სიტყვის მნიშვნელობა ან არ დაამახინჯონ სიტყვა, მაშინ ეს

³¹ G. L. Trager and B. Bloch, The syllabic phonemes of English, გვ. 229.

³² Г. Глисон, დასახ. ნაშრ., გვ. 251.

³³ იქვე, გვ. 61.

³⁴ Л. В. Щерба, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

³⁵ „ენაში სიტყვათა შესაბამისი წყვილების არსებობა შემთხვევითია და სემანტიკური კრიტერიუმის გამოყენება ბგერითი მოვლენების ანალიზის დროს არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მათ მოქმედამდე. მთავარია მხედველობაში გვექონდეს, რომ საკმარისია ვიპოვოთ არა ერთნაირი, არამედ თუნდაც მსგავსი ფონეტიკური მდგომარეობები“ Л. Р. Зиндер, Общая фонетика, გვ. 62, იხ. აგრეთვე М. И. Матусевич, Введение в общую фонетику, გვ. 16; Л. Н. Гвоздев, О фонологии «смешанных» фонем, გვ. 51 და შემდ.

ბგერები იქნებიან ორი განსხვავებული ფონემის რეალიზაციები³⁶. სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებას ემყარება „კომუტაციური შემოწმების“ მეთოდიც, რომელსაც გვთავაზობს გლოსემათიკა. ამ „შემოწმების“ მიხედვით ენის (მოცემულ შემთხვევაში, გამონატულების) ელემენტები ჩაითვლებიან განსხვავებულ ელემენტებად, თუ სამეტყველო ჯაჭვის შიგნით ერთსა და იმავე პოზიციაში თითოეული მათგანის შეცვლა სხვებით გამოიწვევს განსხვავებას შინაარსში. მაგ., pat, sat, rat, tat, pat, pet, pit, pot ფორმების შეპირისპირება ინგლისურში გამოგვივლენს p, s, r, t და a, e, i, o ელემენტებს, როგორც განსხვავებულებს³⁷. სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებაა ნაგულისხმევი ევროპის სხვა ფონოლოგიურ მიმდინარეობებშიც³⁸.

შედარებით უფრო რთული მდგომარეობაა დაპირისპირების მეთოდის გამოყენების მხრივ ამერიკელ დესკრიპტივისტებთან³⁹.

ლ. ბლუმფილდი, რომელსაც დესკრიპტივისტები თავიანთი მიმდინარეობის შემქმნელად თვლიან, ფონემის დადგენის პროცედურებზე სპეციალურად არ შეჩერებულა და, ბუნებრივია, არც „კონტრასტის“ (როგორც დესკრიპტივისტები უწოდებენ „ოპოზიციას“) ცნებაა მასთან ცალკე განხილული. მაგრამ ფონემის გაგება მნიშვნელობის გათვალისწინებას ემყარება⁴⁰. სახელდობრ, ფონემა განსაზღვრულია როგორც „განმასხვავებელი ფონეტიკური ნიშნის

³⁶ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

³⁷ L. Hjelmslev, Language, გვ. 100.

³⁸ ზოგ ფონოლოგს შესწორება შეაქვს განმასხვავებელი კრიტერიუმის ამ გაგებაში. „სიტყვის მნიშვნელობა, — წერს ლ. რ. ზინდერი, — ცხადია, არ არის დამოკიდებული ფონემურ შედგენილობაზე. ექვს გარეშეა, რომ სიტყვები, მაგ., стол და стул სხვადასხვა არა იმიტომ, რომ აქეთ სხვადასხვა ხმოვანი, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნავენ სხვადასხვა ცნებას. ...მაგრამ ასევე ექვს გარეშეა, რომ ჩვენ განვასხვავებთ სიტყვას стол სიტყვისაგან стул და ვცნობთ ამ სიტყვებს ყოველგვარი კონტრასტის გარეშე სწორედ იმიტომ, რომ პირველს აქვს o, მეორეს კი y ხმოვანი“, Л. Р. Зиндер, დასახ. ნაშრ., გვ. 45—46.

³⁹ ამ მხრივ, ევროპელი ფონოლოგების თვალსაზრისზე დგანან სეპირის უშუალო მიმდევრებიც. მაგ., კ. პაიკს „კონტრასტის“ დეფინიციაში, მართალია, არ შეაქვს მნიშვნელობაზე მითითება, მაგრამ ფაქტობრივად სწორედ მას ემყარება. განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ეს კონტრასტისა და თავისუფალი ვარიანტების განსხვავების დროს. დაწვრ. იხ. K. Pike, Phonemics, გვ. 236 და შემდ.

⁴⁰ მნიშვნელობის შესწავლის შესახებ ბლუმფილდთან იხ. ზემოთ, გვ. 85.

მინიმალური ერთული“ (შდრ. pin — tin)⁴¹ ანუ „უმცირესი ერთული, რომელიც განასხვავებს მნიშვნელობას“⁴².

ფონემური ანალიზის დროს მნიშვნელობის მეტ-ნაკლებად უგულებელყოფა ფაქტობრივად იწყება მის მოწაფეებთან. სახელდობრ, როგორც აღნიშნული იყო (იხ. ზემოთ, გვ. 85—86), ამერიკელ დესკრიპტივისტებთან თავი იჩინა განსხვავებულმა ტენდენციამ, რომლის მიხედვით, ბგერებს შორის კონტრასტები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ დისტრიბუციული კრიტერიუმით, სიტყვის მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად. მაგრამ ის ავტორებიც, რომლებიც თეორიულად ასაბუთებენ ასეთი ზიდგომის კანონიერებას, პრაქტიკაში ყოველთვის მიმართავენ ენობრივ მნიშვნელობას. მაგ., ბლოკის აზრით, „ბგერებს შორის კონტრასტი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ დისტრიბუციის საფუძველზე, მნიშვნელობის ჩვეულებრივი მოშველიების გარეშე“⁴³. მაგრამ იქვე დასძენს, რომ პრაქტიკულად „მნიშვნელობა, როგორც ეკონომიური გზა, ფონემური სტრუქტურის კვლევისას იმდენად სასარგებლოა, შეიძლება ითქვას, იმდენად აუცილებელი, რომ ლინგვისტს, რომელიც უარს ამბობს მის გამოყენებაზე, მოელის დროის ფუჭად ხარჯვა“⁴⁴. ზ. ჰარისის მიხედვით, „ორი დისტინქციური სეგმენტი, რომელიც გვხვდება ერთსა და იმავე გარემოცვაში... კონტრასტულია“; დისტინქციური გაგებულია როგორც არაეკვივალენტური, ხოლო ეკვივალენტური, თავის მხრივ, მეტყველების ისეთი მონაკვეთებია, რომლებიც ენის მატარებლისათვის ერთი და იგივეა⁴⁵. ეს კი სწორედ ის პუნქტია, სადაც მნიშვნელობაა ნაგულისხმევი⁴⁶.

2. 213 რაც შეეხება „ერთი და იმავე პოზიციის“ ანუ მსგავსი კონტექსტის მოცულობას, რომლის ფარგლებშიც ხდება დაპირისპირება. ფონოლოგიურ თეორიებში აქ ძირითადად ორ განსხვავებულ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე. ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ბგერებს შორის სიგნიფიკური დაპირისპირება უნდა მოხდეს არა იზოლირებულ პოზიციაში ან მარცვლებში, ე. ი. არა ისეთ

⁴¹ Л. Блумфилд. Язык. гл. 77.

⁴² იქვე გვ. 140.

⁴³ B. Bloch. A set of postulates..., გვ. 5.

⁴⁴ იხ. იქვე.

⁴⁵ Z. Harris, Methods in structural linguistics. გვ. 7, 29, 75.

⁴⁶ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე E. Fischer-Jørgensen, The commutative test..., გვ. 143—144; თ. შარაძენიძე, ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერა ზ. ჰარისის მიხედვით, გვ. 20 და შემდ.

სამეტყველო მონაკვეთებში, რომელთაც არა აქვთ მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ მინიმალურ ნიშნებში (მაგ., ქართულში ქარ- — ქალ-). თუ ენაში გარკვეული ბგერებისათვის სათანადო მინიმალური წყვილი არ არსებობს, მაშინ დაპირისპირებაც შეუძლებელია. სწორედ ამას გულისხმობს იელმსლევისეული „კომუტაციური შემოწმების“ გამოყენება. ასევეა ნ. ტრუბეცკოის მიხედვითაც.

მეორე თვალსაზრისით, დაპირისპირებისათვის („კონტრასტისათვის“) საკმარისია ე. წ. რელევანტური გარემოცვის დადგენაც, ე. ი. ისეთი გარემოცვის დადგენა, რომელიც საკმარისი იქნება დაპირისპირებისათვის. ეს გარემოცვა საკმარისად შეზღუდულია და მეტწილად შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მარცვლით ან სხვა სახის ბგერათმომდევრობით⁴⁷.

ბგერათა იდენტიფიკაცია

2. 22 ანალიზის ამ საფეხურზე იგულისხმება სხვადასხვა გარემოცვაში და სხვადასხვა პოზიციაში დადასტურებულ ბგერათა ფონემური იდენტიფიკაცია, ე. ი. მათი გაერთიანება შეზღუდული რაოდენობის ინვარიანტულ ფონემურ ერთეულებად (ბგერით ტიპებად, ბგერათა კლასებად...). ამ საფეხურზე გამოყენებულია მეთოდი, რომელმაც ამერიკელ ენათმეცნიერებთან მიიღო „დამატებითი დისტრიბუციის“ მეთოდის სახელწოდება⁴⁸. აღნიშნული მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ ორი, არტიკულაციური ან აკუსტიკური თვალსაზრისით მსგავსი, ბგერა იმყოფება ურთიერთგამომრიცხავ (ე. ი. ურთიერთშემგესებ) პოზიციაში, მაშინ ისინი ერთი და იგივე ბგერებია (ე. ი. ერთი და იმავე ფონემის რეალიზაციებია)⁴⁹.

⁴⁷ რელევანტურ გარემოცვაზე დაწერ. იხ. Z. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 60 და შემდ. B. Bloch, Contrast, გვ. 59.

⁴⁸ აღნიშნულ მეთოდს შეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახით ვხვდებით დ. ჯოუნსთან ჯერ კიდევ 20-იან წლებში, თუმცა თვით პრინციპი ადრეც იყო გამოყენებული. ტერმინი „დამატებითი დისტრიბუცია“ (Complementary distribution) მოდის მ. სვადეშისაგან (იხ. M. Swadesh, The phonemic principle, გვ. 123). მეთოდის ისტორიისათვის დაწერ. იხ. P. Diderichsen, The importance of the distribution versus other criteria ...

⁴⁹ M. Swadesh, დასახ. ნაშრ., გვ. 123; D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 13—14; B. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42; Г. Гли-сон, დასახ. ნაშრ., გვ. 229—231; C. F. Hockett, A cours..., გვ. 108.

ზოგი ავტორი ფონემებში ბგერათა გასაერთიანებლად სემანტიკურ კრიტერიუმსაც მიმართავს⁵⁰. ასეთ შემთხვევაში სემანტიკურ კრიტერიუმზე დამყარება ზედმეტი გამოდის. საქმე ის არის, რომ რამდენადაც ელფერები, როგორც ფონემის პოზიციური და კომბინატორული ვარიანტები, ერთნაირ ან მსგავს ფონეტიკურ მდგომარეობაში ერთმანეთს გამოირიცხავენ და „შეხვედრის პირობების გამო“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სიტყვათა განსასხვავებლად, ამდენად მათი ფონემური კლასიფიკაციისათვის სასესებით საკმარისი (და ბუნებრივიც) იქნებოდა პოზიციური ნიშნების გამოყენება. ერთ ადგლას ზინდერი მიმართავს კიდევაც მას სემანტიკური კრიტერიუმის ნაცვლად, როდესაც ამბობს, რომ ბგერათა „ერთი ფონემისადმი მიკუთვნება განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, რომ ისინი არ გვხვდებიან ერთსა და იმავე პირობებში (ხაზი ჩვენია — ი. ქ.), არამედ კიდევ იმითაც, რომ ისინი ერთიანდებიან საერთო საწარმოთქმო-სმენითი თვისებებით“⁵¹. მიუხედავად ამისა, ლენინგრადის სკოლის წარმომადგენლები (ისევე, როგორც თავის დროზე შჩერბა) თვლიან რა, რომ დაპირისპირება შეიძლება გექონდეს არა ერთსა და იმავე პირობებშიც, პოზიციურ ნიშნის საერთოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და უპირატესობას მიიძევიან სემანტიკურ კრიტერიუმს ანიჭებენ. მაგრამ პოზიციები, რომლებსაც ისინი პრაქტიკულად ემყარებიან ბგერათა ფონემური სტატუსის დადგენისას, იმდენად მსგავსი პოზიციებია, რომ ავტორებს გარკვეული აზრით თავისუფლად შეეძლოთ მათი მიჩნევა „ერთნაირ“ პოზიციებად.

2. 221 „ფონეტიკური მსგავსების“ პრინციპი სხვადასხვა ფონოლოგიურ თეორიაში სხვადასხვაგვარად ესმით. ჩვეულებრივი გაგებით ეს არის ბგერებს შორის არტიკულაციურ-აქუსტიკური მსგავსება, რომელიც რიგ შემთხვევებში თითქოს იძლევა იმის საშუალებას, რომ გარკვეული ბგერები დავაჯგუფოთ ან არ დავაჯგუფოთ ერთ ფონემად. მაგრამ, ამასთანავე, ყველა ავტორი ერთხმად აღიარებს ამ პრინციპის ნაკლოვანებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სწორედ ძნელია ფონეტიკური მსგავსების ისე განსაზღვრა, რომელსაც შეიძლება დავემყაროთ ბგერათა ფონემური კლასიფიკაციის დროს. ამიტომაც ყველა თეორიაში, მოცემული თეორიის მიზნების შესაბამისად, ხდება ამ პრინციპის დაზუსტება. მაგ., ჯონსის მიხედვით, თუ ბგერები არ გვხვდებიან ერთნაირ ფონეტიკურ კონტექსტში და ამასთანავე ავლენენ გარკვეულ ფიზიკურ სიახლოვეს, ისინი ჯგუფდებიან ერთ ფონემად⁵²; წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯგუფება არ მოხდება. მაგრამ „იმის ზუსტად განსაზღვრა, შენიშნავს ავტორი, თუ განსხვავების რა ხარისხია საჭირო იმისათვის, რომ ორი ბგერა

⁵⁰ Л. Р. Зиндер, *Общая фонетика*, გვ. 49.

⁵¹ იქვე, გვ. 67.

⁵² ზოგჯერ „თვისებებით მონათესავე“, ავტორის მიხედვით, უნდა გავიგოთ როგორც „გამოყენების მანერით მონათესავე“. იხ. D. Jones, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 87—92.

არ მიეკუთვნოს ერთ ფონემას, შეუძლებელია“. ყოველ შემთხვევაში, თუ ბგერები ფიზიკურად ძალიან დაშორებული არიან ერთმანეთს, „აბსურდი იქნებოდა მათი მიჩნევა ერთი ფონემის წევრებად“⁵³. ასე, ინგლისურ ენაში არ არსებობს სიტყვათა არც ერთი წყვილი, რომელიც განსხვავებული იყოს *h* და *η* თანხმოვნებით, რომლებიც მხოლოდ ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებში გვხვდებიან. ამ ნიშნით ისინი ერთ ფონემაში უნდა გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ, ავტორის აზრით, ეს მიზანშეწონილი არ იქნებოდა, რადგანაც ისინი არ არიან საკმარისად მსგავსნი (related in character)⁵⁴.

ფონემის ვარიანტებს შორის გარკვეული ფონეტიკური სიახლოვის არსებობას გულისხმობენ ბგერითი ტიპის თეორიის ავტორებიც. მაგრამ მათი აზრითაც ფონეტიკურად იმის დადგენა, თუ როგორი უნდა იყოს ეს სიახლოვე, ძალიან ძნელია, რადგან როგორც „ბგერათა აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური სიახლოვე არ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ ეს ბგერები ერთი ფონემის ელფერებია“, ასევე „ბგერათა ფონეტიკური განსხვავება თავისთავად არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს ბგერები სხვადასხვა ფონემებია“⁵⁵. ასე რომ, დადგენა უნდა მოხდეს მხოლოდ ფონემურ საფუძველზე. სახელდობრ, როგორც აღნიშნულია, „ერთი ფონემის ელფერთა ფონეტიკური დიაპაზონი ძალიან ფართოა“⁵⁶. მაგრამ ფონემა, თავის მხრივ, დაპირისპირების წევრია: „ყოველი მათგანი უპირისპირდება მოცემული ენის ყველა დანარჩენ ფონემას“⁵⁷. ამიტომაც გამოდის, რომ „ფონემათა განსხვავებისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ერთი ფონემის ელფერები არ დაემთხვევს სხვა რომელიმე ფონემის ელფერებს“⁵⁸.

როდესაც ლაპარაკია ელფერთა დამთხვევის შეუძლებლობაზე, იგულისხმება ერთნაირი პოზიცია. ასე, „რუსულში *a* ფონემის ელფერი რბილ თანხმოვნებს შორის მკვეთრად განსხვავდება ამავე ფონემის ელფერისაგან ორ მაგარ თანხმოვანს შორის და თავისი აკუსტიკური ხასიათით უახლოვდება *e*-ს. ამას არ მიეყვართ *a* და *e* ფონემების აღრუვამდე, რადგან, თავის მხრივ, *e*-ს ელფერი რბილ თანხმოვნებს შორის იქნეს ისეთ ხასიათს, რომელიც მას აახლოებს *a* ფონემასთან, მაგრამ ფონემათა აღრევა მოცემულ შემთხვევაშიც არ ხდება, რადგან

⁵³ D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 10 (§ 32).

⁵⁴ იქვე. იხ. აგრეთვე გვ. 14 (§ 53).

⁵⁵ Л. Р. Зиндер, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

⁵⁶ იქვე, გვ. 51.

⁵⁷ იქვე, გვ. 39.

⁵⁸ იქვე, გვ. 51.

ამ ფონეტიკურ მდგომარეობაში a-ს ელფერს აქვს მაქსიმალურად მაღალი ტემბრი⁵⁹.

ზემოაღნიშნულიდან გასაგებია, რომ ერთი ფონემის ელფერების მსგავსება შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ ამავე ენის სხვა ფონემების, მათი ელფერების დიაპაზონთა გათვალისწინებით. სწორედ ამის გამოა, რომ ფონეტიკურად ახლოს მდგომი ბგერები, როგორცაა ფრანგული [e] და [ɛ] სხვადასხვა ფონემებს განეკუთვნებიან, ხოლო აკუსტიკურად და ფიზიოლოგიურად საგრძნობლად განსხვავებული ბგერები [s] და [h] ევენკურში ერთი ფონემის ელფერებია⁶⁰. და მაინც, ყველა შემთხვევისათვის ძალაში რჩება დებულება, რომ „ერთი ფონემის ელფერებს, როგორი ფართოც უნდა იყოს მათი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური დიაპაზონი. უნდა ჰქონდეთ რაიმე საერთო ფონეტიკური ნიშნები“⁶¹. ეს გამომდინარეობს ფონემის, როგორც ბგერითი ტიპის, გაგებიდან. საკმარისია ბგერითი ტიპისათვის დამახასიათებელი ამ ნიშნებიდან გარკვეულ პოზიციაში დაიკარგოს რომელიმე, რომ მოცემული ფონემა უკვე სხვა ფონემაში გადავიდეს. ასე, რუსულში საკმარისია k-მ დაკარგოს მისი ბგერითი ტიპისათვის დამახასიათებელი სიყრუე, მაგ., სიტყვაში также (გამოითქმის — тагже), რომ იგი გადავიდეს სხვა [r] ბგერით ტიპში⁶².

სხვადასხვა პოზიციაში გამოყოფილ ბგერათა ერთ ფონემაში გასაერთიანებლად პოზიციურ ნიშანთან ერთად ფონეტიკურ მსგავსებას მიმართავენ დესკრიპტივისტებიც. სახელდობრ, ბგერები განეკუთვნებიან ერთ ფონემას, თუ ისინი ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში და ამასთანავე ავლენენ გარკვეულ ფონეტიკურ მსგავსებას⁶³. მაგრამ თუ რა ხარისხის შეიძლება იყოს ფონეტიკური „მსგავსება“, რომლის მიხედვით ბგერები გაერთიანდებიან ან ვერ გაერთიანდებიან ამა თუ იმ ფონემაში, ავტორების აზრით, ძნელი დასადგენია⁶⁴. ყოველ შემთხვევაში, მიახლოებით ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ „მო-

⁵⁹ Л. Р. Зиндер, დასახ. ნაშრ., გვ. 68. იხ. აგრეთვე, გვ. 51.

⁶⁰ დაწერ. იხ. იქვე, გვ. 50—52.

⁶¹ იქვე, გვ. 51. იხ. აგრეთვე, В. И. Лыткин, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

⁶² В. И. Лыткин, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

⁶³ В. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 41—42; Г. Г. Лисон, დასახ. ნაშრ., გვ. 229—231.

⁶⁴ იხ. მაგალითად, С. F. Hockett, A course..., გვ. 108.

ცემული ფონოლოგიური სისტემიდან ამოსვლით⁶⁵. უფრო ზუსტად, ერთ ფონემაში დაჯგუფდებიან ბგერები, რომლებიც გვხვდებიან ურთიერთგამომრიცხავ პოზიციაში და ავლენენ ფონეტიკურ მსგავსებას იმ აზრით, რომ აქვთ საერთო ნიშნები, რომლებიც არ გვხვდება სხვა ბგერებში⁶⁶. ამ უკანასკნელ თვალსაზრისს იზიარებს ბევრი სხვა ფონოლოგიც. „ჩვენ ვახდენთ banc სიტყვის b და bout სიტყვის b ბგერების იდენტიფიკაციას არა იმიტომ, რომ, ჩვენის აზრით, ისინი იმდენად ანალოგიური არიან, რომ არ შეიძლება არ იყვნენ ერთი და იგივე დიფერენციალური ერთეული; ამას არც იმიტომ ვაკეთებთ, რომ banc-ს სიტყვის b უფრო ახლოსაა bout სიტყვის b-სთან, ვიდრე pou-ს p ბგერასთან; ჩვენ მხოლოდ ვთვლით, რომ ეს ბგერა განსხვავდება banc, pan, van და ა. შ. სერის სხვა თანხმონებისაგან იმავე ფონეტიკური ნიშნებით, რომლებიც ქმნიან განსხვავებას bout სიტყვის b-სა და pou, vous, fou სიტყვების p, v, f ბგერებს შორის“⁶⁷.

2. 222 სხვადასხვა პოზიციებსა და სხვადასხვა გარემოცვებში დადასტურებულ ბგერათა ფონემაში გასაერთიანებლად ორივე აღნიშნული ნიშანი (პოზიციური ნიშანი და ფონეტიკური მსგავსება) აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. ასეთი შემთხვევებისათვის ავტორები დამატებით გვთავაზობენ სხვა კრიტერიუმებსაც, სახელდობრ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისახება ალოფონის ფონემური იდენტიფიკაციის ორი ან მეტი გზა, მაშინ შეიძლება იმ გზის არჩევა, რომელიც გვაძლევს სისტემის უფრო სიმეტრიულ აღწერას. ეს არის მოდელის მოწესრიგებულობის პრინციპი (The principle of neatness of pattern)⁶⁸. ეკონომიის პრინციპი (The principle of economy) გულისხმობს, რომ თუ ფონემური სისტემა რაიმე მეთოდით აღიწერება, ვთქვათ, 28 ან 25 ფონემით, მაშინ მიზანშეწონილი არ იქნება მისი აღწერა სხვა მეთოდით, რომელიც საჭიროებს 30 ფონემას. ამ პრინციპს ავტორი გვთავაზობს იმ შემ-

⁶⁵ J. Gimson, დასახ. ნაშრ., გვ. 234; იხ. აგრეთვე C. F. Hockett, A system of descriptive phonology, გვ. 99.

⁶⁶ B. Bloch and G. L. Trager, დასახ. ნაშრ., გვ. 39; იხ. აგრეთვე C. F. Hockett, A course..., გვ. 223.

⁶⁷ A. Martinet, Où en est la phonologie? გვ. 126. ანალოგიური მოსაზრებისათვის იხ. აგრეთვე R. Jakobson and M. Halle, Fundamentals of language, გვ. 100.

⁶⁸ დაწერ. იხ. G. L. Trager and B. Bloch, დასახ. ნაშრ., გვ. 223; C. F. Hockett, A course..., გვ. 109—110.

თხვევებისათვის, როდესაც სხვა პრინციპებს მივყავართ ბოლოსდა-ბოლოს ერთსა და იმავე შედეგებამდე⁶⁹. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთ ფონემაში ბგერათა გასაერთიანებლად ფიზიკური მსგავსებაც არ არის საკმარისი, ჯონზის აზრით, კლასიფიკაცია უნდა მოხდეს ან სრულიად ნებისმიერად, ან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფონემის იდეასთან სრულიად დაუკავშირებელი ფაქტორები (მოლაპარაკეთა ენობრივი შეგარძნება, ისტორიული, დიალექტოლოგიური და მისთ. მონაცემები)⁷⁰.

2. 28 რა შეიძლება ითქვას ამ მეთოდების შესახებ? რამდენად არიან ეს მეთოდები „ობიექტური“ და საკმარისი არიან თუ არა ფონემური ანალიზისათვის?

ძირითადი ცნებები, რომლითაც განხილული მეთოდები ოპერირებენ, შემდეგია: 1. ერთნაირი პოზიცია; 2. სიტყვათა განსხვავება, კონტრასტი; 3. განსხვავებული პოზიცია; 4. ფონეტიკური მსგავსება.

რამდენადაც 2 და 3 პუნქტი განსაკუთრებულ სირთულეს არ ქმნის, ჩვენ შევეხებით მხოლოდ 1 და 4-ს.

2. 281 „ერთნაირი“ პირობები, „ერთი და იგივე“ პოზიცია, რომელსაც ემყარება ანალიზის პირველ საფეხურზე დაპირისპირების მეთოდი, ობიექტურად არ არსებობს⁷¹. მაგ., ქართულში ფ-არ — ქ-არ; ფ-ერ — ქ-ერ, ფ-ირ — ქ-ირ, ფ-ურ — ქ-ურ, ფ-ორ — ქ-ორ ფორმების მიხედვით ფ და ქ თანხმონების გამოყოფის შესაძლებლობა გულისხმობს, რომ -არ, -ერ, -ორ, -ურ მონაკვეთები ამ ფორმებში ერთნაირია. მაგრამ რომ ეს მონაკვეთები ერთნაირი არ არის, ამის სპეციალურ დასაბუთებას აქ არ შევუძლებით და ეს არც არის საჭირო: ფონემის თეორია სწორედ ასეთი (არაფუნქციონალური) განსხვავებების არსებობას ემყარება⁷².

⁶⁹ C. F. Hockett, A course..., გვ. 110—111. სხვა კრიტიკურობებისათვის პოკეტთან იხ. აგრეთვე მისი: A system of descriptive phonologie, გვ. 100—101.

⁷⁰ დაწვრ. იხ. D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 55 და შემდ.

⁷¹ საქმის ვითარებას, რა თქმა უნდა, არ ცვლის „დაახლოებით მსგავსი“ და მისთ. პოზიციების დაშვება, რადგანაც აქ ისევ პოზიციებს შორის მსგავსების ძიებასთან გვაქვს საქმე.

⁷² კომპუტაციური მეთოდის გამოყენებისას ლინგვისტები ზოგჯერ ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ „ერთნაირ“ გარემოცვაში ბგერების ჩანაცვლება არ არის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთის ჩანაცვლება, რომლის შედეგად თვით ეს გარემოცვა უცვლელი რჩება (იხ. მაგ., Z. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 31; A. C o h e n, The phonemes of English, გვ. 20). ბგერის შეცვლის შედეგად იცვლება მისი გარემოცვა.

2. 282 რაც შეეხება ფონეტიკურ მსგავსებას, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, „მსგავსება“ საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა. ამ მხრივ დამახასიათებელია ჯოუნზის მსჯელობა, რომ „იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ განსხვავების რა ხარისხია საჭირო იმისათვის, რომ ორი ბგერა არ მიეკუთვნოს ერთ ფონემას, შეუძლებელია“⁷³. ამასთანავე, შეუძლებელია არა ფონეტიკური მეთოდების ნაკლოვანების გამო, არამედ პრინციპულად. ამიტომაც არის, რომ ვერც ერთმა ფონოლოგიურმა თეორიამ რამდენადმე დამაკმაყოფილებელი სახით ვერ შეძლო იმის ჩვენება, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ფონეტიკურ „მსგავსებაში“, ე. ი. როგორ უნდა დავადგინოთ ბგერათა შორის მსგავსების ის ხარისხი, რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გარკვეული ბგერები მიეკუთვნონ ან არ მიეკუთვნონ ერთ ფონემას. მაგ., ქართულში მყდრობა-სიყრუის მიხედვით განსხვავება საკმარისია იმისათვის, რომ ზ და ს, ყ და შ, ლ და ხ განსხვავებული ფონემები ყოფილიყვნენ, მაგრამ ეგვევ განსხვავება ვ და ფ-ს შორის ხელს არ უშლის მოლაპარაკებებს, აღნიშნული ბგერები გაერთიანოს ერთ ფონემაში. ამ თვალსაზრისით არაფერს არ იძლევა დიფერენციალური ნიშნების მიხედვით ფონეტიკური მსგავსების დადგენის ცდა, რადგან თვით დიფერენციალური ნიშნების გამოყოფა უკვე გულისხმობს ფონემური სისტემის ცოდნას⁷⁴.

2. 288 ბგერათა ფონემური დაჯგუფების პროცესში გარკვეულ სიძნელეებს აწყდება მორფემატული თეორიაც. სახელდობრ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ თეორიის მიხედვით, ფონემათა როდენობის დასადგენად სავსებით საკმარისია მხოლოდ სიგნიფიკაციურ დაპირისპირებათა არსებობა ძლიერ პოზიციაში. ხოლო თუ ბგერები წარმოითქმინა განსხვავებულად, მაგრამ ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას, ე. ი. წარმოქმნიან ერთსა და იმავე ძირს ან სიტყვის ერთსა და იმავე გრამატიკულ ელემენტს (წინსართს, სუფიქსს), ეს ერთი და იმავე ფონემის სახესხვაობებია. მაგ., *o, A, e* განსხვავებული ბგერები გაერთიანდებიან ერთ [o] ფონემაში, რადგან გვხვდებიან ერთი და იმავე მორფემის სხვადასხვა ფორმებში: *вотъ, вода, водаири*. მაგრამ ასეთი გაგების დროს ბგერის ფონემური სტატუსის დადგენა ყოველთვის ვერ ხერხდება. სახელდობრ, ღიად რჩება ისეთი ბგერების საკითხი, რომლებიც გვხვდება სუსტ პოზიციაში და ენაში არ არსებობს სხვა მონათესავე მორფემა, რო-

⁷³ D. Jones, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

⁷⁴ შტრ. E. Fischer-Jørgensen, Remarques sur les principes d'analyse phonémique.

მელშიც ეს ბგერა იქნებოდა ძლიერ პოზიციაში. მაგ., რუს. სიტყვაში *нараи* პირველი ხმოვანი |А| ბგერის ფონემური სტატუსი გაურკვეველია. ამიტომ იგი მხოლოდ *a/o* ჰიპერფონემას შეიძლება განეკუთვნოს. ე. ი. გამოდის, რომ ანალიზის ერთსა და იმავე დონეზე ზოგი ბგერა უშუალოდ ფონემას განეკუთვნება, ზოგი კი — ჰიპერფონემას. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბგერის კლასიფიკაცია უკვე სხვა საფუძველს გულისხმობს: დაჯგუფება ხდება მხოლოდ ფიზიკური (ფონეტიკური) ნიშნებით, რადგან სხვა კრიტერიუმებისთვის ადგილი არ რჩება⁷⁵.

2.24 ყოველივე ეს მოტანილი იყო იმის საილუსტრაციოდ, რომ აღნიშნული მეთოდების საშუალებით ფონემათა დადგენა ფაქტობრივ შეუძლებელია⁷⁶. მიუხედავად ამისა, ანალიზი ამ მეთოდებით წარმოებს და ჩვეულებრივ იგი გვაძლევს ენის ფონემური სისტემის მეტნაკლებად ადეკვატურ ასახვას. საქმე ის არის, რომ ფონემათა დადგენის აქ განხილული მეთოდები ემყარება გარკვეულ საწარმოთქმო მონაკვეთებს შორის იგივეობის არსებობას. მაგრამ თვით ამ იგივეობის დასაშვებად ერთადერთი საფუძველი, რომელიც მკვლევარს შეიძლება ჰქონდეს, არის ენის მატარებელთა ფონემური ინტუიცია (ე. ი. მოლაპარაკემ უბრალოდ იცის, რომ ეს „ერთი და იგივე“ მონაკვეთია)⁷⁷. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ფონემური ანალიზის მეთოდების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ენის მატარებელთა (ან, გარკვეულ შემთხვევებში, ენის მკვლევართა) ფონემურ ინტუიციაზე დამყარებით.

აღნიშნული ფაქტი ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ განსხვავებულია მის მიმართ დამოკიდებულება, მისი როლის შეფასება. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ჰ. ჰოიე-

75 როგორც ჩანს, აქ ავტორისთვის იმპლიციტურად გარკვეულ როლს თამაშობს მოლაპარაკე-მსმენელის თვალსაზრისი. ასე რომ, მოცემული თეორიის კავშირი ბოდუენის თეორიასთან ამ მხრივაც შენარჩუნებულია (როგორც ცნობილია, ბოდუენთანაც არ დამდგარა ენაში ცალკე მდგომ მორფემათა ფონემური შედგენილობის საკითხი).

76 რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობთ ცოცხალ ენათა შესწავლას და არა წერილობითი ძეგლების მიხედვით მკვდარი ენის ფონოლოგიური სისტემის დადგენას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფორმალური ანალიზი სავსებით შესაძლებელია (და გამოყენებული), რამდენადაც თვით დამწერლობის პრაქტიკა უკვე გულისხმობს რაიმე სახის ფონემურ ანალიზს.

77 იხ. აგრეთვე А. А. Леонтьев. О „префонологических тождествах“.

რი, საქმე ეხება უკვე არა იმას, ემყარებიან თუ არა ფონემური ანალიზის დროს ენის მატარებელთა ინტუიციას, რადგან ფაქტობრივად ემყარებიან მას, არამედ იმას, თუ რამდენად ემყარებიან⁷⁸.

ლინგვისტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ანალიზის დროს საკმარისია ენის მატარებელი ინდივიდებისგან მივიღოთ პრეფონემური (ზოგადად — ლინგვისტური) იგივეობის შესახებ მხოლოდ გარკვეული ინფორმაცია. მნიშვნელობა არა აქვს იმას, იქნება ეს მკვლევრის მიერ მოცემული ენის პრაქტიკული შესწავლის გზით მიღებული ცოდნა (როგორც ამას მოითხოვს ჰოკეტი)⁷⁹, თუ მოლაპარაკეებისგან უბრალოდ ჩაკითხვის გზით მიღებული ინფორმაცია (პარისი და სხვ.)⁸⁰. მთავარია ის, რომ ეს ინფორმაცია იყოს შეძლებისამებრ მინიმალური და მაქსიმალურად ცალსახა⁸¹. ინფორმანტის ფონემური ინტუიციის მიმართ აღნიშნული თვალსაზრისით ინტერესი ამით ამოიწურება⁸².

ლინგვისტების მეორე ნაწილი თვლის, რომ ენის მატარებელთა ფონემურ ინტუიციას უნდა დავემყაროთ უფრო ფართოდ და სათანადოდ ავსახოთ იგი ენათმეცნიერულ კვლევაში. ამ თვალსაზრისს ჩვენ ვხვდებით კ. პაიკისა⁸³ (და მისი მიმდევრების)⁸⁴ შრომებში, ერთი მხრივ, და გლოსემატიკაში, მეორე მხრივ. რამდენადაც პაიკი ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით ძირითადად ემყარება ე. სეპირის დებულებებს (ინფორმანტის ინტუიციის როლის შესახებ ფონემური ანალიზისათვის იხ. ზემოთ), მასზე სპეციალურად აქ არ შეეჩერდებით. შედარებით ვრცლად შევეხებით ამ საკითხის გადაჭრას გლოსემატიკაში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს იყო ე. წ. ტაქსონომიური ლინგვისტიკის, კერძოდ, კლასიკური სტრუქტურალიზმის, ფარგლებში და, მეორეც, იმიტომ, რომ გლოსემატიკის განხილვისას მკვლევრები მეტწილ შემთხვევებში გვერდს უვლიან ამ საკითხს⁸⁵.

⁷⁸ H. Hojer, Native reaction as a criterion.

⁷⁹ C. F. Hockett, A manual..., გვ. 145.

⁸⁰ Z. Harris, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

⁸¹ A. A. Леонтьев, დასახ. ნაშრ., გვ. 169—170.

⁸² იხ. მაგ., A. A. Леонтьев, Психологические единицы..., გვ. 7. და შემდ.

⁸³ K. Pike, Phonemics.

⁸⁴ H. Hojer, დასახ. ნაშრ.

⁸⁵ გლოსემატიკაში ეს იდეები ჩნდება უკვე 1954 წლიდან („La stratification du langage“). მაგრამ მიუხედავად ამისა, შემდეგდროინდელ გამოკვლევებში მათზე მითითება მაინც არ ჩანს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული (გვ. 143—145), იელმსლევის მიხედვით, ფორმასა და სუბსტანციას შორის დამოკიდებულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სინტაგმატიკური, ისე პარადიგმატიკული თვალსაზრისით. სინტაგმატიკური თვალსაზრისით, ე. ი. თუ ფორმასა და სუბსტანციას განვიხილავთ როგორც თანაარსებულ სიდიდეებს, მათ შორის რელაცია, ე. წ. მანიფესტაცია, იქნება დეტერმინაცია (კერძოდ, სელექცია), რომელშიც ფორმა არის მუდმივი, სუბსტანცია კი — ცვლადი. ამიტომ არის შესაძლებელი, რომ, მაგ., გამოხატულების ერთი და იგივე ფორმა მანიფესტირებულ იქნეს განსხვავებული სუბსტანციებით. მაგრამ პარადიგმატიკის თვალსაზრისით, ე. ი. თუ ფორმასა და სუბსტანციას განვიხილავთ როგორც ალტერნაციულ სიდიდეებს, მათ შორის დამოკიდებულება, კორელაცია, იქნება ურთიერთდამოკიდებულება (კერძოდ, კომპლემენტარობა, შევსებადობა), რაც ნიშნავს, რომ ეს ფორმა არ არსებობს სუბსტანციის გარეშე, ხოლო სუბსტანცია — ფორმის გარეშე⁸⁶. „კომუტაცია“, — წერს ავტორი, — რომელიც ენის თითოეული სიბრტყის ანალიზის ნებისმიერ საფეხურზე ელემენტთა იდენტიფიკაციის საშუალებას გვაძლევს, ქმნის იმ სფეროს, რომელშიც აუცილებელია სუბსტანციის თანამონაწილეობა. სხვათა შორის, ეს საკითხი დგება მხოლოდ სპეციალურ შემთხვევებში, სახელდობრ, ისეთი ემპირიული ობიექტის ვერიფიკაციისათვის, როგორც არის ენა. ...ამგვარად, როცა საქმე ეხება კომუტაციასა და მიღებულ ელემენტთა იდენტიფიკაციას, სიბრტყე არ დაიყვანება წმინდა ფორმამდე, არამედ განისაზღვრება როგორც ფორმა თავისი სუბსტანციითურთ — * $g^0(v) : \gamma^0(v)$ და $g^0(v)$ შესაბამისად⁸⁷. მაგრამ რამდენადაც, თავის მხრივ, სუბსტანცია გლოსემატიკაში განხილულია როგორც დონეების იერარქია, დგას საკითხი იმის შესახებ, თუ სუბსტანციის რომელი დონეა უშუალოდ დაკავშირებული ფორმასთან. ავტორის აზრით, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო სემიოტიკური სუბსტანცია ანუ აპერცეფციის, კოლექტიური შეფასების, დონე, რომელიც დგას სუბსტანციური იერარქიის თავში და დეტერმინირებულია (ე. ი. არჩეულია, მოთხოვნილია) სხვა დონეების მიერ (როგორცია, მაგ., სოციო-ბიოლოგიური დონე, ფიზიკური დონე)⁸⁸. გამოხატულებისათვის უშუალო სემიოტიკური სუბსტან-

⁸⁶ დაწვრ. იხ. L. Hjelm slev. La stratification du langage. გვ. 170.

⁸⁷ იქვე, გვ. 171.

⁸⁸ იქვე, გვ. 171—172.

ცია არის ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდების მიერ თავიანთი ენის აღქმის, აუდიციის დონე. „კურიოზული ფაქტია, — წერს ავტორი, — რომ ლინგვისტიკა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თავს იცავდა „ფსიქოლოგიზმის“ ყოველგვარი გამოვლენისაგან, გარკვეული აზრით ისევ უნდა დაუბრუნდეს სოსიურისეულ „აკუსტიკურ ხატსა“ და „ცნებას“, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს სიტყვები ინტერპრეტირებული იქნება ჩვენი დოქტრინის შესაბამისად. ერთი სიტყვით, მან უნდა დაუშვას, სათანადო შეზღუდვებით, რომ ენობრივი ნიშნის ორივე მხარე არის „ფსიქიკური ფენომენი“. ...სხვათა შორის ჩვენ დარწმუნებულიც არა ვართ, შეიძლება თუ არა ამგვარი კვლევა მიჩნეულ იქნეს ფსიქოლოგიურ კვლევად, რადგან თვით ფსიქოლოგია ისეთი მეცნიერებაა, რომლის დეფინიციები ჯერ კიდევ არ არის ზუსტად ჩამოყალიბებული“⁸⁹.

გლოსემატიკის მაგალითი განსაკუთრებით საყურადღებოა ენათმეცნიერებაში განვითარების მიმართულების საილუსტრაციოდ. ენათმეცნიერული კვლევის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ენის შესწავლა ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მისი, როგორც მოქმედი ფუნქციონალური სისტემის შესწავლას. ამ თვალსაზრისით, ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც კი ამ ფუნქციონირებას ემსახურება. საჭიროა, რომ ენათმეცნიერული მეთოდებიც ადეკვატურად ასახავდეს საკვლევ ობიექტს.

⁸⁹ L. Hjelmslev, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

ფონეტიკა და ფონოლოგია

8 ფონემის — ფიზიკური ბგერისაგან განსხვავებული აბსტრაქტული ლინგვისტური ერთეულის — საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა მისი შექმნაველი დისციპლინის საჭიროებაც. ენათმეცნიერების წინაშე რეალურად დადგა აუცილებლობა ისეთი დარგის არსებობისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო ბგერითი მოვლენების ანალიზი საკუთრივ ლინგვისტური პოზიციებიდან და ამით აღნიშნული მოვლენები დაეყენებინა სხვა ენობრივ (მორფოლოგიურ, სინტაქსურ...) მოვლენათა გვერდით¹. ასე რომ, თუ ფონეტიკის მიმართ არ იქნებოდა ზუსტი იმის თქმა, რომ იგი გრამატიკული კვლევის პრაქტიკამ წარმოშვა², ფონოლოგია, პირიქით, წმინდა ენათმეცნიერულ ბაზაზეა შექმნილი. როგორც აღნიშნული იყო (იხ. ზემოთ, გვ. 25) ფონოლოგია ფაქტობრივად იწყება მაშინ, როდესაც ხდება დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული ფაქტის ექსპლიციტურად გააზრება, რომ ბგერა არ არის ფიზიკური ფენომენი per se, რომ იგი ფუნქციონალური მექანიზმის ელემენტია და შესწავლილი უნდა იქნეს, პირველ ყოვლისა, ამ ფუნქციონირების ფონზე³.

ამგვარად, ენათმეცნიერების განკარგულებაში აღმოჩნდა ბგერითი მხარის შემსწავლელი ორი დისციპლინა: 1 ფონეტიკა, რომელიც ტრადიციულად სწავლობდა ბგერათა ფონეტიკურ (ფიზიკურ და ანატომიურ-ფიზიოლოგიურ) თავისებურებებს, 2 ფონოლოგია,

¹ აქ არ ვეხებით ფონოლოგიის მიმართებას გრამატიკის სხვა დარგებთან. ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მხოლოდ ფონოლოგიის მიმართების საკითხი ფონეტიკასთან.

² G. Panconcelli-Calzia. The earlier history of phonetics. გვ. 17.

³ მართალია, ფონოლოგია არ შექმნილა როგორც ერთიანი მოძღვრება ბგერითი მხარის ფუნქციონირების შესახებ (ფართო გაგებით), იგი იქმნებოდა ცალკეულ მიმდინარეობათა სახით, მაგრამ არსებითი ის არის, რომ ეს მიმდინარეობები სხვადასხვა მხრიდან სწავლობდნენ სწორედ ამ ფუნქციონირების მექანიზმს.

წმინდა ლინგვისტური დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბგერებს ენობრივი ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ბუნებრივია, დადგა ამ ორი დარგის ურთიერთობის საკითხიც. სხვადასხვა ფონოლოგიური თეორიების მიერ ამ საკითხის გადაჭრაში იმთავითვე ერთმანეთს დაუპირისპირდა ძირითადად ორი თვალსაზრისი: 1. თეორიების ერთ ნაწილში ფონეტიკა და ფონოლოგია გამოცხადდა ორ, განსხვავებული ორიენტაციისა და განსხვავებული ობიექტების მქონე, დისციპლინად; 2. თეორიების მეორე ნაწილში მოთხოვნილია ფონეტიკისა და ფონოლოგიის ერთიანობა.

3.1 პირველი თვალსაზრისი ენათმეცნიერებაში გაჩნდა ფონემის ცნების შემოტანისთანავე. ბოდუენმა პირველმა ენათმეცნიერების კვლევის პრაქტიკაში არა მხოლოდ ექსპლიციტურად გამოიჩინა ბგერის წმინდა ფონეტიკური და ლინგვისტური ასპექტები, არამედ ამ უკანასკნელისათვის ფონეტიკის სპეციალური დარგი — ფსიქოფონეტიკაც კი შექმნა. ავტორის მოსაზრებები ასეთია:

როგორც აღნიშნული იყო, ფონემა და ბგერა ორი სხვადასხვა რიგის მოვლენაა. შესაბამისად განსხვავებული უნდა იყოს მათი შემსწავლელი დისციპლინებიც.

ბგერა, როგორც ფიზიკური ელემენტი, ბოდუენის მიხედვით, განეკუთვნება ბუნების სამყაროს⁴. იგი წარმოადგენს ფონოლოგიის (ანუ ფონეტიკის) სპეციალური დარგის — ანთროპოფონიკის (ბერძნ. სიტყვებისაგან *ἀνθρωπος* „ადამიანი“ და *φωνή* „ბგერითი“) ობიექტს⁵. ანთროპოფონიკა სწავლობს ენის ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ მოვლენებს და მათ შორის კავშირებს⁶. ეს არის მეცნიერება წარმოქმნის წმინდა გარეგანი მხარის შესახებ⁷. თავის კვლევაში იგი ემყარება ანატომიის, ფიზიოლოგიის, მექანიკის, აკუსტიკის მონაცემებს⁸ და განეკუთვნება ბუნებისმეცნიერებათა წყებას⁹. ანთროპოფონიკის თვალსაზრისი არაენობრივია¹⁰.

ფიზიკური ბგერისაგან განსხვავებით, ენა განეკუთვნება სოციალურ-ფსიქიკურ მოვლენათა სფეროს და ამიტომ ბგერითი ფაქტე-

⁴ И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, гл. 353, 355; ИТ, II, гл. 118—119.

⁵ იქვე, I, გვ. 354.

⁶ იქვე, გვ. 354; მისივე: Основы общей фонетики, გვ. 125.

⁷ И. А. Бодуэн де Куртене, ИТ, I, гл. 354.

⁸ იქვე, გვ. 356; ИТ, II, гл. 99.

⁹ იქვე, I, გვ. 354; ИТ, II, гл. 327.

¹⁰ იხ. იქვე, I, гл. 355.

ზისადმი ერთადერთი ენათმეცნიერული მიდგომა შეიძლება იყოს მხოლოდ ფსიქოლოგიური¹¹. ამას აკეთებს ფონოლოგიის (ფონეტიკის) სპეციალური დარგი — ფსიქოფონეტიკა¹². ეს არის, ისევე როგორც მთლიანად ლინგვისტიკა¹³, ჰუმანიტარული მეცნიერება და დაკავშირებულია ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიასთან¹⁴.

ფსიქოფონეტიკას საქმე აქვს ცერებრაციასთან. თუ ბგერის ცნებას შევცვლით მისი ფსიქიკური ეკვივალენტის — ფონემის ცნებით და ანთროპოფონიკურ მონაცემებს გადავიტანთ ფსიქოლოგიურ ნიშანადგურზე, ამით ჩვენ ანთროპოფონიკას ვცვლით ფსიქოფონეტიკით და ფონეტიკურ მოვლენებზე ვლაპარაკობთ ფსიქოფონეტიკის ენით (მაგ., ფსიქოფონეტიკაში ფონაცია შეცვლილია ფონაციური ფუნქციების წარმოდგენებით, აუდიცია და პერსექუცია კი — ამ ფუნქციათა აქუსტიკური შედეგების წარმოდგენებით და ა. შ.)¹⁵.

მაგრამ ეს ორი დარგი დაკავშირებულიც უნდა იყოს ერთმანეთთან: ფსიქოფონეტიკაში განიხილება მხოლოდ ის, რაც არსებობს საწარმოთქმო-სმენითი წარმოდგენების სახით¹⁶.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის გათიშვა იგულისხმება სოსიურთანაც, თუმცა მას არც ეს ტერმინები გამოუყენებია მოცემული მნიშვნელობით და არც სპეციალური დარგი შეუქმნია „ენის“ თვალსაზრისით ბგერათა შესასწავლად. მაგრამ მასთან ეს ორი თვალ-

11 И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, I, გვ. 355.

12 ტერმინ „ფონეტიკის“ მნიშვნელობა ბოდუენთან სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ერთი მხრივ, ფონეტიკა (ანუ ფონოლოგია) ნიშნავს ზოგადად სამეტყველო ბგერათა შესახებ მეცნიერებას, რომელშიაც ისტორიული ფონეტიკის გვერდით გამოყოფილია ანთროპოფონიკაცა და ფსიქოფონეტიკაც. (იხ. ИТ, I, გვ. 79, 272, 354—5; ИТ, II, გვ. 10—11, 100). მეორე მხრივ, ფონეტიკა როგორც ეტიმოლოგიურ-სემასიოლოგიური მხარის შემსწავლელი ფსიქიკური დისციპლინა (ემთხვევა ფსიქოფონეტიკას) უპირისპირდება ანთროპოფონიკას (იხ. მისი: Основы общей фонетики. გვ. 125; ИТ, I, გვ. 109) ან, პირიქით, ფონეტიკა როგორც არტიკულაციურ აქუსტიკური მხარის შემსწავლელი მეცნიერება (ემთხვევა ანთროპოფონიკას) უპირისპირდება ფსიქოფონეტიკას (ИТ, II, გვ. 327).

13 И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, I, გვ. 169; ИТ, II, გვ. 98.

14 იქვე, II, გვ. 99, 327.

15 იქვე, I, გვ. 358.

16 იქვე, II, გვ. 327. — ფსიქოფონეტიკა, როგორც მას წარმოვედგენს ბოდუენი, ფართო დარგია. იგი ეხება მთლიანად ცერებრაციას და საწარმოთქმო-სმენით წარმოდგენებს სწავლობს როგორც თავისთავად, ისე სხვა (მორფოლოგიურ და სემასიოლოგიურ) წარმოდგენებთან კავშირში. დაწვრ. იხ. И. А. Бодуэн де Куртэнэ, ИТ, I, გვ. 354, 391.

საზრისი (საბუნებისმეტყველო და ენობრივი) მკაცრად გარჩეულია და სათანადო დასკვნებიც არის გაკეთებული¹⁷. სახელდობრ, სოსიურის მიხედვით, ლინგვისტიკის ერთადერთ და ჭეშმარიტ ობიექტს წარმოადგენს ენა, განხილული „თავის შიგნით“ და „თავისთვის“¹⁸. წმინდა ბგერითი (resp. „მეტყველებს“) ფაქტორები კი, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ მის განსხვავებას სხვა სემიოლოგიური სისტემებისაგან, უნდა შევისწავლოთ მეორე რიგში¹⁹; მათი შესწავლა იმდენად შედის ენათმეცნიერებაში, რამდენადაც ისინი დაკავშირებული არიან ენასთან²⁰. აქედან გასაგები ხდება თუ რატომ მიიჩნევენ ავტორი „ფონოლოგიას“ (ფონეტიკას ჩვეულებრივი გაგებით) ლინგვისტიკის დამხმარე დისციპლინად²¹. ლინგვისტს არც სჭირდება იყოს დასრულებული ფონოლოგი. იგი ფონოლოგიისაგან მოითხოვს მხოლოდ გარკვეულ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ენის შესასწავლად²². ბგერათფიზიოლოგიის მიმართება ლინგვისტიკასთან ცალმხრივია: ლინგვისტიკა იყენებს მის მონაცემებს, მაგრამ თავის მხრივ არაფერს არ აძლევს მას²³.

ფონემისა და ბგერის განსხვავების შესაბამისად განსხვავებულად წარმოგვიდგება მათი შემსწავლელი დისციპლინები სეპირის მიხედვითაც.

ბგერა, როგორც ფიზიკურ-ფიზიოლოგიური ფენომენი, სეპირისათვის წმინდა ფონეტიკური ფაქტია და, ბუნებრივია, განეკუთვნ-

¹⁷ ი. ქობალაძე, ფონოლოგიის ისტორიიდან.

¹⁸ F. de Saussure, Cours..., გვ. 317. — „კურსის“ ეს ცნობილი ფრაზა არ არის დამოწმებული სოსიურის ხელნაწერებში. რ. გოდელის მიხედვით იგი შეიძლება არც ეკუთვნოდეს სოსიურს, რამდენადაც მისთვის შესწავლის ნამდვილი ობიექტი უფრო არის მოცემული „ენები“ და „ენა“ (les langues et la langue) ვიდრე აბსტრაქტული სისტემა (იხ. R. Godel, Les sources..., გვ. 181). და მაინც აღნიშნული ფორმულირება შეიძლება სოსიურისეულად ჩაითვალოს (რისთვისაც გამოიყენებოდა ალბათ სხვა საფუძველიც ჰქონდათ). ზოგადი სემიოტიკური თეორია (ენა „თავის შიგნით“ და „თავისთვის“) სოსიურს, მართალია, არ დაუმუშავებია, მაგრამ რეალურ „ენათა“ ან „ენის“ ფორმალური აღწერის აპარატი, რომელსაც იგი გეთავაზობს, მთლიანად ამ ზოგადი პერსპექტივის გათვალისწინებითაა აგებული. შტრ. აგრეთვე სოსიურის მსჯელობა: R. Godel, დასახ. ნაშრ., გვ. 54, 55.

¹⁹ F. de Saussure, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

²⁰ იქვე, გვ. 37.

²¹ იქვე, გვ. 77.

²² იხ. იქვე.

²³ იქვე, გვ. 21.

ნება ფონეტიკის სფეროს. რამდენადაც ფონეტიკა მხოლოდ საბუნებრივმეტყველო ცოდნას გვაწვდის²⁴, იგი ლინგვისტიკისათვის, ავტორის აზრით, მხოლოდ დამხმარე დისციპლინა შეიძლება იყოს.

ფონეტიკური ინტერპრეტაციების (graphs) შეტანა დესკრიფციულ გრამატიკაში, წერს იგი, არის ლინგვისტური სტრუქტურის აღრევა ლინგვისტური ფენომენის შესწავლის სპეციფიკურ მეთოდთან. თუ გრამატიკულ ნაშრომში გამართლებულია ენის ვოკალური სისტემის აღწერა კიმოგრაფიული ჩანაწერების ტერმინებით, მაშინ ასევე გამართლებული იქნება ანექლოტების ჩართვა მორფოლოგიაში იმის საჩვენებლად, თუ როგორ გამოიყენება ზოგიერთი ბრუნვა“²⁵. მაგრამ, დასძენს ავტორი, მეტყველება იმდენად მკიდრულ უკავშირდება ბგერებს, მათ არტიკულაციებს, რომ თითქმის შეუძლებელია თავი ავარიდოთ ფონეტიკის საკითხების თუნდაც ზოგად განხილვას²⁶.

წმინდა „ფონეტიკური ინტერპრეტაციებისაგან“ განსხვავებით ფონემური ინტერპრეტაციების ადგილი სწორედ ლინგვისტიკაშია. რამდენადაც ავტორის მიზანია შეისწავლოს „იმ ნებისმიერი სიმბოლური სისტემების ფუნქცია და ფორმა, რომელთაც ეწოდებათ ენები“²⁷, ეს კვლევა მოიცავს ფონემებსაც, როგორც ამ სისტემის რეალურ ელემენტებს²⁸.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის, როგორც ორი, არსებითად განსხვავებული, მეცნიერების დაფუძნებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ტრუბეცკოის თეორიაში.

როგორც აღნიშნული იყო, „მეტყველებისა“ და „ენის“ დაპირისპირების შესაბამისად, ტრუბეცკოი განასხვავებს ბგერას — კონკრეტულ ფიზიკურ მოვლენას და ფონემას — უსხეულო აბსტრაქციას, ენობრივ ღირებულებას (დაწვრ. იხ. ზემოთ, გვ. 114). ავტორის აზრით, ისინი იმდენად განსხვავებული მოვლენებია, რომ მათ შესასწავლად საჭიროა ორი მეცნიერება, რომელთაგან ერთი მიმართული იქნება მეტყველებისაკენ, მეორე — ენისაკენ. მოძღვრება მეტყველების ელემენტების („მეტყველების ბგერე-

²⁴ ფონეტიკის შესახებ იხ. E. Sapir, La réalité.... გვ. 248—249; მისივე: The status of linguistics, გვ. 74.

²⁵ E. Sapir, Sound patterns.... გვ. 25.

²⁶ იხ. იქვე.

²⁷ Э. Сепир. Язык. გვ. 11.

²⁸ თვით ტერმინ „ფონოლოგია“ ავტორი უწოდებს ცალკეულ ენათა ფონემურ მექანიზმს. იხ. E. Sapir, Language, გვ. 5.

ბის“) შესახებ იქნება ფონეტიკა, მოძღვრება ენის ელემენტების („ენის ბგერების“) შესახებ კი — ფონოლოგია²⁹.

ფონეტიკა წმინდა ფენომენოლოგიური მეცნიერებაა³⁰. ფონეტიკოსის ერთადერთი ამოცანაა უპასუხოს კითხვაზე, თუ „როგორ წარმოითქმის ესა თუ ის ბგერა“³¹. ამიტომ მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია სამეტყველო ბგერისათვის დამახასიათებელი ყველა არტიკულაციურ-აკუსტიკური ნიშანი³². თავისი მიზნის მისაღწევად ფონეტიკოსი ცდილობს, ასე ვთქვათ, შეაღწიოს სამეტყველო ორგანოებში, რათა დეტალურად შეისწავლოს მათი მუშაობა (ისევე, როგორც სწავლობენ რომელიმე მექანიზმის მუშაობას) და ამის შედეგად მიღებული აკუსტიკური ეფექტი³³. რამდენადაც ყოველი სამეტყველო ბგერა შეიძლება შესწავლილ იქნეს მხოლოდ იზოლირებულად, ამდენად ფონეტიკოსი აუცილებლად ატომისტი და ინდივიდუალისტია (ამ სიტყვის გნოსეოლოგიური მნიშვნელობით)³⁴.

ფონეტიკა სწავლობს ბგერათა ფენომენოლოგიურ მხარეს ენობრივ მნიშვნელობასთან ყოველგვარი მიმართების გარეშე³⁵. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფონეტიკა სწავლობს იმას, რაც რეალურად წარმოითქმის მეტყველების პროცესში³⁶. რამდენადაც ფონეტიკის ობიექტი არის სწორედ რეალურად წარმოთქმული ბგერა, ე. ი. „სმენით აღსაქმელი ფიზიკური მოვლენა“, ამდენად მის შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეთოდები³⁷.

²⁹ დაწვრ. იხ. Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 9, 17.

³⁰ იქვე, გვ. 19.

³¹ იქვე, გვ. 16.

³² იქვე, გვ. 18; მისივე: Les systèmes phonologiques., გვ. 121.

³³ N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, გვ. 232; მისივე: Les systèmes phonologiques., გვ. 121; Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

³⁴ N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, გვ. 233; მისივე: Les systèmes phonologiques., გვ. 122.

³⁵ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 17, 19.

³⁶ N. Trubetzkoy, La phonologie actuelle, გვ. 232.

³⁷ რამდენადაც ბგერა სმენით აღსაქმელი მოვლენაა, მეტყველების აქტის აკუსტიკური მხარის კვლევით ფონეტიკა უახლოვდება აღქმის ფსიქოლოგიას. მეორე მხრივ, რამდენადაც სამეტყველო ბგერის არტიკულაცია ნახევრად ავტომატიზირებულია, არტიკულაციის შესწავლით იგი უახლოვდება ავტომატურ მოქმედებათა ფსიქოლოგიას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკის კვლევის სფერო ფსიქიკურშია მოთავსებული, მისი მეთოდები მაინც

ფონეტიკისაგან განსხვავებით, ფონოლოგია წმინდა ლინგვისტური (resp. სოციალური) მეცნიერებაა, რომელიც ეხება ბგერების არა ფენომენოლოგიურ, არამედ ფუნქციონალურ მხარეს³⁸. ამიტომაც ავტორის აზრით, ფონოლოგიას არ აინტერესებს ბგერის ყველა ნიშანი, იგი ბგერის შედგენილობაში მხოლოდ იმ ნიშნებს იკვლევს, რომლებიც ფასეულია, რელევანტურია ფუნქციონალური, ე. ი. მნიშვნელობის განსხვავების თვალსაზრისით³⁹.

რამდენადაც ფონემის შინაარსის, ე. ი. ბგერათა რელევანტური ნიშნების დადგენა გულისხმობს მოცემული ენის ოპოზიციათა მთლიანი სისტემის გათვალისწინებას, ამდენად ფონოლოგიური მიდგომა განსხვავდება ფონეტიკის ატომისტური მიდგომისაგან⁴⁰. ბუნებრივია, რომ ფონოლოგიური ამოცანების გადაჭრა არ შეიძლება საბუნებისმეტყველო მეთოდებით. ფონოლოგიურ კვლევას უფრო ის მეთოდები შეეფერება, რომლებიც გამოყენებულია ენის გრამატიკული სისტემის კვლევისას⁴¹.

ამგვარად, ფონეტიკისა და ფონოლოგიის განსხვავება, ტრუბეტკოის მიხედვით, აუცილებელია, მაგრამ იგი არ გამორიცხავს მათ კავშირსაც. ეს ორი მეცნიერება, ბუნებრივია, იყენებს ერთმანეთის მიღწევებს. მეტყველება, რომელიც ფონეტიკის კომპეტენციაში შედის, უწყვეტი ბგერითი ნაკადია. მისი დანაწილება ცალკეულ ბგერებად გულისხმობს ფონოლოგიის ჩარევას. ამის შემდეგ იწყება ამ ელემენტების ფონოლოგიისაგან დამოუკიდებელი წმინდა ფონეტიკური შესწავლა. ასევე, ფონოლოგიაც იყენებს გარკვეულ ფონეტიკურ ცნებებს, რამდენადაც რომელიმე ენის ფონოლოგიური დესკრიფციისათვის ამოსავალია ამ ენის ფონეტიკური მხარე. მაგრამ ფონოლოგიური აღწერის შემდგომი საფეხურები ფონეტიკური აღწერისაგან სრულიად დამოუკიდებელია⁴².

წმინდა საბუნებისმეტყველოა. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მოპოვნავე სფეროებშიც, რამდენადაც აქ საქმე ეხება არა უმაღლეს, არამედ რუდიმენტულ ფსიქოლოგიურ პროცესებს, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეთოდებია გამოყენებული. იხ. Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

³⁸ იქვე, გვ. 19.

³⁹ იქვე, გვ. 18.

⁴⁰ N. Trubetzkoy, Les systèmes phonologiques, გვ. 123.

⁴¹ Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

⁴² Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 20—21.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის⁴³ დაპირისპირებას ვხვდებით აგრეთვე ბლუმფილდთან და ამერიკელ დესკრიპტივისტებთან, რომელთაც ფონეტიკა, როგორც პრელინგვისტიური დისციპლინა, გააქვთ საკუთრივ ლინგვისტიკის სფეროდან⁴⁴.

8. 2 მეორე თვალსაზრისი, რომლითაც ფონეტიკა-ფონოლოგიის ურთიერთობას განიხილავენ ენათმეცნიერებაში, გულისხმობს არა მეცნიერების ორი დარგის, არამედ ერთი მეცნიერების შიგნით ორი ასპექტის არსებობას. ამ თვალსაზრისს ვხვდებით მაგალითად, შჩერბასთან. „რის წინააღმდეგაც უნდა გავილაშქროთ, — წერს იგი, — ეს ფონოლოგიისა და ფონეტიკის, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, იმის, რასაც ბოდუენი უწოდებდა ანთროპოფონიკას, გათიშვის წინააღმდეგ. ზოგს ეჩვენება, რომ ფონოლოგიური კვლევა შეიძლება ფონეტიკისაგან მოწყვეტილად. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც რომელიმე ფუნქციის კვლევა მეტყველებაში მისი კონკრეტული გამოყენების შემთხვევათაგან მოწყვეტილად... მოცემული ენის ფონემათა სისტემის შესწავლა, თითოეული მათგანის „სემანტიზირებული“ (ფონოლოგიზირებული) ნიშნების განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ კონკრეტული წარმოთქმის შესწავლის საფუძველზე“⁴⁵.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის მიმართების საკითხში შჩერბას ხაზს აგრძელებენ მისი მიმდევრებიც. საერთო აზრი ასეთია: არსებობს ბგერითი ერთეულის შემსწავლელი ერთი მეცნიერება — ფონეტიკა, რომელიც თავისი ობიექტის შესწავლას უდგება სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა თვალსაზრისით. ფონოლოგია სხვა არაფერია, თუ არა ბგერითი ერთეულების — ფონემების შესწავლა სოციალური (ფუნქციონალური) ასპექტით, განსხვავებით ფონემათა შესწავლისაგან საკუთრივ ფონეტიკური ასპექტით. ეს ორი ასპექტი ერთმანეთს გულისხმობს და ერთმანეთს აცხებს⁴⁶.

⁴³ უფრო ზუსტად, ეს არის ფონოლოგიის სფეროში ფონეტიკისა და ფონემიკის (როგორც ამერიკელები უწოდებენ ფონოლოგიას) დაპირისპირება.

⁴⁴ დაწვრ. იხ. Л. Блумфилд. Язык, გვ. 76; G. L. Trager. The field of linguistics, გვ. 2. — სხვა დესკრიპტივისტებისაგან განსხვავებით, ჩ. პოკეტი ფონეტიკას ლინგვისტიკაში განიხილავს, თუმცა თვით ფონეტიკურ სისტემას მიიჩნევს ენის პერიფერიულ სისტემად. დაწვრ. იხ. C. F. Hockett. A course..., გვ. 137—138.

⁴⁵ Л. В. Щерба. Очередные проблемы языкознания, გვ. 3.

⁴⁶ Л. Зиндер. Общая фонетика, გვ. 9. იხ. აგრეთვე А. Н. Гвоздев, Современный русский литературный язык, გვ. 8; Н. Д. Боголюбова. К некоторым вопросам фонологии в советском языкознании, გვ. 9.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის, როგორც ერთი მეცნიერების ორი განსხვავებული ასპექტის, დამოკიდებულებაზე ლაპარაკობენ სხვა ფონოლოგებიც⁴⁷.

3. 8 ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირება თავის დროზე გასაგები და მეტ-ნაკლებად გამართლებულიც იყო. საქმე ისაა, რომ ტრადიციული ფონეტიკა სწავლობდა ბგერებს არსებითად ფიზიკურ-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ენის სხვა მოვლენებისაგან, მათ შორის ენობრივი მნიშვნელობისაგან, დამოუკიდებლად. ექსპერიმენტული ფონეტიკის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით (რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო ფიზიკისა და ფიზიოლოგიის დარგში მიღწეული წარმატებებით), შეიქმნა რეალური საფრთხე იმისა, რომ ფონეტიკა საბოლოოდ დაკარგავდა ლინგვისტურ ორიენტაციას⁴⁸. ენათმეცნიერებისათვის კი საჭირო იყო არა თავისთავად ბგერების შესწავლა, როგორც არტიკულაციურ-აქუსტიკურ თვისებათა ერთიანობისა, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რა როლს ასრულებენ ეს თვისებები ენაში, როგორ არიან ისინი გამოყენებული ენობრივი ფუნქციონირების მიზნებით. სწორედ ამ ლინგვისტური ამოცანების გადაჭრა დაისახა მიზნად ფონოლოგიამ⁴⁹. ამიტომ, ფაქტობრივად, ენათმეცნიერულ კვლევაში ფონოლოგიას უნდა დაეკავებინა ადგილი არა ფონეტიკასთან ერთად, არამედ მის ნაცვლად, როგორც მის ლოგიკურ გაგრძელებას⁵⁰ ანუ როგორც „ფონეტიკის განვითარების უფრო მაღალ, სრულყოფილ საფეხურს“⁵¹. მაგრამ არსებული ფონეტიკური კვლევის ტრადიციები იმდენად ძლიერ იყო, რომ იმ დროს უფრო ადვილი აღმოჩნ-

⁴⁷ იხ. მაგ., D. Jones. The phoneme.... გვ. VII.

⁴⁸ უფრო დაწერ. იხ. ზემოთ, გვ. 16—18.

⁴⁹ როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. რეფორმატსკი, „ფონეტიკაში ფონოლოგიური ასპექტის მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფონეტიკა არ დაუთმოს ბუნებისმეტყველებას და ბგერები, ფიზიკური მოვლენები, განიხილოს ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, აუცილებელი ელემენტები“. А. А. Реформатский, О соотношении фонетики и грамматки, გვ. 399.

⁵⁰ კლასიკურ ფონეტიკაში „ფონოლოგიური“ იდეების არსებობა (იხ. ზემოთ, გვ. 22—23) სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ფონეტიკაში უკვე იგრძნობოდა ახალი თვალსაზრისის საჭიროება.

⁵¹ А. А. Реформатский, К проблеме фонемы и фонологии, გვ. 471, — ფონოლოგიაზე, როგორც ფონეტიკის განვითარების ახალ, ფუნქციონალურ ეტაპზე იხ. აგრეთვე A. Martinet, La linguistique synchronique, გვ. 36-37; J. Laziczius, Phonétique et phonologie, გვ. 293, 301 და შემდ.

ნდა ახალი დარგის დაფუძნება, ვიდრე ძველის გარდაქმნა ახალ მეთოდოლოგიური მოთხოვნების მიხედვით⁵².

ენათმეცნიერული კვლევის თვალსაზრისით, ასეთი დაპირისპირება ამჟამად სრულიად გაუმართლებელია.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფონეტიკა და ფონოლოგია არ არიან თანასწორუფლებიანი დისციპლინები, რომ შესაძლებელი იყოს მათი დაპირისპირება, როგორც ორი განსხვავებული (საბუნებისმეტყველო და ლინგვისტური) მეცნიერებისა. ფონეტიკა, რომელიც უპირისპირდება ფონოლოგიას ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების შემდეგ, არ არის ის ტრადიციული ფონეტიკა (საბუნებისმეტყველო ორიენტაციის მქონე დისციპლინა), რომელიც არსებობდა ფონოლოგიის შექმნამდე. მას შემდეგ, რაც საკუთრივ ლინგვისტური ოპერაციები (ბგერითი ნაკადის სეგმენტაცია, დამოუკიდებელი ბგერითი ერთეულების დადგენა და სხვ.), რომელსაც ინტუიციურად, მაგრამ მაინც აკეთებდა ფონეტიკა, გადატანილ იქნა ფონოლოგიის სფეროში, ფონეტიკური კვლევის ობიექტი ძალზე შეიზღუდა. ფონეტიკას არა აქვს საშუალება გამოყოს თავისი საკუთარი ერთეული⁵³. იგი კმაყოფილდება მხოლოდ ფუნქციონალური (ე. ი. არაფონეტიკური) კრიტერიუმების მიხედვით უკვე გამოყოფილი ბგერების ფიზიკურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების აღწერით⁵⁴. მაგრამ აღსანიშნავია, რომ

52 ამაში რამდენადმე ბრალი მიუძღვით როგორც ფონოლოგებს, „რომლებიც უფრო იმისკენ მიისწრაფოდნენ, რომ გაეხაზათ თავიანთი თვალსაზრისის ორიგინალობა, ვიდრე იმისკენ, რომ ჩართულიყვნენ ტრადიციული კვლევის ჩარჩოებში“ (A. Martinet, დასახ. ნაშრ., გვ. 37), ისე თვით ფონეტიკოსებსაც, რომელთაც დიდხანს არ უნდოდათ გაეაზრებინათ ფონოლოგიური პრინციპების კანონიერება.

53 ამ თვალსაზრისით თანმიმდევრული არ ჩანს არც ის შეხედულება, რომლის თანახმადაც ფონეტიკა და ფონოლოგია ერთი და იმავე მეცნიერების შიგნით იერარქიულად განსხვავებული ასპექტებია. აღნიშნული შეხედულებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი უშვებს ფონეტიკის, როგორც ფონოლოგიაზე ასპექტის, არსებობას და თვლის, რომ ფონოლოგიური ასპექტი როგორც უფრო მაღალი საფეხური ავსებს მას. ასეთი გაგება თანმიმდევრული იქნებოდა ისეთ შემთხვევაში, თუ ის დაემყარებოდა ბგერებს, როგორც ფონეტიკურ ერთეულებს, გამოყოფილს და შესწავლილს საკუთრივ ფონეტიკის სფეროში და შემდეგ გადავიდოდა ფონოლოგიური თვალსაზრისით მათ შესწავლაზე. მაგრამ ბგერების გამოყოფისას ფაქტობრივად ამოდიან სწორედ ფონოლოგიური თვალსაზრისიდან (სათანადო ადგილები იხ. ზემოთ).

54 როგორც სამართლიანად შენიშნავს პ. მოლი, ბგერითი ფაქტების ანა-

არც ეს აღწერა არის ფონოლოგიის გავლენისაგან მთლიანად თავისუფალი. ნებისთ თუ უნებლიეთ ფონოლოგიურ კვლევაში მეტი ყურადღება ექცევა მაინც იმ თავისებურებებს, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან მოცემული ენის ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით⁵⁵.

ფონეტიკა არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებისმეტყველებად სხვა თვალსაზრისითაც. რამდენადაც ფონოლოგიური თეორიები სწავლობენ სამეტყველო ბგერათა ფუნქციონალურ მხარეს, პირველ ყოვლისა, იგულისხმება, რომ ეს სამეტყველო ბგერები არსებობენ როგორც ფონემის შესაბამისი ერთეულები. უფრო მეტიც, ისინი უნდა არსებობდნენ არა როგორც წმინდა ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მოვლენები⁵⁶, არამედ სწორედ როგორც მოცემული ენის ბგერები, ე. ი. გარკვეული ენობრივი სისტემის ერთეულები, სოციალური და ფუნქციონალური ღირებულების მქონე ელემენტები. ბგერის, როგორც მეტყველების „უფუნქციო“, ხოლო ფონემის, როგორც ენის „ფუნქციონალური“ ერთეულის დაპირისპირება შეუძლებელია, რადგან თუ ფონემა ფუნქციონალურია, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რეალურად ფუნქციონირებს სწორედ ბგერა, რომლისაგანაც აბსტრაქციით არის მიღებული ფონემა. ამიტომ რაიმე ნაწილი იმ ფონეტიკური თავისებურებებიდან, რომელსაც სწავლობს ფონეტიკა, შეიძლება აარაღვევანტური იყოს მხოლოდ რომელიმე ვიწრო ფონოლოგიური მოდელირების, მაგრამ არა მთლიანად ენის, მისი ფუნქციონირების, შესწავლის თვალსაზრისით.

ასე რომ, ბგერებსა და ფონემებს შორის, როგორც ენობრივ (ონოლოგიურ), და ლინგვისტურ (გნოსეოლოგიურ) ერთეულებს შორის დაპირისპირებაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ გაითიშოს ფონეტიკა და ფონოლოგია⁵⁷. რო-

ლიზის დროს „ფონეტიკოსს იწვევენ იმისათვის, რომ აღწეროს ფონემა არტიკულაციური და აკუსტიკური ტერმინებით“. H. Mol. On the phonetic description of the phoneme, გვ. 289.

55 იხ. აგრეთვე H. C. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

56 ასეთებად ბგერები გვევლინებიან მხოლოდ ინსტრუმენტული ფონეტიკის თვალსაზრისით.

57 შდრ., მაგ., თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ფონეტიკა აღწერს ენობრივ მასალას მთელი თავისი სიართულითა და წინააღმდეგობებით, ფონოლოგია კი აგებს აბსტრაქტულ მოდელს. შესაბამისად, ფონეტიკა გამოდის პრაქტიკული, ფონოლოგია აბსტრაქტული თეორიული დისციპლინა. იხ. Л. А. Зинновьев, И. И. Ревзин, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

გორც სამართლიანად აღნიშნავდა ტვოდელი, „ფონეტიკოსისა და ფონოლოგის ამოცანები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. პირიქით, ფონოლოგიური სინთეზი არის აუცილებელი გაგრძელება ფონეტიკური ანალიზისა. ფონეტიკოსი, რამდენადაც ის უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ლაბორატორიული ტექნიკოსი, უნდა იყოს აგრეთვე ფონოლოგი, ხოლო ფონოლოგი, რამდენადაც ის უფრო მეტია, ვიდრე ხელოვანი, უნდა იყოს ფონეტიკოსიც“⁵⁸.

თუკი ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ფონეტიკის „ფონოლოგიურობაზე“⁵⁹, მეორე მხრივ, ასევე შესაძლებელია ლაპარაკი ფონოლოგიის „ფონეტიკურობაზეც“. თავის დროზე ტრუბეცკოი შენიშნავდა, რომ ფონემური ანალიზის პირველ ეტაპზე ფონეტიკის დახმარება აუცილებელია ფონოლოგიისათვის⁶⁰. მაგრამ როგორც კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, ფონემური ანალიზის მსვლელობაში ფონეტიკის როლი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ფაქტობრივად, აქ დგას არა ერთი მეცნიერების მიერ მეორე მეცნიერების მონაცემთა გამოყენების საკითხი (როგორც, მაგ., ისტორიას შეუძლია გამოიყენოს ლინგვისტიკის მონაცემები რომელიმე ისტორიული ფაქტის დასაზუსტებლად), არამედ ფონეტიკის დახმარების გარეშე საერთოდ ფონოლოგიური კვლევის შეუძლებლობის საკითხი. საქმე ის არის, რომ ფონეტიკის მონაწილეობა აუცილებელია ფონემური ანალიზის ყველა დონეზე. სახელდობრ, ეს შეეხება არა მხოლოდ ანალიზის ადრეულ ეტაპს, როდესაც ხდება ბგერითი ნაკადის სეგმენტაცია და ბგერათა ფონემური იდენტიფიკაცია⁶¹. ფონეტიკური ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია ფონემური ანალიზის შემდგომ სა-

⁵⁸ W. F. Twaddell, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

⁵⁹ ამ აზრით სწორია იელმსლევი, რომლის მიხედვით, რამდენადაც ფონეტიკა გულისხმობს ენობრივი სქემის სტრუქტურულ ანალიზს, ფონეტიკური მტკიცებებიც იქნება აგრეთვე სტრუქტურული მტკიცებები (დაწვრ. იხ. Л. Ельмслев. Метод структурного анализа в лингвистике, გვ. 63 — 64). სწორედ ამ პრინციპით აგებულ ფონეტიკას უწოდებს ის დედუქციურ ფონეტიკას ანუ ფონემატიკას (იხ. L. Hjelmlev, Über die Beziehungen der Phonetik zur Sprachwissenschaft, გვ. 217, 221).

⁶⁰ H. C. Трубецко и, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

⁶¹ როგორც აღნიშნული იყო (დაწვრ. იხ. ზემოთ, გვ. 211—216), „ერთი და იგივე“ გარემოცვა და ბგერათა „ფონეტიკური მსგავსების“ კრიტერიუმი, რომელსაც იყენებს ფონოლოგია სეგმენტაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურებში, თავის მხრივ, ეყარება ენის მატარებელთა ფონემურ ინტუიციას, მაგრამ ამჟამად ეს არ არის არსებითი. მთავარია, რომ თვითონ ფონოლოგები მიმართავენ ამ კრიტერიუმებს.

ფეხურზეც, ფონემათა სინტაგმატიკური და პარადიგმატიკული კლასიფიკაციების დროს.

მაგ., კორელაციური კონების დადგენა, რომელსაც მიმართავს ტრუბეცკო პარადიგმატიკული ანალიზის დროს მთლიანად ბგერათა ფონეტიკურ თავისებურებებზე დაყრდნობა⁶². კიდევ უფრო თვალსაჩინოა ფონეტიკური კვლევის შნიშვნელობა სინტაგმატიკისათვის, რამდენადაც ფონემათა კომბინატორული შესაძლებლობები დიდად არის დამოკიდებული მათ ფონეტიკურ ბუნებაზე. მაგ., ქართულში თანხმოვნური კომპლექსები ისეა აგებული, რომ დეცესიური თანმიმდევრობით ერთმანეთის გვერდით არ შეიძლება შეგვხედეს ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები თანხმოვნები და ა. შ.⁶³

ასე რომ, ფონეტიკური და ფონოლოგიური კვლევა ერთიანია ბგერითი სისტემის ანალიზის ყველა დონეზე. ერთიანი უნდა იყოს ბგერითი მხარის შემსწავლელი მეცნიერებაც. ამიტომ საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, თუ რა შეიძლება ეწოდოს ამ ერთიან დისციპლინას. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე თითქოს სულერთია რა დაერქმევა მას: ფონეტიკა თუ ფონოლოგია⁶⁴, მაგრამ მაინც უპირატესობას ვანიჭებთ „ფონოლოგიას“, რადგან სწორედ ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული ფუნქციონალური თვალსაზრისის დამკვიდრება ენათმეცნიერებაში.

⁶² დაწერ. იხ. Н. С. Трубецкой, დასახ. ნაშრ., გვ. 96 და შემდ.

⁶³ დაწერ. იხ. ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, II.

⁶⁴ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე А. А. Реформатский, დასახ. ნაშრ., გვ. 471; B. Malmberg, The linguistic basis of phonetics, გვ. 11.

ПОНЯТИЕ ФОНЕМЫ В ЛИНГВИСТИКЕ

Резюме

Изучение звуков речи своими корнями уходит вглубь веков. Трудно в полной мере предусмотреть все разносторонние научные и другие интересы, которые обуславливали и обуславливают в настоящее время богатые традиции изучения звуков человеческого языка. Развитие от первых, порой наивных, непосредственных наблюдений над человеческим голосом и органами речи до точной фонетической науки шло не столько в соответствии с грамматическими целями, сколько в связи с лингвистической практикой, с требованиями других отраслей знания. Вследствие этого, соответствующие исследования, в конечном счете, были направлены на установление внешних признаков звуков, их физической (в широком понимании этого слова) природы. Такое изучение, важное само по себе, оказалось совершенно недостаточным для языковедческой практики. Поэтому, в связи с углублением лингвистических исследований в области указанных широких интересов постепенно сформировалась точка зрения, согласно которой звук рассматривается как (точнее, не только как) физическое и физиологическое явление, но в первую очередь как элемент такого сложного функционального механизма, каким и является язык.

Понятие фонемы входит в лингвистику и фонологический этап в ней начинается именно тогда, когда возникает вопрос о необходимости такого рассмотрения.

В отличие от фонетики, учение о фонеме — фонология — имеет не столь длительную историю. Становление фонологии обычно связывают с развитием структурной лингвистики. Однако, фонология (так же, как структурная лингвистика в целом) возникла не на пустом месте. Сама идея фонемы и традиции ее изучения относятся к более раннему периоду. Во всяком случае, когда группа русских языковедов (Н. С. Трубецкой, Р. О. Якобсон, С. Карцевский) на первом международном конгрессе лингвистов (1928 г.) выступила с программой фонологии, по словам Трубецкого, почва (для фонологических исследований) «уже была подготовле-

на». Формированию фонологии предшествовала длительная практика лингвистических исследований.

В современное языкознание понятие фонемы вошло в силу необходимости решения неотложных задач, неразрешимых в рамках классической фонетики. Это становится очевидным, если учесть путь, приведший к традиционной европейской фонетике.

Фонетика, как самостоятельная лингвистическая отрасль, появляется в сравнительно-историческом языкознании для решения его специфических задач. Установление точных звукосоответствий, выяснение природы и причин звукоизменений и т. д. требовало глубокого проникновения в сложный механизм звукообразования, знания фонетической природы звуков. Все чаще и чаще обращались лингвисты за помощью к естественным наукам, достигшим значительных успехов в изучении звуковых явлений, что в свою очередь и предопределило характер фонетики. Началось интенсивное изучение звуков речи, которое в основных чертах продолжалось исследования, проводившиеся за пределами языкознания (в физике и, в особенности, в физиологии). И в этом не было ничего необычного, поскольку все сравнительно-историческое языкознание первоначально придерживалось естественнонаучной ориентации.

Однако такой подход к изучению звуковых явлений оказался неудовлетворительным с лингвистической точки зрения. Из-за своей физиологической направленности фонетике не удалось создать ту теоретическую базу, на которую могла бы опереться сравнительно-историческое языкознание. В связи с углублением лингвистических исследований скоро стало ясным, что сравнение языков, а тем более реконструкция, не может успешно проводиться, основываясь лишь на чисто фонетических особенностях физических звуков. Языкознание же не располагало понятиями иного характера. Поэтому не случайно, что в сравнительно-историческом языкознании и именно для его целей начались поиски новой единицы, отличающейся от звука. Первыми лингвистами, которые пришли к необходимости введения такой единицы, были И. А. Бодуэн де Куртенэ и Ф. де Соссюр.

Введение Соссюром и Бодуэном указанных единиц (единиц значимости и историко-этимологических единиц) бесспорно являлось методологическим новшеством, важным для изучения языка не только с диахронической, но и с синхронической точки зрения, поскольку была показана необходимость рассмотрения звуковой субстанции языка в различных лингвистических аспектах, а также возможность

большого или меньшего абстрагирования от чисто физиологических и акустических особенностей звуков. Однако, это методологическое повествование долго оставалось незамеченным. Истинное развитие учения о фонеме всё-таки оказалось связанным с достижениями синхронической лингвистики.

И это вполне понятно. Сама практика сравнительно-исторического языкознания продемонстрировала недостаточность чисто исторического подхода к языковым явлениям. В связи с углублением исторических исследований все больше давала знать о себе необходимость изучения живых языков и, в конечном счете, определенных языковых состояний, и хотя в соответствии с основным методологическим принципом того периода научным считалось только историческое изучение языка, синхроническое изучение приобретало все большее значение, поскольку считалось, что это последнее способствует историческому изучению языка. Так, например, еще в 1871 г. Бодуэн де Куртенэ заявлял, что историческое изучение языка по существу является изучением состояний языка в определенные периоды, Г. Пауль же, в работах которого принцип историзма достиг своего апогея, приходит к выводу, что описание состояния языка создает надежную основу для исторического изучения. Особо возрастает роль изучения языковых состояний после Соссюра, с именем которого связано признание синхронического языкознания независимой и полноправной лингвистической дисциплиной.

Внимание лингвистов, в основном, уже уделяется синхроническим исследованиям. Понятие фонемы становится необходимым и в синхронической лингвистике, развитие которой способствует созданию принципов и методологических основ, на базе которых возможно строить различные фонологические теории. Особенно интенсивно фонологические исследования ведутся в структурной лингвистике. И если возможности сравнительно-исторического языкознания в свое время с наибольшей силой проявились в исторической фонетике, то структурная лингвистика первых успехов добилась именно в фонологии.

Понятие фонемы получило широкое распространение в языкознании, однако до настоящего времени нет однозначного ответа на вопрос — что такое фонема, и хотя все основные фонологические теории исходят из положения о том, что фонема не является звуком, все эти теории дают различные дефиниции.

В данном исследовании рассматриваются следующие теории: психологические, физические, морфологическая,

функциональная, теория микро- и макрофонем и глоссематическая теория.

Во всех рассмотренных теориях звуки и фонемы фигурируют как единицы разных уровней. Если звуки речи относятся к уровню наблюдения, то о фонемах можно говорить как об единицах гносеологического порядка, установленных формально-лингвистическими процедурами на более высоких ступенях абстракции.

Таким образом, для всех фонологических теорий эмпирические звуковые данные являются общими; в основном теории различаются по тому, какая сторона звуковых данных подвергается анализу, какую цель преследует анализ, каковы те общеметодологические и общелингвистические предпосылки, на которые опирается та или иная теория и т. д.

Особо важное место в фонологических теориях отводится разработке проблемы специальных методов. Фонологический анализ ведется в двух направлениях. С одной стороны, устанавливается фонемный инвентарь данного языка, а с другой стороны изучаются синтагматические и парадигматические отношения фонем. В данном исследовании рассматриваются принципы и методы установления фонемного инвентаря (сегментации звукового потока на соответствующие фонемам звуковые отрезки речи и объединение отдельных звуков в одну фонему).

Необходимость различения фонемы и звука в свою очередь привела к необходимости различения и соответствующих научных дисциплин. Перед языковедом возникла задача создать дисциплину, обеспечивающую изучение звуков речи с чисто лингвистической точки зрения. Такой дисциплиной должна была стать фонология, а фонетике, как вспомогательной науке, отводилось лишь второстепенное место.

Понимание фонетики и фонологии как двух связанных друг с другом, но тем не менее принципиально различных наук, нельзя считать обоснованным. Из фонологической практики явствует, что фонетическое (субстанциональное) и фонологическое (функциональное) изучение едино и на всех ступенях анализа протекает одновременно.

გამოქვეყნებული ლიტერატურა

- ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.
- ლენინი ვ. ი., თხზულებანი, ტ. 38. თბილისი, 1963.
- მაკაეარიანი მ., ლინგვისტიკის საგნის შესახებ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, II, თბილისი, 1967.
- რამიშვილი ი., ლუი იელმსლევის გლოსემატიკის საფუძვლები. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, I, თბილისი, 1966.
- რამიშვილი ი., კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, II, თბილისი, 1967.
- უზნაძე დ., ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, ტ. I, ტფილისი, 1923.
- უზნაძე დ., ენის შინაფორმა. ფსიქოლოგია, IV, თბილისი, 1947.
- ფოჩხუა ბ., ტრუბეცკოის ფონოლოგიური სისტემის ძირითადი ცნებები. იკე, XI, 1959.
- ქობალაეა ი., ფონოლოგიის ისტორიიდან (ფონოლოგიის საკითხები ფ. დე სოსიურთან). იკე, XIV, 1964.
- ქობალაეა ი., CVC ტიპის ძირითადი ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, II, „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, III, თბილისი, 1972.
- შარაძენიძე თინ., სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლების შესახებ. იკე, XIV, 1964.
- შარაძენიძე თინ., პრალის საენათმეცნიერო წრის ზოგადლინგვისტური თეორია, იკე, XV, 1966.
- შარაძენიძე თინ., ენის ფონოლოგიური სისტემის აღწერა ზ. პარისის მიხედვით. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საორია. იკე, XV, 1966.
- შარაძენიძე თინ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები. თბილისი, 1972.
- შარაძენიძე თინ., ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა. თბილისი, 1974.
- ჩიქობავა არნ., სტრუქტურალიზმი როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობა. თსუ შრომები, ტ. XXVI, სერია B, 1944.
- ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება. II. ძირითადი პრობლემები. თბილისი, 1945.
- ჩიქობავა არნ., ენის რაობის ბიჰევიორისტული გაგება. იკე, IX—X, 1958.
- ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისი, 1965.

- Абаев В. И., Лингвистический модернизм как легуманизация науки о языке. ВЯ, 1965, № 2.
- Аванесов Р. И., Крайчайшая звуковая единица в составе слова и морфемы. «Вопросы грамматического строя», М., 1955.
- Алчичские теории языка и стиля. М., 1937.
- Арутюнова Н. Д., Климов Г. А., Кубрякова Е. С., Американский структурализм. «Основные направления структурализма», М., 1964.
- Ахвледиани В. Г., Фонетический трактат Авиценны. Тбилиси, 1955.
- Ахманова О. С., Глоссематика Луи Ельмслева как проявление упадка современного буржуазного языкознания. ВЯ, 1955, № 3.
- Ахманова О. С., Фонология. М., 1954.
- Ахманова О. С., Основные направления лингвистического структурализма. М., 1957.
- Ахманова О. С., Мельчук И. А., Падучева Е. В., Фрумкина Р. М., О точных методах исследования языка (о так называемой «математической лингвистике»). М., 1961.
- Белинская Т. А., Учение И. А. Бодуэна де Куртенэ о фонеме. Автореферат диссерт. на соиск. уч. ст. канд. филол. наук. Тбилиси, 1952.
- Березин Ф. М., Очерки по истории языкознания в России (конец XIX — начало XX в.). М., 1968.
- Бернштейн С. И., Основные понятия фонологии. ВЯ, 1962, № 5.
- Бертагаев Т. А., К дискуссии по вопросам фонологии. Отклики «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. XII, 1953, вып. 4.
- Блумфилд Л., Язык. Перев. с англ., М., 1968.
- Боголюбова И. Д., К некоторым вопросам фонологии в советском языкознании. Рига, 1961.
- Бодуэн де Куртенэ И. А., Основы общей фонетики (1888). ВЯ, 1959, № 6.
- Бодуэн де Куртенэ И. А., Избранные труды по общему языкознанию, т. I, М., 1963.
- Бодуэн де Куртенэ И. А., Избранные труды по общему языкознанию, т. II, М., 1963.
- Бондарко Л. В., О значении экспериментального исследования речи для фонологии. «Фонологический сборник», Донецк, 1968.
- Будагов Р. А., Из истории языкознания. Соссюр и соссюрианство. М., 1954.
- Булич С., Очерк истории языкознания в России. «Записки историко-филологического факультета Императорского С.-Петербургского Университета», ч. XXV, 1904.
- Булич С., Фонема. Энцикл. словарь Брокгауза и Ефрона, т. 36, 1902, зз. 240.
- Булыгина Т. В., Пражская лингвистическая школа. «Основные направления структурализма», М., 1964.

- Ваараск. П. К., Очерк развития теории фонемы. «Труды Таллинского политехнического института», Серия Б, № 3, Таллин, 1962.
- Вахек И., Фонемы и фонологические единицы. «Пражский лингвистический кружок». М., 1967.
- Виноградов В. В., Бодуэн де Куртенэ. — И. А. Бодуэн де Куртенэ, Избранные труды по общему языкознанию, т. I, Москва, 1963.
- Воронкова Г. В., Стеблин-Каменский М. И., Фонема — пу-чок РП? ВЯ, 1970, № 6.
- Гардинер А., Различие между «речью» и «языком», — В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков, ч. II, М., 1965.
- Гвоздев А. Н., О фонологии «смешанных» фонем. «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. VII.
- Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику. Пер. с англ., М., 1959.
- Гухман М. М., Э. Сепир и «этнографическая лингвистика». ВЯ, 1954, № 1.
- Гухман М. М., Предисловие. — Л. Блумфилд, Язык, М., 1968.
- Гухман М. М., Исторические и методологические основы структурализма. «Основные направления структурализма», М., 1964.
- Дельбрюк Б., Введение в изучение языка. «Записки историко-филологического факультета Императорского С.-Петербургского Университета», ч. I. XXV, С.-Петербург, 1904.
- Десницкая А. В., Вопросы изучения родства индоевропейских языков. М.-Л., 1955.
- Дешериев Ю. Д., Значение научного наследия П. К. Услара для советского кавказоведения. ВЯ, 1956, № 3.
- Джапаридзе З. Н., Некоторые вопросы перцептивной фонетики. «Вопросы анализа речи», Тб., 1969.
- Дорошевский Вит., Об И. А. Бодуэне де Куртенэ. — И. А. Бодуэн де Куртенэ, Избранные труды по общему языкознанию, т. I, Москва, 1963.
- Дукельский Н. И., Принципы сегментизации речевого потока. М.-Л., 1962.
- Ельмслев Л., Метод структурного анализа в лингвистике, „Acta Linguistica“, VI. 1950—1951, f. 2—3.
- Ельмслев Л., Можно ли считать, что значения слов образуют структуру? «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962.
- Звегинцев В. А., Очерк истории языкознания до XIX века. — История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, изд. 3-е, ч. I, М., 1964.
- Звегинцев В. А., История арабского языкознания. Краткий очерк. М., 1958.
- Звегинцев В. А., Теоретико-лингвистические предпосылки гипотезы Сепира-Уорфа. «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960.

- Звегинцев В. А., Глоссематика и лингвистика. «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960.
- Зиндер Л. Р., Существуют ли звуки речи? «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. VII, 1948, вып. 4.
- Зиндер Л. Р., Л. В. Щерба и фонология. «Памяти академика Л. В. Щербы». Л., 1951.
- Зиндер Л. Р., Общая фонетика. Л., 1960.
- Зиндер Л. Р., Фонология и фонетика. «Теоретические проблемы советского языкознания», М., 1968.
- Зиндер Л. Р. и Матусевич М. И., К истории учения о фонеме. «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. XII, 1953, вып. I.
- Зиновьев Л. А., Ревзин И. И., Логическая модель как средство научного исследования. Вопросы философии, 1963, № 2.
- Карпов Н. П., О некоторых принципиальных положениях структурной фонологии. «Уч. записки ЛГПИ». Факультет иностранных языков, т. XXVIII, 1957, вып. 2.
- Карцевский С. И., Повторительный курс русского языка. М.-Л., 1928.
- Кацнельсон С. Д., Вступительная статья. — Г. Пауль, Принципы истории языка. М., 1960.
- Климов Г. А., Фонема и морфема. М., 1967.
- Кубрякова Е. С., Об основных единицах лингвистического анализа и предмете морфологии. «Морфологическая структура слова в языках различных типов». М.-Л., 1963.
- Кузнецов П. С., К вопросу об ударении и тоне в фонологическом и фонетическом отношении. «Теоретические проблемы прикладной лингвистики», М., 1965.
- Крушевский Н., Новейшие открытия в области арно-европейского вокализма. «Русский филологический Вестник», 1880, № 3, Варшава.
- Лекомцев Ю. К., Основные положения глоссематики. ВЯ, 1962, № 4.
- Леман У. Ф., Преемственность языкознания. ВЯ, 1966, № 1.
- Леонтьев А. А., Общелингвистические взгляды И. А. Бодуэна де Куртенэ. ВЯ, 1959, № 6.
- Леонтьев А. А., Бодуэн и французская лингвистика. М., 1964.
- Леонтьев А. А., Слово в речевой деятельности. М., 1965.
- Леонтьев А. А., О «префонологических тождествах». «Исследования по фонологии», М., 1966.
- Леонтьев А. А., Психоллингвистика. Л., 1967.
- Леонтьев А. А., Психоллингвистические единицы и порождение речевого высказывания. М., 1971.
- Лешка О., К вопросу о структурализме. ВЯ, 1953, № 5.
- Логика научного исследования. М., 1965.
- Ломтев Т. П., Проблема фонемы в свете нового учения о языке, «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. VIII, 1949, вып. 4.
- Лоя Я. В. Против субъективного идеализма в языкознании. «Языковедение и материализм», I. Л., 1929.

- Лоя Я. В., История лингвистических учений. Москва, 1968.
- Лукиничкин И. А., К дискуссии по вопросам фонологии. Отклики. «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. XII, 1953, вып. 4.
- Людскапов А., Некоторые замечания в отношении моделирования в языкознании. „Recueil linguistique de Bratislava“, IV. Bratislava, 1973.
- Лыткин В. И., В какой языковой единице нуждается фонетика. «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. XII, 1953, вып. I.
- Мартине А., О книге «Основы лингвистической теории» Луи Ель-мслева. «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960.
- Матусевич М. И., Введение в общую фонетику. М., 1959.
- Мельничук А. С., Понятие системы и структуры языка в свете диалектического материализма. ВЯ, 1970, № 1.
- Мурат В. П., Глоссематическая теория. «Основные направления структурализма», М., 1964.
- Мюллер Г., Языкознание на новых путях. Дескриптивная лингвистика в США. «Общее и индоевропейское языкознание», М., 19.
- Остгоф Г. и Бругман К., Предисловие к книге «Морфологические исследования в области индоевропейских языков». — В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков, ч. I, М., 1964.
- Панов М. В., Русская фонетика. М., 1967.
- Пауль Г., Принципы истории языка. Перев. с нем., М., 1960.
- Петер М., К теории «Московской фонологической школы». „Studia slavica“ 1957, vol. III, f. 1—4.
- Поливанов Е. Д., Конспект лекций по введению в языкознание и общей фонетике. Берлин, 1923.
- Протогенов С. В., История учения о фонеме. Ташкент, 1970.
- Рамишвили Г. В., Некоторые вопросы лингвистической теории В. Гумбольдта. Автореферат диссерт. на соиск уч. ст. канд. филол. наук, Тбилиси, 1960.
- Ревзин И. И., Метод моделирования и типология славянских языков. М., 1967.
- Реформатский А. А., Проблема фонемы в американской лингвистике. — «Из истории отечественной фонологии», М., 1970.
- Реформатский А. А., К проблеме фонемы и фонологии. «Изв. АН СССР, ОЛЯ», т. XI, 1952, вып. 5.
- Реформатский А. А., О соотношении фонетики и грамматики (морфологии). — «Из истории отечественной фонологии», М., 1970.
- Реформатский А. А., Введение в языкознание. М., 1960.
- Реформатский А. А., Согласные, противопоставленные по способу и месту образования, и их варьирование в современном русском литературном языке: «Из истории отечественной фонологии», М., 1970.
- Реформатский А. А., Из истории отечественной фонологии. — «Из истории отечественной фонологии», М., 1970.
- Реформатский А. А., Н. С. Трубецкой и его «Основы фонологии». — Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1966.

- Реформатский А. А., Дихотомическая классификация дифференциальных признаков и фонематическая модель языка. «Вопросы теории языка в современной зарубежной лингвистике», М., 1961.
- Росетти А., Значение спектрального анализа для фонологии. «Проблемы структурной лингвистики». М., 1963.
- Сепир Э., Язык. Введение в изучение речи. Пер. с англ., М.-Л., 1934.
- Скаличка В., Копенгагенский структурализм и «Пражская школа». — В. А. Звегинцев. История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. II, М., 1965.
- Слюсарева Н. А., Лингвистическая концепция Ф. де Соссюра. Материалы к курсу «История Языкознания», М., 1968.
- Смирницкий А. И., Объективность существования языка. М., 1954.
- Смирницкий А. И., Фонетическая транскрипция и звуковые типы. «Вестник МГУ», 1948, № 7.
- Спанг-Хансен Х., Глоссематика. «Новое в лингвистике», вып. IV, М., 1965.
- Стеблин-Каменский М. И., К теории звуковых изменений. ВЯ, 1966, № 2.
- Сухотин А., Эдуард Сепир и его место в лингвистике. — Э. Сепир, Язык. М.-Л., 1934.
- Тезисы Пражского лингвистического кружка. — В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. II, М., 1965.
- Томсен В., История языкознания до конца XIX века, М., 1938.
- Топоров В. Н., И. А. Бодуэн де Куртенэ и развитие фонологии. «И. А. Бодуэн де Куртенэ», М., 1960.
- Топоров В. Н., О некоторых аналогиях к проблемам и методам современного языкознания в трудах древнеиндийских грамматиков. «Краткие сообщения Института народов Азии», т. 57. М., 1961.
- Трика Б. и др., К дискуссии по вопросам структурализма, ВЯ, 1957, № 3.
- Тронский И. М., Проблема языка в античной науке. «Античные теории языка и стиля». М., 1937.
- Трубецкой Н. С., Основы фонологии. Пер. с нем., М., 1960.
- Услар П. К., Абхазский язык. Тифлис, 1887.
- Философская энциклопедия, т. 2, М., 1962.
- Философская энциклопедия, т. 3, М., 1964.
- Хансен К., Пути и цели структурализма. ВЯ, 1959, № 4.
- Хаугэн Э., Направления в современном языкознании. «Новое в лингвистике», вып. I, М., 1960.
- Хомский Н., Логические основы лингвистической теории. «Новое в лингвистике», вып. 4, М., 1963.
- Хомский Н., Три модели описания языка. «Кибернетический сборник», вып. 2, М., 1963.
- Чесноков П. В., Основные единицы языка и мышления. Ростов, 1961.

- Чикобава А. С., К вопросу об историзме в языкознании. «Против вульгаризации и извращения марксизма в языкознании». М., 1952.
- Чикобава А. С., Проблема языка как предмета языкознания. М., 1959.
- Шор Р., Язык и общество. М., 1926.
- Шор Р., Примечания к книге Ф. де Соссюра «Курс общей лингвистики». Перев. с франц., М., 1933.
- Шор Р., Краткий очерк лингвистических учений с эпохи Возрождения до конца XIX в. — Томсен В., История языкознания до конца XIX века, М., 1938.
- Штейнталь Г., Грамматика, логика и психология. — В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков, ч. I, М., 1964.
- Штибер Э., Теория фонем И. А. Бодуэна де Куртенэ в современном языкознании. ВЯ, 1955, № 4.
- Штофф В. А., Моделирование и философия. М., 1964.
- Щерба Л. В., И. А. Бодуэн де Куртенэ (Некролог). «АН СССР. Известия по русскому языку и словесности». т. III, Л., 1930.
- Щерба Л. В., И. А. Бодуэн де Куртенэ и его значение в науке о языке, «Русский язык в школе», 4, 1940.
- Щерба Л. В., Русские гласные в качественном и количественном отношении. «Избранные работы по языкознанию и фонетике», т. I, Л., 1958.
- Щерба Л. В. Субъективный и объективный метод в фонетике. «Избранные работы по языкознанию и фонетике», т. I, Л., 1958.
- Щерба Л. В., О тройном аспекте языковых явлений и об эксперименте в языкознании. — «Языковая система и речевая деятельность». Л., 1974.
- Щерба Л. В., Очередные проблемы языковедения. «Избранные работы по языкознанию и фонетике», т. I, Л., 1958.
- Щерба Л. В., Фонетика французского языка. Изд. 4-е, М., 1953.
- Яковлев Н. Ф., Математическая формула построения алфавита. «Культура и письменность Востока», кн. I, М., 1928.
- Якобсон Р., Фант Г. М., Халле М., Введение в анализ речи. «Новое в лингвистике», вып. II, М., 1962.
- Abercrombie D., What is a „letter“? „Lingua“, 1949, v. II, № 1.
- Abercrombie D., Forgotten phoneticians.—„Studies in Phonetics and Linguistics“. London, 1965.
- Allen W. S., Phonetics in ancient India, London, New York, Toronto, 1953.
- Ammer K., Einführung in die Sprachwissenschaft, B. I. Halle (Saale), 1958.
- Andrade M. J., Some questions of fact and policy concerning phonemes. L, 1936, v. 12, № 1.
- Arens H., Sprachwissenschaft. Der Gang ihrer Entwicklung von der Antike bis zur Gegenwart. München, 1955.
- Arnauld A., Lancelot Cl., Grammaire générale et raisonnée de Port-Royal, Paris, 1846.
- Bastide R., Introduction à l'étude du mot „structure“. „Sens et usages du terme Structure dans les sciences humaines et sociales“, ed. par Roger Bastide. 's-Gravenhage, 1962.
- Benni T., Zur neueren Entwicklung des Phonembegriffes. „Donum Natalicium Schrijnen“. Nijmegen—Utrecht, 1929.

- Benveniste E., Tendances récentes en linguistique générale. „Journal de psychologie normale et pathologique“, 1951, № 1—2.
- Benveniste E., „Structure“ en linguistique. „Sens et usages du terme Structure dans les sciences humaines et sociales“, ed. par Roger Bastide, 's-Gravenhage, 1962.
- Bloch B., Phonemic overlapping. RiL.
- Bloch B., A set of postulates for phonemic analysis. L., 1948, v. 24, № 1.
- Bloch B., Contrast. L., 1953, v. 29, № 1.
- Bloch B. and Trager G. L., Outline of linguistic analysis. Special Publications of the Linguistic Society of America. Baltimore, 1942.
- Brøndal V., Sound and phoneme. „Proceedings of the Second International Congress of Phonetic Sciences“, 1935. Cambridge, 1936.
- Brücke E., Grundzüge der Physiologie und Systematik der Sprachlaute. Zweite Auflage, Wien, 1876.
- Buysse E., Le phonème et sa réalisation. „Proceedings of the Fifth International Congress of Phonetic Sciences“, 1964. Basel—New York, 1965.
- Chao Y. R., The non-uniqueness of phonemic solutions of phonetic systems RiL.
- Chao Y. R., Models in linguistics and models in general. „Logic, Methodology and Philosophy of science. Proceedings of the 1960 International Congress“. Stanford, California, 1962.
- Chatterji S. K., The correspondence between sound and phoneme in the light of modern linguistic theories. „Cahiers de linguistique théorique et appliquée“, III, Bucarest, 1966.
- Christensen B. W., Glossématique, linguistique fonctionnelle, grammaire générative et stratification du langage. „Word“, 1967, v. 23, № 1—2—3.
- Cohen A., The phonemes of English. A phoneme study of the vowels and consonants of standard English. The Hague, 1952.
- Collart J., Varron grammairien latin. Paris, 1954.
- Collinder B., Les origines du structuralisme. „Acta Universitatis Upsalensis“ 1:1. Stockholm—Göteborg—Uppsala, 1962.
- Collinder B., Kritische Bemerkungen zum Saussureschen Cours de linguistique générale. „Acta Universitatis Upsalensis“ 1:5, Uppsala, 1968.
- Čyžewskij D., Phonologie und Psychologie. TCLP, 1931, v. 4.
- Diderichsen P., The importance of distribution versus other criteria in linguistic analysis. „Reports for the Eight International Congress of Linguists“, Oslo, 1957.
- Diels H., Elementum. Eine Vorarbeit zum griechischen und lateinischen Thesaurus. Leipzig, 1899.
- Doroszewski W., Autour du „Phonème“. TCLP, 1931, v. 4.
- Dubois M. M., Aelfric sermonneur, docteur et grammairien. Paris, 1943.
- Ebeling C. L., Linguistic units. 's-Gravenhage, 1962.
- Emenau M. B., India and linguistics. „Journal of the American Oriental Society“, 1955, v. 75, № 3.
- First grammatical treatise. The earliest germanic phonology. An edition, translation and commentary by Einar Haugen. „Language Monographs“ № 25. Supplement to Language, v. 26, 1950, № 4.

- Firth J. R., The word „phoneme“. — „Papers in linguistics, 1934—1951“. London, 1957.
- Fischer-Jørgensen E., Remarques sur les principes d'analyse phonémique. TCLC, 1949, v. 5.
- Fischer-Jørgensen E., On the definition of phoneme categories on a distributional basis. AL, 1952, v. 7, fasc. 1—2.
- Fischer-Jørgensen E., The commutation test and its application to phonemic analysis. „For Roman Jakobson“. The Hague, 1956.
- Fischer-Jørgensen E., What can the new techniques of acoustic phonetics contribute to linguistics? „Report for the Eight International Congress of Linguists“. Oslo, 1957.
- Fleisch H., Traité de philologie arabe, v. I, Préliminaires, phonétique, morphologie nominale. Beyrouth, 1961.
- Forbes P. B. R., Greek pioneers in philology and grammar. „The Classical Review“, t. XLVII, № 3, London—New York, 1933.
- Fudge E. C., Phonology. „New horizons in linguistics“. Ed. by John Lyons, 1971.
- Godel R., Les sources manuscrites du Cours de linguistique générale de F. de Saussure. „Soc.été de publications romanes et français“, LXI, Genève—Paris, 1957.
- Godel R., F. de Saussure's theory of language. „Current Trends in Linguistics“, v. III, The Hague—Paris, 1966.
- Graff W. L., Language and languages. New York—London, 1932.
- Grammatici Latini ex recensione Henrici Keilii. Lipsiae, 1855—1880.
- Gray L. H., Mécanisme et mécanisme en langage. AL, 1949, v. V, fasc. 2.
- Greenberg J. H. and Jenkins J. J., Studies in the psychological correlates of the sound system of American English. „Word“, v. 20, 1964 № 2.
- Grimm J., Deutsche Grammatik. Göttingen, 1822.
- Halle M., Phonemics. „Current Trends in Linguistics“, v. I. The Hague, 1963.
- Halle M., On the bases of phonology. „The structure of language. Readings in the philosophy of language“. Ed. by J. A. Fodor, J. J. Katz. New Jersey, 1965.
- Hammerich L., Les glossematistes danois et leurs méthodes. „Acta Philologica Scandinavica“, 1952, Bd. 21, № 1.
- Harris C. M., A study of the building blocks in speech. „The journal of the acoustical society of America“, 1953, vol. 25, № 5.
- Harris Z. S., Methods in structural linguistics. Chicago, 1955.
- Harris Z. S., Structural linguistics. Chicago, 1960.
- Haugen E., [1950.] Prolegomena to a theory of language by Louis Hjelmslev. „Supplement to International Journal of American Linguistics“, v. 11, № 1, 1953. — „International Journal of American Linguistics“, 1954, v. 20, № 3.
- Hintze F., Zum Verhältnis der sprachlichen „Form“ zur „Substanz“. „Studia Linguistica“, III, 1949, № 1.

- Hjelm slev L., On the principles of phonematics. „Proceedings of the Second International Congress of Phonetic Sciences“, 1935. Cambridge, 1936.
- Hjelm slev L., Quelques réflexions sur le système phonique de l'indo-européen. „Acta Jutlandica“, 1937. IX.
- Hjelm slev L., Über die Beziehungen der Phonetik zur Sprachwissenschaft. „Archiv für vergleichende Phonetik“, 1938. II, H. 3. 4.
- Hjelm slev L., The syllable as a structural unit. „Proceedings of the Third International Congress of Phonetic Sciences“, 1938. Chent, 1939.
- Hjelm slev L., La notion du redoublement. AL, 1939, v. 1, f. 1.
- Hjelm slev L., Langue et parole, CFS, 2, 1942.
- Hjelm slev L., Note sur les oppositions supprimables. TCLP, 1939 v. 8.
- Hjelm slev L., Éditorial. AL, 1944, v. IV, f. 3.
- Hjelm slev L., Prolegomena to a theory of language. „Supplement to International Journal of American Linguistics“, vol. 19, № 1, 1953.
- Hjelm slev L., La stratification du langage. „Word“, 1954, v. 10. № 2—3.
- Hjelm slev L., Animé et inanimé, personnel et non-personnel. TCLC, 1959, v. XII.
- Hjelm slev L., Introduction à la discussion générale des problèmes relatifs à la phonologie des langues mortes, en l'espèce du grec et du latin. „Acta Congressus Madvigiani“. Copenhagen, 1958.
- Hjelm slev L., Language. An introduction. Tr. from the Danish by F. J. Whitfield. Madison, Milwaukee and London, 1970.
- Hjelm slev L. and Uldall H. J., Outline of glossematics. A study in the methodology of the humanities with special reference to linguistics. Part I: General theory by H. J. Uldall. TCLC X, 1957, v. X.
- Hockett C. F., A system of descriptive phonology. RiL.
- Hockett C. F., Two models of grammatical description. RiL.
- Hockett C. F., A manual of phonology. Baltimore 1955.
- Hockett C. F., A course in modern linguistics. New York, 1958.
- Hojer H., Native reaction as a criterion in linguistic analysis. „Reports for the Eighth International Congress of Linguists“. Oslo, 1957.
- Horecký J., The role of models in linguistic studies. „Recueil linguistique de Bratislava“, vol. IV. Bratislava, 1973.
- Ivič M., Trends in Linguistics. The Hague, 1965.
- Jakobson R., Die Arbeit der sogenannten „Prager Schule“. „Bulletin du Cercle Linguistique de Copenhague“, 1938, III.
- Jakobson R., On the identification of phonemic entities. — Selected writings, I. 's-Gravenhage, 1962.
- Jakobson R. and Halle M., Fundamentals of Language. 's-Gravenhage, 1956.
- Jakobson R., Karcevskij S., Troubetzkoy N., Quelles sont les méthodes les mieux appropriées à un exposé complet et pratique de la grammaire d'une langue quelconque? „Actes du Premier Congrès In-

International de Linguistes a la Haye, du 10—15 avril, 1928⁴. Leiden, 1930.

- Jespersen O., *Phonetische Grundfragen*. Leipzig—Berlin, 1904.
- Jespersen O., *Language. Its nature, development and origin*. London, 1950.
- Jespersen O., *Mankind, national and individual from a linguistic point of view*. London, 1946.
- Johansen S., *Glossematics and logistics*. AL, 1950, VI, f. 1.
- Jones D., *Concrete and abstract sounds*. „Proceedings of the Third International Congress of Phonetic Sciences“. Chent, 1939.
- Jones D., *Chronemes and tonemes*. AL., 1944, v. IV, f. 1.
- Jones D., *The pronunciation of English*. Fourth edition, Cambridge, 1956.
- Jones D., *An outline of English phonetics*. Cambridge, 1956.
- Jones D., *Everyman's English pronouncing dictionary*. Eleventh edition, London, 1956.
- Jones D., *The phoneme: its nature and use*. Cambridge, 1950.
- Jones D., *The history and meaning of the term „phoneme“*. „Supplement to Le Maître Phonétique“, July-December, 1957.
- Jones L. G., *Preliminary phonetic segmentation*. „Studies presented to Joshua Whalmsough“. 's-Gravenhage, 1957.
- Laziczius J., *Phonétique et phonologie*. „Lingua“, 1948, I, № 3.
- Laziczius J., *Lehrbuch der Phonetik*. Berlin, 1961.
- Lepsius C. R., *Standard alphabet for reducing unwritten languages and foreign graphic systems to a uniform orthography in european letters*. Sec. ed., London, Berlin, 1883.
- Leroy, M., *Les grands courants de la linguistique moderne*. Bruxelles—Paris, 1963.
- Liberman A. M., Delattre P. and Cooper F. S., *The role of selected stimulus-variables in the perception of the unvoiced stop consonants*. „American Journal of Psychology“, 1952, v. 65, № 4.
- Malmberg B., *Ferdinand de Saussure et la phonétique moderne*. CFS, 1954, 12.
- Malmberg B., *New trends in linguistics*. Stockholm—Lund, 1964.
- Malmberg B., *The linguistic basis of phonetics*. „Manual of phonetics“, edited by B. Malmberg. Amsterdam, 1968.
- Malmberg B., *Les domaines de la phonétique*. Paris, 1971.
- Martinet A., *Un ou deux phonèmes*. AL, 1939 v. I, № 2.
- Martinet A., *Occlusives and affricates with reference to some problems of romance phonology*. „Word“, 1949, v. 2.
- Martinet A., [670.] *Daniel Jones. The phoneme: its nature and use*. Cambridge, 1950. „Word“, 1951, v. 7, № 3.
- Martinet A., *Structural linguistics*. „Anthropology today“, 1953.
- Martinet A., *Où en est la phonologie?* „Lingua“, 1948, v, № 1.
- Martinet A., *La linguistique synchronique*. Paris, 1968.
- Miller G. A. and Nicely P. E., *An analysis of perceptual confusions among some English consonants*. The journal of the acoustical society of America, vol. 27. 1955, № 2.
- Misra V. N., *The descriptive technique of pāṇini*. The Hague—Paris, 1966.

- Mol H., On the phonetic description of the phoneme. „Lingua“, vol. XI, 1962.
- Mounin G., Histoire de la linguistique des origines au XX^e siècle. Paris, 1967.
- Mounin G., Saussure. Paris, 1968.
- Møller Ch., Thesen und Theorien der Prager Schule. „Acta Jutlandica“, 1936, VIII.
- Novák L., Projet d'une nouvelle définition du phonème. TCLP, 1939, v. 8.
- Panconcelli-Calzia G., Earlier history of phonetics. „Manual of phonetics“, edited by L. Kaiser. Amsterdam, 1957.
- Panconcelli-Calzia G., 3000 Jahre Stimmforschung. Die Wiederkehr des Gleichen. N. G. Elwert Verlag, Marburg, 1961.
- Pedersen H., Linguistic science in the nineteenth century. Methods and results. Cambridge, 1931.
- Peterson G. E., The speech communication process. „Manual of phonetics“, edited by B. Malmberg. Amsterdam, 1968.
- Pike K. L., Phonemics. A technique for reducing languages to writing. Ann Arbor, 1947.
- Pisani V., August Schleicher und einige Richtungen der heutigen Sprachwissenschaft. „Lingua“, 1954—55, v. IV, № 4.
- Polivanov E., La perception des sons d'une langue étrangère. TCLP, 1931, v. 4.
- Projet du terminologie phonologique standardisée. TCLP, 1931, v. 4.
- Pulgram E., A proposal Allophoneme, Allomorpheme. „General linguistics“, 1961, vol. v, № 2.
- Pulgram E., Introduction to the spectrography of speech. 's-Gravenhage, 1959.
- Rapport sur l'activité du Cercle Linguistique de Copenhague, 1931—1951. Copenhague, 1951.
- Raundnitzky H., Die Bell-Sweetsche Schule. Ein Beitrag zur Geschichte der englischen Phonetik. „Marburger Studien zur englischen Philologie“, 1911, h. 13.
- Robins R. H., Ancient and mediaeval grammatical theory in Europe with particular reference to moderne linguistic doctrine. London, 1951.
- Robins R. H., Dionysius Thrax and the western grammatical tradition. Transactions of Philological Society, 1957.
- Robins R. H., General linguistics. London, 1964.
- Robins R. H., A short history of linguistics. Bloomington and London, 1968.
- Rogger K., Kritischer Versuch über de Saussure's Cours général. „Zeitschrift für romanische Philologie“, 1941, Band LXI.
- Rosetta A., Son-type et phonème. „Wiener Slavistisches Jahrbuch“, B. 11, 1964.
- Rousselot P. J., Principes de phonétique expérimentale. Paris, Leipzig, 1877—1901.
- Sapir E., Sound patterns in language. RiL.
- Sapir E., Language.—„Culture, language and personality“. Selected essays ed. by D. G. Mandelbraum. Berkley and Los Angeles, 1962.

- Sapir E., The status of linguistics as a science.—„Culture, language and personality“.
- Sapir E., La réalité psychologique des phonèmes. „Journal de Psychologie“, 1933.
- Saporta S., Relations between psychological and linguistic units. „Psycholinguistics. A survey of theory and research problems“. Baltimore, 1954.
- Saussure F., Mémoire sur le système primitif des voyelles dans les langues indo-européennes. Leipsick, 1879.
- Saussure F., Cours de linguistique générale. 2^e éd., Paris, 1922.
- Schatz C. D., The role of context in the perception of stops. L, 1954, v. 30, № 1.
- Schlauch M., Early behaviorist psychology and contemporary linguistics. „Word“, 1942, II.
- Schrijnen J., Nova et vetera. „Proceedings of the International Congress of Phonelic Sciences, Amsterdam, 1932“.—„Archives néerlandaise de phonétique expérimentale“, t. VIII—IX, 1933.
- Sechehaye A., Les trois linguistiques saussuriennes. „Vox Romanica“, 1940, v. V.
- Sechehaye A., De la définition du phonème à la définition de l'entité de langue. CFS, 2, 1942.
- Siertsema B., A study of Glossematics. The Hague, 1955.
- Sievers E., Grundzüge der Lautphysiologie zur Einführung in das Studium der Lautlehre der indogermanischen Sprachen. Leipzig, 1876.
- Sommerfelt A., Sur la nature du phonème, NTS, I, 1-28.
- Stankiewicz E., Opposition and hierarchy in morphophonemic alternations. „Materialen zur Phnologie-Tagung“. Wien, 30. VIII—3. IX, 1966.
- Swadesh M., The phonemic principle. L, 1934, v. 10, № 2.
- Sweet H., Primer of phonetics. Third ed., Oxford, 1906.
- Sweet H., The sounds of English. An introduction to phonetics. Oxford, 1908.
- Trager G. L., The field of linguistics. „Studies in Linguistics“. Occasional papers, № 1. Norman (Oklahoma), 1949.
- Trager G. L. and Bloch B., The syllabic phonemes of English. L, 1941, v. 17 № 3.
- Trubetzkoy N., Zur allgemeinen Theorie der phonologischen Vokalsysteme. TCLP, 1929, 1.
- Trubetzkoy N., Polabische Studien. Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaft in Wien. Phil.-hist. Kl. Bd. 211, Abh. 4, 1930.
- Trubetzkoy N., Die phonologischen Systeme. TCLP, 1931, 4.
- Trubetzkoy N., La phonologie actuelle. „Journal de psychologie“, XXX, Paris, 1933.
- Trubetzkoy N., Les systèmes phonologiques envisagés en eux-mêmes et dans leurs rapports avec la structure générale de la langue. „Actes du deuxième Congrès international de linguistes, Genève, 1931“. Paris, 1933.

- Trubetzkoy N., Die phonologischen Grenzsignale. „Proceedings of the Second International Congress of Phonetic Sciences“, London, 1935, Cambridge, 1936.
- Trubetzkoy N., Die Aufhebung der phonologischen Gegenstände. TCLP, 1936, 6.
- Trubetzkoy N., Essai d'une théorie des oppositions phonologiques. „Journal de Psychologie“, XXXIII Année 1—2, 1936.
- Trubetzkoy N., Über eine neue Kritik des Phonembegriffes. „Archiv für die vergleichende Phonetik“, 1937, B. I, H. 3.
- Twaddell W. F., On defining the phoneme. RiL.
- Twaddell W. F., Answers to Andrade's questions. L, 1936, v. 12, № 4.
- Ułaszyn H., Laut, Phonema, Morphonema. TCLP, 1931, 4.
- Vachek J., One aspect of the phoneme theory. „Proceedings of the Second International Congress of Phonetic Sciences“. Cambridge, 1936.
- Vachek J., The Linguistic school of Prague. Bloomington and London, 1966.
- Wells R. S., De Saussure's system of Linguistics. „Word“, 1947, v. 3, № 1—2.
- Whitfield F., Linguistic usage and glossematics. „For Roman Jakobson“, The Hague, 1956.
- Zwirner E., Die Bedeutung der Sprachstruktur für die Analyse des Sprechens. „Proceedings of the Fifth International Congress of Phonetic Sciences“. 1964. Basel—New York, 1965.
- Zwirner E. und Zwirner K., Grundfragen der Phonometrie. Berlin, 1936.
- Zwirner E. und Zwirner K., Aufgabe und Methoden der Sprachverglei-
chung durch Maß und Zahl (Phonometrie). „Phonometrie“, Teil 2,
Allgemeine Theorie. Basel—New York, 1968.

შემოკლებათა განმარტება

იპმ — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. თბილისი.

ВЯ — Вопросы языкознания.

Изв. АН СССР, ОЛЯ — Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка.

AL—Acta Linguistica. Revue internationale de linguistique structurale. Copenhague.

CFS—Cahiers Ferdinand de Saussure. Publiés par la Société Genevoise de Linguistique. Genève.

L—Language. Journal of the Linguistic Society of America. Baltimore.

NTS—Nordisk Tidskrift for Sprogvidenskab.

RiL—Readings in Linguistics. The development of descriptive linguistics in America since 1725. Ed. by Martin Joos. New York, 1958.

TCLC—Travaux du Cercle Linguistique de Copenhague. Copenhague.

TCLP—Travaux du Cercle Linguistique de Prague. Prague.

პირის სახელთა სამიწებლნი

- აბაევი ვ. ი. 190
 აბერკრომბი დ. 11, 14
 აენესოვი რ. ი. 27, 92
 ავიცენა 13
 ალენი უ. ს. 7, 8
 ამერი კ. 162
 ანდრადე მ. ჟ. 160
 არენსი პ. 11, 12, 14, 165
 არისტოტელე 9
 არნო ა. 21
 არუთინოვა ნ. დ. 83
 ახვლედიანი გ. 193
 ახვლედიანი ვ. გ. 13
 ახმანოვა ო. ს. 89, 122, 124, 158, 190

 ბანვენისტი ე. 84, 176
 ბასტიდი რ. 189
 ბელინსკაია თ. ა. 43, 46
 ბენი ტ. 47
 ბერეზინი ფ. მ. 32, 37
 ბერნშტეინი ს. ი. 27, 183
 ბერტაგაევი ტ. ა. 89, 91
 ბიუისენსი ე. 163
 ბიულერი კ. 108
 ბლოკი ბ. 83—85, 200—203, 205, 206, 209, 210
 ბლუმფილდი ლ. 14, 15, 85, 86, 175, 204, 205, 224
 ბოგოლიუბოვა ნ. დ. 224
 ბოდუნ დე კურტენე ი. 18, 19, 21, 24, 28, 30—50, 62, 76, 77, 92, 104, 157, 159, 166, 168, 169, 171—173, 187, 196, 198, 213, 218, 219, 224
 ბონდარკო ლ. კ. 50
 ბორგსტრემი კ. პ. 102
 ბრენდალი ვ. 28
 ბრიუკე ე. 10, 14, 17

 ბრუგმანი კ. 17, 24
 ბუდაგოვი რ. ა. 174, 190
 ბულიგინა ტ. ვ. 103, 184
 ბულიჩი ს. 13, 171

 გარდინერი ა. 54
 გეოზდევო ა. ნ. 89, 90, 91, 203, 224
 გინზბურგი ე. ლ. 92
 გლისონი პ. 83, 84, 86, 160, 163, 200, 203, 206, 209, 210
 გოდელი რ. 52—54, 56, 61, 220
 გორგია 3
 გრამონი მ. 6
 გრაფი ე. ლ. 28
 გრეი ლ. პ. 84, 192
 გრიმი ი. 15, 18
 გრინბერგი ჟ. პ. 200
 გუარნერო პ. ე. 6
 გუგენჰეიმი ე. 102
 გუზმანი მ. მ. 61, 63, 85, 176

 დელატრი პ. 180
 დელბრიუკი ბ. 15, 16, 28
 დენსიკაია ა. ვ. 16
 დეშერიევი ი. დ. 23
 დიდერიხსენი პ. 76, 83, 85, 206
 დილსი პ. 9
 დიონისე თრაკიელი 10
 დიონისე ჰალიკარნასელი 195
 დიუბუა მ. მ. 12
 დონატუსი 11, 12
 დოროშევსკი ვ. 31, 32, 42, 172
 დუქელსკი ნ. ი. 200

 ებელინგი კ. ლ. 201
 ელფრიკი 12
 ემენო მ. ბ. 7

ენგელსი ფ. 189

ეარასკი პ. კ. 32, 86

ვანდრიესი ე. 102

ვან-ვეიკი ნ. 102

ვახეკი ი. 102, 103, 117, 161, 184

ვინოგრადოვი ვ. ვ. 35, 92

ვისოტსკი ს. ს. 92

ვორონკოვა გ. ვ. 184, 187

ზევიგინტევი ვ. ა. 12—14, 29, 61, 122,
124, 141, 144, 146

ზივერსი ე. 17

ზიზანია ლ. 13

ზინდერი ლ. რ. 43, 44, 47, 50, 86, 89—
91, 180, 182, 198, 203, 204, 207—209,
2224

ზინოვიევი ლ. ა. 158, 227

იაკობსონი რ. 6, 102—104, 122, 160,
179, 198, 200, 210

იაკოვლევი ნ. ფ. 23, 92

იელმსლევი ლ. 15, 20, 51, 54, 123—
154, 176, 178, 198, 204, 215, 216, 228

იესპერსენი ო. 14, 15, 17, 23, 174

ივანოვი ვ. ვ. 92

ივიჩი მ. 11, 14, 29, 84, 122, 124

ილინსკაია ი. ს. 92

იოანსენი ს. 124

კარპოვი ნ. პ. 32

კარცევსკი ს. 6, 86, 87, 102, 104

კატნელსონი ს. 29

კლიმოვი გ. ა. 83, 102, 156—159, 171,
192, 200

კოლარტი ე. 11

კოლინდერი ბ. 6—8, 23

კორჟინევი ი. 102

კოპენი ა. 211

კრისტენსენი ბ. ვ. 124

კრუშევსკი ნ. ვ. 5, 19

კუბრაიკოვა ე. ს. 83, 157

კუზნეცოვი პ. ს. 92, 157, 160

კუპერი ფ. ს. 180

ლაზიციუმი ი. 14, 225

ლანსლო კ. 21

ლუკომტევი ი. კ. 124

ლემანი უ. ფ. 6

ლენინი ვ. ი. 189

ლეონტიევი ა. ა. 31, 32, 35—37, 43, 50,
156, 157, 165, 213, 214

ლერუა მ. 14

ლუფსიუსი კ. რ. 21

ლუშკა ო. 103

ლიბერმანი ა. მ. 180

ლიტკინი ვ. ი. 89, 91, 209

ლოია ი. ვ. 11, 13, 14, 32, 36, 166

ლომტევი ტ. პ. 101, 182

ლოუდსკანოვი ა. 158

ლუქინიკი ი. ა. 89—91

მათეზიუსი ვ. 102

მალმბერგი ბ. 5, 6, 12, 14—17, 58, 59,
104, 229

მარტინე ა. 102, 103, 124, 125, 136, 175,
176, 178, 201, 210, 225, 226

მარქსი კ. 189

მატეევა ნ. 92

მატუსევიჩი მ. ი. 43 44, 47, 50, 86, 89,
90, 91, 198, 203

მაჰავარიანი მ. 189

მაჯო მ. 13

მეიე ა. 8

მელერი 104

მელნიჩუკი ა. ს. 177, 189

მელჩუკი ი. ა. 158

მილერი გ. ა. 200

მისრა ე. ნ. 8

მიულერი პ. 83, 85

მოლი პ. 226, 227

მუკარჟოვსკი ი. 102

მუნენი ე. 8, 10, 12, 14, 16, 59, 61

მურატი ვ. პ. 123—124, 125, 143, 144

ნაისელი პ. ე. 200

ნოვაკი ლ. 28

ნორენინი ა. 23

ოსტპოფი პ. 24

- პადუჩევა რ. მ. 158
 პაიკი კ. ლ. 204, 214
 პალმერი 76, 77, 80
 პანინი 7
 პანკონჩელი-კალცია ქ. 5, 9, 12—14, 16, 217
 პანოვი მ. ვ. 86, 92
 პასი პ. 22, 76
 პატანჯალი 7
 პაული პ. 24, 29, 33. 157
 პედერსენი პ. 14—16
 პეტერი მ. 92
 პეტერსონი გ. ე. 200
 პიზანი ე. 28, 29
 პლატონი 9, 10
 პოლივანოვი ე. დ. 47, 193
 პრისციანუსი 11, 12
 პროტოგენოვი ს. ე. 31, 47, 86, 92
 პულგრემი ე. 84, 163, 193
 პუშკარიუ ს. 6
 შურავლიოვი ვ. კ. 92
 რამიშვილი გ. ვ. 21
 რამიშვილი ი. 124, 125
 რაუნდნიცი პ. 22
 რევიზინი ი. ი. 158, 227
 რეფორმატსკი ა. ა. 71, 83, 86, 92—101, 104, 117, 160, 178, 182, 184, 187, 199, 225, 229
 რობინსი რ. პ. 7, 9—14, 22
 როსტი ა. 22, 44
 როჯერი კ. 59
 რუსლო პ. ე. 16
 ხაპორტა ს. 157
 სეპირი ე. 61—74, 166—169, 171, 172, 175, 192, 197, 204, 214, 220, 221
 სეშე ა. 54, 70, 192
 სეოდეში მ. 83, 173, 180, 206
 სიდოროვი ვ. 92, 100
 სიერტსემა ბ. 124, 125
 სკალიჩკა ვ. 102, 176
 სლიუსარევა ნ. ა. 20, 50
 სმირნიცი ა. ი. 89, 174
 სომერფელტი ა. 46, 47, 102
 სოსიური ფ. დე 6, 18—21, 24, 38, 50—61, 72, 102, 104, 145, 159, 166, 169, 171, 174, 176, 185, 219, 220
 სპანგ-პანსენი პ. 123, 124
 სტანკევიჩი ე. 43
 სტებლინ-კამენსკი მ. ი. 15, 184, 187
 სუიტი პ. 17, 22, 76
 სუხოტინი ა. 61, 71, 92
 სხრეინენი ქ. 6
 ტოდელი ვ. ფ. 15, 70, 76, 116—122, 159, 160—162, 165, 171, 175, 184, 228
 ტომსენი ვ. 11, 14, 15, 28
 ტომპოროვი ვ. ნ. 8, 46
 ტრეიგერი ქ. ლ. 83, 84, 177, 201—203, 206, 209, 210, 224
 ტრნკა ე. 102
 ტრონსკი ი. მ. 9—11
 ტრუბეცკოი ნ. ს. 6, 22, 28, 102—117, 160, 161, 171—173, 175, 178, 181, 184, 185, 187, 198, 201, 202—204, 206, 221—223, 227—229
 უელზი რ. ს. 17, 54, 59
 უზნაძე დ. 168, 192
 უიონეი უ. დ. 166
 ულაშინი პ. 47
 ულდალი პ. 123, 130, 131, 137, 147, 154
 უსლარი პ. კ. 23
 ფანტი გ. მ. 104
 ფერსი ქ. რ. 19
 ფიუჯი ე. კ. 84
 ფიშერ-იორგენსენი ე. 22, 85, 199, 205, 212
 ფლაიში პ. 13
 ფორბის ი. პ. ბ. რ. 10
 ფოჩხუა ბ. 104, 184
 ფრუმკინა რ. მ. 158
 ქარისიუსი 11
 ქობალავა ი. 51, 220, 229

- შარაქენიძე თ. 83, 85, 103, 143, 177,
 187, 190, 205
 წაიო ს. დ. 180
 შერერი ვ. 17
 შლაიხერი ა. 29
 შლაუხი მ. 84, 192
 შორი რ. 14, 58, 61, 86, 87, 165
 შტაინთალი კ. 29, 165
 შტიბერი ზ. 32, 47
 შტოფი ე. ა. 158
 შჩერბა ლ. ვ. 32, 35, 43, 47—50, 62,
 86—91, 104, 166, 168, 169, 178, 180,
 183, 196, 197, 202, 203, 207, 224

 ჩაო ი. ე. 158, 159, 163
 ჩატერჯი ს. კ. 7
 ჩენსოკოვი პ. ვ. 156
 ჩიევესკი დ. 32, 35, 36, 168
 ჩიქობავა არნ. 12, 13, 28, 29, 32, 84, 124,
 165, 168, 174, 190

 ცვირნერი კ. 76
 ცვირნერი ე. 16, 76

 ძიშბო 77

 ზომსკი ბ. 123, 158, 190

 ჭფარიძე ზ. ნ. 2200
 ჭენკინსი ჯ. ჯ. 200
 ჭოუნზი დ. 22, 44, 76—79, 80—84, 163,
 173, 178, 181, 200, 202, 206—208, 211,
 212, 225
 ჭოუნზი ლ. ჯ. 200

 ჭავრანკი ბ. 102
 ჰალე მ. 86, 92, 104, 122, 160, 179, 200,
 210
 ჰამერიხი ლ. ლ. 125 141
 ჰანსენი კ. 176
 ჰარისი ზ. ს. 83, 85, 205, 206, 211, 214
 ჰარისი მ. 180
 ჰაუგენი ე. 125
 ჰაუგენი ე. 125
 ჰერბარტი 165
 ჰინცე ფ. 124

 ჰიპოკრატე 9
 ჰოიერი კ. 213, 214
 ჰოეტი ჩ. ფ. 83, 84, 158, 163, 199,
 201, 206, 209—211, 214, 224
 ჰორეკი ე. 158
 ჰუმბოლდტი ე. 20, 21, 165, 191

 Абаев В. И. 190
 Аванесов Р. И. 27, 92
 Авиценна 13
 Арутюнова Н. Д. 83
 Ахведиანი В. Г. 13
 Ахмапова О. С. 89, 122, 124, 153,
 190

 Белнская Т. А. 43, 46
 Березин Ф. М. 32, 37
 Бернштейн С. И. 27, 183
 Бертагаев Т. А. 89, 91
 Блумфилд Л. 14, 15, 85, 86, 175,
 204, 205, 224
 Боголюбова Н. Д. 224.
 Бодуэн де Куртэнэ И. А. 18, 19,
 21, 24, 28, 30—50, 62, 76, 77, 92,
 104, 157, 159, 166, 168, 169, 171—
 173, 187, 196, 198, 218, 219, 224
 Болларко Л. В. 50
 Бругман К. 17, 24
 Будагов Р. А. 174, 190
 Булыгина Т. В. 103, 184
 Булич С. 13, 171

 Ваараск П. К. 32

 Гардинер А. 54
 Гвоздев А. Н. 89, 90, 91, 203, 224
 Глисон Г. 83, 84, 86, 160, 163, 200,
 203, 206, 209, 210
 Гумбольдт В. 20, 21, 165, 191
 Гухман М. М. 61, 63, 85, 176

 Дельбрюк Б. 15, 16, 28
 Десницкая А. В. 16
 Дешериев Ю. Д. 23
 Джапаридзе З. Н. 200

- Дорошевский В. 31, 32, 42
 Дукельский Н. И. 200
- Виноградов В. В. 35, 92
 Воронкова Г. В. 184, 187
- Звеглицев В. А. 12—14, 29, 61, 122, 124, 141, 144, 146
 Зиндер Л. Р. 43, 44, 47, 50, 86, 89, 90, 91, 180, 182, 198, 203, 204, 207, 209, 224
 Зшовьев Л. А. 158, 227
- Ельмслев Л. 15, 20, 51, 54, 123, 154, 176, 178, 198, 204, 215, 216, 228
- Карлов Н. П. 32
 Каршевский С. И. 6, 86, 87, 102, 104
 Качнельсон С. 29
 Климов Г. А. 83, 102, 156, 159, 171, 192, 200
 Крушевский Н. В. 5, 19
 Кубрякова Е. С. 83, 157
 Кузнецов П. С. 92, 157, 160
- Лекомцев Ю. К. 124
 Леман У. Ф. 6
 Леонтьев А. А. 31, 32, 35—37, 43, 50, 156, 157, 165, 213, 214
 Лешка О. 103
 Лыткин В. И. 89, 91, 209
 Ломтев Т. П. 101, 182
 Лоя Я. В. 11, 13, 14, 36, 166
 Людсканов А. 158
 Лукицкий И. А. 89—91
- Мартине А. 102, 103, 124, 125, 136, 175, 176, 178, 201, 210, 225, 226
 Матусевич М. И. 43, 44, 47, 50, 86, 89, 90, 91, 198, 203
 Штофф В. А. 158
 Щерба Л. В. 32, 35, 43, 47—50, 62, 86—91, 104, 166, 168, 169, 178,
- Мельничук А. С. 177, 189
 Мельчук И. А. 158
 Мюллер Г. 83, 85
 Мурат В. П. 123—125, 143, 144
- Остгоф Г. 24
- Падучева Р. М. 158
 Папов М. В. 86, 92
 Пауль Г. 24, 29, 33, 157
 Петер М. 92
 Полнванов Е. Д. 47
 Протогенов С. В. 31, 47, 86, 92
- Рамшвилли Г. В. 21
 Ревзин И. И. 158, 227
 Реформатский А. А. 71, 83, 86, 92—101, 104, 117, 160, 178, 182, 184, 187, 199, 225, 229
 Росетти А. 22, 44
- Скаличка В. 102, 176
 Слосарева Н. А. 20, 50
 Смирницкий А. И. 89, 174
 Спаг-Ханссен Х. 123, 124
 Стеблин-Каменский М. И. 15, 184, 187
 Сухотин А. 61, 71, 92
- Томсен В. 11, 14, 15, 28
 Топоров В. Н. 8, 46
 Трика Б. 102
 Тронский И. М. 9—11
 Трубецкой Н. С. 6, 22, 28, 102—117, 160, 161, 171—173, 175, 178, 181, 184, 185, 187, 198, 201, 202—204, 206, 221—223, 227—229
- Услар П. К. 23
- Фант Г. М. 104
 Фрумкина Р. М. 158
- Шор Р. 14, 58, 61, 86, 87, 165
 Штейнталь Г. 29, 165
 Штибер З. 32, 47

- 180, 183, 196, 197, 202, 203, 207,
224
- Чесноков П. В. 156
- Чикобава А. С. 12, 13, 28, 29, 32,
84, 124, 165, 168, 174, 190
- Халле М. 86, 92, 104, 122, 160, 179,
200, 210
- Хансен К. 176
- Хомский Н. 123, 158, 190
- Якобсон Р. 6, 102, 104, 122, 160,
179, 198, 200, 210
- Яковлев Н. Ф. 23, 92
- Abercrombie D. 11, 14
- Aelfric 12
- Allen W. S. 7, 8
- Ammer K. 162
- Andrade M. J. 160
- Arens H. 11, 12, 14, 160
- Arnauld A. 21
- Brøndal V. 28
- Brücke E. 10, 14, 17
- Buysens E. 163
- Chao Y. R. 158, 159, 163
- Chatterji S. K. 7
- Christensen B. W. 124
- Cohen A. 211
- Collart J. 11
- Colinder B. 6—8, 23
- Cooper F. S. 180
- Čyževskij D. 32, 35, 36, 168
- Delattre P. 180
- Diderichsen P. 76, 83, 85, 206
- Diels H. 9
- Doroszewski W. 31, 32, 42, 172
- Dubois M. M. 12
- Ebeling C. L. 201
- Emenau M. B. 7
- Firth J. R. 19
- Fischer-Jørgensen E. 22, 85, 199,
205, 212
- Fleisch H. 13
- Forbes P. B. R. 10
- Fudge E. C. 85
- Godel R. 52—54, 56, 61, 220
- Graff W. L. 28
- Gray L. H. 84, 192
- Greenberg J. 200
- Grimm J. 15, 18
- Halle M. 86, 92, 104, 122, 169, 179,
200, 210
- Hammerich L. L. 123, 141
- Harris M. 180
- Harris Z. S. 83, 85, 205, 206, 211,
214
- Haugen E. 125
- Hintze F. 124
- Hjelmslev L. 15, 20, 51, 54, 123,
120—154, 176, 198, 201, 215, 216,
228
- Hockett C. F. 83, 84, 158, 163, 199,
201, 206, 209—211, 214, 224
- Hojer H. 213, 214
- Horecký J. 158
- Ivič M. 11, 14, 29, 84, 122, 124
- Jakobson R. 6, 102, 104, 122, 160,
179, 198, 200, 210
- Jenkins J. 200
- Jespersen O. 14, 15, 17, 23, 174
- Johansen S. 124
- Jones D. 22, 44, 76, 77, 79, 80.—
82, 84, 163, 173, 178, 181, 200,
202, 206—208, 211, 212, 225
- Jones L. G. 200
- Karcevskij S. 6, 87, 102, 104
- Lancelot Cl. 21
- Lazicius J. 14, 225
- Lepsius C. R. 21
- Leroy M. 14
- Liberman A. M. 180

- Malmberg B. 5, 6, 12, 14—17, 58, 59, 104, 229
 Martinel A. 102, 103, 124, 125, 136, 175, 176, 178, 201, 210, 225, 226
 Miller G. A. 200
 Misra V. M. 8
 Mol H. 226
 Mounin 8, 10, 12, 14, 16, 59, 61
 Møller Ch. 104

 Nicely P. E. 200
 Novak L. 28

Paṇḍini 7
 Panconcelli-Calcia G. 5, 9, 12—14, 16, 217
 Pedersen H. 14—16
 Peterson G. E. 200
 Pisani V. 28, 29
 Pike K. L. 204, 214
 Polivarov E. 47
 Pulgram E. 84, 163, 193

 Raudnitzky H. 22
 Robins R. H. 7, 9—14, 22
 Rogger K. 59
 Rosetti A. 22, 44
 Rousselot P. J. 16

 Saporta S. 157
 Sapir E. 61—74, 166—169, 171, 172, 175, 152, 197, 204, 220, 221
 Saussure F. de 6, 18—21, 24, 38, 50—61, 72, 102, 104, 145, 159, 166, 165, 171, 174, 176, 185, 219, 220
 Schatz C. D. 180
 Schlauch M. 84, 192
 Schrijner J. 6
 Sechehaye A. 54, 70, 192
 Siertsema B. 124, 125
 Sievers E. 17
 Sommerfelt A. 46, 47, 102
 Stankiewicz E. 43
 Swadesh M. 83, 173, 180, 206
 Sweet H. 17, 22

 Trager G. L. 83, 84, 177, 201—203, 206, 209, 210, 224
 Trubečzkoy N. 6, 22, 28, 102—117, 160, 161, 171—173, 175, 178, 181, 184, 185, 187, 198, 201, 202—204, 206, 221—223, 227—229
 Twaddell W. F. 15, 70, 76, 116 — 162, 159, 160—162, 160, 171, 175, 184, 228

 Ułaszyn H. 47
 Uldall H. J. 123, 130, 131, 147, 154

 Vachek J. 102, 103, 117, 161, 184

 Wells R. S. 17, 54, 59
 Withney W. D. 166

 Zoega 16
 Zwerner E. 16, 76
 Zwirner K. 76

შინაარსი

წინასიტყვაობა	. . .	3
შესავალი	. . .	5

ნაწილი პირველი.

ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში		
თ ა ე ი პ ი რ ვ ე ლ ი. ფონემის თეორიები		26
მეტალისტური თეორიები		27
ფიზიკური თეორიები		74
მორფემატული თეორია		91
ფონემის ფუნქციონალური თეორია		101
ფონემის როგორც ფიქციის თეორია		116
ფონემის გლოსემატიკური თეორია		122
თ ა ე ი მ ე ო რ ე. ფონემის ცნების განსაზღვრისათვის		155

ნაწილი მეორე.

ფონემური ანალიზის პრინციპები	. . .	195
ბგერითი ნაკადის სეგმენტაცია	. . .	199
ზგერათა იდენტიფიკაცია		206

ნაწილი მესამე

ფონეტიკა და ფონოლოგია	217
Понятие фонемы в лингвистике (резюме)		. . .	231
გამოყენებული ლიტერატურა		234
შემოკლებათა განმარტება			247
პირის სახელთა სამიებელი			248

Изабелла Доментьевна Кобалава
ПОНЯТИЕ ФОНЕМЫ В ЛИНГВИСТИКЕ
(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი თ. შარაძენიძე
გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჩავა
მხატვარი მ. თუშმალიშვილი
კორექტორი მ. რამიშვილი

გადეცა წარმოებას 22.11.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.11.19
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი
16,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,21;

უე 01424; ტირაჟი 800; შეკვეთა № 2959;

ფასი 1 მან 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ.,
Издательство «Мецннереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 1

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ.,
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 1